**საჯარო სამართლის იურიდიული პირი**
**ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტი

თამაზ დარჩიძე

# ბიზანტია და სამხრეთ-დასავლეთი საქართველო ახ.წ. IV-VII საუკუნეებში

არქეოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი

სამეცნიერო ხელმძღვანელ(ებ)ი:

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
ემერეტუს პროფესორი ა. კახიძე

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
ემერეტუს პროფესორი შ. მამულაძე

ბათუმი 2023 წელი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამაზ დარჩიძე

2023 წლის 24 აპრილი

# სარჩევი


*შესავალი* ...... *4*

*თავი I. საკითხის მეცნიერული კვლევის ისტორია* ...... *8*

§1. ძირითადი წერილობითი წყაროები ...... 8

§2. ისტორიოგრაფია და არქეოლოგიური შესწავლა ...... 11

*თავი II. ბიზანტია და სამხრეთ-დასავლეთ საქართველო ახ.წ. IV-VII საუკუნეებში* ...... *26*

§3. ლაზეთის სამეფოს გაძლიერება ახ.წ. IV-V საუკუნეებში ...... 26

§4. ლაზეთის დიდი ომი, საბრძოლო მოქმედებები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ...... 31

*თავი III. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთის ახ.წ. IV-VII საუკუნეების არქიტექტურული ძეგლები* ...... *45*

§5. საფორთიფიკაციო ნაგებობები ...... 45

§6. საეკლესიო ნაგებობები ...... 57

*თავი IV. საქალაქო ცხოვრება და სოციალურ-ეკონომიკური გარემო* ...... *68*

*თავი V. ადრეშუასაუკუნეების ნივთიერი კულტურის ძეგლები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთში* ...... *80*

§7. კერამიკული ნაწარმი ...... 80

სამეურნეო დანიშნულების კერამიკული ნაწარმი ...... 82

სამზარეულო და საყოფაცხოვრებო მოხმარების კერამიკა ...... 96

სამშენებლო კერამიკა ...... 107

§8. მინის ნაწარმი ...... 122

§9. სამკაულები და სამოსთან დაკავშირებული ნივთები ...... 132

§10. ნუმიზმატიკური ძეგლები ...... 138

*თავი VI. პეტრას ლოკალიზაციის საკითხი* ...... *146*

§11. ირანელთა გარნიზონი პეტრაში ...... 151

*დასკვნა* ...... *159*

*ბიბლიოგრაფია* ...... *166*

*შემოკლებათა განმარტებანი* ...... *181*

*ილუსტრაციები* ...... *182*

# შესავალი

ახ.წ. IV-VII საუკუნეები საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი საკვანძო ეტაპია. აღმოსავლეთ რომის იმპერიაში დაწყებული გარდაქმნების კვალდაკვალ ჩვენს რეგიონშიც ხდება უმნიშვნელოვანესი ცვლილებები, როგორც ეკონომიკაში, ასევე პოლიტიკურ ცხოვრებასა და კულტურაში. არსებითია ის, რომ სათავე დაედო ახალ ეკონომიკურ ფორმაციას ფეოდალური ურთიერთობების სახით, მიმდინარეობს გაუთავებელი ომები ახლადწარმოშობილ ლაზიკის სახელმწიფოში ჰეგემონობისათვის ირანელებსა და ბიზანტიელებს შორის და ა.შ. ქვეყანაში გავრცელდა ახალი ქრისტიანული იდეოლოგია, ადრეშუასაუკუნეების ბოლო ეტაპისათვის მომზადდა ნიადაგი საქართველოს გაერთიანებისათვის. ახ.წ. IV-VII საუკუნეებში სამხრეთ-დასავლეთ საქართველო მნიშვნელოვანი რეგიონალური პროცესების აქტიური მონაწილე გახდა. „დიდი ომიანობა“ ლაზეთში ბიზანტიასა და ირანს შორის ამ ისტორიული პროცესების მნიშვნელობას განსაკუთრებით წარმოაჩენს. ბიზანტიის აღმოსავლური ექსპანსიის შედეგად სამხრეთ - დასავლეთ საქართველო მეტწილად ექცევა ბიზანტიური ეკონომიკის, კულტურისა პოლიტიკის გავლენის ქვეშ. ამავე პერიოდში წარმოიქმნენ და განვითარდნენ ახალი საქალაქო ცენტრები, რომელთა სამხედრო და სამოქალაქო ხასიათი, განვითარების თავისებურებები, მათი ეკონომიკური და პოლიტიკური კონტაქტები, აღზევება და დაცემა კვლავ რჩება მეცნიერული ინტერესის განსაკუთრებულ სფეროდ.

ანტიკურობიდან შუასაუკუნეებზე გადასვლა საქართველოში მთელი რიგი თავისებურებებით ხასიათდებოდა. კლასიკური ანტიკურობის ქვეყნებთან შედარებით, განსხვავება თვალსაჩინოა გარდამავალი პერიოდის ქრონოლოგიურ ჩარჩოებშიც. გასხვავებული იყო პროცესის ინტენსივობაც. ამ თავისებურებათა გათვალისწინებით, IV-VII საუკუნეები, როგორც გარდამავალი პერიოდი, თავისი რეგიონული პოლიტიკურ-ეკონომოკური, სოციალური და კულტურული ასპექტებით, კვლევის განსაკუთრებული ინტერესის სფეროს წარმოადგენს.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად დაგროვილი ცოდნის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ პეტრა-ციხისძირი ადრეშუასაუკუნეების დაწინაურებული საქალაქო ცენტრია ამ

განსაზღვრებისთვის საჭირო ყველა ატრიბუტით - არქიტექტურული კომპლექსებით. ციხისძირი მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ლაზეთის სამეფოში წარმოებულ სამხედრო მოვლენებში. ამის მანიშნებელია ძეგლის მძლავრი საფორთიფიკაციო სისტემა, რომელიც გაშლილია ორ ბორცვზე და წარმოადგენდა საზღვაო-სახმელეთო სივრცის კონტროლის ძლიერ სისტემას. პეტრა-ციხისძირში ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიებით მოპოვებული მასალები გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს ძეგლის ხასიათზე, მაგრამ მრავალი საკითხი საჭიროებს მეცნიერულ შესწავლასა და ხელახალ დაზუსტებას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია: ა) ძეგლის სტრატიგრაფია და პეტრას აკროპოლისის მშენებლობისა და განვითარების ეტაპების დადგენა; ბ) აკროპოლისის იმ შენობა-ნაგებობათა დანიშნულების კვლევა, რომელთა ფუნქციური რაობაც ამ ეტაპზე დაუდგენელია; გ) პეტრას საქალაქო ტიპის დასახლების განვითარების წინაპირობები და დასახლების სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურა, ასევე პეტრას აკროპოლისის დაცემის შემდგომ მისი განვითარების ხასიათი და თავისებურებები; დ) პეტრას ლოკალიზაცია და მისი ციხისძირთან იდენტიფიკაციის პრობლემები, საკითხთან დაკავშირებული წერილობითი და ახალი არქეოლოგიური აღმოჩენების შეჯერება და ანალიზი.

აღსანიშნავია, რომ პეტრა-ციხისძირის დეტალური შესწავლა რეგიონში საქალაქო ცხოვრების განვითარების ხანგრძლივ და მეტნაკლებად უწყვეტ სურათს მოგვცემს, რაც შესაძლებელს გახდის გავაკეთოთ დასკვნები სხვადასხვა საისტორიო პრობლემაზე. ადრეშუასაუკუნეებში საქალაქო ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა ქრისტიანული რელიგიის გავრცელებამ. ქრისტიანული ხუროთმოძღვრული ძეგლები ამ ეპოქის ქალაქების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. პეტრა-ციხისძირი ის იშვიათი ძეგლია, სადაც მძლავრი საფორთიფიკაციო ინფრასტრუქტურის განვითარებას წინ უსწრებდა აქტიური საეკლესიო მშენებლობანი, ხოლო თავდაცვითი ფუნქციის დაკარგვის შემდგომ ქალაქმა გააგრძელა არსებობა, როგორც საეკლესიო ცენტრმა. ეს თავისებურებები უფრო ამძაფრებს ძეგლის ყოველმხრივი შესწავლის აუცილებლობას, მით უფრო, როცა ჯერ კიდევ ბუნდოვანია ციხისძირში შესწავლილი ცალკეული საეკლესიო ნაგებობის ნაშთებისა და ნივთიერი მასალის ქრონოლოგიური კუთვნილება.

ადრეშუასაუკუნეებში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში დასახლების ნიშნები ფიჭვნარსა და გონიო-აფსაროსშიც ჩანს. ფიჭვნარის ტერიტორიაზე გამოვლენილი და შესწავლილია საკმაო რაოდენობის ადრეშუასაუკუნეების სამარხები. ფიჭვნარის სამარხეული ინვენტარი წარმოდგენას გვაძლევს იმ დროინდელი მოსახლეობის სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობზე, საზოგადოების ცხოვრების ამა თუ იმ მხარეზე. როგორც ჩანს, ადრეშუასაუკუნეებში ფიჭვნარში საქალაქო დასახლება ანტიკური ხანის ნაქალაქარის ტერიტორიაზე აღმოცენდა.

კვლევა მიზნად ისახვს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ადრეშუასაუკუნეების მატერიალური კულტურის არსის, მისი ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური მნიშვნელობის, ხასიათის დადგენას, რეგიონში საქალაქო ცხოვრების შესწავლას და მისი თავისებურებების განსაზღვრას, ასევე ბოლო ხანების არქეოლოგიური შედეგების წარმოჩენასა და მათ გააზრებას.

სადისერტაციო ნაშრომი შესრულდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო პროექტის მხარდაჭერით (PHDF-21-2427). კვლევის ფარგლებში დამუშავდა მდიდარი წყაროთმცოდნეობითი ბაზა და ვრცელი სამეცნიერო ლიტერატურა. განხორციელდა სამუზეუმო ფონდებში დაცული არქეოლოგიური მასალის, ასევე საფონდო-სააღრიცხვო დუკუმენტაციის შესწავლა. ანალოგიური და თანადროული მასალები შედარებული იქნება სამეცნიერო ლიტერატურული მონაცემებისა და კატალოგების გამოყენებით. ამასთან სადისერტაციო ნაშრომის მიზნებისათვის, შესაძლებლობა გვქონდა, მოგვეხდინა ლაზეთის სანაპირო ზოლში (თურქეთი, ართვინისა და რიზეს ოლქები) მდებარე თანადროული ისტორიული ძეგლების დოკუმენტირება და შესაბამის სამუზეუმო დაწესებულებებში (ტრაპიზონი) არსებული არქეოლოგიური მასალის გაცნობა. კვლევის ძირითად ეტაპზე, აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს მხარდაჭერით, მონაწილეობა მივიღეთ საკვლევი ეპოქის საკვანძო ძეგლზე (პეტრა-ციხისძირი) მიმდინარე არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობაში და მიღებული ნითიერი მასალის კამერალურ დამუშავებაში. ახალი არქეოლოგიური მასალებიდან მოხდა კერამიკული ნაწარმის იმ ნიმუშების სიღრმისეული შესწავლა-დამუშვება, რომელიც ჩვენი საკვლევი თემისათვის საკვანძო მნიშვნელობის მატარებელი იყო.

ვფიქრობთ, რომ კვლევის შედეგებმა საშუალება მოგვცა უკეთ დაგვენახა ბიზანტიის გავლენა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთზე, აქ დაწინაურებულ საქალაქო ცხოვრებაზე, მოსახლეობის სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ მდგომარეობაზე, რეგიონის საერთაშორისო კონტაქტებზე. კვლევის შედეგად უკეთ წარმოჩინდა ადრეშუასაუკუნეების ზღვისპირეთის არქეოლოგიური ძეგლების მნიშვნელობა და მათი თავისებურებები. შეიქმნა ამ ძეგლების დაცვის, წარმოჩენისა და პოპულარიზაციისათვის საჭირო, უფრო მეტი თეორიული ცოდნა. კვლევის შედეგები მნიშნელოვნად დაგვეხმარება რეგიონის შესწავლის საქმეში.

# თავი I. საკითხის მეცნიერული კვლევის ისტორია

## §1. ძირითადი წერილობითი წყაროები

საკვლევი ეპოქისა და რეგიონის არქეოლოგიური შესწავლისათვის მნიშვნელოვანი საფუძველია ჩვენამდე მოღწეული წერილობითი წყაროები. განსაკუთრებით ბერძნულ-რომაული წყაროები. ისინი სიმცირის მიუხედავად, შესაძლებლობას გვაძლევს, სათანადოდ შევისწავლოთ რეგიონში მიმდინარე ისტორიული პროცესები. მისი მეშვეობით ჩვენ ვეცნობით სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მოსახლე ხალხებს, მათ საცხოვრებელ არეალს, ისტორიულ საზღვრებს, მოსახლეობის სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ გარემოს. მათი მეშვეობით ვახდენთ ნივთიერი მასალების სწორ ინტერპრეტირებას, რაც საერთო ჯამში, წარსულის მეტ-ნაკლებად ზუსტი სურათის აღდგენაში გვეხმარება.

ადრეშუასაუკუნეებზე მსჯელობისას ჩვენ გვერდს ვერ ავუვლით ქართულ და სომხურ წყაროებს. მათ შორისაა ლეონტი მროველი („ცხოვრება ქართველ მეფეთა"), ჯუანშერი, მოვსეს ხორენაცი, ანანია შირაკაცი („სომხური გეოგრაფია") და ა.შ. უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდის ქართულ წყაროებში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური მოვლენები ვრცლად არა არის გაშუქებული. ქართული წყაროთმცოდნეობითი ძეგლებით რთულია იქ მიმდინარე სამხედრო-პოლიტიკურ მოვლენებზე სრულფასოვანი მსჯელობა, ამიტომ კვლევის პროცესში ჩვენ ძირითადად უცხოურ წერილობით ძეგლებს ვეყრდნობით.

უცხოურ წერილობით წყაროთა შორის უნდა აღინიშნოს რომაელი და ბიზანტიელი ავტორები, რომელთა ნაშრომებიც პირდაპირ თუ ირიბად უკავშირდება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, ადრებიზანტიურ ხანასა და მის წინარე ეპოქას. რომაული და ბიზანტიური წყაროები გვეხმარება მეცნიერულ მოსაზრებებს შორის ორიენტირებაში, მრავალი საორჭოფო საისტორიო საკითხის დაზუსტებასა და ურთიერთშედარებაში. რომაელ ავტორებს შორის აღსანიშნავია: სტრაბონი, პლუტარქე, პლინიუსი, ფლავიუს არიანე, პომპონიუს მელა, კლავდიოს პტოლემაიოსი, იოსებ ფლავიუსი, დიონ კასიოსი, ეპიფანე კვიპრელი, თეოდორიტე კვირელი, *Notitia Dignitatum* (თანამდებობრივი ნუსხა). სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ურთიერთობებს გარე სამყაროსთან, რეგიონის მოსახლეობას, მის კულტურასა და სოციალურ ვითარებას, ასევე საქალაქო

და სამხედრო ცენტრებს ძირითადად მაინც ანონიმი ავტორის თხზულებების, იუსტინე იმპერატორის ნოველების, პროკოპი კესარიელისა და აგათია სქოლასტიკოსის მეშვეობით ვსაზღვრავთ და ვსწავლობთ. მართალია, ჩვენი მიზანი ყოველივე ზემოთთქმულის გაშუქებაა ნივთიერი კულტურის საფუძველზე, მაგრამ მრავალი საკითხის გაანალიზება წერილობითი წყაროების გარეშე წარმოუდგენელია.

ახ. წ. IV-VII საუკუნის ბიზანტიის საისტორიო მეცნიერებაში ჯერ კიდევ ძლიერი იყო ანტიკური ტრადიციები, ეს გავლენა ნაწილობრივ საკვლევი პერიოდის დასასრულამდეც საგრძნობია, მიუხედავად იმისა, რომ ბიზანტიურ ისტორიოგრაფიაში IV საუკუნიდან ჩანს თეოლოგიური იდეები და მოტივები. სავარაუდოა, რომ ბიზანტიელი ავტორები, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ წინა ეპოქების მოგზაურებისა და ისტორიკოსების ჩანაწერებით, მეტ-ნაკლებად აგრძელებდნენ ანტიკურ ტრადიციას - თხრობაში ძირითადად ავითარებენ ოფიციალურ სახელმწიფოებრივ ხაზს.

რეგიონის კულტურული და რელიგიური ვითარების გარკვევა-ანალიზისათვის მნიშვნელოვანია მსოფლიოს ცალკეული საეკლესიო კრებათა ნუსხები, რომლებიც ხაზს უსვამენ აქ ქრისტიანობის გავრცელების მასშტაბებსა და თავისებურებებს. ციხისძირში საეკლესიო ნაგებობების აღმოჩენისა და შესწავლის ფონზე გასათვალისწინებელია წყაროებში შემონახული ესა თუ ის ცნობა. ამ თვალსაზრისით ჩვენ შევისწავლეთ კლემენტი რომაელის, დორითეოს ტვირელის, ეპიფანე კვიპროსელის, მენანდრე პროტექტორის, თეოფილაქტე სიმოკატტას და სხვათა მონათხრობები, რომელებსაც გარკვეული დახმარების გაწევა შეუძლიათ.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში საქალაქო ცხოვრების განვითარებისათვის თვალის მისადევნებლად საყურადღებო ცნობებს გვაწვდის V საუკუნის ანონიმი ავტორის „მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო". ავტორს, თავის მხრივ გამოყენებული აქვს, როგორც წინა ეპოქების ავტორთა შრომები, ასევე მისი თანამედროვე მკვლევარების ნარკვევები (არიანე, მენიპე პერგამონელი, მარკიანე ჰერაკლეელი, სკილაქს სკარიანდელი და ა.შ). წყაროში დაცულია საინტერესო ცნობები საქართველოს სანაპირო ზოლის დასახლებული პუნქტებისა და აქ მცხოვრები ხალხების შესახებ, შესაბამისად ანონიმი ავტორის ცნობები ძალზედ მნიშვნელოვანია სამხრეთ-დასავლეთ

საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ცალკეული, ბუნდოვანი საკითხების კვლევის თვალსაზრისით.

ჩვენთვის განსაკუთრებულია იუსტინე იმპერატორის ნოველები, რომელიც ერთგვარ იურიდიული აქტების კრებულს წარმოადგენს და შედგება 4 ძირითადი ნაწილისაგან. ნოველები ქვეყნდებოდა ცალკ-ცალკე და გამოიყენებოდა ამა თუ იმ პრობლემის მოსაგვარებლად. ერთიანი სახით კრებული იუსტინე კეისრის გარდაცვალების შემდეგ გამოიცა. აღნიშნული წყაროს რამდენიმე ნოველა და ეპიზოდი შეეხება ლაზეთის საკითხს. წყაროში საუბარია ლაზეთის ქალაქების, საზღვრების და პოლიტიკური პროცესების შესახებ (გეორგიკა II, 1965: 30-37). სწორედ, აქ ჩნდება ინფორმაცია ციხე-ქალაქ პეტრას თაობაზე. წყაროში დაცული ცნობა გვეხმარება უკეთ გავიაზროთ პეტრას ადგილმდებარეობის საკითხი.

ბიზანტიის აღმოსავლური პოლიტიკის, სამხედრო და ეკონომიკური პროცესების კვლევის თვალსაზრისით პროკოპი კესარიელი გამორჩეული ავტორია. მას გააჩნია ყველაზე ნაყოფიერი და სანდო ცნობები საქართველოსა და მისი მეზობლების შესახებ. პროკოპი კესარიელი VI საუკუნეში მოღვაწეობდა და იგი ირანსა და ბიზანტიას შორის ხანგრძლივი ომის თანამედროვეა, რაც განსაკუთრებით ზრდის ლაზეთში განვითარებული სამხედრო-პოლიტიკური მოვლენების ირგვლივ მისი ცნობების სანდოობას. მიუხედავად იმისა, რომ მემატიანე ატარებს ოფიციალურ ხაზს, იყენებს თხრობის ლიტერატურულ პასაჟებსა და გააჩნია გარკვეული ხარვეზებიც კი, აღიარებულია, რომ პროკოპის შრომების გარეშე ძნელი წარმოსადგენი იქნებოდა საქართველოს VI საუკუნის ისტორია, რომ აღარაფერი ვთქვათ პეტრა-ციხისძირის, როგორც საქალაქო პუნქტის არსებობაზე. ავტორი უშუალოდ ეხება ციხე-ქალაქის თემას, აღგვიწერს მას, ასევე გვიამბობს მის ირგვლივ მომხდარი სხვადასხვა მოვლენების თაობაზე. მაგალითად, - თუ როგორ ცდილობდნენ მეომარი მხარეები ციხის დაუფლებას ან მის დაცვას. კესარიელის ეს ცნობები დღეს წარმოადგენს პეტრა-ციხისძირის შესწავლის უმთავრეს საისტორიო წყაროს (Prokopius, 2014).

VI საუკუნის, განსაკუთრებით მისი მეორე ნახევრის ირგვლივ, მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის აგათია სქოლასტიკოსი. მისი ნაშრომები ღირებულია იმდენად, რამდენადაც კესარიელის შემდგომი პერიოდის ბიზანტიის ისტორიის გადმოცემა

პრაქტიკულად მან გააგრძელა. როგორც ცნობილია მემატიანემ ბოლომდე ვერ შეასრულა მისია, რადგანაც მის მიერ ხუთ წიგნად შექმნილი ისტორია, ათწლეულსაც კი ვერ აღწევს (Agathias, 1975). ამასთან მისი თხზულებების შეფასებისას ორი შეხედულება იკვეთება. ერთი ის, რომ ავტორი აღმოსავლეთის ამბების გადმოცემისას სპარსულ ქრონიკებს ეყრდნობა, რაც ზრდის ცდომილების ალბათობას და მეორე ის, რომ იმპერატორის გარდაცვალების შემდგომ (565 წ), მის მიერ დაწერილი თხზულებები შედარებით ობიექტური უნდა იყოს, იმპერატორის პიროვნული გავლენის (თვითცენზურის) შესუსტების გამო. მიუხედავად მის მიერ გადმოცემული ეპოქის ქრონოლოგიური სივიწროვისა, სქოლასტიკოსს ჩვენ მაინც ძირითად წერილობით წყაროთა კატეგორიაში განვიხილავთ.

## §2. ისტორიოგრაფია და არქეოლოგიური შესწავლა

ბიზანტიის აღმოსავლური პოლიტიკა ყოველთვის იყო საისტორიო კვლევების აქტუალური მიმართულება. საკუთრივ ბიზანტიისა და საქართველოს ათასწლოვანი ურთიერთობები და მისი მრავალმხრივი ასპექტები ქართულ ისტორიოგრაფიაში, მის განვითარების ყველა ეტაპზე წარმოადგენდა კვლევის ერთ-ერთ ძირითად საგანს.

ბიზინტიისა და საქართველოს მრავალმხრივი ურთიერთობების გასაშუქებლად სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შესწავლას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. რეგიონის მდიდარი მატერიალური და ნივთიერი კულტურის ძეგლები, არსებული წყაროთმცოდნეობითი ბაზა და მისი მრავალმხრივი კვლევის შესაძლებლობა კარგი საშუალებაა ორი ქვეყნის ურთიერთობათა თავისებურებებისა და ურთიერთგავლენის ანალიზისათვის. ასევე, ადრეშუასაუკუნეების არქეოლოგიური ძეგლების ადგილისა და მათი რაობის საფუძვლიანი განსაზღვრისათვის. ადრებიზანტიურ ეპოქაში, საქართველოს აღმოსავლეთი და დასავლეთი ნაწილების ბიზანტიასთან განსხვავებული კავშირები ერთობ საინტერესოდ აქცევს ჩვენს საკვლევ თემას. ეს ყოველივე ფართო ინტერდისციპლინარულ მუშაობას მოითხოვს. ჩვენს წინამდებარე ნაშრომსაც ამ კონტექსტში განვიხილავთ.

ადრეშუასაუკუნეების ეპოქის შესწავლის აქტუალურობას ხაზს უსვამს მასზე უკვე შექმნილი მრავალრიცხოვანი უცხოენოვანი ლიტერატურა. განსაკუთრებით

აღსანიშნავია ის, რომ გერმანიის, ასევე დიდი ბრიტანეთის არქეოლოგიისა და ისტორიის უძველესი სკოლები ღრმად, მრავალმხრივად სწავლობენ ბიზანტიის იმპერიის ისტორიას, არქეოლოგიას, კულტურას, ხელოვნებას, ლიტერატურას, არქიტექტურას, ფილოსოფია-თეოლოგიას და ა.შ. თითოეული მიმართულება ერთობ საინტერესოა ჩვენთვის. ნაშრომში მაქსიმალურად წარმოდგენილია ყველა ის ძირითადი სამეცნიერო ლიტერატურა, რაც მნიშვნელოვანი და აუცილებელია ჩვენი საკვლევი რეგიონის ნივთიერი კულტურის ანალიზის, მისი თანადროული ძეგლების არსის გააზრებისთვის. ამასთან ეპოქის ისტორიული მოვლენების უფრო ზუსტი კვლევისა და ჩვენეული დასკვნების გაკეთებაში.

ბიზანტიის იმპერიის ისტორიისა და განვითარების ცალკეული ეტაპების შესასწავლად ცალსახად საჭირო და მნიშვნელოვანია არნოლდ ჰ. მ. ჯონსის ძირითადი ნაშრომი “The Later Roman Empire” (Jones, 1964), მასში მოცემულია ფაქტების სიმდიდრე და წარმოადგენს ერთგვარ სისტემატურ სახელმძღვანელოს იმპერიის აღმოსავლური პოლიტიკის შესწავლის თვალსაზრისით. იმპერიის იტორიის საკვანძო მოვლენებზე თვალის მისადევნებლად საინტერესოა თ. გრეგორს ნაშრომში “A History of Byzantium” (Gregory, 2017). ჩვენთვის სასარგებლო იყო ასევე გ. გრიეითრიქსის კვლევა, რომელიც ძირითადად VI საუკუნეში ბიზანტიის აღმოსავლეთის პოლიტიკას ეძღვნება (Greatrex, 2005). ადრეშუასაუკუნეების ხანის ბიზანტიური, კლასიკური ქალაქების შესახებ საინტერესო მიმოხილვა აქვს გ.კ. ჰოულუმს (Holum, 2005). იუსტინიანეს ეპოქის იმპერიული პოლიტიკისა და ომების შესწავლისთვის ფუნდამენტურია პიტერ ჰეზერის მონოგრაფია - “Rome Resurgent” (Heather, 2018). არქეოლოგიური მასალების ინტერპრეტაციისა და ანალიზისთვის საკვანძოა ჰეიესი (Hayes, 1972, 1975), დარქი (Dark, 2001).

ადრეშუასაუკუნეებში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ბიზანტიასთან ურთიერთობებზე მსჯელობა წარმოუდგენელია ამავე ეპოქის ძეგლების, კომპლექსებისა და ნივთიერი კულტურის შესწავლის გარეშე.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ადრებიზანტიური ხანის ძეგლებს შორის კლასიკურია პეტრა-ციხისძირი, რომელმაც თავისი სტრატეგიული მდებარეობით და ისტორიული მნიშვნელობით ადრიდანვე მიიქცია მეცნიერთა ყურადღება. ამის გამო

ძეგლის არქეოლოგიურ შესწავლას დიდი ისტორია აქვს. პეტრა-ციხისძირთან დაკავშირებული არქეოლოგიური მასალა პირობითად ორ ჯგუფად იყოფა. ესენია როგორც შემთხვევით აღმოჩენილი, ასევე არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალა.

პეტრა-ციხიძირი მრავალი მეცნიერის ინტერესის სფეროში მოექცა. განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა პეტრას ლოკალიზაციის, ნავსადგურის, პეტრას საეპისკოპოსოს, პეტრა-ციხისძირის სამაროვანისა და ზოგადად ძეგლის არქეოლოგიური შესწავლის თუ შემთხვევით აღმოჩენილი არტეფაქტების კვლევის საკითხებმა. პეტრა-ციხისძირს შეეხო ბევრი მოგზაური და მკვლევარი, აგრეთვე მრავალმა სახელოვანმა მეცნიერმა მიუძღვნა შრომა პეტრა-ციხისძირთან დაკავშირებულ სხვადასხვა საისტორიო პრობლემას. აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას ცნობილი მოსაზრება - „პეტრამ იმდროინდელი დასავლეთ საქართველოს ცხოვრებაში დიდი როლი ითამაშა, რამდენადმე მსგავსი თბილისის როლისა აღმოსავლეთ საქართველოში" გვაჩვენებს თუ რამდენად ფართოდ განიხილავდა მეცნიერი პეტრა-ციხისძირის კვლევის საქმეს (ჯანაშია, 1949: 30).

მას შემდეგ, რაც პეტრა ისტორიის ნაწილად იქცა იგი მხოლოდ მოგზაურთა ყურადღებას იპყრობდა. ამის წყალობით იგი არაერთი მოგზაურის დღიურებსა და ჩანაწერებში მოხვდა. ყველაზე ადრეული ცნობები ცნობილია იერუსალიმის პატრიარქის დოსითეოზის (1659-1660 წ.წ) ამიერკავკასიაში მოგზაურობის ჩანაწერებიდან, სადაც საუბარია ქობულეთის სამხრეთით, საათნახევრის სავალზე მდებარე ციხის ნანგრევების შესახებ. ჩანაწერში მოცემულია ძეგლის ზოგადი აღწერა და დახასიათება. XIX საუკუნის I ნახევარში საქართველოში იმოგზაურა გერმანელმა ბოტანიკოსმა კარლ ჰაინრიხ ემილ კოხმა, მისი ჩანაწერები საქართველოს ბუნების, ისტორიის, ყოფა-ცხოვრების აღწერასთან ერთად შეეხო პეტრა-ციხისძირსაც (კოხი, სპენსერი, 1981). მკვლევარმა მოინახულა ციხისძირის ციხე და ჩანაწერებში აღნიშნა მისი სტრატეგიული და ხელსაყრელი მდგომარეობის შესახებ. XIX საუკუნის II ნახევარში პეტრა-ციხისძირის თემას შეეხო კავკასიოლოგი ვეიდენბაუმი. მისი თქმით ციხისძირის კონცხი, უფრო ზუსტად ციხისძირის ციხის ბორცვი, არის მთელს რეგიონში ერთადერთი ადგილი, სადაც

საზღვაო და სახმელეთო გზების ჩასაკეტად და საკონტროლოდ შეიძლება ყოფილიყო აგებული ციხე-სიმაგრე (ინაიშვილი ნ, 1993: 6-7), (ტაბ., II-1).

XIX საუკუნის II ნახევრიდან, მას შემდეგ რაც ციხისძირის მიდამოებიდან გახშირდა შემთხვევითი აღმოჩენები ციხისძირის მეცნიერული შესწავლა უფრო და უფრო აქტუალური გახდა,[1] თუმცა წყაროთმცოდნეობითი ბაზის არარსებობის გამო კვლევა-ძიებამ მეტნაკლებად სისტემატიური ხასიათი XX საუკუნის 30-40-იანი წლებიდან მიიღო. ამ მხრივ უმნიშვნელოვანესი იყო 1934 წელს პროფესორ სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ საქართველოს შესახებ პროკოპი კესარიელის ცნობების ქართული თარგმანის გამოქვეყნება, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ „გეორგიკის" სახელით. მეცნიერმა ნაშრომს თან დაურთო სათანადო კომენტარები, სადაც იგი ეხებოდა პეტრას ლოკალიზაციის საკითხს (ყაუხჩიშვილი, 1934: 58-60). ამავე თემას დიდი ყურადღება მიაქცია აკადემიკოსმა ს. ჯანაშიამ, რომელმაც აქ 1934 წელს პირველი დაზვერვითი სამუშაოები აწარმოა. მის მიერ შეგროვდა პირველადი მონაცემები ციტადელის ზომების, იქ არსებული შენობა ნაგებობების, ციდატელის გარეთ არსებული კოშკებისა და მათთან დამაკავშირებელი დერეფნის შესახებ. ჯანაშიამ გააკეთა პეტრას ციხის პირველი შედარებითი ანალიზი მის თანადროულ ბიზანტიურ ძეგლებთან და დაათარიღა იგი. მის ხელთ არსებული ნივთიერი მასალებისა და წერილობითი წყაროების შეჯერებით ს. ჯანაშიამ დაასაბუთა ციხისძირის პოლიტიკური, კულტურული და სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა და პეტრა-ციხისძირის იგივეობის საკითხის გარშემო ჩამოაყალიბა მყარი არგუმენტები (ჯანაშია, 1949: 32-44). პეტრა-ციხისძირის საკითხს შეეხო იური სიხარულიძე. აღიარებულია მისი უმნიშვნელოვანესი გამოკვლევა „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა", სადაც მკვლევარის მიერ შესწავლილია ისეთი ტოპონიმები, რომელთა დიდი ნაწილი დღეისთვის დაკარგულია. იური სიხარულიძის „ტოპონიმიკას" თან ახლავს ავტორისეული კომენტარები, მათ შორის პეტრა-ციხისძირის იგივეობის საკითხთან მიმართებაში (სიხარულიძე, 1959: 98).

---

[1] პეტრა-ციხისძირიდან შემთხვევით აღმოჩენილი მასალები ძირითადად განძებისა და ცალკეული ნივთების კოლექციების სახითაა ცნობილი. ციხისძირის ტერიტორიაზე შემთხვევითი მონაპოვრების შესახებ ინფორმაცია XIX საუკუნეში ჩნდება. გაზეთი „ივერია" იუწყებოდა, რომ თურქი ჯარისკაცები სანგრების გათხრის დროს პოულობდნენ ძვირფასი ნივთების შემცველ სამარხებს და ძარცვავდნენ მათ. პეტრა-ციხისძირში დაფიქსირებული შემთხვევითი მონაპოვრებიდან გამორჩეულია ე.წ. „ციხისძირის განძი" (1907 წ), „რომაული დამღიანი აგური" და ციხისძირის მონეტების კოლექცია (1983-85 წწ). პეტრა-ციხისძირში შემთხვევით აღმოჩენილი მრავალი ნივთი დაიკარგა და სხვა მონაპოვრებს შეერია.

ციხისძირის შესწავლის საკითხში დიდი წვლილი მიუძღვის პირველ ქართველ არქეოლოგ ქალს - ნინო ხოშტარიას, რომელმაც პირველმა, შეისწავლა შემთხვევით აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა, მათ შორის ციხისძირის განძი. მისი აზრით, ციხისძირი უძველესი სარეზიდენციო პუნქტია, ხოლო პეტრა შესაძლოა ადგილობრივი ლაზური სახელის „ქობულეთის'', „ქობულის'', „ქუაბულის'' თარგმანს წარმოადგენდეს (რაც ლაზურად ქვას, მრგვალ ქვას ნიშნავს) (ხოშტარია, 1962: 35).

ციხისძირში 1962 წლიდან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტისა და ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის გაერთიანებული ექსპედიციის მიერ ტარდებოდა გეგმაზომიერი საველე-არქეოლოგიური სამუშაოები. მას სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ დ. ხახუტაიშვილი, ა. ინაიშვილი, ა. კახიძე, ნ. ინაიშვილი. საველე-არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად გამოვლინდა არაერთი არქეოლოგიური მასალა და ძეგლი ციხისძირის აკროპოლისის, მისი შემოგარენისა და ნაქალაქარის ტერიტორიაზე (ტაბ. I-3).

ასლან ინაიშვილი წლების განმავლობაში უძღვებოდა ციხისძირის არქეოლოგიურ გათხრებს, რომელთა შედგებიც მის მიერ პერიოდულად ქვეყნდებოდა სამეცნიერო პუბლიკაციების სახით. მკვლევარი აყალიბებს არაერთ საყურადღებო მოსაზრებას პეტრას საეპისკოპოსოსა და პეტრას ნავსადგურის შესახებ. მკვლევარმა დაამუშავა მდიდარი ეთნოლოგიური, ლინგვისტური და ზეპირსიტყვიერების მასალა და ამ მიმართულებითაც გააკეთა საყურადღებო დასკვნები. მისი ხელმძღვანელობით ციხისძირში ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად შესწავლილი იქნა ციხისძირის ძველი კოლხური ნამოსახლარი, პეტრას აკროპოლისის სასიმაგრო ნაგებობები, შეიძლება ითქვას, რომ პეტრა-ციხისძირის ფართომასშტაბიანი არქეოლოგიური შესწავლა მის სახელს უკავშირდება (ინაიშვილი ა., 1971: 74-90), (ინაიშვილი ა., 1971: 90-109), (ინაიშვილი ა., 1974: 102-153).

ციხისძირის მეცნიერულ შესწავლაში მნიშვნელოვანი როლი აქვს ნინო ინაიშვილს. მის მიერ შესწავლილი და გაანალიზებულია პეტრა-ციხისძირის ადრეშუასაუკუნეების კერამიკა. მკვლევარმა საგანგებოდ შეისწავლა ციხისძირის განძი, რის შედეგად ზუსტად

დადგინდა განძის შემადგენლობა და აღწერილობა. ნ. ინაიშვილმა შეისწავლა ციხისძირის გვიანანტიკური ხანის აბანოები, რომლებიც გამოვლენილ იქნა ციხისძირის ნაქალაქარის ტერიტორიაზე ადრეშუასაუკუნეების სამაროვანთან ერთად. მკვლევარმა ციხისძირის ახ.წ. I-VI საუკუნის ძეგლებს რამდენიმე პუბლიკაცია მიუძღვნა. მნიშვნელოვანია მისი გამოკვლევები პეტრა-ციხისძირის საეპისკოპოსო კათედრასთან დაკავშირებით (ინაიშვილი ნ., 1981:122-136), (ინაიშვილი ნ., 1987: 118-146), (ინაიშვილი ნ., 1988: 76-85), (ინაიშვილი ნ., 1991: 62-87), (ინაიშვილი ნ., 1993), (ინაიშვილი ნ., 2009: 275-283).

პეტრა-ციხისძირის ისტორიის, მისი არქეოლოგიური ძეგლების შესწავლაში დიდი დამსახურება აქვს ვ. ლექვინაძეს. მკვლევარი წლების განმავლობაში მონაწილეობდა ციხისძირის არქეოლოგიური ექსპედიციების მუშაობაში. იგი თავის ნაშრომებში შეეხო ციხისძირის აკროპოლისისა და შიდაციხის საეკლესიო ნაგებობების კვლევას. მკვლევარმა პირველმა შეისწავლა პეტრას სამნავიანი ბაზილიკა და დაათარიღა იგი (Леквинадзе, 1973: 177). ამასთან, ცალკე ნაშრომი მიუძღვნა ციხისძირის დამღიან აგურს. მკვლევარს ეკუთვნის საყურადღებო შეხედულებები ციხისძირის ნავსადგურის, საეპისკოპოსო ცენტრის და ლოკალიზაციის საკითხებზე. ციხისძირში ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად გამოვლენილი მონაპოვრების შესახებ. რამდენიმე ნაშრომი გამოაქვეყნა ირაკლი იაშვილმა. აღსანიშნავია მისი პუბლიკაცია ციხისძირის აკროპოლისში გამოვლენილი ტყვიის ბულასა (გარსაკრავს) და ციხისძირის ნუმიზმატიკურ მასალების შესახებ (იაშვილი, 1985: 117-119). ციხისძირის არქეოლოგიური შესწავლის კონტექსტში საინტერესოა ასევე ლ. ჩხაიძის მიერ ჩატარებული გამოკვლევა ციხისძირის მინის ნაწარმის შესახებ. აქ ძირითადად განხილულია ციხისძირში XX საუკუნის 60-იან წლებში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილი მინის ნაწარმი, შესწავლილია მინის ნაწარმის საწარმოო კერები, გავრცელების არეალები, ტიპოლოგია და ა.შ. (ჩხაიძე, 1978: 59-66).

ძეგლის არქეოლოგიურ შესწავლაში მნიშვნელოვანი წვლილი აქვს გიორგი თავამაიშვილს. ჯერ კიდევ 1983-1987 წლებში, მკვლევარი მონაწილეობდა ციხისძირში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობაში. მის მიერ შესაწავლილია ციხისძირის სამაროვანზე გამოვლენილი საკულტო დანიშნულების

ნაგებობა და ბობოყვათის ქვიშნარ დიუნებზე აღმოჩენილი უძველესი სამოსახლოები. ბოლო წლებში გ. თავამაიშვილი უძღვება პეტრა-ციხისძირის აკროპოლისზე მიმდინარე ინტენსიურ არქოლოგიურ სამუშაოებს. საველე კვლევა-ძიების შედეგების საფუძველზე მკვლევარი აზუსტებს ძეგლის ქრონოლოგიას. გვთავაზობს ძეგლისთვის აქამდე უცნობი შენობა-ნაგებობების ფუნქციური დანიშნულების მისეულ ხედვას (თავამაიშვილი, 1988: 42-46), (თავამაიშვილი, 1991: 27-41), (თავამაიშვილი, 2012), (თავამაიშვილი, 2020), (თავამაიშვილი, 2021), (თავამაიშვილი, 2022).

ციხისძირის ბოლოდროინდელი არქეოლოგიური აღმოჩენები, ასევე დაკავშირებულია დავით მინდორაშვილის სახელთან. მკვლევარმა დააზუსტა ძეგლის რამდენიმე უბნის სტრატიგრაფია, გამოავლინა და შეისწავლა ნაგებობათა ახალი ნაშთები და მონაპოვრები. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ე.წ. დერეფნის ტერიტორია, სადაც განხოციელებულმა სამუშაოებმა შესაძლებელი გახადა პეტრა-ციხისძირის იგივეობის გარშემო დამაჯერებელი დასკვნების გაკეთება (მინდორაშვილი, 2016), (მინდორაშვილი, 2020), (მინდორაშვილი, 2021).

აქ უმჯობესი იქნება მოკლედ მიმოვიხილოთ პეტრას არქეოლოგიური შეწავლის ისტორია. როგორც ითქვა, ციხისძირში პირველი დაზვერვითი სამუშაოები ჩატარებული იქნა ს. ჯანაშიასა და ნ. ხოშტარიას მიერ, რა დროსაც მოხდა ციხისძირის აკროპოლისის და იქ არსებული შენობა-ნაგებობების აღწერა, დახასიათება და დათარიღება. თუმცა, ციხისძირის ფართომასშტაბიანი არქეოლოგიური შესწავლა დაიწყო 1962 წელს, რომლსაც, ბუნებრიავია წინ უძღოდა აკროპოლისის, მისი მიმდებარე გორაკ-ბორცვებისა და ვრცელი დაბლობის ფართო მასშტაბის დაზვერვითი სამუშაოები (ინაიშვილი ა., 1974: 118).

1962-1965 წლებში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილი იქნა საფორთიფიკაციო ნაგებობები, აგრეთვე ციხის კედლებს შიგნით გათხრილი იქნა ეკლესია, ბაზილიკა და აბანო. ციხის კედლების მშენებლობაში ორი სამშენებლო პერიოდი გამოიყო: ადრეშუასაუკუნეებისა და ოსმალური პერიოდის (ინაიშვილი ა., 1974: 9). შიდა ციხის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში გაითხარა კარიბჭე, რომლის წყობა ადრეულია. იგი გადახურული იყო აგურით ამოყვანილი თაღით, დასავლეთისა და აღმოსავლეთის მხრიდან კარიბჭე აღჭურვილი იყო კონტფორსებით.

აღმოსავლეთ კარიბჭეში, კედლის წყობაში, გაწმენდილი იქნა ღარიანი კრამიტით შესრულებული ბოლოებგაფართოებული ჯვრის გამოსახულება, რომელიც თურქ მეციხოვნეებს კირით ჰქონდათ ამოლესილი (Мелитаури, 1971: 14-16).

ციხის ძირითადი კედლის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში აღმოჩნდა კარიბჭე, რომელსაც დასავლეთის მხრიდან დამცავი სწორკუთხა, ორმაგი კედლის მქონე კოშკი გააჩნდა. ორმაგი კედლის ადრეულობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მსგავსი, მაგრამ უფრო რთული თავდაცვის კედლები აგებული იყო კონსტანტინეპოლში, იმპერატორ თეოდოს III მიერ (Леквинадзе, 1973: 174-179). ამასთან, მკვლევართა ყურადღებას იქცევდა შიდაციხის ცენტრში შემორჩენილი ნაგებობის ნაშთები. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ იგი წარმოადგენდა მცირე ზომის დარბაზული ტიპის ეკლესიას. ეკლესიას გააჩნდა ნახევარწრიული აფსიდი კონქით გადახურული. ეკლესია ნაგებია დაუმუშავებული ქვით კირხსნარზე. იგი მოხატული იყო ფრესკებით, რომელთა ფრაგმენტები აღმოჩნდა ეკლესიის ჩრდილო-დასავლეთ კუთხის გაწმენდის დროს. ეკლესია XIV-XV ს.ს. ეკუთვნის და აგებულია იქ არსებული სამნავიანი ბაზილიკის დანგრევის შემდეგ (ინაიშვილი ა., 1974: 130-137).

ციხისძირის ციხეზე 1962-65 წ.წ. ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად მეტ-ნაკლებად დადგინდა ძეგლის სტრატიგრაფია. ყველაზე გვიანდელი ფენა XVIII-XIX სს. განეკუთვნება და დაკავშირებულია აქ ოსმალური გარნიზონის დგომასთან. ამდროინდელია ასევე ჩრდილოეთ ბორცვზე შემორჩენილი სასიმაგრო კედლების უმეტესი ნაწილი და დარბაზული ეკლესია, გადაკეთებული სამეურნეო დანიშნულების ნაგებობის სახით. მეორე ფენა განვითარებულ შუასაუკუნეებს განეკუთვნება (X-XIV ს.ს.) და დანარჩენ ფენებთან შედარებით, სუსტად არის წარმოდგენილი. ამ პერიოდისაა დარბაზული ეკლესიაც და მის ჩრდილოეთით გამოვლენილი სამეურნეო სათავსოს კედლების ნაშთები. აგრეთვე დუღაბში ჩასმული ქვევრების ფრაგმენტები. საყურადღებო მონაპოვარს წარმოადგენს ტყვიის შეკიდული ბეჭედი წმ. გიორგის გამოსახულებით. იკონოგრაფიული და პალეოგრაფიული ნიშნებით ბეჭედი X-XI საუკუნით თარიღდება (იაშვილი, 1985: 117-119).

1964 წელს ციხისძირში მიკვლეულ იქნა ძველი კოლხური ნამოსახლარი[2], ხოლო 1966 ციხის ჩრდილოეთით, ზღვისპირა დაბლობში, იმჟამად სანერგე მეურნეობის ტერიტორიაზე, მიკვლეულ იქნა და ნაწილობრივ გაითხარა სამნავიანი ბაზილიკის ნაშთები. ბაზილიკის გათხრების დროს აღმოჩნდა ქვის კაპიტელის, ქვის კენჭებით აწყობილი იატაკის მოზაიკის, მარმარილოს დეტალების ფრაგმენტები, ჯვრის გამოსახულებიანი ქვა. ასევე, აღმოჩნდა მინის ქუსლიანი სასმისებისა და ჭრაქების ნატეხები, ამფორების, წითელკანიანი თეფშების და სამშენებლო კერამიკის ფრაგმენტები. ამ აღმოჩენის საფუძველზე გაკეთდა დასკვნა, რომ პეტრას გარე ქალაქი მდებარეობდა ციხის ჩრდილოეთით, ზღვის სანაპირო ზოლში (ინაიშვილი ა., 1974: 61-64). ნაეკლესიარის სრულად გათხრა მხოლოდ 2001 წელს მოხერხდა. რა დროსაც დადგინდა ეკლესიის ახალი გეგმა, იქვე არსებული მინაშენებისა და სხვა თანადროული მასალების ხასიათი და ა.შ. (ინაიშვილი ნ., 2009: 280).

მეორე მნიშვნელოვანი ეტაპი ციხისძირის შესწავლის ისტორიაში იწყება 1983 წლიდან, როცა აქ მუშაობა განაახლა ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ბათუმის კვლევითი ინსტიტუტის, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შემსწავლელმა ექსპედიციამ. ექსპედიციის მიერ შესწავლილი იქნა პეტრა-ციხისძირის გარექალაქის ტერიტორია, რომელიც ციხის ბორცვის ჩრდილოეთით მდებარეობს. საკვლევი ტერიტორია 1983 წლიდან მოექცა მშენებლობის ზონაში. სწორედ ამას დაუკავშირდა ტერიტორიის არქეოლოგიური შესწავლაც (ინაიშვილი ნ., 1993: 42).

ციხისძირის ჩრდილოეთით, ე.წ. გარექალაქის ტერიტორიაზე, 1983 წელს გაითხარა გვიანანტიკური ხანის აბანოები. აბანოების საძირკველი და კედლები ნაგებია დაუმუშავებელი ბაზალტის ქვით დუღაბზე. დადასტურებულია აგრეთვე წყობაში აგურის ჰორიზონტალური რიგები, რაც მეტად დამახასიათებელია რომაული სამყაროსათვის. გათხრებისას დიდი რაოდენობით აღმოჩნდა გვერდებაკეცილი კრამიტის ფრაგმენტები, რაც მის გადახურვაზე მეტყველებს. არქეოლოგიურ მონაპოვრებს შორის იყო

[2] ციხის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ბორცვის დასავლეთი ფერდობის ძირში, გზის მშენებლობის დროს გამოჩნდა კულტურული ფენები, საკონტროლო თხრილების მეშვეობით დადგინდა ოთხი სახვადასხვა პერიოდის კულტურული ფენის არსებობა, ყველაზე ადრეული, მეოთხე ფენა შეიცავდა, წინაანტიკური ხანის მასალებს, მესამე ფენაში კოლხურ კერამიკასთან ერთად აღმოჩნდა ძვ.წ. VI ს. მეორე ნახევრისა და V ს-ის იმპორტული კერამიკის ნიმუშები. მეორე ფენა შეიცავდა ელინისტური ხანის კერამიკას, ზედა პირველი ფენის ასაკი კი, ზოგადად, გვიანანტიკური ადრეული შუასაუკუნეებით განისაზღვრა (ინაიშვილი ა, 1974: 149-152).

კონსტანტინე დიდის 5 ცალი სპილენძის მონეტა, ხალიანი მინის ნაშთები, ამფორები, რომელთა ასაკი IV-VI საუკუნეებით განისაზღვრა. აღნიშნული აბანოები შესაძლოა დაკავშირებული იყოს რომაული გარნიზონის სამშენებლო საქმიანობასთან, მით უფრო, რომ ამ პუნქტიდან ცნობილია შემთხვევით ნაპოვნი რომაული დამღიანი აგური (ინაიშვილი ნ., 1988: 76-89)

1983-88 წლებში წარმოებული არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად დადგინდა, რომ ძეგლების ასაკი მიეკუთვნება წინაანტიკური ხანიდან ადრეული შუასაუკუნეების პერიოდებს. ამ პერიოდის მანძილზე შესწავლილი იქნა 5000 მ$^2$ ფართობი ტერიტორია. მონაპოვართა შორისაა 61 სხვადასხვა სახეობის ჭურჭლეულის ფრაგმენტი, რაც ხაზს უსვამს იმას, რომ ტერიტორიაზე დასახლება საკმაოდ მჭიდრო იყო.[3]

ციხისძირში აქტიური საველე არქეოლოგიური სამუშაოები განახლდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს ეგიდით, რომელმაც 2014 წელს შეიმუშავა პეტრას ციხის, როგორც არქიტექტურული კომპლექსის რეკონსტრუქციის გეგმა. ის თავის მხრივ ითვალისწინებდა ძეგლზე გეგმაზომიერი არქეოლოგიური სამუშაოების ჩატარებას.

2016-2017 წლებში აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს მიერ განხორციელდა პეტრას ციხის სარესტავრაციო-საკონსერვაციო სამუშაოები,[4] რომელსაც წინ უსწრებდა სათანადო არქეოლოგიური კვლევა ძიება.[5] სამუშაოების შედეგად გაითხარა პეტრას აკროპოლისის სამხრეთი კოშკი, სადაც მოპოვებული იქნა ლაზეთის სამეფოში დიდი ომიანობის პერიპეტიებთან დაკავშირებული დიდძალი არქეოლოგიური მასალა (მინდორაშვილი, 2020: 204-234).

2020 წელს არქეოლოგიური სამუშაოები წარიმართა „ცისტერნისა“ და მიმდებარე უბანზე.[6] ასევე, ციხის ციტადელის აღმოსავლეთ კედლში არსებული კარიბჭიდან დასავლეთით, ბაზილიკის მინაშენის ჩრდილოეთი კედლის გაყოლებამდე. ექსპედიციამ ასევე იმუშავა ციხის სამნავიანი ბაზილიკის ტერიტორიაზე, რომელიც თავდაპირველად

---

[3] ამავე ხანებში არქეოლოგიური გათხრები ჩატარდა ციხისძირის ჩრდილოეთით „ბობოყვათის" ქვიშაზვინულებზე. შესწავლილი იქნა რკინის ხანის დიუნირი დასახლებები, რომლებიც მოიცავდა სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობებსა და მოედნებს. როგორც ჩანს, აღნიშნულ დიუნურ სადგომებზე ადგილი ჰქონდა კულტმსახურებასთან დაკავშირებულ რიტუალებს (თავამაიშვილი, 2012).

[4] ხელმძღვანელი ნინო ინაიშვილი

[5] ხელმძღვანელი დავით მინდორაშვილი

[6] ხელმძღვანელი გიორგი თავამაიშვილი

XX საუკუნის 60-იან წლებში იქნა შესწავლილი (მხოლოდ საკურთხეველი და მომიჯნავე ტერიტორია). ამჯერად გათხრილი იქნა ბაზილიკის სამხრეთი ნავის მონაკვეთი, სადაც დაფიქსირდა უფრო ადრეული ნაგებობის კედლის ნაშთები. ასევე გაითხარა ბაზილიკის დასავლეთის მხარე, ბაზილიკის ნართექსის ჩრდილოეთი კედლის ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით არსებული მონაკვეთები (თავამაიშვილი, 2020: 2-3).

ამგვარად, ციხისძირის ტერიტორიაზე აღმოჩენილი სხვადასხვა კულტურული ფენისა თუ პერიოდის არქიტექტურული ნაგებობები, კერამიკული ნაწარმი, მინის ნაკეთობანი, სამარხები, ნუმიზმატიკური ძეგლები, ხაზს უსვამს ციხისძირის დიდ სტრატეგიულ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ მნიშვნელობას, არა მარტო ადრეშუასაუკუნეებში, არამედ მთელი მისი არსებობის მანძილზე.

ახ.წ. IV-VII საუკუნეებში ბიზანტიისა და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შორის ურთიერთობათა კვლევისათვის მნიშვნელოვანია თანადროული არქეოლოგიური მასალის შესწავლა შავი ზღის სანაპირო ზოლის ანტიკური ხანის ისეთი ძეგლებიდან, როგორიცაა გონიო-აფსაროსი და ფიჭვნარი.

გონიო-აფსაროსის ტერიტორიაზე ინტენსიური საველე-არქეოლოგიური გათხრები 1995 წლიდან მიმდინარეობს. ამ დროიდან ძეგლს იკვლევს მუდმივმოქმედი ექსპედიცია. 1999-2002 წლებში აქ, ასევე მუშაობდა ქართულ-გერმანული ექსპედიცია, 2015-2019 წლებში ქართულ-იტალიური. პარალელუარდ, 2012 წლიდან კი ქართულ-პოლონური ერთობლივი ექსპედიცია (ტაბ. II-4).[7] ძეგლი წარმოადგენს I-III საუკუნეების რომაულ კასტელიუმს, რომელიც აღმოსავლეთ რომის იმპერიის, პონტოსპირეთის საზღვრის დაცვითი სისტემის მნიშვნელოვანი, საკვანძო ნაწილი იყო. აფსაროსი IV-V საუკუნეებში ცნობილია, როგორც უმოქმედო ციხესიმაგრე, დანგრეული და მოშლილი ინფრასტრუქტურით, რომელსაც დაკარგული აქვს მისი თავდაპირველი ფუნქცია. VI საუკუნის 30-იანი წლებიდან დაიწყო მისი ინტენსიური განახლება. აფსაროსში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად ადრებიზანტიური ეპოქის შემცველი კულტურული ფენები შესწავლილი იქნა ციხესიმაგრის სამხრეთი კარიბჭის მიმდებარე ტერიტორიაზე, ასევე, №10, 20, 21 კოშკებში, უკანასკნელ დროს კი ციხის ცენტრალურ

[7] ხელმძღვანელი შოთა მამულაძე.

ნაწილთან (NW - I და NO – I სექტორები) და ჩრდილო-დასავლეთ კედელთან გათხრილ უბანზე (NW-XII სექტორი).

გონიო-აფსაროსის ტერიტორიაზე აღმოჩენილ ადრებიზანტიური ხანის მასალებს მკვლევარები ძირითადად VI საუკუნის 30-იანი წლების შემდგომი პერიოდით ათარიღებენ. გონიო-აფსაროსის ციხის ცენტრალურ, სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ ნაწილებში, ასევე სამხრეთით, გალავნის გარეთ, სხვადასხვა დროს ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად გამოვლენილია ადრებიზანტიური ხანის, როგორც იმპორტული, ასევე ადგილობრივი წარმოების ინვენტარი. კერძოდ, IV-VII საუკუნეების ნაწარმად მიჩნეული კერამიკა, ამფორები, ქვაბ-ქოთნები და ქოთნები, წითელლაკიანი სამზარეულო დანიშნულების ჭურჭლები, თიხის ჭრაქები, მინის ნაწარმი და.შ. (მამულაძე, კახიძე, ხალვაში, 2012: 237-253).

ადრეშუასაუკუნეებში გონიო-აფსაროსის გამოცოცხლების კვალდაკვალ ლოგიკურია, რომ ციხის ტერიტორიაზე აღმოჩნდა ამავე ეპოქის მონეტები (მოჭრილი იმპერატორ იუსტინეს სახელით), ისინი შესწავლილი და გამოქვეყნებულია ი. ვარშალომიძის მიერ გონიო-აფსაროსში მოძიებული სხვადასხვა პერიოდის მონეტებთან ერთად. ავტორი გვაწვდის თითოეული საფასეს აღწერას, მოჭრის ადგილსა და თარიღს. მიმოიხილავს აფსაროსის სამონეტო მიმოქცევში ჩართულობის საკითხებს VI საუკუნისათვის (ვარშალომიძე, 2009ა: 64-68).

გონიო-აფსაროსში ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად გამოვლენილია VI საუკუნის წყალგაყვანილობის სისტემის ფრაგმენტებიც. ამ მხრივ საყურადღებო ინფორმაციაა დაცული ძეგლზე ჩატარებული სამუშაოების ანგარიშებში. დიდი რაოდენობითაა მოპოვებული ადრეშუასაუკუნეების ამფორები, იგი შესწავლილი და გაანალიზებული აქვს მ. ხალვაშს. მასვე ეკუთვნის ამ პერიოდის ამფორათა ტიპოლოგია. შ. მამულაძის, მ. ხალვაშისა და ე. კახიძის მიერ შეჯამებულია ადრებიზანტიურ ხანაში აფსაროსის გამოცოცხლების ძირითადი ტენდენციები (ხალვაში მ, 2002), (მამულაძე, ხალვაში, კახიძე ე., 2009: 405-418), (მამულაძე, კახიძე ე., ხალვაში, 2012: 237-253).

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთში ადრეშუასაუკუნეები დაკავშირებულია ფიჭვნარის კოლხურ და ბერძნულ ნეკროპოლთანაც (ტაბ. II-5).

ფიჭვნარი ანტიკური ხანის გამორჩეული ძეგლია, მისი კომპლექსი შედგება 3 მძლავრი სამაროვანისა და ნაქალაქარისაგან. ბერძნული, კოლხური (ძვ.წ V, IV სს) და ელინისტური ხანის სამაროვნები გაშლილია ჩოლოქისა და ოჩხამურის ორმდინარეთში. ფიჭვნარში ადრეშუასაუკუნეების მასალები გასული საუკუნის 60-იან წლებში გამოჩნდა. მოგვიანებით, 1998 წელს, ბერძნულ ნეკროპოლზე აღმოჩნდა ადრეშუასაუკუნეების სამარხები. ფიჭვნარიდან ამ ეპოქის პირველი მასალების შესახებ სამეცნიერო კვლევა გამოქვეყნებულია ბათუმის არქეოლოგიის მუზეუმის შრომებში. კვლევაში განხილულია აღმოჩენილ სამარხთა რაობა, სამარხეული ინვენტარი, რკინის ნაკეთობანი და სამკაულები (კახიძე ა., ვიკერსი, მამულაძე, 2000: 70-89), (კახიძე ა., ვიკერსი, 2004) 2005-2007 წლებში ფიჭვნარში ჩატარებული საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად კვლავ გამოვლინდა (მათ შორის კოლხურ სამაროვანზე) სხვადასხვა სახის სამარხეული მასალები. ისინი თავმოყრილია და გამოქვეყნებულია საქართველო-ბრიტანეთის ფიჭვნარის არქეოლოგიური ექსპედიციების შედეგებში (კახიძე ა., ვიკერსი, 2014: 175-180).

2015 წელს გონიო-აფსაროსის სიახლოვეს, სოფელ ავგიაში შესწავლილ იქნა ადრეშუსაუკუნეების დიდი ზომის უგუმბათო ტაძრის ნაშთები, რომელიც თავისი მშენებლობის ტექნიკით, გეგმარებითა და იქ მოპოვებული არქეოლოგიური მასალებით ადრებიზანტიურ პერიოდს მიეკუთვნება. გათხრების შედეგად გამოვლინდა ტრანსეპტიანი დარბაზის მქონე ბაზილიკა. ძეგლის გათხრისას აღმოჩნდა საკმაო რაოდენობის არქეოლოგიური მასალა - სამეურნეო და სამშენებლო კერამიკა, ბრინჯაოსა და ლითონის ნაწარმი. ამ მონაპოვრებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ ადრეშუასაუკუნეებში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური, სამეურნეო და კულტურული ვითარების შესწავლის თვალსაზრისით (მამულაძე, ქამადაძე, ყიფიანი, 2021: 156-175) (ტაბ. II-6).

ჩვენი საკვლევი პერიოდის მინის ნაწარმი გონი-აფსაროსიდან, ფიჭვნარისა და ციხისძირის თანადროულ მასალებთან ერთად განხილულია ამირან კახიძისა და თამარ შალიკაძის ნაშრომში - „მინის ნაწარმი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთიდან"(კახიძე ა., შალიკაძე, 2009). რეგიონის კულტურულ და სოციალურ გარემოზე წარმოდგენას გვიქმნიან ადრებიზანტიური ხანის ეპიგრაფიკული ძეგლებიც.

ისინი აღწერილი და შესწავლილი აქვს ნ. ძნელაძეს. მკვლევარი გვაძლევს ფიქსირებული წარწერების, გრაფიტოების, ქრიზმის და ლიგატურის შესახებ ვრცელ განმარტებებსაც (ძნელაძე, 2009: 888-891). საკვლევი ეპოქის მძივების ტიპოლოგია და დათარიღება მოცემული აქვს მ. თურმანიძეს (თურმანიძე მ, 2013: 55-59).

ქვემოთ მოკლედ მიმოვიხილავთ კვლევისას ჩვენ მიერ გამოყენებულ საკვანძო სამეცნიერო ლიტერატურას, რომელიც დაგვეხმარა ნივთიერი მასალის ანალიზში. ასევე, ისტორიული გეოგრაფიის პრობლემათა ირგვლივ ჩვენთვის აქტუალური საკითხების გადაწყვეტაში.

ჩვენი კვლევისთვის ფრიად მნიშვნელოვანია ბიზანტია-ლაზეთის სასაზღვრო უბანი და ჭანთა საცხოვრისი არეალი VI-VII საუკუნეებში. ამ კონტექსტში საინტერესო და საყურადღებოა ისტორიული ჭანეთის აღმოსავლეთ ნაწილში (არქაბე, ათინა, რიზე, არაკლის) არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შესწავლის მიზნით ჩატარებული ექსპედიცია და მისი შედეგები (მამულაძე, კახიძე ე., 2014).

საკვლევი ეპოქისა და რეგიონის საისტორიო გეოგრაფიის საკვანძო საკითხებს შეეხო გურამ გრიგოლია. მეცნიერმა წყაროთმცოდნეობით მასალებზე დაყრდნობით, წამოაყენა პეტრა-ხოფასა და ციხისძირი-სებასტოპოლისის იგივეობის თეორია. ამასთან, განიხილა ჭანთა საცხოვრისის საზღვრებისა და ზოგიერთი პუნქტის ლოკალიზაციის საკითხი. კვლევისას, მეცნიერმა მოახდინა ცალკეული ძეგლების ნიშან-თვისებების შეპირისპირება წერილობით მასალებთან, მოგვცა რეგიონში გამავალი სავაჭრო და სამხედრო დანიშნულების გზებისა და პუნქტების ანალიზი (გრიგოლია, 1994).

თემის ფართო გაანალიზებისთვის მნიშვნელოვანია ნ. ლომოურის გამოკვლევები. განსაკუთრებით V საუკუნის ბიზანტიისა და დასავლეთ საქართველოს ურთიერთობებზე. მის მიერ შესწავლილია ეპოქის პოლიტიკური ვითარება, გაანალიზებულია ცალკეული წერილობითი ცნობები და განსაზღვრული აქვს ზოგიერთი ცენტრის ლოკალიზაციის საკითხზე (ლომოური, 1989), (ლომოური, 2011). ეპოქის ისტორიის უკეთ გასაშუქებლად საკვანძოა დ. მუსხელიშვილის ნაშრომები (მუსხელიშვილი, 2003), (მუსხელიშვილი, 2003).

რეგიონში შესწავლილი არქეოლოგიური მასალის ანალიზისა და გააზრებისთვის მნიშვნელოვანია ა. აფაქიძის (აფაქიძე, 1975, 1977), ტრაპშის (Трапш, 1971), ვორონოვის

(Воронов, 1973, 1975), ლორთქიფანიძის (ლორთქიფანიძე, 1991), ჯაფარიძის (ჯაფარიძე, 1989) გამოკვლევები. საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობებზე მსჯელობისას განსაკუთრებით საგულისხმოა მ. გუნბას (გუნბა, 1962) და გ. გოზალიშვილის გამოკვლევები (გოზალიშვილი, 1973). ლაზეთის სამეფოს სამხრეთი საზღვრებისა და თავდაცვის სისტემების საკითხის კვლევისათვის მნიშვნელოვანია დ. ლეთოდიანის (ლეთოდიანი, 1996: 80-95), (ლეთოდიანი, 1997: 59-68) ასევე ნ. მურღულიასა (მურღულია, 2013: 52-62) და მ. ჭუმბურიძის (ჭუმბურიძე, 2009) ნაშრომები. საკვლევი პერიოდის სამხედრო ისტორიის, საბრძოლო მოქმედებების, საჯარისო ნაწილების ლოჯისტიკისა და მარშრუტების საკვანძო საკითხებზე მსჯელობისათვის მნიშვნელოვანია ნ. ხოფერიას გამოკვლევები (ხოფერია, 2017: 9-36), (ხოფერია, 2019: 9-24), (ხოფერია, 2019). ლაზთა (ეგრისის) სამეფოს ეთნო-კულტურულ სურათზე, რეგიონში ქრისტიანობის გავრცელების, საეკლესიო პოლიტიკისა და ღვთისმსახურების საკითხებზე საინტერესოა ბ. დიასამიძის პუბლიკაციები (დიასამიძე, 2007: 113-119), (დიასამიძე, 2009: 213-222).

ამრიგად, ჩვენს მიერ შესწავლილია საკმაო რაოდენობის წყაროთმცოდნეობითი ბაზა და სამეცნიერო ლიტერატურა, რაც გვეხმარება ბოლო წლებში საკვლევ რეგიონში გამოვლენილი ადრებიზანტიური პერიოდის არქეოლოგიურ მასალის გააზრებასა და საკვანძო დასკვნების გამოტანაში.

# თავი II. ბიზანტია და სამხრეთ-დასავლეთ საქართველო ახ.წ. IV-VII საუკუნეებში

## §3. ლაზეთის სამეფოს გაძლიერება ახ.წ. IV-V საუკუნეებში

გვიანანტიკური და ადრეშუასაუკუნეების ეპოქა დიდი სოციალური, ეკონომიური და პოლიტიკური ცვლილებებითაა ნიშანდობლივი. მეცნიერთა გარკვეულ წრეებში ეს პერიოდი ასოცირდება საზოგადოების ცხოვრების სხვადასხვა სფეროს დაკნინებასთან. მართალია, კლასიკური ანტიკურობა თავის ელფერს კარგავს, მაგრამ სიახლეები, რითაც გამორჩეულია გარდამავალი პერიოდი არ იძლევა მისდამი ცალსახად მტკიცე უარყოფითი პოზიციის ჩამოყალიბების შესაძლებლობას. რამდენიმე ათეული წელია რაც ანტიკურობიდან შუა საუკუნეებზე გარდამავალ ხანას (გვიანანტიკური, ადრეშუასაუკუნეები) ნეიტრალური ტერმინით „ტრანსფორმაციის" პერიოდად განიხილავენ.

ის, რომ ადრეშუასაუკუნეები უპირატესად უარყოფითი კონტექსტით არ გინიხილება, უპირველესად ბიზანტიის იმპერიის ჩამოყალიბებითაა განპირობებული. მაგალითად ანტიკური ქალაქების დაკნინების პროცესი დასავლეთ რომის იმპერიაში ძალიან გაღრმავდა, რთული მდგომარეობის გამო, იქ ფეოდალური ქალაქების განვითარებაც კი შემდგომ საუკუნეებს დაუკავშირდა. აღმოსავლეთ რომის პროვინციებში, ბიზანტიის იმპერიის ჩამოყალიბების პროცესმა და განვითარების სპეციფიკამ, ხელი შეუწყო საქალაქო ცხოვრების შემდგომ აღმავლობას. ბიზანტიასთან მჭიდრო კავშირებმა განაპირობა ის, რომ მსგავსი სურათი გვაქვს დასავლეთ საქართველოსთან მიმართებაშიც (გამსახურდია, 1973 :118).

ლაზთა სამეფო გაძლიერებას იწყებს IV საუკუნიდან. საუკუნის პირველ ნახევარში ლაზეთის სანაპიროზე ჯერ კიდევ ჩანს რომაული სამხედრო გარნიზონები. სახელმწიფოს გაძლიერების პარალელურად ეს გარნიზონები ლაზეთის სამეფოდან ქრებიან, ლაზთა სამეფო კი ტერიტორიული თვალსაზრისით ფართოვდება (ლომოური, 1973: 159-160). ლაზეთის სამეფოს საზღვრები უკვე აღწევდა მდ. ჭოროხის შესართავს და ლაზები ემეზობლებოდნენ დამოუკიდებელ მთის ტომებს, ჭანებს, რომლებიც შემდგომში ბიზანტიის შემადგენლობაში ჩანს (გეორგიკა II, 1965: 102). საუკუნის მიწურულს ლაზთა

სამეფოს შემადგენლობაში შემოდის არგვეთი, რომელიც II-III საუკუნეებში იბერიის ერთ-ერთი საერისთავო იყო. ეგრისის სამეფო გაფართოვდა ჩრდილოეთითაც. ლაზები იმორჩილებენ მაღალ და მიუვალ მთებში მოსახლე სვანებს, ასევე მათ მეზობლებს აფშილებს აბაზგებსა და სანიგებს (ჯანაშია, 1952: 317-318). ზღვისპირა აჭარაც ამ პერიოდში ლაზეთის სამეფოს შემადგენლობაშია. აქ გადიოდა ზუსტი საზღვარი ლაზიკასა და რომის კუთვნილ ტერიტორიებს შორის, ჭოროხის სამხრეთით (ლომოური, 2009: 88). ტრასნფორმაციის პერიოდში „პევტინგერის ტაბულაზე" (საგზაო რუქა) აღნიშნული Afsaro და Poltos Altus, რომელიც აფსაროსის ჩრდილოეთითაა აღნიშნული, უნდა იყოს დაკავშირებული „პერიპლუსში" დასახელებულ მდ. ბათუსთან (Batus), მისი ზუსტი ლოკალიზაციის საკითხი ჯერ კიდევ ბუნდოვანია (გეორგიკა II, 1965-21-23).

IV საუკუნის ბოლო ლაზეთის სამეფოს განსაკუთრებული გაძლიერების ხანაა. ქვეყანა აღმავლობის გზაზე იდგა და მის ვრცელ ტერიტორიაზე მოსახლე ხალხების კონსოლიდირებას ცდილობდა. ლაზეთის გაძლიერება გამოწვეული იყო მთელი რიგი საშინაო და საგარეო მიზეზებით. ცნობილია, რომ IV საუკუნის მეორე ნახევრიდან რომის პოზიციები აღმოსავლეთში მნიშვნელოვნად შესუსტდა. აღმოსავლეთ რომის იმპერია რამდენჯერმე მარცხდება სასანურ ირანთან ბრძოლაში. ირანი ნელ-ნელა მკვიდრდება ამიერკავკასიაში. რომის იმპერია იძულებული გახდა დაეთმო პოზიციები სომხეთში. ასეთ ვითარებაში მას აღმოსავლეთში ძლიერი მოკავშირე ესაჭიროებოდა, ამიტომ, ის ცდილობს შეეგუოს და მეტიც, ხელი შეუწყოს ლაზეთის სამეფოს გაძლიერებას. ლაზეთი ბიზანტიის საგადასახადო სისტემაში იყო ჩართული. ეკონომიკა აღმავლობას განიცდიდა, განვითარებული იყო ზღვაოსნობა. ბიზანტიაში ექსპორტზე გადიოდა სელი, ხე-ტყე, სხვადასხვა ხელოსნური ნაწარმი. ლაზეთის გაძლიერებას ირიბად ხელი შეუწყო გუთების ლაშქრობებმა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში. IV საუკუნეში გუთები შეცვალეს ჰუნებმა, რომლებიც 70-იან წლებში ანადგურებენ ალანთა გაერთიანებას, აწარმოებენ თავდასხმებს ამიერკავკასიის ხალხებზეც. ასეთ ვითარებაში ბიზანტიისათვის კავკასიონის გადმოსასვლელების დაცვას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა იმპერიის აღმოსავლეთ რეგიონების უსაფრთხოებისათვის. სწორედ ამის გამოა, რომ ლაზები რომს არც ხარკს უხდიდნენ, არც სხვა რამეში ემორჩილებოდნენ (ლომოური, 1973: 162-163). ამ მდგომარეობის ლოგიკური შედეგი იყო ის, რომ V საუკუნისათვის

ლაზეთმა ბიზანტიისათვის გადასახადების გადახდა შეწყვიტა - ე.ი. გამოვიდა იმპერიის საგადასახადო სისტემიდან (გეორგიკა I, 1961: 82). ამასთან, კონსტანტინეპოლის მიერ მეფის დამტკიცებაც ფორმალობად იქცა. ბიზანტიური გარნიზონები ქვეყანას ტოვებენ, თუმცა ჰუნების, ოსებისა და ირანელების შემოსევებისაგან თავდასაცავად ინარჩუნებენ საერთო მოქმედებებს.

მიუხედავად ფაქტობრივი დამოუკიდებლობისა, ლაზიკა ბიზანტიისგან დამოუკიდებლობის ფორმალურ გამოცხადებაზე მაინც წავიდა. 456 წელს მეფე გუბაზ I-მა დამოუკიდებლობა გამოაცხადა და მის დასასჯელად ზღვიდან შემოჭრილი ბიზანტიური ძალებიც უკუაგდო. ამის მიუხედავად გუბაზს არ სურდა ბიზანტიასთან ფართომასშტაბიანი და გრძელვადიანი კონფრონტაცია და ცდილობდა ურთიერთობების დალაგებას. ცხადი იყო, რომ „თეთრი ჰუნების“ დამარცხების შემდგომ ლაზიკისთვის ბიზანტიაც და ირანიც თანაბრად მოიცლიდა. ამ ვითარების გათვალისწინებით, ლაზთა მეფე მოერიდა ბიზანტიასთან დაპირისპირებაში ღრმად შესვლას და ტახტიდან გადადგა საკუთარი შვილის სასარგებლოდ, გუბაზ I- მა პირადი ხელშეუხლებლობის გარანტია მიიღო და 465 წელს კონსტანტინეპოლს ეწვია - ბიზანტიასთან შეთანხმება შედგა, შედეგად კი ლაზეთმა სამოქალაქო ხელისუფლება ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, სანაპირო ზოლზე, ტრაპეზუნტიდან ბათუმამდე, ბიზანტიას სრულიად დაუთმო.[8] შემდგომი სამოცი წელი ბიზანტიასა და ლაზიკას შორის მშვიდობა აღარ დარღვეულა.

V საუკუნის 70-იან წლებისთვის აშკარაა, რომ ლაზეთის სამეფო დასუსტების გზას ადგას, რაც გამოიხატა სვანეთის დაკარგვაში. მენანდრეს ცნობით 457-479 წლებს შორის პერიოდში სვანეთს ლაზეთისაგან დამოუკიდებლობა მიუღია (გეორგიკა III, 1936: 224). ლაზეთის სამეფო კონტროლს კარგავს ასევე არგვეთზეც, რომელიც კვლავ იბერიის შემადგენლობაში შევიდა. უფრო მეტიც, 484 წელს ლაზეთში ირანელები შეიჭრნენ. არსებობს ვარაუდი, რომ ლაზეთის სამეფოს დასუსტება გამოწვეული იყო ვახტანგ გორგასლის დროს იბერიის გაძლიერებით. ჯუანშერი აღწერს ვახტანგ გორგასლის ძლევამოსილ ლაშქრობას კავკასიის მთიანეთში და დასავლეთ საქართველოში. ამ

[8] შევნიშნავთ, რომ სწორედ ამ ტერიტორიების გარეშე დარჩენილ ლაზთა სამეფოს მიიჩნევს ბიზანტიური წყაროები „ლაზთა ქვეყანად“, რაც საკვანძო საკითხია პეტრას ადგილმდებარეობის განსაზღვრის დროს.

უკანასკნელში მან შეძლო ყველა ციხის დაპყრობა, ლიხის ვიწროებიდან ციხე-გოჯამდე (ჯუანშერი, 2008: 238). მაგრამ როგორც წყაროებიდან ირკვევა VI საუკუნის დასაწყისისთვის ქართლს ეს უპირატესობანი დაუკარგავს, სვანეთი და არგვეთი უკვე ქართლს აღარ ემორჩილებიან.

ლაზეთისათვის ბნელი საუკუნე 500 წელს ლაზთა მეფის წათე I-ის მიერ ქრისტიანობაზე უარის თქმითა და ბიზანტიისაგან განდგომით დაიწყო (Malalas, *The Chronicle,* 17.9). ირანმა ოფიციალურად გამოაცხადა ლაზეთზე ტერიტორიული პრეტენზია. ცხადია, რომ ორი უდიდესი იმპერიის - ირანის და ბიზანტიის ინტერესები სწორედ აქ გადიკვეთა, რის გამოც გაიზარდა რეგიონის სტრატეგიული მნიშვნელობა. ამის საპასუხოდ, ლაზეთის ზღვისპირეთში კვლავ ჩნდებიან ბიზანტიური გარნიზონები და ქვეყანა ბიზანტიის სამხედრო გავლენის ქვეშ სრულად ექცევა. მოვლენების სწრაფ განვითრებას ხელი იბერიის აღორძინებამ შეუშალა, რომელიც ლაზეთის დაპყრობისათვის ირანისათვის არახელსაყრელ ვითარებას ქმნიდა. ირანმა გააგრძელა კავკასიური სამეფოების გაუქმების საქმე - 510 წელს კავად I-მა (448-531წ.წ.) საბოლოოდ გააუქმა მეფობა ალბანეთში, დღის წესრიგში ქართლის სამეფოს ხელისუფლების საკითხიც დაისვა. ირანის სტრატეგიული მიზანი კავკასიიდან ბიზანტიელთა განდევნა და აქ არსებულ სახელმწიფოთა ირანის ჩვეულებრივ პროვინციად ქცევა იყო. ქართლს აჯანყების მეტი აღარაფერი დარჩენოდა. დახმარების მიღების მიზნით ქართლის მეფე (ბაკურ IV) იუსტინიანესთან (518-527 წ.წ) საიდუმლო მოლაპარაკებებს შეუდგა. იმპერატორმა ქართლის მეფეს დახმარებაც კი აღუთქვა, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში ბიზანტიელთა დამხმარე რაზმები ძალიან მცირე აღმოჩნდა. მეფე იძულებული შეიქმნა ოჯახით ეგრისში გადასულიყო. 523 წელს ირანელებმა აღარ დაუშვეს ქართლში ახალი მეფის გამეფება და ფაქტიურად ქართლში მეფობა გააუქმეს.[9] არსებობს ვარაუდი, რომ ირანელთა გავლენა ქართლის მხოლოდ ნაწილზე ვრცელდებოდა, ზემო ქართლი - კლარჯეთ-ჯავახეთი ინარჩუნებდა დამოუკიდებლობას და მას მირდატის[10] საგვარეულო სახლი მართავდა, რომელსაც, თავის მხრივ, ბიზანტია მფარველობდა (ლეთოდიანი, 1996: 88). ქართლში ირანელთა აგრესიული პოლიტიკის გათვალისწინებით 523 წელს

[9] ფაქტობრივი სიტუაცია 532 წელს ბიზანტია სპარსეთის „უვადო ზავმა"დაადასტურა.
[10] ვახტანგ გორგასლის შვილი, რომელსაც მამის გარდაცვალების შემდგომ საუფლისწულოდ ერგო მესხეთის საერისთაოები.

ლაზთა მეფე წათე კონსტანტინეპოლში ჩავიდა, კვლავ მიიღო ქრისტიანობა და ბიზანტიის ქვეშევრდომი ფორმალურადაც გახდა (Malalas, *The Chronicle,* 17.9).

მას შემდეგ, რაც დაამყარეს თავიანთი ბატონობა ქართლში, ირანელებმა მთელი ყურადღება ლაზეთის დაპყრობაზე გადაიტანეს. სასანური ირანი ცდილობდა ბიზანტიის წინააღმდეგ საზღვაო და სახმელეთო ოპერაციების წარმოების მიზნით, მოეპოვებინა ახალი პლაცდარმი დასავლეთ საქართველოში. მათ კარგად ესმოდათ ზღვისპირა სამეფოს სტრატეგიული მნიშვნელობა. კერძოდ, ლაზეთის დაპყრობის შემთხვევაში ირანი ხელთ ჩაიგდებდა დასავლეთ კავკასიონის გადმოსასვლელებს, მოიპოვებდა ზღვაზე გასასვლელს, რითაც საზღვაო გზით შეუქმნიდა საფრთხეს კონსტანტინეპოლს. ლაზეთის დაპყრობით ბიზანტიის ტერიტორიის სიღრმეში შეჭრისათვის ირანს ახალი გზები ეხსნებოდა. ირანელთა განზრახვას ლაზეთის დაპყრობის შესახებ, ხელს ისიც უწყობდა, რომ ბიზანტიის პოლიტიკით უკმაყოფილო იყო ადგილობრივი მოსახლეობა და თვით ლაზეთის მეფეც.

528 წელს ირანის არმიამ მთელი იბერია გადაიარა და დაიკავა სასაზღვრო სიმაგრეები სკანდე და შორაპანი. ეს მანევრი ბიზანტიელთა საპასუხო, გადამჭრელ მოქმედებას მოითხოვდა. ბიზანტიელებმა მთლიანად ლაზიკა დაიკავეს და ყველგან სამხედრო გარნიზონები ჩააყენას.[11]

ამრიგად, ლაზეთის სამეფო გეოსტრატეგიული დაპირისპირების ეპიცენტრში აღმოჩნდა.

---

[11] ამის წინაპირობა ის იყო, რომ იუსტინიანემ გადაწყვიტა ლაზეთში დამატებითი სამხედრო ძალის შეყვანა და იმ სასაზღვრო ციხეების დაკავება, რომლებსაც ადრე ადგილობრივები იცავდნენ. ამ ციხეების მნიშვნელობის გამო, იქედან გამოიყვანეს ადგილობრივი მეციხოვნეები და მათ ნაცვლად ბიზანტიელი ჯარისკაცები ჩააყენეს, ხოლო ამ ჯარის მომარაგება ადგილობრივ მოსახლეობას დაევალა. ლაზები ამით შეურაცხყოფილნი დარჩნენ. მალე ბიზანტიელებს ლაზებმა სურსათ-სანოვაგის მიცემა შეუწყვიტეს, რის გამოც ბიზანტიის სამხედრო ნაწილებმა დატოვეს ციხეები. უპატრონოდ დარჩენილი სიმაგრეები ხელთ ირანელებმა იგდეს. ამის შემდეგ, ბიზანტიელებმა დაიწყეს ლაზეთის ზღვისპირა და ცენტრალური ნაწილის სასწრაფო გამაგრება.

## §4. ლაზეთის დიდი ომი, საბრძოლო მოქმედებები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე

ლაზეთი ნელ-ნელა ემსგავსებოდა დიდ საომარ ველს, სადაც ორ მეზობელ, ძლევამოსილ იმპერიას საკუთარი ძალები უნდა გამოეცადა. 527 წელს ბიზანტიის საიმპერატორო ტახტი დაიკავა იუსტინიანე I (527-565წ.წ.) ცოტა უფრო გვიან 531 წელს სპარსეთში გამეფდა ხოსრო I ანუშირვანი (531-579წ.წ.) მათი მეფობის პერიოდში ამ ორმა იმპერიამ განსაკუთრებულ ძლიერებას მიაღწიეს. იუსტინიანემ და ხოსრომ თავდაპირველად ერთმანეთში ე.წ „უვადო ზავი'' დადეს, თითქოს ის არასოდეს უნდა დარღვეულიყო. ამ ზავის თანახმად, ირანმა დაუთმო ბიზანტიას სკანდა და შორაპანი. სანაცვლოდ, ბიზანტიელთა უტყვი თანხმობით, ხოსრომ იბერიის დამოუკიდებლობა საბოლოოდ გააუქმა, ამით კი ლაზიკასათვის მომავალი ომისათვის კარგი პლაცდარმი მოამზადა. ცხადია, რომ ორივე მხარემ დაიწყო გამალებული მზადება ხანგრძლივი სამხედრო დაპირისპირებისათვის.

წარსული გამოცდილებიდან გამომდინარე, ბიზანტიამ ლაზეთში ინიციატივის ხელში სრულად აღება გადაწყვიტა. 532 წელს ბიზანტიელებმა გაზარდეს და გაამაგრეს სამხედრო გარნიზონები მთელ ქვეყანაში, მათ შორის, გარნიზონი ჩააყენეს ლაზეთის დედაქალაქ ციხეგოჯში და დაიწყეს ციხე-ქალაქ პეტრას გაფართოება. ამ დროისთვის ეს იყო ლაზეთის სამეფოს უკანასკნელი სიმაგრე ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთით (Prokopios, 2.15.10), (Prokopios, 2.17.3).

რამ განაპირობა ბიზანტიის მიერ პეტრას ახალი გამაგრების სისტემის მოწყობა? რა სტრატეგიული მიზანს ემსახურებოდა ქალაქის გაფართოება და სამხედრო-ეკონომიკურ ცენტრად გარდაქმნა? ჩვენი ვარაუდით ბიზანტია საწყის ეტაპზე ცდილობდა თავისი უშუალო მმართველობის შემოღებას აფსაროსი-პეტრას მონაკვეთზე ანუ ზიდრიტებით დასახლებულ სანაპირო ზოლზე. მეორე ეტაპის მიზანი კი იმპერიის სახელმწიფო საზღვრის უფრო ჩრდილოეთით გადმოტანა წარმოადგენდა, რაც გულისხმობდა პეტრას, როგორც საბაჟო-სასაზღვრო სიმაგრის მის საზღვრებში მოქცევას. ციხისძირის გეოგრაფიული მდებარეობა მეტად ხელსაყრელი იყო. ამ ცვლილებებით მას ლაზთა სამეფოს ეფექტური კონტროლის საშუალება მიეცემოდა, მეორეს მხრივ კავკასიონის გადმოსასვლელიდან შემოსულ მემთაბარეებს შეაჩერებდა,

ბიზანტიის სიღრმეებში შეჭრისთვის მომთაბარეებს პეტრას დაბრკოლების გადალახვა მოუწევდათ. სწორედ ამით შეიძლება აიხსნას პეტრა-ციხისძირის ძლიერი ფორთიფიკაციის შექმნა, აქ მთვარი საყრდენი სამხედრო ბაზის ჩაყენება და საბაჟოს აქ განთავსებაც. ლაზეთის გარკვეული ტერიტორიების უშუალოდ იმპერიის საზღვრებში მოქცევა ადრეც მომხდარა, როცა ტრაპეზუნტიდან აფსაროსის ჩათვლით ვრცელ რეგიონზე ლაზთა სამეფომ კონტროლი დაკარგა, ამჯერად კი ეს პროცესი ბოლომდე არ მივიდა ირანთან დაწყებული ფართომასშტაბიანი სამხედრო კონფრონტაციის გამო.

როგორც უკვე ვთქვით პეტრაში ბიზანტიელებმა მთავარი გარნიზონი ჩააყენეს, ხოლო მის სარდალს დაუქვემდებარეს ლაზეთში მყოფი ჯარები. ცხადია, რომ ლაზეთი, რომელიც მანამდე ბიზანტიას ფორმალურად ემორჩილებოდა, ამჯერად მის სამხედრო და ეკონომიკურ მმართველობას სრულად დაექვემდებარა (ლეთოდიანი, 2006: 140). ბიზანტიელები უგულებელყოფდნენ ადგილობრივთა ინტერესებს, რაც ლაზთა უკმაყოფილებას იწვევა. ბიზანტიაზე ფორმალურ მორჩილებას მიჩვეული ლაზებისათვის მიუღებელი აღმოჩნდა ლაზიკაში გუბერნატორის - პეტრე სტრატეგიოსის დანიშვნა, რომელიც ამავდროულად თაღლითიც იყო. მისი შემცვლელი იონე ციბეც უარესი აღმოჩნდა, მან მთელი ვაჭრობა ხელთ იგდო. ზოგადად, ბიზანტიის იმდროინდელი მოხელეები ცნობილნი იყვნენ სიხარბით, ანგარებით და თავნებობით, მაგრამ იოანე ციბემ, ჩანს, ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა. მისმა ქმედებებმა ლაზეთში გარე ვაჭრობა სრულიად დასცა. ლაზეთიდან გაჰყავდათ მონები, გაჰქონდათ ტყავეულობა, ბეწვეული და სხვა ნედლეული. შემოჰქონდათ: მარილი, პური, ღვინო და ძვირფასეულობა. იოანე ციბემ ფაქტობრივად დაამყარა გარე ვაჭრობაზე მონოპოლია. მონოპოლია იუსტინიანე I-ის დროს ფართოდ იყო გავრცელებული. იმპერიის ცალკეულ პროვიციაში გარკვეული მოხმარების საგნებით მონოპოლიური ვაჭრობის უფლება სავაჭრო კორპორაციებზე დიდი საიჯარო გადასახადების სანაცვლოდ გაიცემოდა. კორპორაციები მეტი მოგების მიზნით საქონელზე ფასებს რამდენჯერმე ზრდიდნენ. არსებობს ვარაუდი, რომ ლაზეთში შემოღებული მონოპოლია არა ციბეს პირადი ინიციატივა, არამედ ბიზანტიის ეკონომიკური პოლიტიკის გამოძახილი იყო. ჩანს, ბიზანტიის მთავრობას ლაზეთში ვაჭრობის საქმეები აქამდე უცნობი კორპორაციისთვის ჰქონდა გადაცემული. სავაჭრო მონოპოლია ეხებოდა ლაზეთის

მთელ ექსპორტსა და იმპორტს. ლაზეთში შემოტანილი საქონელი მაღალ ფასებში იყიდებოდა, ხოლო ადგილობრივი ნაწარმი კი ძალზედ იაფად გაჰქონდათ (ბერიძე თ, 2009: 120-121). ბიზანტიელითა ასეთი თავნებობა ლაზებმა, მათ შორის დიდებულებმა და მეფე გუბაზმა ვერ აიტანეს და ირანელებს მიმართეს დახმარებისათვის. ბიზანტიელებისაგან ფარულად გუბაზმა თავისი ელჩები ხოსროს გაუგზავნა ირანში. მათ შაჰს აუხსნეს ლაზთა სარგებლობა და თხოვეს ირანელთა ჯარები შემოეყვანა ლაზეთში (გეორგიკა II, 1965: 72-74).

ხოსრო ომისთვის სამზადისს ფარულად შეუდგა. 540 წელს ირანელებმა ევფრატი გადალახეს და ანტიოქიის მიმართულებით გაიჭრნენ, რითაც მნიშვნელოვან სტრატეგიულ წარმატებას მიაღწიეს (Greatrex, 2005: 490-491). მომდევნო, 541 წელს ირანის შაჰი ლაზიკაში შევიდა, იგი გუბაზ II-მ პირადად მიიღო. ლაზთა და სპარსთა შეერთებული ნაწილები პირველად ციხე-ქალაქ პეტრას მიადგა. ბუნებრივია მიზანი ლაზეთი-ბიზანტიის დამაკავშირებელი სამხედრო-სავაჭრო გზის ჩაკეტვა იყო. ხანმოკლე, მაგრამ სისხლისმღვრელი ბრძოლების შემდეგ მათ ქალაქი აიღეს. მას შემდეგ, რაც იოანე ციბე ჭრილობებისგან გარდაიცვალა ქალაქის დამცველები სასოწარკვეთილებამ მოიცვა. ირანელბმა ერთ-ერთი კოშკის ქვეშ გვირაბი გათხარეს, კოშკი ჩამოინგრა, რის შემდეგაც მათ ქალაქი ბიზანტიელთა სიცოცხლისა და ქონების ხელშეუხებლობის პირობით ჩაიბარეს (გეორგიკა II, 1965: 86-87). ამის შემდეგ ხოსრო ლაზეთში დიდხანს არ დარჩენილა, მას ამბავი მოუტანეს, რომ ბიზანტიელი სარდალი ველისარი ირანში შეჭრილიყო და შაჰმაც სასწრაფოდ თავის ქვეყანას მიაშურა. ასე დაიწყო ირანსა და ბიზანტიას შორის ოცწლიანი ომი (ლეთოდიანი, 2006 :140).

მცირე ხარკის სანაცვლოდ, 545 წელს ბიზანტიამ მოახერხა ხუთი წლის ვადით ირანთან დაიდო დროებითი, მოჩვენებითი ზავი, თითქოსდა ლაზეთში მშვიდობის დამყარების მიზნით, მაგრამ ამით ხოსრო დროს იგებდა და ძალების მობილიზებას ახდენდა (Gregory 2017: 147). სასანურ სახელმწიფოსთან საქმის დაჭერა ლაზიკასათვის საბედისწერო აღმოჩნდა. ირანელებმა ქვეყანაში ზოროასტრი ქურუმები მოიყვანეს, მოსახლეობა რელიგიურ და ეკონომიკურ წნეხში მოაქციეს. ხოსრომ გადაწყვეტილება მიიღო, რომ გუბაზი მოეკლა, მისი ხალხი, საკუთარი მიწა-წყლიდან აეყარა და მათ ქვეყანაში მისი ერთგული, ირანული ტომები ჩამოესახლებინა. ლაზების უნდობლობის

საფუძველი ხოსროს რაღა თქმა უნდა ჰქონდა. ლაზებს ირანელთა უღელი უკვე მობეზრებოდათ, ისინი ხომ მეტად დაზარალდნენ ეკონომიკურადაც. ლაზებს ამჟამინდელი მოკავშირეები მხოლოდ ბიზანტიელთა წინააღმდეგ სჭირდებოდათ, არსებული სურათი კი ბიზანტიელთა ბატონობაზე მძიმე იყო. ხალხის უკმაყოფილება აჯანყებაში რომ არ გადაზრდილიყო, ხოსრომ დასწრება ამჯობინა. მისი ცდა მოეკლა ლაზთა მეფე, - მარცხით დასრულდა. 548 წელს სპარსელთა მიერ შერჩეულმა შესაძლო მკვლელმა, ფარსმანმა, აუწყა გუბაზს მისი ფარულად დაგეგმილი მკვლელობის შესახებ. აღშფოთებულმა მეფემ ირანელებს ზურგი შეაქცია და ბიზანტიელებს სთხოვა დახმარება. რაღა თქმა უნდა, ამ ფაქტს ბიზანტიის იმპერატორი დიდი სიხარულით შეხვდა. მან ლაზეთში შვიდი ათასი ბიზანტიელი და ჭანების ათასი ჯარისკაცი გამოგზავნა. ლაზეთში შემოსული ჯარები პეტრასკენ დაიძრა, რითაც სპარსელებთან დროებით შეწყვეტილი ომი განახლდა (Procopius, 2014. *Wars*. 2. 29. 2-11).

პეტრას აღება გაჭირდა, ბიზანტიელთა სარდალი დაგისთე სრულ უუნარობას იჩენდა. ბიზანტიელებმა ლიხის გადმოსასვლელების დაცვის ნაცვლად, მთელი ძალები პეტრას უშედეგო ალყისკენ მიმართეს. ირანელთა სარდალმა გაარღვია თუ არა ლიხის ვიწროები, პირდაპირ პეტრასკენ გამოეშურა. გაიგო თუ არა დაგისთემ ამ ფაქტის შესახებ, მიატოვა ალყა და მთელი ძალებით ფაზისისაკენ გაიქცა, გზაში დაგისთეს ჭანები ჩამოსცილდნენ და შინ გაბრუნდნენ (გეორგიკა II, 1965: 109).

მერმეროომ პეტრას გარნიზონს რთულ პერიოდში მიუსწრო. თითქმის განადგურებულ ციხეს მხოლოდ 150 კაციღა იცავდა. მერმეროემ ციხეში დამატებით 300 მხედარი ჩააყენა და ბრძანა პეტრას კედლების გამაგრება, თვითონ კი ლაზეთის სოფლების სარბევად გაეშურა. კესარიელი აღნიშნავს, რომ ირანელებმა ვერ მიაგნეს ლაზთა კარგად შენიღბულ და გამაგრებულ სოფლებს. ამის გამო, ხოსრომ დამატებით 500 კაცი დატოვა ადგილზე მოსარბევად და პეტრას ციხეონის მოსამარაგებლად, თვთონ კი მთელი ძალებით სომხეთში გადავიდა. ირანელთა ეს მარბიელი ლაშქარი მალევე განადგურდა. 549 წელს ლაზები და ბიზანტიელები მოულოდნელად დაეცნენ მტრის ბანაკს და მუსრი გაავლეს (გეორგიკა II, 1965: 111).

550 წელს ხოსრომ ლაზეთში ხურიანეს ხელმძღვანელობით ახალი სამხედრო ძალები გამოგზავნა. ირანელებმა ბანაკი მდინარე ცხენისწყლის ნაპირას, მუხურისის

ხეობაში დასცეს, ხოლო მდინარის მეორე ნაპირას ლაზები და ბიზანტიელები გამაგრდნენ. ლაზებმა ბიზანტიელებისგან დამოუკიდებლად მტრის ბანაკზე იერიშის მიტანა გადაწყვიტეს, რა დროსაც, ბრძოლის ბედი არსებითად ხურიანეს სიკვდილმა გადაწყვიტა (გეორგიკა II, 1965: 154), (Khoperia, 2020: 19-23).

ბოლო გამარჯვების მიუხედავად, ლაზეთში არეულობა სუფევდა. დაგისთე მოუქნელი მანევრებისა და მოქმედებების გამო სარდალ ბესათი შეცვალეს. ლაზები კონსტანტინეპოლში ჩავიდნენ და ბიზანტიელთა სარდალი დაგისთე იმპერატორთან დააბეზღეს, რომ ის სინამდვილეში ირანელთაგან მოსყიდული იყო. დაგისთეს, ასევე ბრალი დასდეს პეტრას ალყის დროს დაშვებული სამხედრო შეცდომების გამოც. ლაზეთში ვითარებას ართულებდა ისიც, რომ აჯანყდნენ სვანები, რომელთა ბელადმა მფარველობა სასანიანებს სთხოვა. აჯანყდნენ ასევე აფშილები, ისინი აღშფოთებულნი იყვნენ, რომ ბიზანტიელებმა მათ ავტონომია გააუქმეს. ამ ყველაფერის ისიც დაემატა, რომ ირანელებმა, ნაბდეს მეთაურობით, ლაზთა დედაქალაქ არქეოპოლისს ალყა შემოარტყეს, თუმცა მისი აღება ვერ მოახერხეს. ირანელი სარდალი მუხურში გამაგრდა და ჩრდილო-აღმოსავლეთ ლაზიკა მის ხელში აღმოჩნდა. ირანელები ახლა უკვე აფხაზთა ქვეყანაში ცდილობდნენ ფეხის მოკიდებას, მაგრამ უშედეგოდ. მალე მოკავშირეებმა აფშილეთიდან და აბიზგიიდან გამოდევნეს ისინი.

ბესას კარგად ესმოდა, რომ პეტრას დაკავების გარეშე ლაზეთში ირანელთა წინააღმდეგ ბრძოლა გაუჭირდებოდა, რადგან დარღვეული ჰქონდა კავშირი პეტრას სამხრეთით მდებარე ბიზანტიურ ბაზებთან (ლომოური, 2009: 88). მოდით უფრო ვრცლად განვიხილოთ პეტრას ფინალური ალყა, ბიზანტიელთა მიერ მისი აღება და განადგურება.

როგორც უკვე ითქვა ირანელებმა პეტრა 541 წელს პირველივე ალყის დროს, მეორე შეტევისას აიღეს. საბრძოლო მოქმედებებს ციხესიმაგრის ან საკუთრივ მის აკროპოლისში არსებული ნაგებობების მნიშვნელოვანი ნგრევა არ მოყოლია. ციხის აღება უპირატესად ერთ-ერთი ზღუდის ჩამონგრევამ და ბიზანტიელთა სარდლის სიკვდილმა განაპირობა.[12]

---

[12] ირანელებმა ერთ-ერთი კოშკის ქვეშ, საძირკვლის დონეზე გვირაბი გათხარეს, იქ ხის მასალა შეიტანეს და ზღუდეს ცეცხლი შეუნთეს, რამაც მალევე კოშკის ჩამონგრევა გამოიწვია. როგორც ჩანს, ირანელები კარგად ფლობდნენ საალყო მეთოდებს. ამავე ბრძოლაში მათ გამოიყენეს ციხეში შეღწევის სხვადასხვა

პეტრაში ირანელთა გარნიზონის ყოფნა პირობითად ორ პერიოდად შეიძლება დავყოთ. პირველი - პეტრას აღებიდან ვიდრე ლაზების აჯანყებამდე, პეტრას მეორე ალყამდე (549 წ.) პერიოდი მეტ-ნაკლებიად მშვიდობიანია. ირანელებსა და ადგილობრივ მოსახლეობასთან დროის ამ მონაკვეთში დაპირისპირება არ ჩანს. პირიქით, პეტრას მეციხოვნეებს ადგილობრივებთან გარკვეული კონტაქტებიც კი უნდა ჰქონოდათ. ირანელთა გარნიზონი სიფრთხილეს ინარჩუნებდა. სავარაუდოა, რომ ბიზანტიელებს ჯარის გარკვეული ნაწილი აფსაროსში ჰყავდათ ბაზირებული. როგორც უკვე აღინიშნა, 549 წელს ლაზები ირანელებს აუჯანყდნენ და დახმარება კვლავ ბიზანტიელებს სთხოვეს (ლომოური ნ, 2011: 199). საინტერესოა, რომ ლაზთა თხოვნა შესაშურად მალე დაკმაყოფილდა. სწორედ აფსაროსში განთავსებულმა ძალებმა, მოსაზღვრე ჭანებთან ერთად განახორციელეს მყისიერი შეტევა პეტრას ციხესიმაგრეზე, რომელიც ბიზანტიელთა მარცხით დასრულდა (გეორგიკა II, 1965: 99-111). სარდალ დაგისთეს ამ უშედეგო შეტევით დაიწყო პეტრას ირანული გარნიზონის მეორე პერიოდი. ამ დროიდან გარნიზონი თავდაცვის მდგომარეობაშია გადასული. მართალია პეტრას ალყა აღარ გაგრძელებულა, მაგრამ ბიზანტიელთა და ლაზთა გაერთიანებული შემოტევა ადვილად სავარაუდო იყო.

ბიზანტიელთა შეტევის მოგერიებისა და ციხესიმაგრის შენარჩუნების მიუხედავად, პეტრას ირანულ გარნიზონს დიდი დანაკარგები ჰქონდა. პროკოპის ცნობით პეტრას გარნიზონში 150 კაციღა იყო დარჩენილი (გეორგიკა II, 1965: 99-111). ციხეში დამხმარე ძალის მოსვლით ეს დანაკლისი შეივსო და მეციხოვნეთა რიცხვი 3000 მეომრით გაიზარდა (გეორგიკა II, 1965: 99-112). ირანელთა სარდალმა გარნიზონს ციხის დაზიანებული უბნების აღდგენა დაავალა. როგორც ჩანს, მეციხოვნეები ბიზანტიელთა მორიგ შეტევამდე სწორედ ციხის გამაგრებით, ბიზანტიელთა მიერ მეორე ალყის დროს გათხრილი გვირაბების ამოვსებით და დაზიანებული კოშკების აღდგენით იყვნენ დაკავებულნი.

პეტრას აკროპოლისის მე-5 კოშკის არქეოლოგიური გათხრებისას მოპოვებულ დიდძალ მასალაში ჩვენი ყურადღება მიიქცია ერთმა გარემოებამ. 30 კვ.მ. ფართობის

---

საშუალება: ტარანით კარიბჭის შემტვრევა, ქონგურებზე ისრებით შეტევა და საბრძოლო კიბეები (ხოფერია 2019: 170-176).

მქონე კოშკის ტერიტორიაზე აღმოჩენილია მრავალფეროვანი სამშენებლო კერამიკის ფრაგმენტები. მხოლოდ ამ უბნის მასალებში გამოიყო გვერდებაკეცილი ბრტყელძირიანი კრამიტის არანაკლებ ექვსი ფორმა. ამავე კოშკის მიმდებარე უბანზე იდენტიფიცირდა კიდევ ორი განსხვავებული ფორმა. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ აკროპოლისის დაცვისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი უბნების, მათ შორის, კოშკების გადასახურად, სახელდახელოდ გამოიყენეს ციხის სხვადასხვა უბანში მოპოვებული გადასახური მასალა. მეციხოვნეებს ხელი არ მიუწვდებოდათ კოშკების გადასახურად საჭირო საკმარის კერამიკულ ნაწარმზე და სხვა რესურსებზე (გეორგიკა II, 1965: 99-111), ამიტომ მათ არ უზრუნიათ დაეცვათ ერთგვაროვანი კრამიტის წყობა და გადახურვის სხვა რაიმე პრინციპი. მათ გამოიყენეს ის მასალა, რისი მოპოვებაც შეძლეს ციხის ტერიტორიაზე ან მის უახლეს შემოგარენში.

550 წელს ლაზეთში, ხურიანეს სარდლობით შემოსული ირანელთა ძალებს უნდა აღედგინათ გარკვეული სამხედრო წონასწორობა და ეზრუნათ პეტრას დაცვასა და გამაგრებაზე, თუმცა ისინი მოულოდნელად დამარცხდნენ. წარუმატებელი იყო ასევე ხურიანეს სარდლობით ირანელთა მეორე შემოსვლაც. ის ლაზეთის ცენტრალური ნაწილის დაკავების ნაცვლად, ამჯერად აფშილეთსა და აბაზგეთში ცდილობდა პლაცდარმის შექმნას. ჩვენი აზრით, 550 წლის ირანელთა სამხედრო კამპანიის შეცდომა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ პრაქტიკულად ვერ მოხდა პეტრას გარნიზონის გაძლიერება და მისი მდგომარეობის გაუმჯობესება. ამ შეცდომამ განაპირობა ლაზეთის ომის მომავალი შედეგებიც. გარკვეულ ეტაპზე ირანელები მიხვდნენ შეცდომას და შეეცადნენ ვითარების შემობრუნებას. მათ ლაზეთში მესამედ გამოგზავნეს ახალი ძალები, ახლა უკვე პეტრას დასაცავად, მაგრამ ეს დაგვიანებული იყო.

ბიზანტიელებმა და ლაზებმა ნაბდეს ნაწილების განადგურების შემდეგ დრო აღარ დაკარგეს და მთელი ძალები პეტრასკენ გადაისროლეს. მათ პეტრასთან ორჯერ მეტ ჯარისკაცს მოუყარეს თავი. პეტრა მეტ-ნაკლებად მომზადებული დახვდა მოკავშირეებს. ირანელებმა შეძლეს და მოასწრეს ციხესიმაგრის იმ ნაწილის აღდგენა, რომელიც წინა ალყის დროს დაინგრა ან დაზიანდა. რა თქმა უნდა, მოკავშირეები ფიქრობდნენ, რომ ირანელები ეცდებოდნენ პეტრას გადარჩენას და ამიტომ ჩქარობდნენ, აძლიერებდნენ ციხეზე შეტევას.

ბიზანტიელებმა პეტრას ალყის დროს გამოიყენეს ტარანის მოდერნიზებული ვარიანტი - „კრიო", რომელიც მათ მხარეს მებრძოლმა ჰუნებმა ადგილზე დაამზადეს. მისი გამოყენებით ბიზანტიელები ციხესიმაგრის ზღუდის შენგრევას ცდილობდნენ (ხოფერია 2019: 186-187). შეტევის მიმართულება სავარაუდოდ ციხის აღმოსავლეთი მხარე იყო. ბოლო არქეოლოგიურმა გათხრებმა უფრო ნათელი გახადა, რომ ციხესიმაგრეში შესასვლელი ციხის აკროპოლისის ორ ბორცვს შორის არსებულ დაბალ ველზე მდებარეობდა (ინაიშვილი ა, 1971: 75-90), (მინდორაშვილი, 2021: 39-40). მართალია ეს უბანი კოშკებით ძლიერ გამაგრებული ჩანს, თუმცა სავარაუდოდ ეს მაინც შედარებით მოწყვლადი ადგილი იყო. მხოლოდ აქ იქნებოდა შესაძლებელი ტარანის გამართვა ან საბრძოლო კოშკის აღმართვა. ბიზანტიელებსა და ციხის ირანულ გარნიზონს შორის სასტიკი ბრძოლა სწორედ აქ გაიმართა.

კარიბჭისა და ზღუდის ტარანით შელეწვის მცდელობა ირანელებმა კოშკებიდან ცეცხლმოდებული ქოთნების სროლით მოიგერიეს (გეროგიკა II, 1965: 171). ბრძოლის ამ უბანზე, ანუ ციხესიმაგრის აკროპოლისის ორ ბორცვს შორის დამაკავშირებელ ზღუდეზე, მე-5 კოშკი მიდგმული აღმოჩნდა სასიმაგრო კედლის აღმოსავლეთ მხარეს (მინდორაშვილი, 2021: 43). რაც იმის მანიშნებელია, რომ მისი დანიშნულება კარიბჭისა და ზოგადად ციხის აღმოსავლეთი პერიმეტრის დაცვა-გაკონტროლება იყო. ბრძოლის ამ ეტაპზე კოშკი თავის დანიშნულებას ბრწყინვალედ ასრულებდა.

ორ მაღალ ბორცვზე განლაგებული ციხესიმაგრის მძლავრი ზღუდეების დანგრევა და ცეცხლის ალში გახვევა რთული ამოცანაა. მით უფრო, სათანადო ტექნიკური საშუალებებისა და მძლავრი საალყო მანქანების გარეშე, რომლის გასაშლელადაც პეტრას ირგვლივ არ არის შესაფერისი რელიეფი. ამიტომ, სარდალ ბესას წინამძღოლობით ბიზანტიელები პეტრაში შეღწევას საალყო კიბის გამოყენებით შეეცადნენ (გეროგიკა II, 1965: 172-173). ინტენსიური შეტევების მოგერიება ირანელებს უკვე უჭირდათ. ვითარება დაამძიმა კედლის ჩანგრევამ, რამაც გარნიზონი გამოუვალ ვითარებაში ჩააგდო, მათ დროის მოგების მიზნით მოლაპარაკებების სცადეს, თუმცა უშედეგოდ.

პროკოპი აღწერს, რომ ბიზანტიელებმა ცეცხლში გაახვიეს ციხის ქვედა ნაწილი (გეროგიკა II, 1965: 177). ციხესიმაგრეზე შეტევისას ამის შესაძლებლობა ბიზანტიელებს

მხოლოდ ერთ ადგილას ჰქონდათ - ესაა აკროპოლისის ორ ბორცვს შორის, შედარებით დაბალ უბეში მდებარე სასიმაგრო სისტემა (ე.წ „ დერეფნის“ ზონა). ცეცხლოვანი შეტევა (შესაძლებელია მეისრეების მიერაც) უნდა განხოციელებულიყო კარიბჭის გასწვრივ აღმართული მომაღლო ბორცვიდან. ამ უბანზე მოპოვებული მასალები სრულად აღადგენენ ამ დრამატულ სურათს. ხანძრის კვალი ატყვია აქ მოპოვებულ კრამიტებს, დაიწვა ჭურჭელიც, რომელიც სავარაუდოდ აქ ინახებოდა. როგორც ჩანს, კოშკის სახურავის აალების შემდეგ, ხანძარს კოშკის შუა ტიხრების ჩაწვა და ჩანგრევა მოჰყვა. ჩვენამდე მოღწეული ჯაჭვის პერანგიც კი ხანძრის შედეგად თითქმის ერთიან მასად არის ქცეული (მინდორაშვილი, 2021: 17). როგორც ჩანს, ბიზანტიელთა შეტევის დროს, ირანელი მეომრების ძირითადი ნაწილი ციხის ამ უბანზე იყო კონცენტრირებული. სწორედ აქაა აღმოჩენილი სასანური მონეტების განძიც. სავარაუდოა, რომ გარნიზონის მეთაური რამდენიმე მხედართან ერთად იყო გამაგრებული კოშკში და პირად აღჭურვილობასთან ერთად, თან ჰქონდა მის განკარგულებაში არსებული ფული. ამავე კოშკში პირველი სართულის მიწატკეპნილი იატაკის დონეზე დაფიქსირდა ჩაბრუნებული დერგის ნაწილითა და აგურით სახელდახელოდ მოწყობილი კერა. ჩანს, მეომრები გამოკვების მიზნითაც კი არ ტოვებდნენ ციხის ამ პერიმეტრს.

ბიზანტიელთა შეტევა ციხესიმაგრის აღმოსავლეთ ზღუდეზე საკმაოდ მძლავრი იყო. ნაგებობის მთელი ფართობი სავსე იყო კედლების ნანგრევებით. ხანძრისა და ნგრევის შედეგად კოშკი ჩაიქცა. დ. მინდორაშვილი აზუსტებს, რომ კოშკის სამხრეთი კედელი 0,40-0,45 სმ-ით მოწყდა ზღუდეს და გადაიხარა. ძლიერ დაზიანებულია ზღუდის აღმოსავლეთი კედელი, რომელიც საძირკვლიდან გადაიწია და შუაზე გაიხლიჩა. დაზიანებულია, ასევე კოშკის ჩრდილოეთი კედელიც. კედლების გადაწოლის შედეგად გრუნტსა და კედლებს შორის საკმაოდ განიერი თავისუფალი სივრცე გაჩნდა, რომელიც ნახანძრალი ნივთებით იყო შევსებული. აქ ნახანძრალი ფენის სიმძლავრე 1.90 მ-ია (მინდორაშვილი, 2021: 11). ეს კი იმას ადასტურებს, რომ კოშკი ხანძართან ერთად დაინგრა და არა მის შემდგომ. ბუნებრივია, რომ საბრძოლო მოქმედებები ციხესიმაგრის ამ უბანზე განვითარებული მოქმედებებით არ დასრულდებოდა.

ციხის კარიბჭისა და დაბლობი უბნის დაკავების შემდეგ, ბიზანტიელებმა ციხესიმაგრის აკროპოლისის ზედა, ჩრდილოეთ ბორცვზე არსებულ მთავარ პოზიციას შეუტიეს. აქაც დაფიქსირებულია VI საუკუნის ნახანძრალი ფენები და მასში მუზარადისა და ჯაჭვის პერანგის ფრაგმენტები (ინაიშვილი ა, 1974: 145). პეტრას უკანასკნელი დამცველები (500 ჯარისკაცამდე) აკროპოლისის ჩრდილოეთ ბორცვზე, შიდაციხეში გამაგრდნენ და ბიზანტიელთა ალყაში მოექცნენ. ირანელმა მეომრებმა მიიღეს დანებების შეთავაზება, თუმცა მათ შეთანხმება არ მოისურვეს, ბრძოლა გააგრძელეს და იქვე ჩაიხოცნენ (გეორგიკა II, 1965: 178). ბიზანტიელებმა პეტრას ზღუდე მიწასთან გაასწორეს, რათა ის მტრის ხელში მძლავრ იარაღად კვლავ აღარ ქცეულიყო (გეორგიკა II, 1965: 180).

სრულიად დამაჯერებელი ჩანს კესარიელის ცნობა, რომ ბიზანტიელებმა ციხე-სიმაგრის კედლები დაანგრიეს. არქეოლოგიური გათხრები და მათი ანალიზი ადასტურებს ციხესიმაგრის მიზანმიმართულ ნგრევას. ჯერ კიდევ 1962-65 წლებში განხორციელებული სამუშოებისას გამოიკვეთა, რომ ციხის სამხრეთი კოშკები და მათთან დამაკავშირებელი დერეფნის კედლები საძირკვლის დონეზეა ჩალეწილი, აქ მოპოვებული არტეფაქტების ქრონოლოგიური ჩარჩო კი IV-VI საუკუნეებია. ა. ინაიშვილი აღნიშნავდა, რომ პეტრას ციხის სამხრეთი უბნის (სამხრეთ ბორცვზე მდებარე ზღუდეებისა და მასთან დამაკავშირებელი დერეფნის) კედლები ერთდროულად და საგულდაგულოდ ჩანს დანგრეული (ინაიშვილი ა, 1974: 126). ამ უბნის არქეოლოგიურ გამოკვლევას ართულებს ის სამწუხარო გარემოება, რომ ადრეულ საბჭოთა წლებში აკროპოლისის სამხრეთი ბორცვის ნაგებობები ააფეთქეს, ხოლო ნაშალი ქვები გაიტანეს. უფრო მეტიც, აკროპოლისის სამხრეთ ბორცვზე ჩაჭრილია კულტურული ფენები და რესტორანია აგებული. კედლებისა და ნაგებობების ნგრევა პეტრას ძირითად აკროპოლისსაც შეეხო. როგორც ჩანს, პეტრას ციხესიმაგრემ, როგორც სამხედრო დანიშნულების მქონე პუნქტმა, ფუნქციონირება ლაზეთის დიდი ომის შემდგომ საბოლოოდ შეწყვიტა.[13] მოგვიანებით, X საუკუნიდან იწყება ციხის აკროპოლისის ჩრდილოეთ ბორცვზე არსებული კედლების აღდგენა. უნდა აღინიშნოს, რომ აკროპოლისში გაჩნდა ახალი ზღუდე, რომელიც ციხის შედარებით მცირე ნაწილის

[13] თუმცა არსებობას აგრძელებს პეტრას საეპისკოპოსო კათედრა.

იზოლირებას ახდენდა (თავამაიშვილი, 2021: 4). კიდევ უფრო მოგვიანებით, ძველი სამნავიანი ბაზილიკის ადგილას აღდგა შედარებით მცირე ზომის დარბაზული ეკლესია და სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობები. განახლება არ შეხებია ციხის სამხრეთ ნაწილს, რომელიც უკვე ისტორიის ნაწილად იყო ქცეული. პეტრას საფორთიფიკაციო სისტემების მოშლის შემდგომ, ციხე-სიმაგრემ სამხედრო მნიშვნელობა დაკარგა და იგი საომარ მოქმედებებში აღარ ფიგურირებს. ბიზანტიელებმა მისი დაკავებით მოსპეს ირანელთა საკვანძო პუნქტი, რამაც საბოლოოდ ხელი შეუწყო აღმოსავლეთ შავიზღისპირეთიდან მათ განდევნას.

დავუბრუნდეთ ომის მიმდინარეობას - პეტრა ჯერ კიდევ აღებული არ იყო, რომ ლაზეთისაკენ დიდი ჯარით მერმეროე მოეშურებოდა. გზაში მან შეიტყო პეტრას დაცემის შესახებ, გეზი შეიცვალა და დედაქალაქ არქეოპოლისისაკენ გაემართა, აქ ირანელებს ჰუნთა სამხედრო ძალაც შეუერთდა. არქეოპოლისის მცველ რაზმთა შემადგენლობაში ბიზანტიელთა მხოლოდ სამი ათასი კაცი შედიოდა, დანარჩენი კი ფაზისის შესართავთან იყო გამაგრებული. ასეთ სიტუაციაში ბიზანტიელი სარდალი დაუდევრად მოიქცა, მან ვერ მოახერხა იბერიიდან გადმოსასვლელების ჩაკეტვა და ქვეყნის დაცვა ირანელთა ხელახალი ძალების შემოჭრისაგან. ირანელებმა გაიგეს რა ბიზანტიელთა ჯარების ფაზისის შესართავთან ყოფნის შესახებ, არქეოპოლისს გვერდი აუარეს და მათ წინააღმდეგ გაემართნენ, ბიზანტიელები სასწრაფოდ ნავებით მდინარის მეორე ნაპირას გადავიდნენ. მერმეროეს ეს მანევრი უშედეგო აღმოჩნდა, ამიტომ მან კვლავ არქეოპოლისისათვის ალყის შემორტყმა გადაწყვიტა. სწორედ ამ დროს, ქალაქის კედლებს გარს მომდგარ ირანელებს მოულოდნელად, ციხიდან გამოვარდნილმა ბიზანტიელებმა თავზარი დასცეს. უკომპრომისო ბრძოლაში ირანელები სასტიკად დამარცხდნენ, მერმეროემ უკან დაიხია და მუხურისისკენ ე.ი. ქუთაისის ქვეყნისკენ გასწია, სადაც გამოსაზამთრებლად გამაგრდა.

552 წელს გაფორმებული საზავო ხელშეკრულებით ბიზანტიამ აღიარა ლაზეთში მერმეროეს მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე ირანელთა სუვერენიტეტი. მართალია, გუბაზი ბიზანტიელების მხარეს იბრძოდა, მაგრამ ლაზთა ნაწილი ირანელების მხარეს მაინც იჭერდა. ამის გამო, ირანელებმა თავიანთ კონტროლს დაუქვემდებარეს ლაზეთის სამეფოს მთელი აღმოსავლეთი მხარე. წლის ბოლოს ირანელებმა მოულოდნელი

შეტევით, ყურადღება მოდუნებულ ბიზანტიელებს ტელეფასის ციხე წაართვეს, რითაც ლაზეთის სამეფომ თავის ცენტრალურ ტერიტორიაზე კონტროლი ნაწილობრივ დაკარგა. გუბაზი აღაშფოთა ბიზანტიელი სარდლების უმოქმედობამ და იუსტინიანეს სარდალ ბესას და სხვა სამხედრო მაღალჩინოსნების დასჯა მოსთხოვა. იმპერატორმა ბესა ლაზეთიდან გაიწვია, მაგრამ, სხვა სარდლების მიმართ არავითარი ზომები არ მიუღია. ბიზანტიელ სარდლები შეშინდნენ, რომ გუბაზს იმპერატორისათვის კვლავ არ დაესვა მათი პასუხისგებლობის საკითხი, ამიტომ გადაწყვიტეს მოეკლით მეფე. 554 წელს ხობისწყალთან, თითქოსდა სათათბიროდ მისული გუბაზი მუხანათურად მოკლეს (Agathias, 1975: 71), (ლომოური, 2011: 201).

მეფის მკვლელობით აღშოფოთებულმა ლაზებმა უარი განაცხადეს ბიზანტიელებთან ერთად ბრძოლის გაგრძელებაზე, თუმცა ბიზანტიისგან განდგომის აზრმა საზოგადოების მხარდაჭერა ვერ მიიღო. ლაზები იმპერატორისაგან მეფის მკვლელების დასჯას ითხოვდნენ. საპასუხოდ, იუსტინიანემ ლაზეთში მოავლინა სენატორი ათანასი, რომლის ამოცანა წარმოქმნილი პრობლემის მოგვარება იყო (Agathias, 1975: 84). იმპერატორმა გუბაზის ძმა, წათე, ლაზთა მეფედ დაამტკიცა. ასევე გაიმართა გუბაზ მეფის მკვლელების საჩვენებელი სასამრთლო პროცესი - ორ სარდალს თავი საჯაროდ მოჰკვეთეს (ლომოური, 2011: 125-127).

555 წელს ირანელები ლაზეთის სიღრმეში იჭრებიან, თუმცა მარცხდებიან ჯერ არქეოპოლისთან, მეორედ ფაზისთან. განცდილი მარცხის შემდეგ, ირანელი სარდალი ნახორაგანი ქართლში გაიქცა და ხოსრომ იგი სასტიკად დასაჯა - ცოცხლად გაატყავებინა. ხოსრო-I დარწმუნდა, რომ ლაზეთში მისი პოლიტიკა ამ ეტაპზე დამარცხებული იყო. ამიტომ, ჯერ დროებითი ზავი დაუდო ბიზანტიელებს, ხოლო შემდეგ 562 წელს ქალაქ დარაში უფრო ხანგრძლივი ორმოცდაათწლიანი ზავი გააფორმა. ზავის თანახმად ხოსრო ლაზეთზე ბიზანტიის სუვერენიტეტს აღიარებდა (ფულადი კომპესაციის სანაცვლოდ). მოუხედავად ამისა, ირანელები ლაზეთზე ხელს სრულად მაინც არ იღებდნენ. საბოლოოდ, 575 წელს, ბიზანტიელები სვანეთში შეიჭრნენ და ირანელთა დასაყრდენი ადგილობრივი დიდებულები ტყვედ აიყვანეს. ამის შემდეგ ირანელებმა საბოლოოდ დატოვეს დასავლეთ საქართველო. უფრო მეტიც, იბერია და

სომხეთი აჯანყებებმა მოიცვა, რამაც ბიზანტიას ამ მოვლენების თავის სასარგებლოდ გამოყენებისკენ უბიძგა.

დარას ზავით ლაზიკას სამეფო გაუქმდა. ქვეყანა ბიზანტიის პროვინცია გახდა. 570 წელს როცა წათე II გარდაიცვალა, ლაზეთის ფაქტობრივი ხელისუფლება პატრიკიოსის ხელში გადავიდა. ისინი შემდგომ თანდათან მეფის უფლებებით აღიჭურვნენ.[14] მოგვიანებით, ელინიზირებული პატრიკიოსები 640 წლიდან ბერძნულ, ქრისტიანულ სახელებს ირქმევდნენ. მათი ძალაუფლება თანდათან მთელ ლაზეთზე გავრცელდა. მალე ამ ქვეყანას იბერიაში ეგრისის ნაცვლად აფხაზეთს უწოდებდნენ.[15]

571 წელს სომხეთში დაწყებული ანტიირანული აჯანყებით ისარგებლა ქართლმა და კვლავ დაიწყო სახელმწიფოებრიობის აღდგენა. თუმცა, ადგილობრივი დიდებულები წინააღმდეგი იყვნენ სრული ძალაუფლების ერთი მეფის ხელში კონცენტრირებაზე. ამიტომ შემოღებული იქნა ერისმთავრის წოდება, რომელიც არსებითად გულისხმობდა დიდგვაროვანთა შორის, თანასწორთა შორის, პირველის გამორჩევას, რომელიც შემდგომში წარმოადგენდა ქვეყნის ფორმალურ მმართველს. გუარამი გახდა ქართლის პირველი ერისმთავარი. ამასთან, საგულისხმოა ისიც, რომ ირანში 589-590 წლების აჯანყების ჩაქრობა ხოსრო II ბიზანტიელთა მხარდაჭერით მოახერხა. ამის გამო, მან სომხეთი და ქართლი ფორმალურად ბიზანტიას გადასცა. ლაზეთის მაგალითის გათვალისწინებით ბიზანტია წინააღმდეგი იქნებოდა ქართლში მეფობის შემოღების. ფაქტია, რომ ამ მოვლენების შემდგომ ქართლის ერისმთავარს, სტეფანოზ I იმპერატორმა პატრიკოსის ტიტული უბოძა.

602 წელს კონსტანტინეპოლში სამხედრო გადატრიალება მოხდა. იმპერატორი მავრიკი ტახტიდან ჩამოაგდო ცენტურიონმა ფოკამ. ხოსრომ გაიხსენა იმპერატორ მავრიკის დახმარება ირანში აჯანყების ჩაქრობის საქმეში და შეეცადა ბიზანტიის შიდა პრობლემები სასიკეთოდ გამოეყენებინა. მის მიერ ამ მოტივით დაწყებულ სამხედრო კამპანიას წარმატებები არ მოჰყოლია. VII საუკუნეში, ვიდრე ბიზანტია ირანელებს ებრძოდა, დასავლეთ საქართველო მეტ-ნაკლებად მშვიდად ცხოვრობდა, თუმცა

[14] VIII საუკუნიდან ბიზანტიელებიც კი მათ მეფეებად აღიარებდნენ.

[15] ჩვენი აზრით, 697 წელს ლაზეთის აჯანყებისა და ლაზეთის პატრიკოსის, სერგი ბარნუკის ძის მიერ ლაზეთში ბიზანტიელთა წინააღმდეგ არაბების შეყვანის შემდგომ, ბიზანტიელები ლაზეთის პატრიკოსებს ნიშნავენ დასავლეთ საქართველოში მათი მთავარი საყრდენი - აფშილების შემადგენლობიდან, რომლებმაც ეტაპობრივად თავიანთი ძალაუფლება განავრცეს ლაზთა სამეფოს მთელ ტერიტორიაზე.

იბერიისკენ დაძრული ბიზანტიური არმიები მოსახლეობას სერიოზულ ზიანს აყენებდნენ. VII საუკუნის 20-იანი წლებიდან ჰერაკლე კეისრის აღმოსავლური ლაშქრობების მთავარი დასაყრდენი ლაზიკა უნდა ყოფილიყო, სწორედ იგი წარმოადგენდა საომარი მოქმედებების ლოჯისტიკურ კვანძს. ლაზეთის გავლით ხდებოდა ირანის სიღრმეში ბიზანტიელთა შეჭრა, რაც ბუნებრივია ამტკიცებდა ამ მხარეში ბიზანტიის იმპერიის გავლენას. ამიერკავკასიაში ჰეგემონობისათვის ბრძოლა საბოლოოდ ბიზანტიელთა გამარჯვებით დასრულდა. დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველო ამჯერად ერთი იმპერიის შემადგენლობაში მოექცა, რამაც ხელი შეუწყო საერთო ქართული კულტურულ, სოციალურ და ეკონომიკურ შეკავშირებას. VII საუკუნის შუა ხანებში საქართველოში გამოჩდნენ არაბები, რამაც არსებითად შეცვალა რეგიონის გეოპოლიტიკური სურათი. ჩანს, რომ VII საუკუნის ბოლოს ლაზეთის სამეფო გამოდის ბიზანტიის გავლენიდან და იგი კავშირს ამყარებს არაბებთან (მუსხელიშვილი, 2003: 359-361).

ამრიგად, IV- VII საუკუნეებში დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური ისტორია მრავალფეროვანია. ამ პერიოდში იმპერიათა ინტერესის ქვეშ მოქცეული ქვეყანა განიცდის როგორც აღმავლობას, ასევე, მისი მნიშვნელობის დაკნინებასა და დაცემას. ჩვენი საკვლევი რეგიონი ძირითადად ბიზანტიელთა პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენის ქვეშაა. გარკვეული პერიოდის მანძილზე ლაზთა სამეფო აღწევს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ეტაპს, მაგრამ, იგი ბიზანტიის ფორმალური დაქვემდებარებიდან არასდროს გამოსულა. ლაზები ხშირად ცდილობდნენ სხვა სამხედრო ძალის გამოყენებას ბიზანტიელთა წინააღმდეგ, მაგრამ, როცა სახელმწოფოებრივი და მსოფლმხედველობითი არჩევანის დრო დგებოდა პრობიზანტიური განწყობები ყოველთვის იმარჯვებდა. პოლიტიკურ ვითარებასთან ერთად, იცვლებოდა ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრებაც, რომელიც ცალსახად ბიზანტიასთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული.

# თავი III. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთის ახ.წ. IV-VII საუკუნეების არქიტექტურული ძეგლები

## §5. საფორთიფიკაციო ნაგებობები

ურბანული თავდაცვითი ნაგებობების მშენებლობა გვიან რომაული და გვიანი ანტიკური პერიოდის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი იყო დასავლეთ და აღმოსავლეთ რომის იმპერიაში. მიუხედავად იმისა, რომ რიგ ქალაქებს უკვე ჰქონდათ თავდაცვის გარკვეული სისტემა. ურბანული ცენტრების უმეტესობა, როგორც ჩანს, გვიან ანტიკურობამდე სრულიად გაუმაგრებელი იყო. თუმცა, ახ.წ. III-VI საუკუნეებს შორის სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა, რომაული სამყაროს მრავალ ქალაქში სხვადასხვა ტიპისა და სტრუქტურის სასიმაგრო კედლების მშენებლობა მოხდა (Inagliata, Courault, Barker, 2020: 1).

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს გვიანანტიკური-ადრეშუასაუკუნეების ხანის ძირითადი საფორთიფიკაციო დანიშნულების ძეგლი პეტრა-ციხისძირია. ციხესიმაგრე წარმოადგენს არქიტექტურულ კომპლექსს, რომელიც შედგება ციხისძირის უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, შავი ზღვის სანაპიროსთან, ორ ბორცვზე აღმართული ციხესიმაგრისა (იგი ხშირად იხსენიება, როგორც, აკროპოლისი) და კონცხის ჩრდილოეთით, დაბლობი ტერიტორიის ვიწრო ზოლში არსებული საქალაქო ტიპის დასახლების ნაშთებისაგან (ტაბ. III).

ციხისძირის შემოგარენში ადამიანთა დასახლების ყველაზე ადრეულ ნიშნად შეიძლება მივიჩნიოთ, ციხისძირის დაბლობთან ახლოს, სანაპირო ზოლში შესწავლილი დიუნური დასახლებები, რომლებიც ადრერკინის ხანას მიეკუთვნება. პეტრას აკროპოლისის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ბორცვის დასავლეთი ფერდობის ძირში მიკვლეულია ე.წ. კოლხური ნამოსახლარი, სადაც ყველაზე ადრეული კულტურული ფენა ძვ.წ. VI საუკუნით, ხოლო გვიანდელი - გვიანანტიკური - ადრეშუასაუკუნეებითაა დათარიღებული (ინაიშვილი ა., 1974: 149-172). ასევე, ანტიკურ ხანას მიეკუთვნება ციხისძირის სამაროვანზე შესწავლილი სამარხეული კომპლექსების დიდი ნაწილიც.

არქეოლოგიური მასალებით დადასტურებულია, რომ გვიანრომაულ ხანაში ციხისძირის დაბლობზე უკვე ჩამოყალიბებულია საქალაქო ტიპის დასახლება. პეტრას ნაქალაქარი წარმოდგენილია, როგორც საერო (აბანოები, სასახლე), ისე საეკლესიო ნაგებობების სახით (ინაიშვილი ნ., 1993: 42-51), (ინაიშვილი ნ., 2009: 280-283). IV საუკუნიდან ციხისძირში განვითარებული ინფრასტრუქტურა, აქ მოპოვებული რომაული ხანის ძირფასი ნივთებისაგან შემდგარი განძი თუ სხვა არქეოლოგიური მონაპოვრები (მაგ. რომაული დამღანი აგური) უნდა უკავშირდებოდეს ამ ადგილებში რომაული გარნიზონის დგომას. ციხისძირი ნაწილი იყო აფსაროსისა და ფაზისის უსაფრთხოებისთვის შექმნილი გამაგრებათა სისტემისა, რომლის ამოცანა რომაელთათვის ასე სტრატეგიული მონაკვეთის კონტროლი უნდა ყოფილიყო (კახიძე ე., 2002, 60). ჩვენი ვარაუდით, V საუკუნიდან ციხისძირის დაბლობის სამხრეთით არსებულ ბორცვზე ეტაპობრივად ვითარდებოდა საეკლესიო ნაგებობათა კომპლექსი. უფრო მოგვიანებით კი ეწყობა თავდაცვითი ინფრასტრუქტურა. ამას უნდა მოწმობდეს აკროპოლისის ტერიტორიაზე გამოვლენილი VI საუკუნეზე ადრეული ნაგებობის ნაშთები, რომელთაც აქვთ სამოქალაქო ხასიათი. მათი ზუსტი ფუნქციური დანიშნულების კვლევა ამჟამად ერთ-ერთი საკვანძო საკითხია (თავამაიშვილი, 2020: 7-12). როგორც უკვე ითქვა, VI საუკუნის 20-30-იან წლებში, ლაზეთის დიდი ომის წინ, პეტრა გადაიქცა რეგიონის წამყვან სამხედრო-სავაჭრო ცენტრად, ბიზანტიის იმპერატორის რწმუნებულის მთავარ საყრდენ ბაზად (გეორგიკა II, 1965: 74,83). პეტრას ასეთი სწრაფი დაწინაურება გამოიწვევდა ბორცვზე არსებული ციხესიმაგრის ინფრასტრუქტურის მასშტაბურ გაფართოებას. როგორც ჩანს, ამ დროს სრულად განახლდა ციხის საფორტიფიკაციო სისტემა და ციხესიმაგრე შეივსო სხვადასხვა ფუნქციური დანიშნულების ახალი შენობა-ნაგებობებით (ტაბ. IV-1). ბოლო პერიოდში აკროპოლისის ჩრდილო-აღმოსავლეთი კარიბჭის დეტალური გამოკვლევისას გამოიკვეთა, რომ აქ საქმე გვაქვს VI საუკუნის ორი სამშენებლო პერიოდთან (ტაბ. V-3). მშენებლობის პირველი ფაზის კედელი, რომელზეც აგურითა და ფილებით მოწყობილი ჯვარია გამოსახული, უფრო ადრეულია, ვიდრე მასზე აკროპოლისის შიდა მხრიდან მიდგმული აგურისთაღიანი კედელი. ეს უკანასკნელი შედარებით მოგვიანო ხანებისა უნდა იყოს და იგი განსხვავდება პირველი ფაზის კედლისგან, როგორც მშენებლობის

ტექნიკით, ასევე იგი ცალსახად საფორთიფიკაციო დანიშნულებითაა მოწყობილი (Inagliata, Naskidashvili, Snyder, 2019: 184-185). ეს ნიუანსი ამყარებს ჩვენს მოსაზრებას, რომ სასიმაგრო კედლის მშენებლობის მეორე ფაზა დაკავშირებულია პეტრას სამხედრო დანიშნულების ზრდის პერიოდთან. აგურისთაღიანი კედლის მიმართება სამნავიან ბაზილიკასთან ამაზე უნდა მეტყველებდეს. სავარაუდოა, რომ ბაზილიკას ტერიტორიას ირგვლივ თავიდანვე ეკრა გალავანი (მშენებლობის პირველი ფაზის კედელი), რომელიც მოგვიანებით გაფართოვდა და უფრო გამაგრდა.

ციხე-ქალაქ პეტრას გამაგრების სისტემა მოწყობილია ადგილობრივ გორაკ-ბორცვოვანი ლანდშაფტში შერწყმულ, ურთიერთმომიჯნავე, შემაღლებულ ბორცვებზე. მათ ირგვლივ მრავლადაა შორიახლოთ წყაროებიდან მომდინარე ნაკადულები, რომლებიც მოედინება ვიწრო ხევებში. ისინი ადრე გზას იკვლევდნენ კოლხური ტყის ხშირ, გაუვალ საფარში. ბუნებრივია, არსებული ლანდშაფტი აღარ იმეორებს ციხესიმაგრის თანადროულ სურათს. სრულიად შეცვლილია მცენარეული საფარი, ბორცვების რელიეფის მოხაზულობა და სანაპირო ზოლის კონტურები. მაგრამ, მაინც შესაძლებელია იმის გააზრება, თუ რა სირთულესთან და ძალისხმევასთან იქნებოდა დაკავშირებული ამ საფორთიფიკაციო კომპლექსის სამხედრო გზით დაუფლება.

პეტრას გამაგრების სისტემაში ჩრდილოეთ ბორცვზე განლაგებული ნაწილი კომპლექსის ძირითადი საფორთიფიკაციო ნაგებობაა და მას აკროპოლისად მოვიხსენიებთ. აკროპოლისის გალავანი რელიეფურად მიუყვება ბორცვის მოხაზულობას. ამჟამად, სრულად შემორჩენილია ზღუდის მხოლოდ აღმოსავლეთი კედელი, ნაწილობრივაა დაცული ჩრდილოეთი და სამხრეთი ზღუდის აღმოსავლეთ მონაკვეთები. აკროპოლისის დასავლეთ ნაწილი, მასთან ერთად ჩრდილოეთი და სამხრეთი კედლების დასავლეთ მონაკვეთები ჩაქცეულია. აქა-იქ შემორჩენილია მათი მცირედი ფრაგმენტები. გალავნის ნაშთების დიდი ნაწილი ტერიტორიიდან გატანილია. აკროპოლისის ტერიტორიაზე, ბორცვის ჩრდილოეთ ნაწილში შედარებით შემაღლებულ ადგილზე, განლაგებული უნდა ყოფილიყო შიდაციხე, რომელიც წარმოადგენდა აკროპოლისის ყველაზე დაცულ, სამეთაურო, სტრატეგიულ წერტილს. სწორედ ამ ადგილიდანაა შესაძლებელი, როგორც ციხისძირის დაბლობის

კონტროლი, ასევე, საკუთრივ ციხის შიდა ტერიტორიისა და სამხრეთი ნაწილის (ე.წ. მცირე აკროპოლისი) მეთვალყურეობაც (ტაბ. IV-2).

სასიმაგრო კედლები ნაგებია ბაზალტის ფლეთილი ქვით დუღაბზე. მოზრდილი ქვათლილები ძირითად სამშენებლო მასალას წარმოადგენს. დუღაბი - ქვიტკირი წარმოადგენს ქვის წყობის შემაკავშირებელ საშუალებას. სამშენებლო ქვა მოტანილია ახლომდებარე ხეობებში მოწყობილი კარიერებიდან. ერთ-ერთი ასეთი სამარაგო კარიერი მდ. დეხვას ხეობაში, თანამედროვე სოფ. დაგვის ტერიტორიაზეა. ეს ხეობა, მდიდარი წყლისა და ხის რესურსებით, უნდა ყოფილიყო სამშენებლო კერამიკული მასალით პეტრას მომარაგების ძირითადი წყაროც. მშენებლობაში გამოყენებულია რიყის ქვაც, კედლების საფასადე წყობის შიგნით, სივრცის ამოსავსებად. აქა-იქ გამოყენებულია აგურიც, წყობის გასასწორებლად და თაღისებრი გადახურვების მოსაწყობად. თუმცა, ჩვენ საქმე  არ გვაქვს კლასიკური *Opus mixtum*-თან. სამშენებლო საქმეში პირდაპირი დანიშულების გარდა გამოყენებულია კრამიტებიც, მათი დიდი ნაწილი ადგილობრივი ნაწარმია.

კედლის სისქე გალავნის სხვადასხვა მონაკვეთზე განსხვავებულია და იგი მერყეობს 1,9-2,2 მ-ს შორის. ზოგიერთ ადგილად კედლის შიდა და გარე მხარეს ახასიათებს მოგვიანო პერიოდის შესქელებები. აღმოსავლეთით და სამხრეთით უფრო მძლავრია. როგორც ჩანს, გალავანს გარე პერიმეტრზე თავიდანვე გააჩნდა კოშკები, მათი ნაშთები შესწავლილია აღმოსავლეთი კარიბჭის მხარეს და მის ჩრდილოეთ ნაწილში. ამჟამად შემორჩენილი კონტრფორსი ოსმალური ხანისაა, რომელიც თანადროულ კედლებთან ერთადაა აგებული. თუმცა, კარიბჭესთან გათხრილი სავარაუდო კოშკის ნაშთების ადრეული წყობა VI საუკუნით თარიღდება (მინდორაშვილი 2016: 6), სავარაუდოა, რომ მოგვიანო პერიოდის კონფორსტები ადრეშუასაუკუნეების კოშკების ადგილზე იქნა მოწყობილი (ტაბ.  V–1).

აკროპოლისის სამხრეთი ნაწილი, რომელიც შედარებით მოწყვლადია მიმდებარე ტერიტორიის რელიეფიდან გამოდინარე, უფრო მძლავრი კოშკებითაა გამაგრებული. აკროპოლისის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში მოწყობილი №1 კოშკი ნახევარწრიული ფორმისაა და ორმაგი კედლები გააჩნია (გარე კედლის სისქე 1,41 მ., ხოლო შიდა კედლის - 1,35 მ-ია), კოშკის დაცული სიმაღლე კი 8,2 მ-ია (Мелитаури, 1972: 17).

აკროპოლისის დანარჩენი ორი კოშკი ოთხკუთხა ფორმისაა. №2 კოშკის სიმაღლე 8 მ, ხოლო № 3 -ის კი 7 მ-ია. მე-2 კოშკი უშუალოდ იცავდა აკროპოლისის სამხრეთ ნაწილს და აკონტროლებდა, როგორც დერეფანს, ასევე ციხის შემოსასვლელს. მე-3 კოშკი მიდგმულია აკროპოლისის გალავანის სამხრეთ-დასავლეთ მონაკვეთს და მისი დანიშნულება უშუალოდ აკროპოლისის გამაგრებაა ე.წ. დერეფნისა და მცირე აკროპოლისის დაცემის შემთხვევაში, ან ზღვის უბიდენ მომავალი საფრთხის დროს. გალავნის დასავლეთი მონაკვეთი ჩაქცეულია და მასზე კონკრეტული საუბარი ჭირს.

აკროპოლისის შიდა ფორთიფიკაცია ე.წ. შიდაციხე მოწყობილი იყო აკროპოლისის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე შემაღლებულ ბორცვზე. მას მეტად ხელსაყრელი პოზიცია გააჩნდა. იგი განთავსებული იყო სტრატეგიულ სიმაღლზე, რომელიც უშუალოდ ემიჯნება აღმოსავლეთ კარიბჭესა და ე.წ. დერეფნიდან ამომავალ გზას, სადაც სავარაუდოდ უნდა ყოფილიყო აკროპოლისში შემომავალი კიდევ ერთი კარი. შიდაციხედ მიჩნეული ნაწილის ფართობი ამჟამად 22x10 მ-ია, თუმცა აქ ადრეშუასაუკუნეების ხანის ნაგეობათა კვალი ჯერ შესწავლილი არ არის. ბოლო დროს ჩატარებული სამუშაოების შედეგად დადგინდა, რომ მას აღმოსავლეთით საზღვრავს გვიანდელი გალავანის კედელი და სწორკუთხა კოშკი. ამ გვიანდელ კედელზე მიშენებულია საკმაოდ მოზრდილი ზომის აბანო (12,5x8,4 მმ). ნაგებობა ძლიერ დაზიანებულია და მისი კედლის ნაშთები ფერდობზეა ჩამოწოლილი. იგი, სავარაუდოდ, საარტილერიო შეტევისას იქნა აფეთქებული. აბანო, ისევე, როგორც მომიჯნავე გვიანდელი ზღუდეები, აქ ოსმალური გარნიზონის დგომისას აიგო (მინდორაშვილი, 2016: 13-14), სავარაუდოდ ამ ცვლილებებს უნდა გამოეწვია აქ ადრეშუასაუკუნეების დროინდელი ნაგებობების მოშლა და კულტურული ფენების დაზიანება (ტაბ. V-2).

მას შემდეგ, რაც აკროპოლისის ტერიტორია სრულიად სამხედრო მიზნებს დაექვემდებარა, მის შემადგენლობაში მოექცა იქ არსებული საეკლესიო ნაგებობები (სამნავიანი ბაზილიკა და მისი დამხმარე შენობები). ვვარაუდობთ, რომ გალავნის მოწყობამდე იქ უკვე იდგა სამნავიანი ბაზილიკა და მასთან დაკავშირებული მომცრო შენობები. ლაზეთის დიდი ომის წინ, ციხესიმაგრის გალავნისა და სხვა თავდაცვითი ინფრასტრუქტურის მოწყობამ ერთგვარად შეავიწროვა როგორც ბაზილიკა, ასევე საჭირო გახდა იქ არსებული სხვადასხვა ნაგებობის გადაკეთება და მათი დანიშნულების

შეცვლა. დროის საკმაოდ მოკლე მონაკვეთში აკროპოლისის ტერიტორიაზე გაჩნდა ციხესიმაგრის ფუნქციონირებისათვის საჭირო სამეურნეო-დანიშნულების შენობა-ნაგებოები, სამეთაურო პუნქტი, საწყობები, აბანო და ა.შ. მათი მიმართება იქ უკვე მდგარი სამნავიანი ბაზილიკის განლაგებასთან გვაფიქრებინებს, რომ ტერიტორიის განაშენიანება არ მომხდარა ბაზილიკასთან ერთად, სივრცის ერთიანი დაგეგმვის, გააზრების პრინციპით. ტერიტორია ციხის წინაშე დამდგარი ამოცანების კვალდაკვალ ვითარდებოდა და იცვლიდა სახეს.

მიჩნეულია, რომ აკროპოლისი სამხრეთ ბორცვზე განლაგებული ციხესიმაგრის ნაწილთან (ე.წ მცირე აკროპოლისთან) დაკავშირებული იყო რვა მეტრის სიგანის „დერეფნით“. იგი ამჟამად წარმოადგენს ზღუდის ორმაგ კედელს, რომელიც ნაგებია საშუალო ზომის ნატეხი ქვებით კირდუღაბზე. „დერეფნის“ დასავლეთ კედელი ციხის ჩრდილოეთ ბორცვზე მდებარე ციტადელის სამხრეთ-დასავლეთი კუთხიდან დაბლობში ეშვება, შემდეგ მაღლდება სამხრეთი ბორცვის თხემამდე და უერთდებოდა იქ მოწყობილ სასიმაგრო ნაგებობას (Мелитаури, 1972: 18) (ინაიშვილი ა., 1974: 127). „დერეფნის“ დასავლეთი ზღუდის კედელს ორივე მხრიდან მიდგმული აქვს კვადრატული კოშკები. მე-4 კოშკი მიმართულია ზღვის მხარისკენ, ხოლო მე-5 კოშკი აღმოსავლეთისაკენ. კოშკები მიდგმულია თანადროული გალავნის კედელს, თუმცა ქვის წყობით არ არის გადაბმული. განცალკევებით დგას „დერეფნის“ აღმოსავლეთ კედელი. იგი უფრო მოგვიანო პერიოდის ნაშენი შეიძლება იყოს, ვიდრე, ზღუდის დასავლეთ კედელი, რომელზედაც მე-5 კოშკია მიდგმული. ჩვენი აზრით, ციხესიმაგრის მშენებლობისას ამ კედლის არსებობა თავიდანვე არ იყო დაგეგმილი. ამ კედლის კავშირი აკროპოლისთან, სამხრეთ ბორცვზე განლაგებულ თავდაცვით ნაგებობის სხვა ნაწილთან ჯერ ჯერობით გამოკვეთილი არ არის. განსხვავებულია ამ კედლის იერიც, მას დასავლეთ მხარეს კამაროვანი „თახჩები“ გააჩნია, რომელთა დანიშულებაც, ასევე ბუნდოვანია (ტაბ. VI-2). არსებობს აზრი, რომ ე.წ დერეფნის აღმოსავლეთი, თაღებიანი კედელი თავიდანვე წარმოადგენდა ციხესიმაგრის ერთიანი თავდაცვითი ინფრასტრუქტურის ნაწილს, ხოლო დასავლეთი კედელი კი მას შემდეგ აშენდა, რაც ძირთადი (აღმოსავლეთი) კედელი დაზიანდა ან იგი აღარ იყოს საკმარისი ციხის ამ უბნის გამაგრებისათვის. ამ აზრს ამყარებს თაღებიანი კედლის მშენებლობისას

გამოყენებული სამშენებლო მასალის მსგავსება აკროპოლისის სხვადასხვა უბანზე შესწავლილ მასალასთან, ასევე მათი ქიმიური და პეტროგრაფიული ანალიზის შედეგები (Inagliata, Naskidashvili, Snyder, 2019: 186-187).

„დერეფანი“ ციხესიმაგრის ყველაზე დაბლობ რელიეფზე გადის, რის გამოც იგი ყოველმხრივ დაცული და გამაგრებული უნდა ყოფილიყო. აქ ზღუდის კედლის სისქე 1,4 მეტრს აღწევს, ხოლო მაქსიმალური შემორჩენილი სიმაღლე 12 მეტრია. მძლავრია ბოლო დროს შესწავლილი მე-5კოშკის კედლებიც. იგი 1,1-1,4 მეტრს შორის მერყეობს. უფრო მძლავია კოშკის აღმოსავლეთი და ჩრდილოეთი კედლები. მე-5 კოშკი ძირითადი ზღუდის თანადროულია, იგი დერეფნის დასავლეთ კედელთან, შესაბამისად ციხესიმაგრის შიდა სივრცესთან „დერეფნის“ დასავლეთ კედელში გაჭრილი 1 მ. სიმაღლის კარითაა დაკავშირებული (მინდორაშვილი, 2021: 9-10).

ე.წ. დერეფნის დასავლეთ ზღუდეზე მიდგმული მე-4 კოშკის მიმართება ზღვისკენ გვაფიქრებინებს, რომ აქედან ციხესიმაგრე დაკავშირებული იყო, იქვე, ბორცვის ძირში მოწყობილ მცირე ნავმისადგომთნ. ბუნებრივია, დღეისთვის აქ სანაპიროს ზოლი შეცვლილია, თუმცა, ზღვაში გარკვეულ ადგილებში დაფიქსირებული კლდოვანი ფრაგმენტები აქ სანაპიროს განსხვავებულ მოხაზულობაზე უნდა მეტყველებდეს. ეს კი ალბათ თავის დროზე ქმნიდა შესაძლებლობას აქ მოწყობილიყო მცირე ზომის ნავმისადგომი. უნდა შევნიშნოთ, რომ ციხესიმაგრის დასავლეთ ფერდობის ძირში, რკინიგზასა და ზღვის სანაპიროს შორის მოქცეულ ტერიტორიაზე, 2016 წელს გაიწმინდა VI საუკუნით დათარიღებული ნაგებობის ნაშთები. კერძოდ, ბაზალტის ფლეთილი ქვით, რიყის ქვითა და აგურით ნაგები მძლავრი კედლის ფრაგმენტები. ასევე, კლდოვან მასაში დაფიქსირდა 15-20 სმ. სისქის ნალესობა, რომელიც შესაძლოა იატაკის ფრაგმენტი იყოს. კედლის ერთ-ერთ ფრაგმენტს აგურებით ამოყვანილი თაღი გააჩნია. მასთან ერთადაა შესწავლილი ადრეშუასაუკუნეების კრამიტებისა და ამფორების ფრაგმენტებიც (მინდორაშვილი 2016: 15-16). მართალია, ნაგებობის ფუნქციური დანიშნულების დადგენა ამ ეტაპზე რთულია, მაგრამ იგი შეიძლება აქ მცირე ნავმისადგომის არსებობაზე მიგვანიშნებდეს (ტაბ. VI-3).

პეტრას ნავსადგურის თაობაზე არაერთი მოსაზრება გამოითქვა. შემოთავაზებული იქნა სხვადასხვა ვარაუდი პეტრას ნავსადგურის ბათუმის ყურეში, ჩაქვის უბეში ან

მდინარეების დაგვისწყლისა (დეხვა) და კინტრიშის შესართავთან შესაძლო მდებარეობასთან დაკავშირებით. მკვლევართა მიერ ნავსადგურის ძიებისას უფრო მეტი აქცენტი კეთდებოდა იმაზე, რომ პეტრას ნავსადგურს უნდა ჰქონოდა ღრმა ნავმისადგომი და მას ქარებისაგან უნდა დაეცვა ხომალდები (ყაუხჩიშვილი, 1965: 34; ლომოური, 1948: 32; სიხარულიძე, 1959: 99; ინაიშვილი ა., 1971: 87), ჩვენი აზრით, ნავსადგურის საკითხს არ უნდა ჰქონოდა საკვანძო მნიშვნელობა, როგორც პეტრას სტრატეგიული დანიშნულების განსაზღვრაში, ასევე ლაზეთის დიდი ომის მსვლელობაში. აღსანიშნავია ისიც, რომ ანტიკური და ადრებიზანტიურ ხანების ნაოსნობაში გამოყენებულ სანაოსნო საშუალებებს არ ესაჭიროებოდათ ღრმა ნავმისადგომები, ხოლო ქარიან ამინდში, გემების დაცვის მიზნით მათი დიდი ნაწილის ნაპირზე ამოყვანა ხდებოდა. ამაზე საუბრობს ფლავიუს არიანე, როცა გვამცნობს, რომ პონტოსპირა ათენში ქარიანი ამინდის დროს, ვიდრე ზღვა მთელი ძალით აბობოქრდებოდა მათ ნაპირზე გამოათრიეს ხომალდთაგან იმდენი რამდენის დატევაც ნაპირს შეეძლო. ნაპირზე ამოთრეულ ხომალდებს შორის არიანე სამხედრო გემებსაც ახსენებს (ფლავიუს არიანე, 1961: 33-34). ა. ინაიშვილი პეტრას ნავსადგურის საკითხისადმი საგანგებოდ მიძღვნილ პუბლიკაციაში აღნიშნავს, რომ იმდროინდელი სანაოსნო საშუალებები წარმოადგენდნენ შედარებით მცირე ზომის გემებს, რომლებიც ნაპირ-ნაპირ დაცურავდნენ და მათ არ ესაჭიროებოდათ ღრმა ნავსადგურები (ინაიშვილი ა, 1971: 83). პეტრაში ირანული გარნიზონის შესვლის შემდგომ პეტრას მცირე ნავმისადგომი საბოლოოდ დაკარგავდა დანიშნულებას. ირანელებმა ლაზეთში ვერ მოახერხეს ფლოტის შექმნა, რაც გააადვილებდა საზღვაო აკვატორიის კონტროლს, ამიტომ ირანელთათვის პეტრას მცირე ზომის ნავმისდგომის გამოყენებაც კი არ იქნებოდა სამხედრო და მით უფრო სავაჭრო დანიშნულებით ხელსაყრელი. ამრიგად, ბიზანტიელთა მიერ ციხესიმაგრის მშენებლობის დროს მოწყობილი მცირე ნავმისადგომი პეტრაში ირანელთა შესვლის შემდგომ პრაქტიკულად უფუნქციოდ დარჩა. მით უფრო, ბიზანტიელთა მიერ ციხესიმაგრის დანგრევის შემდგომ პერიოდში.

განსაკუთრებული სამხედრო დანიშულება უნდა ჰქონოდა სამხრეთ ბორცვზე მოწყობილ ინფრასტრუქტურას. არსებობს მოსაზრება, რომ აქ მხოლოდ სათვალთვალო კოშკი შეიძლება ყოფილიყო განთავსებული. უფრო მართებული უნდა

იყოს ვარაუდი, რომ იგი უფრო მცირე აკროპოლისია, რომელსაც, თავისმხრივ გააჩნდა კოშკები და მათი შემაკავშირებელი ზღუდეები. სხვა მხრივ, ვერ აიხსნება ამ ორ ბორცვს შორის დამაკავშირებელი ძლიერ გამაგრებული ზღუდის საჭიროება. ციხესიმაგრის ამ ნაწილის უმთავრესი ფუნქცია საზღვაო აკვატორიის კონტროლი უნდა ყოფილიყო. სწორედ ამ ბორცვიდანაა უფრო მოსახერხებელი ბათუმის ყურისთვის თვალისმიდევნება. ასევე, შესაძლებელია ფაზისის აკვატორიის მეთვალყურეობაც. ბორცვი, ზედ დაჰყურებს ციხესიმაგრეში შემავალ ერთ-ერთ შესასვლელსაც, რომელიც ორ ბორცვს შორის მდებარე დაბლობ ტერიტორზე მდებარეობდა (ტაბ. VI-2).

ციხესიმაგრეს სამი შესასვლელი უნდა ჰქონოდა. პირველი, ძირითადი კარიბჭე აკროპოლისის ჩრდილო-აღმოსავლეთ კედელშია გაჭრილი, სადაც მოხვედრა ციხის ბორცვზე აღმოსავლეთიდან მომართული გზით შეიძლებოდა. ეს გზა აკროპოლისს ციხის ჩრდილოეთით მდებარე საქალაქო დასახლებას აკავშირებდა. მთავარი კარიბჭე აგურისთაღიანია. კარიბჭის გარე მხარეს, ჩრდილოეთ კედლის წყობაში, აგურებითა და ბრტყელძირიანი კრამიტებისგან შედგენილი ჯვარია გამოსახული. როგორც ითქვა, მოგვიანო პერიოდისაა კარიბჭის ჩრდილოეთ და სამხრეთ ნაწილში, აღმოსავლეთის მხრიდან მიდგმული კოშკები (იხ. ტაბ V-1). საერთო ჯამში, ბოლო წლებში აკროპოლისის პირველ შესასვლელის დეტალურმა გამოკვლევამ ცხადჰყო, აქ ხუთი სამშენებლო ფაზის არსებობა. მათგან, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, პირველი ორი ფაზა ახ.წ. VI საუკუნით თარიღდება (Intagliata, Naskidashvili, Snyder, 2019: 184).

მე-2 და მე-3 შესასვლელი ე.წ. დერეფანის ტერიტორიაზეა განთავსებული. ერთი მათგანი, როგორც უკვე აღინიშნა, აღმოსავლეთ მხრიდან იყო მოწყობილი მეორე კი ზღვის მხრიდან, თუ რათქმაუნდა მხედველობაში მივიღებთ ციხესიმაგრის დასავლეთ ფერდობზე, ზღვის სანაპიროსთან ახლოს დაფიქსირებულ ნაშთებს და მის შორიახლოს შესაძლო ნავმისადგომის არსებობის ვარაუდს.

ციხისძირის აკროპოლისის საერთო ფართობი 1,5 ჰა-ს აღემატება. ამას თუ დავუმატებთ სამხრეთის - მცირე აკროპოლისის ფართობს, ასევე თუ მხედველობაში მივიღებთ დერეფნის მასშტაბსა და სანაპიროს მიმართულებით ინფრასტრუქტურის არსებობის ალბათობას, თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქმე გვაქვს ერთ-ერთ მძლავრ, მასშტაბურ საფორთიფიკაციო კომპლექსთან. რომლის ანალოგი

აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის სანაპირო ზოლში გვიანანტიკურ ადრე-შუასაუკუნეებში რთულად მოიძებნება.

პეტრას აკროპოლისში შესწავლილია დამხმარე შენობა-ნაგებობები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ აქ სამხედრო გარნიზონის გამართულ ფუნქციონირებას. ერთ-ერთი ასეთი ნაგებობა ცნობილია „ცისტერნის" სახელით. იგი ძეგლის თანადროულია და წარმდგენილია ორი განყოფილების სახით. ნაგებობის აღმოსავლეთ ნაწილი შედარებით უკეთაა დაცული. მისი კედლები ფლეთილი ქვითაა ნაგები, აქვს კირხსნარით შეკრული აგურებით შედგენილი თაღოვანი გადახურვა და მისი კედლებიც კირხნარითაა შელესილი. ეს განყოფილება წყლის შესაგროვებელი ცისტერნა უნდა ყოფილიყო. იგი უფრო ტევადია, ვიდრე მასზე დასავლეთი მხრიდან მიდგმული ნაწილი (თავამაიშვილი, 2020: 4). ნაგებობის ამ ნაწილის (მე-2 განყოფილება) დანიშნულება არა სითხის დაგროვება, არამედ უფრო მშრალი პროდუქტების შენახვა უნდა ყოფილიყო. ნაგებობის ამ ნაწილს დასავლეთის მხრიდან შესასვლელი ღიობი აქვს (ტაბ. VII-1). გამოთქმულია ვარაუდი, რომ ცისტერნის მომიჯნავედ იდგა მართკუთხა ფორმის, კრამიტით გადახურული კიდევ ერთი სამეურნეო დანიშნულების ნაგებობა. ამას მოწმობს ამ უბანზე სხვადასხვა დროს მიკვლეული სამეურნეო ჭურჭლის ფრაგმენტები. ამ ნაგებობის კედლები სავარაუდოდ პარალელურად მიუყვებოდა ციტადელის გალავანს, მისი სამხრეთი ნაწილი კი ექცევა ბორცვის ჩამოშლილ ფერდთან. ნაგებობა ემიჯნებოდა ცისტერნის აღმოსავლეთ მხარეს (თავამაიშვილი, 2020: 5).

კიდევ ერთი სამეურნეო დანიშნულების ნაგებობა შესწავლილია სამნავიანი ბაზილიკის სამხრეთ ნაწილში. შენობა აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენაა მიმართული და მისი სიგრძე 25 მ., სიგანე კი 5 მ-ია. ნაგებობის გარკვეულ ნაწილში შემჩნეული იქნა თაღისებური გადახურვის კვალიც და კედლების შიდა ნაწილის შელესილობაც. თავდაპირველად, ნაგებობის გაწმენდისა და პირველადი შესწავლის შემდგომ, გამოითქვა ვარაუდი, რომ იგი სურსათის საწყობი შეიძლება ყოფილიყო (ინაიშვილი ა., 1974: 124), კიდევ ერთი მოსაზრებით, ეს მოგრძო ნაგებობა დამარილებული ხორცის შესანახ ხაროდაც იქნა მიჩნეული (Мелитаури, 1972: 17). თუმცა, აღნიშნულ უბანში 2022 წელს ჩატარებული გათხრების შედეგად დაზუსტდა, რომ ერთმანეთისგან განსხვავებულია ნაგებობის დასავლეთი და აღმოსავლეთი ნაწილები.

(ტაბ. VII-2). ამ უბანზე საქმე გვაქვს არა ერთ, არამედ სხვადასხვა პერიოდის რამდენიმე კონსტრუქციასთან. მათ შორის, ცალკე უნდა განვიხილოთ ამ მოგრძო ოთხკუთხა შენობაში ჩახაზული ოვალური ფორმის ნაგებობა, რომლის იატაკი სქელი კირხნარის ფენით იყო დაფარული. შელესვის კვალი ატყვია გვერდით კედლებსაც, ამის მიზეზი შენობის ჰერმეტულობის დაცვა იყო (თავამაიშვილი, 2022: 8). ნაგებობის ფუნქციური დანიშულება ჯერ კიდევ ვერ ჩაითვლება დადგენილად. შენობის ჰერმეტულობა მიმანიშნებელია, რომ იგი არა მშრალი პროდუქტების, არამედ წყლის რეზერუარი შეიძლება ყოფილიყო. ამ აზრის გასამყარებლად კი საჭიროა რეზერუარში წყლის მიწოდების გზებისა და საშუალებების დადასტურება. ამ თვალსაზრისით, ლოგიკურია რეზერვუარის აბანოსა და სამხრეთ ზღუდის შორიახლოს მოწყობის ფაქტი. ჩვენი ვარაუდით, მომიჯნავე ხეობიდან აკროპოლისში სწორედ სამხრეთ-აღმოსავლეთ მონაკვეთიდან შემოდიოდა მთავარი წყალმომარაგების ხაზი (ამ საკითხს უფრო ვრცლად ქვემოთ შევეხებით). რეზერვუარი ოსმალთა პერიოდში საყოფაცხოვრებო ნარჩენების ორმოდ ყოფილა გამოყენებული. ამას მოწმობს აქ აღმოჩენილი ამ ეპოქის დიდძალი მასალა (თავამაიშვილი, 2022: 9-10). ნაგებობის სამხრეთ კედელზე ამოყვანილია ქვების განსხვავებული წყობა, რითაც სავარაუდოდ კედელი გაუმაგრებიათ. კედლის ეს წყობა წააგავს რეზერვუარის დასავლეთ მინაშენს და იგი ერთი პერიოდის მშენებლობად უნდა განვიხილოთ. საერთო ჯამში, ეს ოთხკუთხა ნაგებობა მოგვიანო პერიოდსა უნდა იყოს, მას საჭიროებისას თავდაცვითი ზღუდის ფუნქციის შესრულებაც შეეძლო (მით უფრო, რომ აკროპოლისის გალავანის სამხრეთი მხარე ძალზედ დაზიანებულია). ამას ადასტურებს შენობის სამხრეთი კედლის სიმყარე. შენობის მოგვიანო პერიოდის კუთვნილებას ადასტურებს ის ფაქტი, რომ მისი გაწმენდისას გამოჩნდა ადრეშუასაუკუნეების აქამდე უცნობი ნაგებობის ნაშთი. იგი ამ ოთხკუთხა ნაგებობის დასავლეთი ნაწილის ქვეშაა მოქცეული. ახალგამოჩენილი კონსტრუქცია წარმოადგენს კირხნარის და ფილების მონაცვლეობით შედგენილ კედელს, რომელიც სიღრმეში კირხსნარით შეკრული ფლეთილი, მოსწორებული პირის მქონე ქვების წყობით გრძელდება (*Opus mixtum*) (ტაბ. VIII-1). წყობის აღმოსავლეთ კედლის გასწვრივ გაიწმინდა ჩაქცეული ამფორები და საყოფაცხოვრებო კერამიკა. გათხრების შედეგად გამოიკვეთა, რომ ახალი კედელი გაგრძელდა სამხრეთ-

დასავლეთის მიმართულებით, მიადგა ოთხკუთხა ნაგებობის სამხრეთ კედელს. კედლის ახალი წყობა გაგრძელდა ასევე ოთხკუთხანაგებობის ჩრდ. კედლის ჩრდილოეთ მხარესაც. ნაგებობის იატაკის დონე არ დაფიქსირებულა, კედლის აღმოსავლეთ გაყოლებაზე საკმაო რაოდენობის წელშეზნექილი ამფორები იყო ჩაწყობილი, რამაც თანმხლებ მასალასთან ერთად კარგად დაათარიღა აღნიშნული ფენა - VI საუკუნით (თავამაიშვილი, 2022: 11-16). ამრიგად, აკროპოლისის ტერიტორიაზე გამოიკვეთა ახალი საკმაოდ მასშტაბური შენობის კონტურები, რომლის კვლევაც სამომავლოდ უნდა მოხდეს თანადროული, მომიჯნავე არქიტექტურული კომპლექსის (ბაზილიკა, აბანო) კონტექსტში. საკუთრივ ოთხკუთხა, ე.წ. სამეურნეო ნაგებობის შესწავლა და მისი ფუნქციური დანიშნულების დადგენა კვლავ გამოწვევად რჩება, რაც მოითხოვს ნაგებობის ირგვლივ არქეოლოგიური კვლევა ძიების გაგრძელებას.

აკროპოლისის ტერიტორაზე, სამნავიანი ბაზილიკის სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეს გასული საუკუნის 60-იან წლებში შესწავლილი იქნა ანფილადური აბანო. მისი სიგრძე 9,2 მ.-ს შეადგენს, დასავლეთი კედლის სისქე 0,7 მ.-ია. ჩანს, რომ ნაგებობის აღმოსავლეთ კედლის ნაშთებზე შემდგომ ხანებში ახალი სასიმაგრო ზღუდეა ამოყვანილი. ნაგებობა ტიხრების საშუალებით ცალკეულ განყოფილებადაა დაყოფილი. უბანზე აღმოჩენილი მასალებით დადგენილია, რომ აქ მოწყობილი იყო საქვაბე, სააბაზანო, რომელიც საქვაბესთან დაკავშირებული იყო სათანადო მილებით, ცხელი წყლის მისაღებად. ამ განყოფილებას ელიფსური ფორმა აქვს და მისი სამხრეთი კედელი მორღვეულია, გვიანდელ სასიმაგრო კედელს გადაფარული აქვს საქვაბისა და სააბაზანოს აღმოსავლეთი ნაწილები. მეორე - სააბაზანო განყოფილებასთან უნდა იყოს კავშირში მესამე განყოფილებაც, რომელიც აბანოს ცხელ განყოფილებაში შესვლამდე გამოსაყენებელი სივრცე ან აბაზანის ცივი სექციაა. იგი 80 სმ. სიგანის კედლითაა გამიჯნული მომდევნო (მე-5) განყოფილებასთან, თუმცა მათ შორის განიერი კარია დატოვებული. მე-5 განყოფილება აბაზანის მისაღები და მოსაცდელი განყოფილებაა (ინაიშვილი ა, 1974: 141-143). აბანოს წინ სვეტების ორი რიგის საძირკველია გამოვლენილი. პირველი რიგი აბანოს კედელზე უშუალოდაა მიდგმული, მათ შორის მანძილი 2,5-2,7 მეტრია. აბანოს დასავლეთ კედლის პარალელურად 3,3 მ-ის დაშორებით ჩაყოლებულია კიდევ 5 სვეტის საძირკველი (ინაიშვილი ა, 1974: 143).

აბანოს შენობა მოგვიანო ხანებში, მცირე დარბაზული ეკლესიის ფუნქციონირების დროს, სამეურნეო დანიშნულების ნაგებობად იქნა გამოყენებული. ამას მოწმობს საქვაბე განყოფილებასა და აბანოს კედლების სიახლოვეს ჩადგმული ქვევრები (ინაიშვილი ა, 1974: 144). აკროპოლისის აბანო, როგორც ჩანს გარნიზონს ემსახურებოდა, მისი ზომები ამ მოთხოვნას სავსებით დააკმაყოფილებდა (ტაბ. IX-1).

## §6. საეკლესიო ნაგებობები

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე საეკლესიო ნაგებობები წარმოდგენილია ადრეული ბაზილიკების სახით. მათი ძირითადი რაოდენობა პეტრა-ციხისძირის ტერიტორიაზეა შესწავლილი. ბოლო დროს საკმაოდ მოზრდილი ბაზილიკა გაითხრა გონიო-აფსაროსის სიახლოვეს. იგი ავგიის ნაეკლესიარის სახელითაა ცნობილი.

პეტრას აკროპოლისის ტერიტორიაზე საეკლესიო ნაგებობების არქეოლოგიური შესწავლა პირველად გასული საუკუნის 60-იან წლებში განხორციელდა. თავიდანვე გამოითქვა მოსაზრება, რომ აქ საქმე უნდა გვქონოდა სამი სხვადასხვა ეპოქის ნაგებობასთან. ყველაზე გვიანდელი მცირე დარბაზული ეკლესიაა. მისი შემორჩენილი კედლები და საკურთხევლის ნახევარწრიული აფსიდი ნატეხი ქვის ირეგულარული წყობითაა ნაგები. ეკლესიის შიგნით მოპოვებული მასალიდან ჩანს, რომ კედლები მოხატული იყო (ინაიშვილი ა, 1971:137). თავდაპირველი არქეოლოგიური შესწავლის დროს მოპოვებული მასალის მიხედვით, იგი X-XIV საუკუნეებით დათარიღდა. გამოითქვა აზრი, რომ მცირე დარბაზული ეკლესია სამნავიანი ბაზილიკის სრულად დანგრევის შემდეგ აიგო, რომელიც თავის მხრივ, მას შემდეგ დაინგრა, რაც IX საუკუნეში პეტრას საეპისკოპოსო კათედრა გაუქმდა. საკუთრივ დარბაზულმა ეკლესიამ ფუნქციონირება შეწყვიტა ოსმალთა მიერ რეგიონის დაპყრობის შემდეგ (ინაიშვილი ნ, 2009: 279), (ტაბ. IX-2).

1962 წელს დარბაზული ეკლესიის სამხრეთი კედლის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ ოსმალური პერიოდში მიშენებული კედელი საძირკვლის გარეშე, სხვა უფრო ძველი კედლის ნაშთებზე იყო დაშენებული. გაწმენდისას ეს კედელი დაინგრა, რამაც შესაძლებელი გახადა ძველი ნაგებობის ნაშთების გამოვლენა, რომლებიც ადრეული

ეკლესიის ნაწილად იქნა მიჩნეული (ინაიშვილი ა, 1974: 133). მცირე დარბაზული ეკლესიის ქვედა შრეებში ადრეული ნაგებობის ნაშთების არსებობა დაადასტურა სამნავიანი ბაზილიკის ტერიტორიაზე ბოლო წლებში ჩატარებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმაც.

ამჟამად ძეგლზე არსებული სურათით თუ ვიმსჯელებთ, ადრეული ეკლესია სამნავიანი ბაზილიკის ადგილზე უნდა მდგარიყო. VI საუკუნეში აგებულმა სამნავიანმა ბაზილიკამ თავისი მასშტაბით მოიცვა არა მხოლოდ მცირე ადრეული ეკლესია, არამედ მისი მომიჯნავე დამხმარე ნაგებობებიც. ამით უნდა აიხსნას სამნავიანი ბაზილიკის კედლების ქვედა შრეებში სხვადასხვა, ერთი შეხედვით ერთმანეთთან კავშირში არმყოფი ნაგებობების ნაშთების არსებობა. თავის დროზე გ. ჩუბინიშვილმა საქართველოში ადრეული ეკლესიების სიმწირე სწორედ იმით ახსნა, რომ მათ ადგილზე მალევე ახალი, უფრო მასშტაბური ნაგებობები აიგო. ამ მოსაზრების კარგი მაგალითია, სამნავიანი ბაზილიკის ჩრდილო-დასავლეთ მხარეს გათხრილი აფსიდიანი კედელი, რომელიც ჩაჭრილი აქვს სამნავიანი ბაზილიკის ჩრდილოეთი ნავის ჩრდილოეთ კედელს. სავარაუდოდ, ეს ნაგებობა ადრეული ეკლესიის ნაწილი, ან მისი თანადროული, დამოუკიდებელი ნაგებობა უნდა იყოს. პეტრა-ციხისძირის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი გ. თავამაიშვილი გამოთქვამს ვარაუდს, რომ ბაზილიკის ჩრდილოეთი ნავის ჩრდილო-დასავლეთ მონაკვეთზე გათხრილი აფსიდიანი კედელი შეიძლება იყოს ადრეული ეკლესიის თანადროული ბაპტისტერიუმი (თავამაიშვილი, 2020: 11) (ტაბ., X).

ადრეული ეკლესიის ბაპტისტერიუმად მიჩნეული შენობა, როგორც ჩანს გრძელდება აღმოსავლეთით. სწორედ მის ნაშთებზე უნდა იყოს აგებული მოგვიანო პერიოდის დამხმარე ნაგებობა, რომელსაც დღეს ბაზილიკის ჩრდილოეთ მინაშენს ვუწოდებთ. ამას გვაფიქრებინებს ის ფაქტი, რომ მინაშენის კედლის წყობაში იკითხება ადრეული ნაგებობის კონტურები. მინაშენის აღმოსავლეთ კედლის ადრეულ წყობაში 2022 წელს გამოჩნდა კედელში მოქცეული, სავარაუდოდ, წყალმომარაგების მილები. ისინი გარკვეულ კავშირში უნდა იყოს 2020 წელს სანათლავის შესწავლისას დაფიქსირებულ მილთან და კოლექტორთან, ამიტომ საეჭვოა, რომ ჩრდილოეთ მინაშენი (მიბჯენილი ბაზილიკის აფსიდზე) ბაზილიკის თანადროული იყოს. იგი, ალბათ

სამნავიანი ბაზილიკის აგების დროს დანგრეული ადრეული ნაგებობის კედელია. მოგვიანებით, ციხისძირში ოსმალური გარნიზონის ყოფნის დროს, ამ ნაგებობის ნაშთები, ისევე როგორც სამნავიანი ბაზილიკის საძირკველი, გამოიყენეს ახალი, სამეურნეო დანიშნულების ნაგებობის მოსაწყობად. ამ ნაგებობის კედლები დღემდე შემორჩენილია და, როგორც ითქვა, მასზე ნათლად ჩანს კედლის ორი განსხვავებული წყობა (ტაბ. XI-1).

მიუხედავად ჩვენ ხელთ არსებული საკმაო მასალისა, ადრეულ ნაგებობათა შორის ეკლესიის იდენტიფიცირება რთული იქნება მანამ, სანამ არ დასრულდება ძეგლის არქეოლოგიური გამოკვლევა. ბოლო წლებში გამოვლენილი სხვადასხვა ნაგებობის კედლების მიმართებამ, დარბაზული ეკლესიის ქვეშ არსებული ადრეული ნაგებობის სავარაუდო კონტურებთან და სამნავიანი ბაზილიკის კედლებთან, დღის წესრიგში დააყენა ბაზილიკის საკურთხევლის შიდა ტერიტორიის შემდგომი არქეოლოგიური შესწავლის საჭიროება. სწორედ კვლევის ეს ნაწილი დაგვანახებს სამნავიანი ბაზილიკის აგებამდე იქ არსებულ შენობა-ნაგებობათა განლაგების საერთო სურათს.

საკუთრივ სამნავიანი ბაზილიკა ძეგლის ცენტრალურ ნაგებობადაა მიჩნეული. მიუხედავად იმისა, რომ იგი თითქმის საძირკვლის დონემდეა დანგრეული, მისი მასშტაბი მაინც აღქმადია (ტაძრის სიგრძე 33,5 სიგანე 17,8 მ-ია). სამნავიან ბაზილიკას აქვს წაგრძელებული პროპორციები, ხუთწახნაგა აფსიდი. შიდა საყრდენებიდან გადარჩენილია რამდენიმე ბოძის საძირკველი. ჩანს, თითო რიგში ხუთ-ხუთი ბოძი იყო განლაგებული. ბაზილიკის კედლები ნაგებია დაუმუშავებელი ქვით დუღაბზე, გარედან კი მოპირკეთებულია თანაბარი ზომის თლილი ქვებით. ბაზილიკის ნახევრადწრიული ფორმისა და გარედან ხუთწახნაგა აფსიდი გამორჩეული არქიტექტურული დეტალია. აფსიდის გვერდითი წახნაგები გარეთკენ ვიწროვდება. იგი კარგად გათლილი, მწყობრად დალაგებული ქვის კვადრებითაა შემკული. ბაზილიკას აქვს სამნაწილიანი ნართექსი და ნავების გამყოფი სწორკუთხა სვეტები. შუა ნავის სიგანე გვერდითი ნავის სიგანეს სამჯერ აღემატება. ტაძრის კედლები ძირითადად ნაგებია კირის დუღაბზე დალაგებული სხვადასხვა ზომის ქვების ჰორიზონტალური წყობით. აქა-იქ წყობის სისწორისთვის გამოყენებულია აგურის ფენაც (ინაიშვილი ნ, 2009: 276-277). მიჩნეულია, რომ ნაგებობა გადახურული იყო ხის კონსტრუქციით, თუმცა, არსებობს ვარაუდი, რომ

ბაზილიკის გრძივი კედლების სისქე (1,1-1,2 მ) საკმარისი იყო უფრო მძლავრი - ქვის კონსტრუქციით, კამარით, გადახურვის მოსაწყობად (Khoshtaria, 2013: 367, 369).

სამნავიან ბაზილიკასთან უნდა იყოს დაკავშირებული ბაზილიკის ჩრდილო-აღმოსავლეთით არსებული, კირხსნარიანი მოედნის ქვეშ ჩაჭრილ მონაკვეთზე აღმოჩენილი კირქვისგან დამზადებული საინტერესო არქიტექტურული დეტალი (ტაბ. XI-2). იგი წარმოადგენს მონოლითური სვეტის ფრაგმენტსა და მის ბაზისს (საინვენტარო #ც.ძ. 22/92). სვეტის ტანი მრგვალია, კანელურების გარეშე. სვეტის ტანის ზედა ნაწილში სამი დეკორატიული ლილვია გამოყვანილი. შუა ლილვი უფრო მაღალი და მოცულობითია, ვიდრე ზედა და ქვედა. სვეტის დიამეტრი 18 სმ-ია. საკუთრივ ბაზისი კვადრატული ფორმისაა (20x20 სმ), საკმაოდ მაღალი - 13 სმ, იგი სვეტის მრგვალი ნაწილისაგან გარეთაა გადმოწეული და დაუნაწევრებელი, გლუვზედაპირიანია. შემორჩენილი ფრაგმენტი ადგილ-ადგილ დაზიანებულია - ჩამომტვრეულია, როგორც ბაზისის წიბოები, ისე სვეტის ტანის ზედაპირის გარკვეული ნაწილი. სვეტის ამ ფრაგმენტის სრული სიმაღლე 26,5 სმ-ია. შემორჩენილი ფრაგმენტის ძირზე ჩანს ფოსო პირონისათვის, რომლის მეშვეობითაც ხდებოდა სვეტის ტანის მომდევნო ნაწილის დაფიქსირება. ფოსო ოთხკუთხა ფორმისაა (3x3 სმ), მასში 7 სმ. სიღრმეზე მთლიანად ლითონია ჩასხმული, რომელიც, თავის მხრივ, ცენტრისკენ ვიწროვდება. ლითონი ფოსოს ირგვლივაცაა დასხმული (დარჩიძე, 2023: 8), (ტაბ. XII).

როგორც ცნობილია, ასეთი მომცრო ზომის სვეტები გამოიყენებოდა საკულტო ნაგებობებში მოწყობილი მცირე ფორმების - კანკელების, ამბიონების, კიბორიუმების არქიტექტურაში. ჩვენი აზრით, ზემოთ აღწერილი ფრაგმენტი თავისი ზომებისა და სტრუქტურის გათვალისწინებით საკურთხევლის ბარიერის სვეტის ბაზისი ან კიბორიუმის ფრაგმენტი უნდა იყოს. ფრაგმენტის აღმოჩენის ადგილით თუ ვისმჯელებთ გამოდის, რომ ბაზილიკის ინტერიერიდან კანკელის სვეტის ეს ფრაგმენტი ბაზილიკის დანგრევის შემდეგ, ახალი ტაძრის მოსაწყობად სივრცის გამოთავისუფლების პროცესში, იქნა გამოტანილი. საგულისხმოა, რომ სვეტის ამ ფრაგმენტთან ერთად აღმოჩენილი მასალა ძირითადად V-VI საუკუნეებით თარიღდება. მართალია, აღნიშნული მასალის შესწავლა-დამუშავება ჯერ კიდევ გრძელდება, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენ ხელთ არ გვაქვს VI საუკუნეზე გვიანდელი პერიოდის მასალა. ჩვენ მოსაზრებას, რომ

აღმოჩენილი ფრაგმენტი კანკელის სვეტის ბაზისია და არა სვეტის სხვა ნაწილი, ამყარებს ის გარემოებაც, რომ საქართველოში ჩვენამდე მოღწეული ყველაზე ადრეული პერიოდის კანკელის სვეტებისათვის უფრო მეტად დამახასიათებელია გრეხილი ლილვები, ორნამენტებით შემკული იმპოსტები და კაპიტელები (Шмерлинг Р, 1962: 33-82). ამის საპირისპიროდ კი პეტრას სვეტის ფრაგმენტი საერთო დამახასიათებელი პროფილით მკაფიო მსგავსებას ავლენს ცაიშისა და ხობის სვეტის ბაზისებთან, რომლებიც უნდა ეკუთვნოდეს კანკელის ან კიბორიუმის სვეტის ბაზისს. სვეტის ამ ფრაგმენტებს მკვლევარები V-VI საუკუნეებით ათარიღებენ (Хрушкова, 1980: 23).

ზემოაღნიშნული სვეტის ბაზისები ფორმით, მოცულობითა და ლილვებით მსგავსია ჩვენ მიერ განხილულ პეტრას სვეტის ფრაგმენტთან. სტრუქტურული მსგავსება ჩანს, როგორც ქვის მართკუთხა ფორმის, ისე მასზე დაბჯენილი, ერთმანეთის მიჯრით გამოყვანილი ლილვებისა და სვეტის წრიული მოყვანილობის თვალსაზრისით. როგორც ჩანს, პეტრას ფრაგმენტიც V-VI საუკუნეებით უნდა დათარიღდეს. სვეტის ეს დეტალი პეტრა-ციხისძირისთვის აქამდე უცნობი არტეფაქტია. აღმოჩენის ამ ერთეული ფაქტით მისი კანკელის სვეტის ბაზისთან საბოლოო იდენტიფიცირების თაობაზე ჯერ-ჯერობით მხოლოდ ზოგადი ვარაუდების დაშვებაა შესაძლებელი.

პეტრას სამნავიან ბაზილიკას მკვლევარები VI ს. ათარიღებენ. მიჩნეულია, რომ იგი წარმოადგენდა საკათედრო ტაძარს. ალბათ, ამით აიხსნება მისი განსაკუთრებით დიდი ზომები. პეტრას სამნავიანი ბაზილიკის არქიტექტურაში ასახულია შავიზღვისპირეთის და მცირე აზიის ცენტრალური რეგიონებისათვის დამახასიათებელი არქიტექტურული ფორმები და სამშენებლო ტრადიციების გავლენები (Леквинадзе, 1972: 215). პეტრას სამნავიანი ბაზილიკა აკმაყოფილებს საეპისკოპოსო ტაძრის ყველა მოთხოვნას. მონუმენტურობით, პროპორციებით და ზომებით იგი ერთ-ერთი უდიდესი ტაძარია (ინაიშვილი ნ., 2009: 277). საქართველოს თანადროულ ბაზილიკებს შორის იგი ემსგავსება ბიჭვინთის, ალაჰაძის, ნოქალაქევის, ბოლნისის სიონის, ურბნისის ბაზილიკებს.

პეტრა-ციხისძირში კიდევ ერთი ეკლესია შესწავლილი იქნა ციხისძირის დაბლობზე (ნაქალაქარზე), კერძოდ, სახელმწიფო რეზიდენციის ტერიტორიაზე. აქ საბჭოთა

პერიოდში სანერგე მეურნეობა იყო მოწყობილი. VI-VII საუკუნეებით დათარიღებული ეკლესია თავდაპირველად გასული საუკუნის 60-იან წლებში იქნა ნაწილობრივ გათხრილი. 80-იანი წლების ბოლოს ძეგლი დააზიანა მის მომიჯნავედ წარმოებულმა ინფრასტრუქტურულმა სამუშაოებმა. ეკლესიის საბოლოო შესწავლა 2001 წელს მოხერხდა (ინაიშვილი ნ., 2009: 280) (ტაბ. XIII-1).

ძეგლის თავდაპირველი გათხრებისას იქ აღმოჩენილა მნიშვნელოვანი სამშენებლო ნაწარმი: კრამიტები, აგურები, სასარკმელე მინა, მოზაიკის ნაშთები, ქვის კაპიტელი, მარმარილოს სვეტის ნატეხები და ა.შ. ნაგებობა კი სამნავიან ბაზილიკად იქნა მიჩნეული. 2001 წელს ჩატარებული გათხრებით დაზუსტდა, რომ აქ უფრო ადრეულია მოგრძო, სწორკუთხა, უაფსიდო ნაგებობა (9x4 მმ), რომელიც ეკლესია არ უნდა ყოფილიყო. ამ ნაგებობაზე დაშენებული უნდა ყოფილიყო აფსიდის მქონე მოგვიანო დარბაზული ეკლესია. ეკლესიის ზომებია 13x7,6 მმ., მას ორი მინაშენი ჰქონდა. სამხრეთი მინაშენი სანათლავი უნდა ყოფილიყო (ზომები: 5,5x4 მმ). ემბაზი ნაწილობრივ იატაკში იყო ჩაშენებული, მისი კედლები ნაგები და შელესილია ჰიდრავლიკური ხსნარით, ჰქონდა მოლესილი ძირი. სანათლავის გასწვრივ, ეკლესიის ჩრდილოეთ კედელზე მიშენებული იყო სამხრეთი მინაშენის ზომის სათავსო. მისი ფუნქციური დანიშნულება უცნობია. არქეოლოგიური გათხრებით გამოკვეთილია, რომ დარბაზული ეკლესია ეტაპობრივად ფართოვდებოდა. პირვანდელ ნაგებობას ეტაპობრივად მიაშენეს სადიაკვნე, სამკვეთლო, სამხრეთ მინაშენი კი კიდევ უფრო გააფართოვეს. მოგვიანებით გაფართოებული ჩანს, ასევე დასავლეთი და ჩრდილოეთ მინაშენის გარსშემოსავლელი. დასავლეთის მხრიდან მოწყობილია კარიბჭეც (ზომები 3,65x5,3 მმ). საკურთხევლის აფსიდში გამოვლენილია კარგად შემორჩენილი, კედელს შემოყოლებული საფეხურიც. ნ. ინაიშვილის მოსაზრებით ეს უსისტემო მინაშენები შეიძლება აიხსნას მისი ადრეულობით, როცა ჯერ კიდევ არ იყო დაკანონებული და ხუროთმოძღვრულად გააზრებული მღვდელმსახურების დეტალები (ინაიშვილი ნ., 2009: 281).

ციხისძირის კიდევ ერთი საეკლესიო ნაგებობა შესწავლილი იქნა ციხისძირის დაბლობში შესწავლილი სასახლის (ცნობილი როგორც „ვილა“) კომპლექსთან ერთად, რომელიც აერთიანებს საცხოვრებელ სივრცეს, აბანოს და აფსიდიან მცირე ზომის

ეკლესიას (ტაბ. XIII-2). დარბაზული ეკლესია შვერილი სამწახნაგა აფსიდითაა დაბოლოებული. აფსიდის შიდა მხარე ნახევარწრიული მოყვანილობისაა და იგი ნავისგან ტიხრითაა გამიჯნული. ტიხარი იატაკის დონის ზემოთ, კარგად დამუშავებული ქვების ერთი რიგითაა გამოყოფილი. ეკლესიის დარბაზის შიდა ზომებია 3,7x2,6 მმ. მისი კედლების სისქე 1,2 მ-ია, იგი საძირკვლის დონეზეა გადარჩენილი. სავარაუდოდ, ეკლესიასთან უნდა იყოს დაკავშირებული მის მიმდებარედ, აბანოს ერთ-ერთ სათავსოში აღმოჩენილი მოზაიკის ერთ-ერთ მარმარილოს ფილაზე შემორჩენილი ამოკაწრული ბერძნული წარწერა „უფალო შემეწიე“ (ტაბ. XIII-4). სასახლის კომპლექსში შემავალი დარბაზული ეკლესია მკვლევართა მიერ V-VI საუკუნეებითაა დათარიღებული (ინაიშვილი ნ., 2009: 282-283).

პეტრა-ციხისძირის ტერიტორიაზე შესწავლილ საეკლესიო ნაგებობებს აერთიანებს საკურთხევლის შვერილაფსიდური ფორმა, რაც კანონზომიერია ადრეშუასაუკუნეების ზღვისპირა ზოლის ძეგლებისათვის.

შვერილაფსიდურია 2015 წელს გონიო-აფსაროსის მახლობლად, სოფელ ახალსოფელში შეწავლილი და IV-V საუკუნეებით დათარიღებული კიდევ ერთი ბაზილკა (ტაბ. XIV-1). თუმცა, ავგიის ეკლესიად ცნობილი ნაგებობა ტრანსეპტიანი დარბაზია, რომლის გეგმა ე.წ. ვნების ჯვრის ფორმისაა. განსხვავებულია მისი აბსიდიც, იგი უწახნაგო, ნალისებრი მოყვანილობისაა. ეკლესია უგუმბათო ბაზილიკის ტიპს განეკუთვნება და შესაძლოა მარტივი ბრტყელი ჭერი ჰქონდა, როგორც ეს დასავლურ ადრებიზანტიურ ნაგებობებს ახასიათებდათ. ავგიის ბაზილიკას ამ ტიპის ეკლესიებისგან განსხვავებული ნართექსი აქვს. იგი ეკლესიის თანადროულია, ძირითადი დარბაზისაგან 70 სმ-ის სიგანის ტიხრითაა გამოყოფილი, მისი კარის ღიობი დარბაზის კარს უსწორდება. დასავლეთის მხარეს ნაგებობას მოგვიანო პერიოდის მინაშენი აქვს მიდგმული (მამულაძე, ქამადაძე, ყიფიანი, 2021: 156) (ტაბ. XIV-2).

ავგიის ბაზილიკის კედლები ზოგიერთ ადგილას თითქმის 2 მ-ის სიმაღლეზეა დაცული. იგი ნაგლეჯი დაუმუშავებელი ქვითაა ნაგები კირხნარის გამოყენებით და მნიშვნელოვან მონაკვეთებში ქვიშაქვის კარგად გათლილი კვადრებითაა შეკრული. კედლებისაგან განსხვავებულია აფსიდის წყობა, მისი გარე მხარე კვადრატული და თანაბარი ზომის ქვებითაა მოწყობილი. კარის ღიობები ყველგან თანაბარია (1,5 მ).

ძირითად და გადამკვეთ ნავებში იატაკი სხვადასხვა დონეზეა გამართული. მათ შორის სხვაობა 20 სმ-ია და ქვის ფილებისაგან მოწყობილი საფეხურითაა გამოყოფილი. იატაკი კირხსნარისა და კერამიკული ფხვნილის ნაერთითაა მოწყობილი (მამულაძე, ქამადაძე, ყიფიანი, 2021: 157).

ტაძრის საერთო სიგრძე 23,7 მ-ია, სიგანე 19,2 მ-ია,[16] დასავლეთ მინაშენის სიგრძე 3,9 მ., ხოლო კედლის სიგანე 90 სმ-ია. როგორც ითქვა, ნაგებობა ხის კონსტრუქციებზე დალაგებული ბრტყელი და ღარიანი კრამიტების წყობით იყო გადახურული. ავგიის ნაეკლესიარის არქეოლოგიური მასალის შესწავლამ ცხადჰყო, რომ ტაძრის სახურავი უფრო V საუკუნეში უნდა მოწყობილიყო. ამასთან იგი რამდენჯერმე შეკეთდა, ხოლო VI საუკუნისთვის გამოიცვალა გადასახურად გამოყენებული კრამიტების ძირითადი ნაწილი (დარჩიძე, 2022: 122). შესაძლოა ეს ცვლილებები ტაძრის დასავლეთ მინაშენის მოწყობასთანაც იყოს გარკვეულ კავშირში.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ადრეშუასაუკუნეების საეკლესიო ნაგებობის ნაშთები ნავარაუდებია ფიჭვნარის ტერიტორიაზეც (ტაბ XIII-5). ძვ.წ. V საუკუნის სამარხების შესწავლისას გამოჩნდა ადრეშუასაუკუნეების კერამიკული მასალა, კრამიტისა და აგურის ფრაგმენტები, ბოლოს კი გამოვლინდა ქვის ნაგებობის ნაშთებიც, რომლის გეგმაც სრულად არ იკითხებოდა. აქ იყო მხოლოდ კირხსნარით შედუღაბებული დაუმუშავებელი ქვის საძირკვლის ფრაგმენტები. შენობა წარმოადგენდა მოგრძო, სწორკუთხა ნაგებობას, დამხრობილი დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. შემორჩენილი ნაშთები ნაგებობის დასავლეთ ნაწილს წარმოადგენდა. სავარაუდოდ, ეს უნდა ყოფილიყო პორტიკისა და მისი მომიჯნავე განივი კედლის ნაშთი. აფსიდის სავარაუდო ადგილას მხოლოდ მოვარდისფრო დუღაბის ფრაგმენტები იქნა ფიქსირებული. როგორც ჩანს, იგი იატაკის ნაშთი უნდა ყოფილიყო. ეს ნაგებობა მოკლედ ლ. ჩხაიძემ აღწერა, როცა ფიჭვნარის ადრეშუასაუკუნეების მასალებს განიხილავდა. მკვლევარი ნაგებობას ბაზილიკად განიხილავს და დასძენს, რომ შენობის სავარაუდო კონტურის ირგვლივ მოშლილი ქვის წყობის კვალია დაფიქსირებული. ამ აზრის გასამყარებლად მოჰყავს რამდენიმე მტკიცებულება: ამ პერიოდის ეკლესიების მოზაიკური იატაკის მოსაწყობად ხშირად

[16] იგულისხმება ტრანსეპტის მკლავების საერთო სიგრძე.

გამოიყენებოდა კირხსნარით მობათქაშებული საფუძველი, ასევე, ნაგებობის ირიგვლივ შეინიშნა სასარკმელე მინის ფრაგმენტების სიჭარბე და ის ფაქტი, რომ აქ ნაპოვნი იქნა მინიატურული ჯვარი, რომელზედაც ჯვარცმაა გამოსახული (ჩხაიძე, 1980: 40). სამწუხაროდ, ჩვენ ხელთ არ გვაქვს თანამედროვე სტრატიგრაფიული მიდგომებით შესწავლილი მასალა. ბუნდოვანია ცალკეული არტეფაქტის, განსაკუთრებით მარმარილოს ჯვრის, კონტექსტი. გაურკვეველია ეკუთვნოდა ესა თუ ის ნივთი ნაგებობის ირგვლივ შესწავლილი სამარხეულ ინვენტარს, თუ იგი საკუთრივ შენობის გათხრისას იქნა მოპოვებული. ფაქტია, რომ ადრეული შუასაუკუნეების მასალები ამ არეალში მაინც სამარხეულ კომპლექსთანაა დაკავშირებული. ეს დაადასტურა ბათუმის არქეოლოგიურ მუზეუმში დაცული ფიჭვნარის 1960-70-იანი წლების არქეოლოგიური გათხრების ამსახველი დოკუმენტებისა და მასალების ბოლო გამოკვლევამაც. გამოირკვა, რომ ნაგებობის ირგვლივ შესწავლილი ყოფილა 11 ორმო სამარხი, გარდა ამისა ერთი სამარხია დაფიქსირებული ნაგებობის შიგნით, თუმცა მათი ზუსტი პოზიცია დოკუმენტირებული არ არის. ნაგებობის შიგნით შესწავლილი სამარხი ჰორიზონტალურად განლაგებული 16 აგურით ყოფილა გადახურული, ხოლო კედლები თიხით ამოლესილი. საკუთრივ ნაგებობა ახ.წ. IV-V საუკუნეებით დათარიღებული დარბაზული ტიპის ეკლესიადაა მიჩნეული. შენობის დამხრობა, სამხრეთ-დასავლეთის მხრიდან შესასვლელის არსებობა და თანმხლები მასალები ამაზე უნდა მეტყველებდეს. ის აზრი, რომ ნაგებობის შიგნით არსებული სამარხი აგურის ჰორიზონტალური წყობით გადაიხურა გვაფიქრებინებს, რომ საქმე შეიძლება მართლა გვქონდეს მშენებლის სურვილთან, რომ ეს სამარხი გამორჩეული, განსხვავებული ყოფილიყო, თუმცა ეს მაინც საკამათოა. რაც შეეხება მარმარილოს ჯვარცმას, იგი მცირე ზომისაა (სიმაღლე 3 სმ, სისქე 0,4 სმ), ნაკლულია, აკლია მარცხენა მკლავის ძირითადი ნაწილი. მისი მცირე ზომა გვაფიქრებინებს, რომ იგი შესაძლოა პირადი მოხმარების ნივთი ყოფილიყო, თუმცა არსებობს მეორე ვარაუდიც, რომ იგი რომელიმე ნივთის ნაწილი ყოფილიყო. ამ აზრს ჯვარცმის უკანა, ბრტყელი ზედაპირი ამყარებს (ტაბ. XV-3). ჯვრის დეკორატიულ ელემენტს წარმოადგენს იესოს რელიეფური გამოსახულება. არსებული იკონოგრიული გამოკვლევის შედეგებით ჯვარცმის ყველაზე ადრეული თარიღი ახ.წ. V-VI საუკუნეები უნდა იყოს. ჯვარცმები, როგორც მატერიალური საგნები,

უცნობია გვიანანტიკურ ხანაში და იშვიათია ადრეულ ბიზანტიურ ხელოვნებაში. მისი გავრცელება ნავარაუდევია უფრო VI-VII საუკუნეებიდან (Kakhidze A., Intagliata, Harley, Naskidashvili, 2019: 145).

ადრექრისტიანული ხელოვნების ნიმუშია პეტრას მოზაიკა. ციხესიმაგრის აკროპოლისში შესწავლილი საეკლესიო ნაგებობის გაწმენდისას გასული საუკუნის 80-იან წლებში დაფიქსირდა ვაზის გამოსახულებიანი იატაკის მოზაიკის ნაშთები (ტაბ. XV-1), რომლის შესწავლაც ობიექტურ მიზეზთა გამო, მისი აღმოჩენის მომენტში ვერ მოხერხდა. მოგვიანებით, 2007 წელს ციხის ტერიტორიაზე კვლავ ჩატარდა გაწმენდითი სამუშაოები, რა დროსაც იგივე მოზაიკის ნაშთები კვლავ გამოჩნდა. ამ დროს მოხდა მოზაიკის გასუფთავება, ხსნარით დამუშავება, აზომვა და ფიქსაცია საწყის მდგომარეობაში. სწორედ ამ დროიდან გამოჩნდა მოზაიკის თაობაზე გარკვეული მონაცემები საველე ანგარიშებში (გიორგაძე, 2007), მოგვიანებით ამ საკითხს სხვა მკვლევარებიც შეეხნენ, თუმცა პეტრას მოზაიკაზე სრულფასოვანი გამოკვლევა დღემდე არ განხორციელებულა.

ციხისძირის მოზაიკაზე მსჯელობა მკვლევარებს მასზე სხვადასხვა დროს გადაღებული ფოტომასალით უხდებათ. მოზაიკა ძლიერ დაზიანებულია, დატეხილი და ფრაგმენტულად შემორჩენილი ცხრა ფრაგმენტიდან, რამდენიმე უშუალოდ მცირე ბაზილიკის ტრაპეზს დასავლეთიდან ებჯინება (დიღმელაშვილი, 2010: 139-140). მოზაიკის ფრაგმენტების ამჟამინდელი განლაგებით თუ ვიმსჯელებთ, იგი თავდაპირველი მდებარეობიდან დაძრულია. მოზაიკის ფრაგმენტების გამოსახულებები არეულია, მაგალითად, ერთი მათგანი წყდება ტრაპეზის ძირში, მეორე ფრაგმენტი კი შებრუნებული სახითაა მოცემული. ჩანს, რომ იგი არ უნდა ეკუთვნოდეს მცირე დარბაზულ ეკლესიას და მოზაიკის ეს ფრაგმენტი აქ მოგვიანებით უნდა იყოს მოტანილი. მოზაიკა, თავისი სტილით და თანადროულ ძეგლებთან ფორმათა მსგავსებით უფრო სამნავიანი ტაძრის კუთვნილება უნდა ყოფილიყო. მხოლოდ ამ ცენტრალურ და მასშტაბურ ნაგებობას შეიძლება ჰქონოდა მოზაიკიანი იატაკი. ამავეს ვარაუდობს დ. ხოშტარია, როდესაც პეტრას ბაზილიკაზე მსჯელობს (Khoshtaria, 2013: 369).

მოზაიკა მოგებულია თეთრი, წითელი, ყვითელი, ყავისფერი, მწვანე და ლურჯი ფერის სმალტის კენჭებით. მოზაიკის ფრაგმენტებში ყველაზე უკეთ იკითხება თეთრი

ფერის ფონზე ყავისფერი კენჭებით გამოხატული ვაზი, ორივე მხარეს გადაშლილი ყლორტებით. ერთ ყლორტზე მწვანე კენჭებით მოცემულია ფოთოლი. ასეთივე ფოთლების კვალი შერჩენილია მეორე მხარესაც. ვაზის ძირთან წითელი და მუქი ლურჯი კენჭებით გამოსახულია სიმწიფეში შესული მტევანი, რომელიც ყლორტის მოხაზულობის მიხედვით, ამ ვაზის ძირიდან განშტოებულ ყლოტს უნდა ეკუთვნოდეს. მოზაიკის სხვა ფრაგმენტებზე იკითხება წითელი და ყავისფერი კენჭებით მოხაზული მცენარის ყლორტები და მწვანე კენჭებით გამოსახული ვაზის ფოთლები (დიღმელაშვილი, 2010: 140).

შემორჩენილი ფრაგმენტების გამოსახულებების მიხედვით, ჩანს, რომ პეტრას მოზაიკაზე გამოსახული ვაზი ფართოდ გაშლილი ყლორტებით წარმოდგენილი მცენარე უნდა ყოფილიყო. ვაზი კი ქრისტიანული სიმბოლიკის ის ელემენტია, რომელსაც საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე ნაყოფიერი ნიადაგი დახვდა გავრცელებისთვის (დიღმელაშვილი, 2010:131).

პეტრას მოზაიკა თავისი იერით, შესრულების მანერითა და სტილით ახლოსაა ბიჭვინთის სატაძრო კომპლექსების მოზაიკასთან, თუმცა ბიჭვინთის მოზაიკის მრავალფეროვან კომპოზიციებში ვაზის გამოსახულებები არ გვხვდება (Мацулевич Л., 1978: 100-168), (Шервашидзе Л., 1978: 168-193).

გვიანანტიკური ადრეშუასაუკუნეების სამხრეთ-დასავლეთ საქართველო მძლავრ ქრისტიანულ მხარედ გვევლინება. ლოგიკური და სავსებით სანდო ჩანს პეტრას საეპისკოპოსო კათედრის არსებობაც. კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს VII-IX საუკუნის საეკლესიო ნუსხებში მოხსენიებულია ფაზისის სამიტროპოლიტოში შემავალი პეტრას საეპისკოპოსო. კერძოდ ის, რომ პეტრელი ეპისკოპოსი 692 წელს ესწრებოდა VI მსოფლიო საეკლესიო კრებას და ხელი მოაწერა კრების დადგენილებებს (გეორგიკა IV, 1952: 187-188). ჩვენ პეტრა-ციხისძირის იგივეობის თაობაზე ვრცელი მსჯელობა ქვემოთ ცაკლე თავში გვექნება, თუმცა აქ დავსძენთ, რომ ციხისძირში შესწავლილი ქრისტიანული არქიტექტურული ძეგლები ხაზს უსვამს და დამაჯერებელს ხდის პეტრას ციხისძირთან საბოლოო იდენტიფიცირებას და ამტკიცებს აქ საეპისკოპოსო ცენტრის არსებობას.

# თავი IV. საქალაქო ცხოვრება და სოციალურ-ეკონომიკური გარემო

ტრანსფორმაციის ხანა საქართველოსთვის ურთულესი ისტორიული პროცესი იყო. ქვეყნის სხვადასხვა ნაწილი აღმოსავლური და დასავლური ცივილიზაციების, კულტურების გავლენას განიცდიდა და ამავდროულად ინარჩუნებდა ადგილობრივ, ორიგინალურ, ტრადიციულ ხასიათს.

ჯერ კიდევ ფორმირების პროცესში მყოფი ბიზანტია ვითარდებოდა, საკუთარ იდენტობასა და სახეს იძენდა არამარტო ბერძენი მოსახლეობის, არამედ იმპერიის სხვადასხვა ნაწილში, მეტ-ნაკლებად ელინიზებული ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობით. სომეხთა, ქართველთა, სერბთა, ბულგარელთა, ლათინთა, სირიელთა და კაბადოკიელთა ადგილობრივი ტრადიციები მნიშვნელოვნად მოქმედებდა ბიზანტიური კულტურის ჩამოყალიბების პროცესზე. შეიძლება ითქვას, ბიზანტიამ საკუთარ სახეში მოახდინა ამ ხალხთა კულტურული ტრადიციების ასილიმილირება. ქრისტიანული აღმოსავლეთის ხალხური ტრადიციული ხელოვნება მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო ბიზანტიური ხელოვნების განვითარებისათვის (მაჩაბელი, 2009: 435).

ადრებიზანტიური კულტურა ეს ქალაქური კულტურაა, სადაც რელიგიურთან ერთად ვითარდება საერო კულტურაც, რითაც იგი ინარჩუნებს უწყვეტ კავშირს წინარე ანტიკურ ცივილიზაციასთან, ამითაა განსაკუთრებული ტრანსფორმაციის ეს შთამბეჭდავი ხანა. აღმოსავლეთ საქართველოსგან განსხვავებით ტრანსპორმაციის მეორე ეტაპი, V-VI საუკუნეები, დასავლეთ საქართველოში მძალვრი ურბანული ცენტრების შექმნით აღინიშნა, ბრწყინვალე საქალაქო ინფრასტრუქტურითა და ქრისტიანული ხუროთმოძღვრული ნაგებობებით. რაღა თქმა, უნდა ამას განაპირობებდა ბიზანტიის იმპერიასთან და მის ბუფერულ ქვეყნებთან მჭიდრო ურთიერთობები და ფეოდალიზაციის პროცესის თავისებურება.

წერილობითი და არქეოლოგიური წყაროები ადასტურებენ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არამარტო სავაჭრო ეკონომიკურ კავშირებს, ჯერ კიდევ აღმოსავლეთ რომის, შემდგომში ბიზანტიის მომიჯნავე რეგიონებთან, არამედ, ხაზს უსვამენ დასავლური კულტურის ელემენტების შერწყმას ადგილობრივ, კოლხურ, მაშასადამე

საერთო ქართულ კულტურასთან. სწორედ ასეთ ფენომენს გულისხმობდა ანდრია აფაქიძე, როცა სამსჯელოდ შემოჰქონდა ისეთი განსაზღვრებები, როგორიცაა - „ბიზანტიურ-კავკასიური“, „ბიზანტიურ-ქართული“, „ბიზანტიურ-კოლხური“ კულტურები. ღრმა კავშირების მიუხედავად ეს კულტურა, თავისი მრავალფეროვნებით სრულიად განცალკევებულია ქართლში მიმდინარე ფეოდალური პროცესებისა და საქალაქო ცხოვრების დაქვეითების კონტექსტისაგან.

ახ.წ. V საუკუნის ანონიმი ავტორის გადმოცემით, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შავიზღვისპირეთში ზიდრიტები ცხოვრობდნენ (გეორგიკა II, 1965: 3). მაქელონებსა და ჰეინოხებს მოსდევთ ზიდრიტები, მათ კი ლაზები (გეორგიკა II, 1965: 8). ზიდრიტები გარკვეულწილად აღმოსავლეთ ქართული ენობრივი კუთვნილებისა იყვნენ. იუსტინეს ნოველები გვამცნობენ, რომ ამ მხარეში ისეთი ქალაქი, როგორიცაა ნეოკესარია, ტრაპეზუნტი, კერასუნტი და ა.შ არის მხოლოდ ქალაქი პეტრა. იქვე დასძენს, რომ ამ მხარის მეზობლად რომაელები, კერძოდ პონტოელები ცხოვრობდნენ (გეორგიკა II, 1965: 33-35, 101). V საუკუნის მიწურულიდან ბიზანტიის იმპერიის საზღვარი უკვე მდ. ჭოროხზე გადის. აფსაროსი და მისი სანახები უშუალოდ იმპერიის საზღვრებში ექცევა, ხოლო პეტრა და მისი შემოგარენი მართალია ლაზეთის სამეფოს შემადგენლობაშია, თუცმა, იგი ბიზანტიელთა უშუალო სავაჭრო-ეკონომიკურ კონტროლს დაექვემდებარა.

უკვე არაერთგზის ვთქვით, რომ, როცა ვსაუბრობთ საქართველოში IV-VII საუკუნეების საქალაქო ცენტრებზე, რაღა თქმა უნდა პეტრა მათ შორის ერთ-ერთ მოწინავე ადგილზე უნდა განვიხილოთ. იგი წარმოადგენდა გვიანანტიკური ადრეშუასაუკუნეების ციხე-ქალაქის კლასიკურ ნიმუშს, მას ჰქონდა აკროპოლისი, გარექალაქი - უბნებითა და სამოქალქო ნაგებობებით. პეტრას საქალაქო ტიპის დასახლება - ესაა აკროპოლისის ჩრდილოეთი დაბლობი ტერიტორიის ვიწრო ზოლი - მოქცეული ზღვის სანაპიროსა და ციხისძირის გორაკ-ბორცვოვან ზოლს შორის. ციხესიმაგრის ბორცვის ძირში, იქ სადაც ამჟამად მოქმედი საავტომობილო გზა გადადის ვაკე ტერიტორიაზე, დაბლობის ამჟამინდელი სიგანე 100-110 მეტრს შეადგენს, ხოლო იმ პერიმეტრზე, სადაც საქალაქო ინფრატრუქტურის უკიდურესი მატერიალური დადასტურება იძებნება (ეკლესიის ნაშთების სახით) დაბლობის განი 500 მ-მდე იზრდება.

ჯამში საუბარია არანაკლებ 23 ჰა ფართობის ტერიტორიაზე, რომლის არეალშიც დადასტურებულია გვიანანტიკური-ადრეშუასაუკუნეების ნაშთები. თუ ვიგულისხმებთ, რომ ზღვის დონე აწეულია და შემოსულია ნაქალაქარის ტერიტორიაზე, მაშინ, მისი მასშტაბები საკმაო უნდა იყოს. მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ტერიტორია მთლიანად არ იყო მჭიდრო ურბანული განაშენიანების მქონე დასახლება. უფრო ზუსტი იქნება ვთქვათ, რომ აკროპოლისის ძირში არსებულ შედარებით მომცრო, მეტ-ნაკლებად ურბანული იერის მქონე დასახლებას ირგვლივ, საკმაოდ ვრცელ ტერიტორიაზე, ეკვროდა მეტ-ნაკლები ინტენსივობით განაშენიანებული ტერიტორია, სააგარაკე სახლებით, სამაროვნით, ეკლესიითა და ა.შ (ტაბ. XVI-1).

პეტრას ურბანული სივრცე აკროპოლისის ჩრდილოეთ ბორცვის ფერდობზე ან მის უშუალო სიახლოვეს უნდა განვითარებულიყო. დასახლების საკულტო ნაგებობა თავიდანვე აკროპოლისის ტერიტორიაზე უნდა ვივარაუდოთ. ხოლო დასახლებას სასაფლაო დაბლობ ტერიტორიაზე ჰქონდა, იქ სადაც გასული საუკუნის 80-იან წლებში შესწავლილი იქნა ანტიკური და ელინისტური ხანის 300-მდე სამარხი. ისინი კონცენტრირებულია ციხესიმაგრის ბორცვის ძირში ჩამომავალი ღელის გაღმა, რაც სავსებით ჯდება ანტიკური დაკრძალვის ტრადიციებში. აქვეა ფიქსირებული ადრეშუასაუკუნეების 14 სამარხი, რომელიც განლაგებულია ამავე პერიოდის აბანოს შორიახლოს. სამარხთა რაოდენობის სიმცირე გვაფიქრებინებს, რომ სასაფლაოსთვის განკუთვნილი ტერიტორია, უფრო დაბლობის სიღრმეში გამოიყო. ეს ადგილები კი ახალი ნაგებობებით იქნა ათვისებული. ამ მომცრო აბანოს დასავლეთით, შესწავლილია კიდევ ერთი აბანო (№1), რომელიც საკმაოდ დიდია და მას საზოგადოებრივი დანიშნულება გააჩნდა (ინაიშვილი ნ., 1993: 51). როგორც ჩანს, დასახლება გვიანანტიკურ-ადრეშუასაუკუნეებში უფრო საქალაქო ტიპის ფორმას იძენს და დაბლობი ტერიტორიის უფრო მეტ ფართობს იჭერს. აქ შესწავლილი ამ ეპოქის აბანოები გვაფიქრებინებს მის ირგვლივ დასახლების არსებობას (ტაბ. XVI-2).

პეტრას ნაქალაქარის ტერიტორიაზე, ზღვასთან ახლოს, შესწავლილია სასახლე (ტაბ. XIII-2). მისი ფართობი 600 კვ.მ-ია (სიგრძე 27,8, სიგანე 20 მ.) და იგი წარმოადგენს სხვადასხვა დანიშნულების შენობათა კომპლექსს. ესენია კვადრატული ფორმის კოშკისებრი სათავსოებით აღჭურვილი შიდა ეზო, ანფილადურად განლაგებული აბანო,

დარბაზული ეკლესია, მარანი და ა.შ. იგი მდიდრული იერსახისაა, ჰქონდა პორტიკიანი შესასვლელი. აბანოს კედლები და იატაკი მოპირკეთებული იყო მარმარილოს ფილებით, ხოლო მის მოსაწყობად გამოყენებულია ბრინჯაოს ლარტყები. ფრიგიდარიუმის განყოფილებაში შემორჩენილია მარმარილოსა და თიხის კვადრატული ფორმის ფირფიტებისგან შედგენილი მოზაიკა. ერთ-ერთ ფილაზე შემორჩენილია ამოკაწრული ბერძნული წარწერა „უფალო შემეწიე“ (ტაბ. XIII-4). ციხისძირის ნაქალაქარის სასახლე IV-VI საუკუნეებით თარიღდება და ადგილობრივი, მმართველი არისტოკრატიის სამოსახლო უნდა ყოფილიყო (Inaishvili, Tavamaishvili, 2001: 36), (კახიძე ა., ხალვაში, 2009: 106). ციხისძირის სასახლის კომპლექსი გეგმარებით და კონცეფციით ემსგავსება შუხითის სააგარაკო სახლს. ეს მსგავსება განსაკუთრებით ეხება აბანოს. შუხუთის აბანო გამორჩეულია მოზაიკური იატაკით (Закарая П., Леквинадзе А., 1968: 225-237).

სამოქალაქო და ხუროთმოძღვრული მშენებლობის ტექნიკა, არქიტექტურული დეტალები და ფორმები ამტკიცებს, რომ პეტრაში იცნობდნენ და იყენებდნენ იმ ეპოქის რომაულ-ბიზანტიური სამყაროს, განსაკუთრებით კი აღმოსავლეთ პროვინციებში დამკვიდრებულ ტენდენციებს. სამშენებლო საქმე მაღალ დონეზეა. კარგად ორგანიზებული ჩანს სამშენებლო მასალების წარმოება და ქალაქის სამშენებლო რესურსებით მომარაგებაც.

ქალაქი უზრუნველყოფილი იყო სანიტარულ-ჰიგიენური მომსახურებით, რაზეც მეტყველებს ქალაქში საზოგადოებრივი აბანოს არსებობაც. ერთი ამგვარი აბანო ზღვის თანამედროვე სანაპიროდან 25 მ-ის დაშორებით მდებარეობს, დამხრობილია ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით. ნაგებობის საერთო სიგრძე 20 მ, უდიდესი სიგანე კი 10 მ-ია. აბანო ანფილადურია და შედგება ექვსი განყოფილებისაგან: №1 - აპოდიტერიუმი, ცივი წყლის აბაზანა ან აუზი, აბანოს ყველაზე დიდი განყოფილება; №2 - ფრიგიდარიუმი, ცივი აუზი, მისთვის დამახასიათებელი ჰიდრავლიკური ხსნარით შელესილი და ნაწილობრივ აგურით მოპირკეთებული იატაკი, აუზში ჩასასვლელი საფეხურები და მის კედლებში ჩაშენებული წყლის მილები; №3 - ტეპიდარიუმი, უაფსიდო სათავსია აბაზანის გარეშე. №4 - კალდარიუმი, ორაფსიდიანი ძირითადი სააბაზანო განყოფილება; №5 - პრეფურნიუმი, საცეცხლე

განყოფილება; №6 - დაუდგენელი დანიშნულების სათავსი (ტაბ. XIII-2) (ინაიშვილი ნ, 1993: 44).

აბანოს საძირკველი და კედლები ნაგებია დაუმუშავებელი ბაზალტის ქვით დუღაბზე, საპირე მხარე შედარებით ჩამოსწორებულია, მშენებლობისას გამოყენებულია რიყის, მომცრო ზომის ბაზალტის ქვები, ასევე აგურისა და კრამიტის ნატეხები (Opus incertum). დადასტურებულია აგურის ჰორიზონტალური რიგებიც (Opus mixtum), რაც ასე დამახასიათებელია რომაული და ბიზანტიური პერიოდის ნაგეობებისათვის. აბანოს კუთხეები და სხვა საკვანძო ადგილები მთლიანად აგურითაა მოწყობილი. შენობის შესასვლელი პონტიკით იყო გადაწყვეტილი. შენობის კედლების სისქე სხვადასხვა განყოფილებაში განსხვავებულია, იგი მერყეობს 0,65-0,8 მ-ს შორის. ნაგებობა გადახურული იყო ერთიანად ხის კოჭებითა და ნივნივების კონსტრუქციით, მასზე დაფარული იყო ბრტყელი გვერდებაკეცილი კრამიტი (ინაიშვილი ნ., 1993: 44-47). საზოგადოებრივი აბანოს აღმოსავლეთ მხარეს, 70 მ-ის მოშორებით გაითხარა კიდევ ერთი აბანო. იგი შედარებით მომცრო ზომისაა (13x8 მ), განსხვავებაა, ასევე ნაგებობის გეგმარებაშიც. აბანო შედგება ანფილადურად განლაგებული ხუთი განყოფილებისაგან (ინაიშვილი ნ., 1993: 48).

სამოქალაქო დანიშნულების შენობების სიმრავლით გამორჩეულ ქალაქს, ბუნებრივია კარგი წყალმომარაგების სისტემა გააჩნდა. ამას არქეოლოგიურ მონაპოვრებთან ერთად პროკოპის ცნობებიც ამყარებს. ჩვენი აზრით, ციხე-ქალაქს საჭირო წყლის მიღება რამდენიმე უბნიდან შეეძლო. საკუთრივ აკროპოლისს სასმელი წყლის არანაკლებ ორი, ერთმანეთისგან დამოუკიდებელი წყარო გააჩნდა. ერთ-ერთი მათგანია ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ვიწრო და გრძელი ხეობა. შევნიშნავთ, რომ ხეობის შუა წელში არსებული წყაროები აკროპოლისიდან 700-800 მეტრითაა დაშორებული. ისინი ზღვის დონით აკროპოლისში არსებულ ნაგებობებზე მაღლა ექცევა. რაც, განსაკუთრებული პირობა იქნებოდა ციხესიმაგრეში წყლის შეუფერხებელი მიწოდების უზრუნველსაყოფად. ამასთან ერთად ხშირ, ქვეტყით მდიდარ კოლხურ ტყეში, ვიწრო ხეობაში მოწყობილი სამარაგე ავზები და გრუნტში ჩაწყობილი, მასთან დამაკავშირებელი თიხის მილებით მოწყობილი ერთი ან შეიძლება ორი მაგისტრალი მტრისთვის რთული აღმოსაჩენი იქნებოდა (ტაბ. XXX-1).

აკროპოლისის სასმელი წყლის მეორე წყარო, პირდაპირი გაგებით, მდებარეობს ციხესიმაგრის ორ ბორცვს შორის დამაკავშირებელი ე.წ. დერეფნის ტერიტორიაზე. კერძოდ, დასავლეთ ზღუდესთან ახლოს, ზღვის მხარეს მოქცეულ უბეში.[17] ეს წყარო ციხესიმაგრის კომპლექსში ექცეოდა, რითაც წყლის მცირე დებეტის მიუხედავად, ალყის დროს სრულად უზრუნველყოფდა გარნიზონს სასმელი წყლით. პეტრას აკროპოლისს შესაძლოა ჰქონდა სასმელი წყლის სხვა ალტერნატილი მარშრუტიც, თუმცა იგი ადგილობრივი რელიეფის ხასიათიდან გამომდინარე, ვერ იქნებოდა საკვანძო მნიშვნელობის მატარებელი.

პეტრას ტერიტორიაზე დღემდე შესწავლილი შენობა-ნაგებობები და გამოვლენილი არქეოლოგიური მასალა გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ქალაქის სოციალურ სტრუქტურაზე. ერთმანეთის თანადროული, მოზრდილი ზომის სატაძრო კომპლექსები გვაფიქრებინებს, რომ ქალაქის მოსახლეობის ნაწილს სასულიერო პირები შეადგენდნენ. არისტოკრატიაც ქრისტიანული თემის ნაწილია. კერძო სასახლის კომპლექსში ისინი აწყობენ მცირე ეკლესიებს, რაც ხაზს უსვამს მათ ქრისტიანულ იდენტობას. ქალაქის სოციალური სტრუქტურის ნაწილი უნდა ყოფილიყვნენ მშენებლები და ხელოსნები. სოციალურ ჯაჭვში კი განსაკუთრებული ადგილი სამხედროებს უნდა ჰქონოდათ, რასაც გარკვეულ პერიოდში ხელი შეუწყო პეტრას სამხედრო მნიშვნელობის გაზრდამ.

ადრებიზანტიური ხანის საინტერესო ინფრასტრუქტურა შესწავლილია გონიო-აფსაროსშიც. აფსაროსი მდებარეობს შავი ზღვის სანაპიროზე მდ. ჭოროხის სამხრეთით, თანამედროვე სოფ. გონიოს ტერიტორიაზე. წერილობითი და არქეოლოგიური წყაროებიდან ჩანს, რომ ციხესიმაგრე ახ.წ. I საუკუნის მეორე ნახევარში იმპერიის ჩრდილო-აღმოსავლეთის საზღვრების დაცვის მიზნით რომაელებმა ააგეს. რომაული გარნიზონები აქ IV საუკუნის მეორე ნახევრამდე დგას, რის შემდგომაც აქ აქტიური ცხოვრების ნიშანწყალი ქრება, ამას მოწმობს, არამარტო წერილობითი წყაროების სიმცირე, არამედ ამ ეპოქის არქეოლოგიური მასალის უქონლობა (მამულაძე, კახიძე ე., ხალვაში, 2012: 237). VI საუკუნის 30-იანი წლებიდან აფსაროსი ხდება დამხმარე ხასიათის სამხედრო-ლოჯისტიკური პუნქტი. ექცევა რა ბიზანტიის იმპერიის უშუალო

[17] ეს ნიუანსი ადრევე იქნა შემჩნეული (ინაიშვილი ა, 1974: 130).

საზღვრებში, აფსაროსი იქცა სასაზღვრო სიმაგრედ, რომლის ფუნქცია მნიშვნელოვნად გაიზარდა ლაზეთის დიდი ომის დროს, მით უფრო პეტრას დაცემის კვალდაკვალ (ტაბ. XVII-1).

გონიო-აფსაროსის ტერიტორიაზე დღეის მდგომარეობით ადრებიზანტიური ხანის კულტურული ფენები შესწავლილია შიდაციხის ცენტრალურ ნაწილში. ჩანს, რომ აქ კრამიტით გადახურული ნაგებობა იდგა, რომელსაც კარგად ათარიღებს სახურავის ქვეშ მოქცეული კერამიკული ნაწარმის ნაშთები. ამ ეპოქის ნახანძრალი ფენა შესწავლილია ციხის №2 კოშკში, სადაც აღმოჩენილია იუსტინიანეს სახელზე მოჭრილი მონეტა, ადგილობრივი წელშეზნექილი ამფორები და ა.შ. ფაქტია, რომ ამ დროისთვის ბიზანტიელებს აღუდგენიათ ციხესიმაგრის გარკვეული უბნები და მას ინტენსიურად იყენებდნენ (ლორთქიფანიძე, ნონეშვილი, 2002: 168-169). ამ ეპოქის შემცველი ფენები დაფიქსირდა ციხის სამხრეთი კარიბჭის მიმდებარე მონაკვეთებზეც. აქ სამეურნეო დანიშნულების კერამიკასთან ერთად, აღმოჩენილია წითელლაკიანი ჭურჭლებისა და მინის სასმისის ფრაგმენტები. ძველი რომაული ყაზარმების ნანგრევებზე გამოვლინდა წყალგაყვანილობის სისტემის ერთი მთლიანი ზოლიც (ტაბ. XVII-2. ტაბ. I-6). ხელხალაა ათვისებული ციხესიმაგრის №20 კოშკიც. ეს უბანი უფრო სარდაფი-საწყობის დანიშულებით უნდა ყოფილიყო გამოყენებული. ადრებიზანტიური ხანის ფენები შესწავლილი იქნა №21 და №10 კოშკებშიც, რომელშიც დაფიქსირებულია სამეურნეო, სამზარეულო და შინსახმარი კერამიკის დიდი რაოდენობა. ამ უბნებისთვის დამახასიათებელია მკვეთრად გამოხატული ნახანძრალი ფენები, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ტერიტორიაზე ძირითადად ხის ნაგებობები იდგა. ამას აქ აღმოჩენილი რკინის ლურსმნების დიდი რაოდენობაც ადასტურებს. ამავე ფენებში აქა-იქ შეინიშნება ქვის ყრილები და მოგრძო, უსისტემო ფორმის ნაგებობის კონტურები. აქვე მიკვლეულია მოზაიკის ფრაგმენტიც (მამულაძე, კახიძე ე., ხალვაში, 2012: 238).

ზემოაღნიშნული მოზაიკა სავარაუდოდ, მოზაიკური იატაკის ნაწილია (ტაბ. XV-2). იგი მოწყობილია კირისა და ქვიშისგან მომზადებულ გრუნტზე. მომცრო ზომის (საშაულოდ 1,2x1,5 სმ), ოთხკუთხა ფორმისა და ჩამქრალი თეთრი ფერის, უხეშად დამუშავებული კირქვის კუბები მწყობრადა ჩალაგებული. აფსაროსის მოზაიკური იატაკი სქელ გრუნტზეა მომზადებული (სისქე 3,4 სმ). მაგალითად, ბიჭვინთის საერო მოზაიკის

გრუნტის სისქე 2-2,5 სმ-ია (ჭყონია, 1978: 198). აფსაროსში აღმოჩენილი მოზაიკის ფრაგმენტის მცირე ზომა (8,4x8,7სმ) ართულებს მის სრულფასოვან გააზრებასა და შესრულების ტექნიკის დადგენას. ერთი რამ ცხადია, ეს უნდა იყოს აფსაროსში ბიზანტიური გარნიზონის დგომის დროს (VI-VII სს) მოწყობილი საერო დანიშნულების ნაგებობის იატაკის ნაწილი. საერო მოზაიკის ნიმუშები ადრებიზანტიურ ხანაში ფართოდაა გავრცელებული. ამ მხრივ, განსაკუთრებული მრავალფეროვნებით ცნობილია ბიჭვინთის ნიმუშები. მოზაიკის ფრაგმენტები დაფიქსირებულია ციხისძირის სასახლის კომპლექსშიც.

ადრებიზანტიური ხანისაა ფილებისა და კრამიტყრილის ერთიანი ფენა აფსაროსის ცენტრალურ ნაწილში (NW-I და NO-I სექტორები). აქ ბიზანტიური ფენის სიმძალვრე 50-60 სმ-ია და იგი უხვად შეიცავდა ადრეშუასაუკუნეების მასალას. იგივე ითქმის ციხის ჩრდილო-დასავლეთ მონაკვეთზეც (NW- XI, XII სექტორი), სადაც წარმოებული გათხრების შედეგად, გამოვლინდა ამ ეპოქის შემცველი ფენები და არტეფაქტები (ხალვაში, 2002ბ: 136-137), (მამულაძე, როგავა, 2023), (მამისეიშვილი, 2023).

ამრიგად, აფსაროსის რომაულ კასტელიუმში საწყობებად და სარდაფებად გადაკეთებული სასიმაგრო კოშკები, ციხის ტერიტორიაზე მოწყობილი წყალსადენი, ციხესიმაგრის შიდა სივრცეში ხის ნაგებობათა განლაგების ვრცელი არეალი (თუ კი ვიმსჯელებთ ტერიტორიაზე ფიქსირებული ნახანძრალი ფენის მიხედვით), ქვის ნაგებობათა კონტურები და ფრაგმენტები, ადგილობრივი წარმოების დიდძალი სამეურნეო კერამიკული ნაწარმი, აქ მოპოვებული სამზარეულო და შინსახმარი კერამიკის და ზოგადად ინვენტარის დიდი ასორტიმენტი გვაფიქრებინებს, რომ ახ.წ. VI საუკუნისთვის აფსაროსი მოკლე დროში აღდგა როგორც ბიზანტიის მძლავრი სასაზღვრო პუნქტი, სამხედრო ოპერაციების სამარაგო, ლოჯისტიკური კვანძი, სადაც მუდმივად იყო ბაზირებული სამხედროთა მცირე ნაწილი მაინც.

უნდა აღინიშნოს, რომ ადრეშუასაუკუნეების ხანის მასალები ცნობილია ბათუმის ციხისა და მის მიმდებარე ტერიტორიიდანაც. ჯერჯერობით არ არის დადგენილი ეს მასალა თანადროული სამოსახლოსთანაა კავშირში თუ აქაც რომაელთა/ბიზანტიელთა სამხედრო ნაწილის დგომასთან უნდა გვქონდეს საქმე. ამ საკითხზე მსჯელობას არქეოლოგიური და წერილობითი მასალის სიმცირე ართულობს.

ვ. ლექვინაძე ფიქრობდა, რომ ბათუმის ციხე შესაძლოა ყოფილიყო იუსტინიანეს მიერ ლაზეთში აგებული ლოსარიონის სიმაგრე (გეორგიკა II, 1965:220-221), რომელიც, მისი მოსაზრებით, უნდა მდგარიყო აფსაროსსა და პეტრას შორის. ბათუმის ციხის ნანგრევების განხილვისას მკვლევარი სასიმაგრო კედლის წყობაში ადრებიზანტიური ხანისთვის დამახასიათებელ კედლის წყობის (აგურისა და სამშენებლო ქვის მონაცვლეობა) მომცრო მონაკვეთის იდენტიფიცირებას ახდენს. მკვლევარის აზრით ბათუმის ციხის საერთო გეგმარებაც ადრებიზანტიურ პერიოდთან უნდა იყოს კავშირში და მაგალითად მოჰყავს დასავლეთ საქართველოში ამ გეგმარების მქონე რამდენიმე სიმაგრე (Леквинадзе, 1973: 171-173).

ადრებიზანტიურ ხანაში ბათუმის ციხის ბორცვის აქტიური გამოყენების აზრს თითქოს მხარს უჭერს, აქ ჩატარებული სამუშაოების შედეგად მიღებული სურათი - კერძოდ ძეგლის თავისებური სტრატიგრაფია და ამ პერიოდის არქეოლოგიური მასალა, რომლის სიმცირეც არ იძლევა არსებითი დასკვნების გაკეთების საშუალებას. გასული საუკუნის 60-იან წლებში განხორციელებული გათხრების შედეგად გამოჩნდა, რომ ადრეშუასაუკუნეებში ბათუმის ციხის ბორცვის ნიველირება ისევ მომხდარა, რა დროსაც იქ მოიხსნა ელინისტური ხანის შემცველი ფენა, რომელიც ციხის ბორცვის ირგვლივ მიმოიფანტა და რომლის ზემოთაც მოექცა ადრეშუასაუკუნეების მომცრო და განვითარებული შუასაუკუნეების შედარებით მძლავრი კულტრული ფენა. ნავარაუდევია, რომ ბორცვის ნიველირება დაკავშირებული უნდა ყოფილიყო ბორცვზე ახალი სამშენებლო უბნის გამართვასთან (კახიძე ა, ხახუტაიშვილი, 1989: 57-58). ბათუმის ციხეზე მოპოვებულ ადრეშუასაუკუნეების მასალებში მკვლევართა ყურადღება მიიქცია სამშენებლო და საყოფაცხოვრებო კერამიკის, განსაკუთრებით ამფორების ნატეხებმა. აქ მოპოვებულია აგურების, ღარიანი და ბრტყელძირიანი კრამიტების, ასევე წყლის მილების ფრაგმენტებიც. უფრო გვიანდელი საუკუნეების უნდა იყოს დერგის, ქვევრისა და სხვა საყოფაცხოვრებო დანიშნულების კერამიკული ნაწარმის ფრაგმენტები (კახიძე ა, ხახუტაიშვილი, 1989: 72-73, 91). როგორც ჩანს, ბათუმის ციხის ბორცვს, რომელიც წინანატიკურ და ანტიკრ ხანაში აქტიურ სამოსახლო ცენტრს წარმოადგენდა, ადრეშუასაუკუნეებში გარკვეული დატვირთვა კვლავ მიეცა. თუმცა მისი მნიშვნელობა ლოკალური იყო. მოგვიანებით, განვითარებულ შუასაუკუნეებში, იგი მძლავ

საფორთიფიკაციო ნაგებობად ჩამოყალიბდა. მართალია ლექვინაძისეული მოსაზრება - ბათუმის ციხის ლოსარიონთან გაიგივების შესახებ არ არის გაზიარებული, მაგრამ ერთი რამ ცხადია, - სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სანაპირო მთიწინა ზოლი გვიანანტიკურ-ადრეშუასაუკუნეებში კარგად დასახლებულ მხარედ გამოიყურება.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლებზე აღმოჩენილი მასალები გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნიან რეგიონის სავაჭრო-ეკონომიკურ კონტაქტებზე ბიზანტიის მცირე აზიის ქალაქებთან, სამხრეთ შავიზღვისპირეთთან, სირია-პალესტინასთან, საკუთრივ კონსტანტინეპოლთან და საბერძნეთის ქალაქებთან. აქტიური საზღვაო-სავაჭრო კავშირია გაბმული ჩრდილო და დასავლეთ შავიზღვისპირეთის ცენტრებთან. ბიზანტიური ფულის მიმოქცევის არეალი სრულიად ფარავს რეგიონს. შეზღუდულია სასანური ფულის გავრცელების არე, იგი არ სცდება ქობულეთი-ციხისძირის სექტორს და აქაც მისი გამოჩენა ირანელთა მიერ პეტრას ათწლიანი დაკავებით უნდა აიხსნას.

ადგილობრივ წარმოებაში გამორჩეულია სამეურნეო და სამზარეულო კერამიკული ნაწარმი. მეთუნეობა ხელოსნური წარმოების დაწინაურებული დარგია. წელშეზნექილი ამფორები საექსპორტო საქონელიც კი იყო. ადგილზე იწარმოებოდა სამშენებლო ქვა და კერამიკა. მართალია, სამშენებლო საქმეში დიდია მცირე აზიისა და პონტოსპირეთის გავლენა, თუმცა მშენებლ-კალატოზები ადგილობრივები უნდა ყოფილიყვნენ. ისინი კარგად იცნობდნენ ბიზანტიის წიაღში მიმდინარე კულტურულ პროცესებს, ხუროთმოძღვრებისა და ხელოვნების ტენდენციებს.

ბიზანტიურ წერილობით წყაროებს თუ დავუჯერებთ ლაზეთის სამეფო მწირი რესურსების ქვეყანაა, სოფლის მეურნეობა კი ღარიბია. პროკოპის ამ შეფასების ინდიკატორი ისაა, რომ აქ არ არის მარილი, არ მოდის ხორბალი და არც ღვინო (გეორგიკა II, 1965: 96). აგათია ამტკიცებს, რომ ლაზები საზღვაო გზით ვაჭრობდნენ და ამით დიდ სარგებელსაც იღებენ (გეორგიკა III, 1936: 51). ვაჭრობის ინტენსივობას დასავლეთ საქართველოს საქალაქო ცენტრებში მოპოვებული დიდძალი არქეოლოგიური მასალაც ამტკიცებს. ამდენად საინტერესოა რა გაჰქონდათ და შემოჰქონდათ ამ „ღარიბი“ ქვეყნიდან. პროკოპის ცნობით ლაზები მათთვის საჭირო საქონელს ცვლიდნენ ტყავსაფრებზე, ტყავზე, მონებზე (გეროგიკა II, 1965: 73), საექსპორტო რესურსი უნდა ყოფილიყო ხე-ტყე (ლომოური, 1973:174). ბიზანტიის

იმპერიის სავაჭრო ცენტრებიდან (სირია-პალესტინა, მცირე აზია, ბალკნეთი, შავიზღისპირეთ) ძირითადად ხდებოდა მარილის, ხორბლის, ზეითუნის ზეთის, ფუფნების საგნების, ქსოვილებისა და საოჯახო მოხმარების ფუფუნების საგნებისა და ძვირფასეულობის შემოტანა. დასავლეთ საქართველოში ადრეშუასაუკუნეებში აგრარული მეურნეობის ტრადიციული საქმიანობა, ჩანს, რომ სელისა და კანაფის მოყვანა იყო.

ციხისძირში აღმოჩნდა რბილი ხორბლისა და ქერის ნაშთები (მინდორაშვილი, 2021: 33). მათი აქ მოხვედრა პეტრაში ირანელთა გარნიზონის დგომასთანაა დაკავშირებული და მარცვლეული ციხეონის გამოკვების მიზნით იბერიიდან უნდა იყოს შემოტანილი. ქერი შინაურ ცხოველთათვის კონცენტრირებული საკვების დასამზადებლად იქნებოდა გამოყენებული, რასაც მოწმობს აქ ცხენის აღკაზმულობასთან დაკავშირებული ნივთების აღმოჩენაც. იმის გათვალისიწინებით, რომ ქერს ზოგჯერ ხორბალსაც უმატებდნენ შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ხორბლის დეფიციტის დროს, საკვების გამოზოგვის მიზნით, ქერისა და ხორბლის ფქვილისგან (პროპორცია 3/1) მომზადებული პურიც ცხვებოდა. რეგიონი არ იყო მარცვლეული კულტურებით თვითკმარი მხარე, ამითაა განპირობებული ხორბლის აქ შემოტანა. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსთვის ხორბალის ძირითდი წყარო ანატოლიიდან მისი იმპორტი უნდა ყოფილიყო, ამას მოწმობს რეგიონში შესწავლილი ამ ეპოქის სატრანსპორტო კერამიკული ნაწარმის ხასიათი.

ღვინოსთან დაკავშირებით პროკოპი გამონაკლისის სახით მოხირისის მხარეს (ქუთაისის ქვეყანას) ასახელებს, სადაც, მისი თქმით ღვინოც კარგი მოდის. ვფიქრობთ ამგვარი „გამონაკლისი“ უნდა იყოს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ბარი და მთისწინა ზოლი. ბოლო არქეოლოგიურმა აღმოჩენებმა, როგორც აჭარის ზღვისპირეთში, ასევე, მის შიდა რაიონებში კარგად წარმოაჩინა, აქ მევენახეობა-მეღვინეობის დაწინაურებული მდგომარეობა. ამას ადასტურებს არა მარტო დიდი რაოდენობით აღმოჩენილი საღვინე ჭურჭელი, არამედ მარანთა არაერთი კომპლექსის შესწავლა (დუმბაძე, 2022: 158-160).

ახ. წ. IV – VII საუკუნეებში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობაში გავრცელებული იყო ქრისტიანული რელიგია (დიასამიძე, 2009: 214-215). ამაზე

მეტყველებს რეგიონში შესწავლილი ამ ეპოქის საეკლესიო ნაგებობები. ციხისძირის დაბლობზე შეწავლილ დარბაზულ ეკლესიაში მიკვლეული იქნა 11 ორმოსამარხი და ერთიც ამფორასამარხი. სამარხების დიდი ნაწილი უინვენტაროა, რაც იმაზე მეტყველებს რომ ქრისტიანული დაკრძალვის წესი უფრო დომინანტი გახდა. ამის მიუხედავად. ჯერ კიდევ ცოცხლობს სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ბერძნულ ეთნოსთან დაკავშირებული ანტიკური დაკრძალვის წესი. ზოგიერთ სამარხში აღმოჩენილია სამოსთან დაკავშირებული ნივთები: მშვილდსაკინძები, ასევე სამკაული. იგივე შეიძლება ითქვას ფიჭვნარის მაგალითზეც.

ფიჭვნარის ძვ.წ V საუკუნის ბერძნული და კოლხური ნეკროპოლის ტერიტორიაზე ჯამში შესწავლილი იქნა 10 სამარხი. ყველა მათგანი ორმოსამარხია. სამარხეული ინვენტარისა და დაკრძალვის თავისებურებების გათვალისწინებით, სამარხები ახ.წ. IV საუკუნით თარიღდება. სამარხები ძირითადად დასავლეთისკენაა დამხრობილი და წაგრძელებული ფორმა აქვთ. მათი სიგრძე 2,6-2,2 მეტრამდე მერყეობს, სიგანე 0,75-დან 0,9 მეტრამდე. სამარხები ჩაჭრილია ქვიშნარ გრუნტში. საერთო ჯამში, სამარხები პეტრა-ციხისძირში შესწავლილ ორმოსამარხების მსგავსია (ინაიშვილი ნ., 1993: 81-98). პეტრა-ციხისძირში ორმოსამარხებთან ერთად შესწავლილია ამფორა სამარხებიც. პეტრა-ციხისძირისა და ფიჭვნარის ადრეშუასაუკუნეების სამარხებს წინა ეპოქებისგან განასხვავებს დამხრობა, ადრექრისტიანული ეპოქის დაკრძალვის ზოგადი კანონზომიერება. თუმცა ჯერ კიდევ ცოცხლობს ანტიკური ტრადიციები - მიცვალებულთათვის ჩაუყოლებიათ საყოფაცხოვრებო ჭურჭელი, საბრძოლო იარაღები და სამკაულები.

ამრიგად, სამხრეთ-დასავლეთ საქართველო თავისი სავაჭრო-ეკონომიკური კონტაქტებით, სოციალურ-კულტურული და რელიგიური ხასიათით წარმოადგენს ბიზანტიურ ცივილიზაციასთან მჭიდროდ დაკავშირებულ ე.წ. ბიზანტიურ-კოლხური ლოკალური კულტურის ერთგვარ სახესხვაობას.

# თავი V. ადრეშუასაუკუნეების ნივთიერი კულტურის ძეგლები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთში

## §7. კერამიკული ნაწარმი

კერამიკა, როგორც გამძლე და მრავალფეროვანი მასალა წარმოადგენს არქეოლოგიური კვლევა-ძიების ერთ-ერთ უმთავრეს საყრდენს. იგი არის ყველაზე ხელმისაწვდომი წყარო მრავალი არქეოლოგიური პერიოდისთვის. ეს კი ბუნებრივია, რომ ეხება ჩვენ საკვლევ პერიოდსაც - ადრეშუასაუკუნეებს.

ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე, მათ შორის ადრებიზანტიურ ხანაშიც, კერამიკა იყო ყველაზე გამოყენებადი მასალა ადამიანის ცხოვრებაში. „თუ რომელიმე ობიექტის არქეოლოგიური მნიშვნელობა უკუპროპორციულია მის იშვიათობასთან (რადგან, რაც უფრო მეტია ყოველდღიური საგნები, მით უფრო მეტს გვიამბობენ ისინი ყოველდღიურ ცხოვრებაზე), მაშინ, კერამიკა ბიზანტიის იმპერიის ყველა არქეოლოგიურ წყაროს შორის ერთ-ერთი ყველაზე ღირებული უნდა იყოს" აღნიშნავს ქენ დარქი თავის ნაშრომში „ბიზანტიური კერამიკა" (Dark, 2001: 8).

არქეოლოგიურ მასალაში კერამიკული ნაწარმი საკმაოდ დიდ ჯგუფს ქმნის. თავის მხრივ, ეს დიდძალი მასალა დათარიღების, ასევე დამზადების ადგილის განსაზღვრისა და ინტერპრეტაციის მიზნით იყოფა რამდენიმე ჯგუფად - ნაწარმის ფორმის, მოცულობის, მათი დამზადების ტექნიკის, გამოყენებული კეცის, დეკორისა და სხვა ნიშანთვისებების გათვალისწინებით. ამგვარად, ვიღებთ უნიკალურ აღწერილობით ჯგუფებს, რომლებიც გვეხმარება წარმოდგენა შევიქმნათ საკვლევი ეპოქის საზოგადოების ყოვედღიური ყოფისა და კულტურის, სამეურნეო თუ სავაჭრო-ეკონომიკური კონტაქტების გარშემო.

აღიარებულია, რომ ადრებიზანტიური ხანის კერამიკული ნაწარმი შედარებით უხეშია, თუმცა იგი მოიცავს მრავალფეროვან ფორმებს. ესენია: ქვაბ-ქოთნები, ქოთნები, კოჭბები, მათი ხუფები, თეფშები, ლანგრები, ქილები, დოქები, სასანთლეები, კოლბები, ჭრაქები, ამფორები და სხვა. მათი კეცი უხეშია, დამახასიათებელია მინარევების სიჭარბე. თიხის ნაკეთობების ზედაპირი ძირითადად მოპრიალებულია. ზოგი მათგანი დატალღულია ან შემკულია დახრილი ან ჰორიზონტალური ხაზებით. ნაკეთობებს

ხშირად აქვთ პატარა სახელურები და სხვადასხვა ფუნქციური დანამატები (Dark, 2001: 32). ამ ეპოქის კერამიკული ნაწარმი ძირითადად წარმოადგენს რომაული უხეში ჭურჭლის ტრადიციების გაგრძელებას (Dark, 2001: 36).

ანტიკური ტრადიციების უწყვეტობის ნათელი მაგალითია ამფორები და ჭრაქები, ქოთნები და სატრანსპორტო მიზნებისთვის განკუთვნილი სხვადასხვა ნაწარმი. ისინი ფართოდ იყო გავრცელებული რომაულ სამყაროში და მათი წარმოება გრძელდებოდა, როგორც ბიზანტიის იმპერიაში, ასევე მისი საზღვრების მიღმაც. ადრებიზანტიური ტიპის ამფორები, ხშირად რომაულ ეპოქაში დაარსებული საწარმოო ცენტრებში მზადდებოდა და ისინი ვაჭრობაში აქტიურად გამოიყენებოდა.

ადრეშუასაუკუნეებში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს საქალაქო ცხოვრების, სოციალურ-ეკონიმიკური და კულტურული გარემოს შესწავლისათვის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ამ ეპოქის კერამიკული ნაწარმის კვლევას. როგორც ითქვა კერამიკული ნაწარმი წარმოადგენს კაცობრიობის განვითარების ისტორიის ცელკეული ეტაპის შესწავლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან არქეოლოგიურ წყაროს. კერამიკული წარმოების ნივთების მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი ასორტიმენტი წარმოდგენას გვიქმნის ამა თუ იმ ხალხის განვითარების მნიშვნელოვან ეტაპებზე, კულტურათა შორის კონტაქტების მასშტაბებსა და სოციალურ-ეკონომიკურ შინაარსზე.

სხვადასხვა ფუნქციის მქონე გამომწვარი თიხისგან მიღებული მასალები ადამიანის ყოფა-ცხოვრებაში დიდი ხნის წინ გაჩნდა, თუმცა კერამიკული ნაკეთობების ძირითადი დანიშნულება ყოველთვის იყო მისი გამოყენება საკვების მოსამზადებლად, მისართმევად, შესანახად და ტრანსპორტირებისათვის (Orton, Hughes, 2013: 246-247). როგორც წესი, კერამიკული ნაწარმის თავდაპირველი დანიშნულება ხშირად იცვლებოდა მისი მეორადი გამოყენების დროს. მაგალითად, სამზარეულო ან სამეურნეო დანიშნულების ნაკეთობები ხშირად გამოყენებული ჩანს სამშენებლო საქმიანობაში. იგივე ითქმის ამფორების გამოყენებაზე დაკრძალვის წესებში და ა.შ. ამიტომ, როცა ვსაუბრობთ კერამიკული ნაწარმის ფუნქციურ დაყოფაზე მხედველობაში გვაქვს მისი თავდაპირველი დანიშნულება.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ადრეშუასაუკუნეების კერამიკულ ნაწარმს თავისი დანიშნულების მიხედვით სამ ძირითად ჯგუფში ვაერთიანებთ. 1. სამეურნეო

დანიშნულების ჭურჭლები - ესენია საკვების ან სასმელის ხანგრძლივი ვადით შესანახად საჭირო მოზრდილი ჭურჭლები და სითხის ან მყარი საკვების ტრანსპორტირებისათვის გამოსაყენებელი კერამიკული ინვენტარი; 2. სამზარეულოსა და შინსახმარი კერამიკული ინვენტარი, რომელიც მოიცავს 2.1 - საკვების ცხელი და ცივი წესით მომზადებისთვის საჭირო, ასევე მისართმევად გამოსაყენებელ კერამიკულ ნაკეთობებს - სუფრის კერამიკულ ინვენტარს. 2.2 ამ ჯგუფში ვაერთიანებთ ასევე საოჯახო მოხმარების საგნებსა და ინვენტარს - როგორიცაა, მაგალითად, გასანათებლად გამოსაყენებელი ჭრაქები, სანელსაცხებლეები, მოხატული ლანგრები და ა.შ; 3. სამშენებლო კერამიკა - რომელიც მოიცავს მშენებლობასთან და სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებულ კერამიკულ ნაწარმს. სამწუხაროდ, კერამიკული ნაწარმის დიდი ნაწილი ფრაგმენტების სახით და თან, მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი. ეს კი, ართულებს მათი ტიპოლოგიის განსაზღვრას და ინტერპრეტაციას.

თემაზე მუშაობისას ჩვენს ხელთ იყო გონიო-აფსაროსის ტერიტორიაზე 2018-2021 წლებში აღმოჩენილი მასალა. ცალკე უნდა გამოიყოს სამშენებლო კერამიკის ჯგუფი, რომელზე მუშაობისას, გონიო-აფსაროსის მასალასთნ ერთად, დამუშავდა პეტრა-ციხისძირში და ავგიის ნაეკლესიარის ტერიტორიაზე 2015-2021 წლებში აღმოჩენილი სამშენებლო კერამიკის ნიმუშები. ასევე გამოვიყენეთ საკვლევი რეგიონის ძეგლებზე მოპოვებული მასალების გარშემო უკვე გამოქვეყნებული სხვადასხვა პუბლიკაცია.

### სამეურნეო დანიშნულების კერამიკული ნაწარმი

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ადრეშუასაუკუნეების სამეურნეო დანიშნულების ჭურჭლები შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე მრავალრიცხოვანი და უკეთ შესწავლილი არქეოლოგიური მასალითაა წარმოდგენილი. აქ თავმოყრილია დერგები, ქვევრები და ამფორები. ამ ჯგუფში გაერთიანებული ნაწარმის ძირითადი ფუნქცია საკვების, სითხის, მარცვლეულის ხანგრძლივი ვადით შენახვა ან და მისი ტრანსპორტირება იყო. თიხის ეს ჭურჭლები გამოიყენებოდა საერთაშორისო ვაჭრობაში, რითაც იგი ვრცელდებოდა სხვადასხვა სავაჭრო ცენტრებში. ეს განსაკუთრებით ითქმის ამფორებზე, რომლის კვლევაც საშუალებას გვაძლევს

გავიღრმავოთ ცოდნა რეგიონში განლაგებული სამხედრო ბაზების მომარაგების საკითხებზე.

სამეურნეო დანიშნულების ჭურჭლების დიდ ჯგუფს ქმნის **ქვევრები**. ციხისძირის მასალებში ფორმის მიხედვით სამი სახის ქვევრია გამოყოფილი, ოთხკუთხაგანივკვეთიანი პირის გვირგვინის მქონე (პირის დიამეტრი. 36 სმ), ჭრილში სამკუთხა მოყვანილობის პირის გვირგვინის მქონე (პირის დიამეტრი 24-28 სმ) და ჭრილში ვიწრო და წაგრძელებული ოთხკუთხა მოყვანილობის პირის გვირგვინის მქონე (დიამეტრი 24 სმ) ქვევრები. ქვევრები ძირითადად პირისა და ძირის ნატეხებითაა წარმოდგენილი, თიხა მსხვილმარცვლოვანია, ურევია სილა, ქვიშის მარცვლები. კეცი გამომწვარია ღია და ზოგჯერ მოწითალო-მოყავისფროდ (ინაიშვილი ნ. , 1993, გვ. 57).

ქვევრის პირ-ყელის ფრაგმენტი გაიწმინდა პეტრას მე-5 კოშკის გათხრისას, მას პირს ქვემოთ რელიეფური ტალღოვანი სარტყელი მიუყვება, მსგავსად წებელდისა და ნოქალაქევის ანალოგებისა (მინდორაშვილი, 2021: 13). ყავისფერკეციანი ქვევრის ნატეხები შესწავლილია ავგიის ნაეკლესიარის გათხრების დროსაც (მამულაძე, ქამადაძე, ყიფიანი, 2021: 159).

გონიო-აფსაროსში 2018 წელს ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთ მონაკვეთზე წარმოებული გათხრების შედეგად ერთ-ერთ სათავსოში, გამოვლინდა მოზრდილი ზომის ბიზანტიური ხანის ადგილობრივი ქვევრი. იგი წელის შუა მონაკვეთამდეა დაცული. ქვევრის დიდი ნაწილი ჯერ კიდევ დევს კულტურულ ფენაში, რომელიც ჯერ არაა შესწავლილი (დუმბაძე, 2023: 154). განსაკუთრებით დიდი ზომის ქვევრი (სიმაღლე 1,84 მ) აღმოჩნდა სოფ. ჩაისუბანში. განსაკუთრებულია არამარტო მისი ზომა, არამედ მისი რელიეფური დეკორის მქონე ყელი და ტანი. იგი ადრეშუასაუკუნეებითაა დათარიღებული, თუმცა მისი ზუსტი თარიღი ბოლომდე განსაზღვრული არ არის (კახიძე ა., სურმანიძე, 2013: 222-264). გვიანანტიკურობიდან გარდამავლ ხანასთანაა დაკავშირებული მოზრდილი ზომის, ასვე დეკორით შემკული ქვევრების აღმოჩენის არაერთი შემთხვევა თოდოგაურში, თხილნარში, კაპრეშუმისა და ბათუმის შემოგარენში. გვაქვს ქვევერების აღმოჩენის, როგორც ერთეული შემთხვევები, ასევე ისინი შესწავლილია მარნებშიც. უცხოა თოდოგაურის ქვევრის მორთულობაც. იგი შემკულია რელიეფური ქედებით, ყელთან ახლოს დატანილია მკვეთრად გამოხატული

რგოლები, მის ქვემოთ კი სამკუთხა ფორმით განლაგებული სამ-სამი წრე, რაც ქმნის ყურძნის მტევნის გამოსახულების შთაბეჭდილებას. საღვინე ჭურჭლის სიმაღლე 1,45 მ-ია, ტანის დიამეტრი, 1,21 მ, პირის დიამეტრი კი 0,35 მ. მიჩნეულია, რომ რეგიონში გავრცელებული ადრეშუასაუკუნეების საღვინე ჭურჭელის ნაწილი იმპორტირებული იყო სამხრეთ შავიზღისპირეთის რეგიონებიდან (დუმბაძე, 2019: 168-171).

სამეურნეო-სატრანსპორტო დანიშნულების კერამიკულ ნაწარმს შორის ყველაზე მნიშვნელოვან ჯგუფს ქმნის **ამფორები**. ამფორები ფართო გავრცელებით ხასიათდება. იგი გვხვდება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ადეშუასაუკუნეების აქამდე შესწავლილ ყველა ძეგლზე (ფიჭვნარი, პეტრა-ციხისძირი, ავგია, გონიო-აფსაროსი). ამფორები უაღრესად მნიშვნელოვანი და მრავალხმრივი ინფორმაციის მატარებელი ინვენტარია, რეგიონის სავაჭორ-ეკონომიკური კავშირების კვლევის თვალსაზრისით.

ცნობილია, რომ ადრეშუასაუკუნეებში ამფორათა წარმოებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. ანტიკურ ხანაში ამფორები მზადდებოდა ცალკ-ცალკე - კორპუსი, მხრები, ყელი და ძირი ერთმანეთთან შემდეგაა შეერთებული. ახ.წ. IV საუკუნიდან ამფორების კორპუსი და მხრები ერთიანად გამოიძერწებოდა თოკით შედგენილი ბირთვის გარშემო. სწორედ ამის შედეგია ამფორის ტანზე ღარების გაჩენა და ტანდაღარული ამფორების ფართო გავრცელება. V-VI საუკუნეებში, ვხდებით ამფორების ზედაპირების სავარცხლისებრი იარაღით დაღარვას. გავრცელებას იწყებს მრგვალძირიანი ამფორები, რომლებიც ადრე უცნობი იყო. მიიჩნევა, რომ ადრეშუასაუკუნეების ამფორები მეტწილად დაუდევრადაა დამზადებული, ხდება მათი სერიული წარმოება და მეტი აქცენტი კეთდება პრაქტიკაში მის მოხერხებულობაზე.

საკვლევ რეგიონში დღემდე გამოვლენილი ამფორების ტიპოლოგიის განსაზღვრისას, ვიყენებთ მ. ხალვაშის მიერ გონიო-აფსაროსის ადრეშუასაუკუნეების ამოფრებისათვის შემოღებულ სქემას. ეს სავსებით მართებულად მიგვაჩნია, რადგან ავტორის მიერ შემუშავებული ტიპოლოგია ეფუძნება ამფორების მრავალრიცხოვანი და მრავლფეროვანი მასალის კვლევას, მათი საწარმოო კერების დადგენას, თავისებურებებისა და ნიშანთვისებების განსაზღვრას და ა.შ. მართალია, სხვა ძეგლებზეც სხვადასხვა დროს შესწავლილ ამფორებიც გარკვეული ტიპოლოგიური მახასაიათებლებითაა დაჯგუფებული, თუმცა რეგიონის ერთიანი სურათის

განსაზღვრისთვის, ჩვენ მაინც, გონიო-აფსაროსის მასალათა საფუძველზე შემოღებულ ტიპოლოგიას დავეყრდნობით. ამ პრინციპით განვიხილავთ გონიო-აფსაროსის ტერიტორიაზე 2018-2021 წლებში, ციხის ჩრდილო-აღმოსავლეთ და ჩრდილო-დასავლეთ სექტორებში ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად მოპოვებულ ერთეულებსაც.[18]

ქვემოთ მოკლედ მიმოვიხილავთ გონიო-აფსაროსთან დაკავშირებულ ადრეშუასაუკუნეების ამფორათა შვიდ ძირითად ტიპს. ეს ტიპები, ასევე აერთიანებს საკვლევ რეგიონში აქამდე შესწავლილ ამფორათა ძირითად ტიპებსა და ფორმებსაც, მათ შესახებაც ვრცელი სამეცნიერო ლიტერატურა არსებობს და ჩვენ აქ ვრცლად არ შევეხებით.

**I ტიპი** - ამფორათა ამ ჯგუფში გოფრირებულ ზედაპირიანი, ღია ფერის კეცის მქონე ამფორები ერთიანდება. მათ აქვთ ოდნავ გაშლილი, გარეთა გვერდზე ჩაზნექილპროფილიანი პირი, მასიური, ოვალურგანივკვეთიანი ღარებით შემკული ყურები, ამფორის კორპუსი სხვადასხვა ფორმებით გვხვდება. იგი ზოგჯერ უფრო ცილინდრულია, ზოგჯერ კი ოვალური მოყვანილობისა. ტანი ბოლოვდება მრგვალი ძირით - ცენტრში პატარა ზომის კოპით. ტანის, მხრის და ძირის ნაწილი ხშირი ღარებითაა დაფარული, შუა ნაწილზე კი სადა ზოლებია. კეცის ფერი მერყეობს ყვითელიდან ღია ვარდისფერამდე (ხალვაში, 2002: 43).

ამ ტიპის ამფორების ფრაგმენტები გონიო-აფსაროსში ბოლო დროსაც გამოჩნდა (გ.ა. 2018/63, მსგავისა: 79, 234, NO-I; გ.ა. 2021/60, NW-XII.) ერთ-ერთი ამფორის (გ.ა. 2018/51, NO-I) პირის, ყელისა და ყურის ფრაგმენტი მოჩალისფრო-ფორიანი კეცისაა, აქვს ცილინდრული ყელი, ოდნავ გარეთ გადაშლილი, ლილვისებური, უსწორმასწორო, ელიფსური ფორმის პირი. პირს ქვემოთ მიძერწილ სახელურს აქვს უსწორმასწორო, წახნაგოვანი განივკვეთი (ზედა მხრიდან დაუყვება წყვილი ღარი). ამფორის ფრაგმენტს გარედან ეტყობა თეთრი ფერის ანგობის კვალი. ფრაგმენტის სიმაღლე – 11,2 სმ, პირის დიამეტრი – 8,5x9,2 სმ, სახელურის სიფართე – 3,6 სმ, სახელურის სისქე – 2,3 სმ (ტაბ. XVIII-1).

---

[18] ექსპედიციის ხელმძღვანელი შ. მამულაძე, NO-I სექტორის რაზმის ხელმძღვანელი ა. როგავა, NW-XII სექტორის რაზმის ხელმძღვანელი თ. მამისეიშვილი და იაცეკ ჰამბურგი (2019 წ.).

ამ ტიპს უნდა შეესაბამებოდეს ციხისძირის ამოფრათა ტიპოლოგიის II ტიპი, რაც წარმოდგენილია ციხისძირის დაბლობში შესწავლილი ამფორის ორი ფრაგმენტით (ინაიშვილი ნ, 1993: 55).

ამ ტიპის ამოფრებს საკმაოდ ფართო გავრცელება ახასიათებთ. ისინი გვხვდება როგორც მცირე აზიაში, ასევე მთელს შავიზღვისპირეთში, საბერძნეთსა და ეგვიპტეში. ამფორების გავრცელების ქრონოლოგიური ჩარჩო IV-VII საუკუნეებია. საწარმოო ცენტრებად კი მცირე აზია და ჩრდილოეთ სირიაა მიჩნეული. ასევე მოიაზრება სამხრეთ შავიზღვისპირეთიც. ამგვარი ამფორებით ძირითადად ზეითუნის ზეთი და ღვინო გადაჰქონდათ (Robinson, 1959:115), (Воронов, Бгажба, 1985:71), (Сазанов, 1989: 4), (ლორთქიფანიძე, 1991: 78), (ხალვაში, 2002: 43-44).

II **ტიპი** - ესაა ცილინდრულტანიანი ამფორების სახელწოდებით ცნობილი ამფორები. ფორმის სპეციფიკურობის გამო, მათი დანიშულებაც განსაკუთრებული უნდა ყოფილიყო. ამგვარ ამფორებს არააქვთ ყელი. მათი ფართო, კიდისკენ მცირედ შესქელებული პირი უშუალოდ კორპუსზეა დაძერწილი. ამფორებს განსაკუთრებულ იერს სძენს პატარა ზომის ყურები, რომელთაც უფრო ფორმალური დანიშნულება (ან მხოლოდ ერთმანეთთან თოკით შეკავშირების ფუნქცია აქვთ - თ.დ). ამგვარი ამფორის ტანი განსხვავებული ვარიაციებითაა წარმოდგენილი, მაგალითად სფერულტანიანი, მრგვალი ძირით დაბოლოებული და ცილინდრულტანიანი, რომელიც ზოგჯერ კონუსისებრი ძირით ბოლოვდება. ტანის ზედაპირი სავარცხლისებრი იარაღის საშუალებით დაღარულია ჰორიზონტალური და ზიგზაგისებრი ფორმის ღარებით. კეცი წარმოდგენილია მიყვითალო, მოთეთრო, მოვარდისფრო ფერებით, გვხვდება თეთრი საღებავით დაფარული ნიმუშებიც (ხალვაში, 2002: 44-45).

ამ ტიპის ამფორის კედლის ფრაგმენტი ბოლო დროს კვლავ დაფიქსირდა გონიო-აფსაროსის ტერიტორიაზე, კერძოდ NO I სექტორის მე-14 კვადრატში შესწავლილ მასალებს შორის (გ.ა.2018/239, მსგავსია გ.ა.2019/188). მისი კეცი მონაცრისფრო – მოჩალისფროა, შეიცავს თეთრ მინარევებს. ამ შემთხვევაშიც კედლის გარეთა მხარე დაღარულია წვრილი ღარებით. ფრაგმენტის შემორჩენილი სიგრძე – 10 სმ, სიგანე – 8,1 სმ, კედლის სისქე – 1,8 სმ (ტაბ. XVIII-2).

ამგვარი ამფორების საკმაო რაოდენობა ცნობილია აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთიდან, მათ შორის, პეტრა-ციხისძირიდან, დასავლეთ და ჩრდილოშავიზღვისპირეთიდან. უფრო მეტადაა იგი წარმოდგენილი ხმელთაშუაზღვის აუზის ქვეყნებში: ჩრდილოეთ ლიბანში, პალესტინაში, კვიპროსსა და საბერძნეთში. საწარმოო ცენტრად სხვადასხვა არეალია მიჩნეული, მათ შორის, ჩრდილოეთ აფრიკა, დასავლეთ მცირე აზია, სირია-პალესტინა. რაც შეეხება ამ ტიპის ამფორების გავრცელების პერიოდს, ძირითადად მიღებულია აზრი, რომ ისინი III-VII ს-ის პირველი ნახევარს განეკუთვნებიან (Robinson, 1959: 19, 43), (Якобсон, 1979: 12-16), (Воронов, Бгажба, 1985: Tab. 26$_{1-11}$), (ჯაფარიძე, 1989: 65-69), (ზამთარაძე, 1993:167), (ინაიშვილი 1993, ტაბ. XVI-6), (ხალვაში 2002, 44-46).

**III ტიპი** - ამგვარ ამფორებს ახასიათებთ ლილვისებრი მოყვანილობის პირი, დაბალი, ვიწრო ცილინდრული მოყვანილობის ყელი, ასიმეტრიული ქედებით შემკული ყურები, მისი ტანი კვერცხისებრი მოყვანილობისაა და ღარებითაა დაფარული, ცენტრალურ ნაწილში კი აქვს პატარა ზომის კოპი. კეცი ნარინჯისფერია, შიგადაშიგ წითლად გამომწვარი და ზოგჯერ შეიცავს თეთრ და ყავისფერ მინარევებს (ხალვაში 2002, 46). ამ ტიპის ამფორებში დამახასიათებელია ერთმანეთისგან განსხვავებული მოცულობის ფორმები.

III ტიპის მომცრო ზომის ამფორის პირ-ყელ-ყურისა და ტანის ფრაგმენტი (გ.ა. 2018/109. მსგავსია: გ.ა.2018/219; გ.ა.2019/183, NO-I), უხეში, მოყავისფო, მონარინჯისფრო ზედაპირზე მონაცრისფრო ლაქებით; პირი ლილვისებურია, ოდნავ გადაშლილი, ბაკო მომრგვალებული, ყელი ცილინდრული, ტანი დაღარული, მხარი გამოკვეთილი. უნდა ჰქონოდა მომრგვალებული ძირი. მცირე ზომის, ზემოდან ცალი ქედით შემკული, სახელურები ერთი ბოლოთი მხარზე, ხოლო მეორეთი ყელის არეში არიან უხეშად მიძერწილი. სახელურების ზედა ნაწილების ყელზე მიძერწვის ადგილას შესამჩნევია წიბო. პირის დიამეტრი – 5,6 სმ, სახელურის სიფართე – 2,5 სმ, სახელურის სისქე – 1,8 სმ (ტაბ. XVIII-3). აღწერილ ნიმუშთან შედარებით, საშუალო ზომის ამფორაა გ.ა. 2018/4, 80, 259; გ.ა.2019/134, 215-216, 269, 44-56-99. ხოლო უფრო მოზრდილი ფორმისა კი გ.ა. 2018/186.

ამფორათა ეს ტიპი მოიცავს პეტრა-ციხისძირს ნაქალაქარის ამფორათა I ტიპში გაერთიანებულ ზოგიერთ ფორმას. პეტრა-ციხისძირისთვის ეს ტიპი საკმაოდ დიდ ჯგუფს წარმოადგენს. აქ ამფორის კეცი ნარინჯისფერის გარდა, მოყვითალო-მოყავისფრო შეფერილობითაც გვხვდება (ინაიშვილი ნ, 1993: 55), (Inaishvili N., Vashakidze, 2009: 152), რის გამოც მათი დიდი ნაწილი ამფორათა ამ ტიპში შემავალი და ქვემოთ განხილულ ცალკეულ ფორმებში უფრო ერთიანდება.

ამფორების ეს ტიპი გავრცელებულია IV-VII საუკუნეებში, ჩვენი რეგიონისთვის მისი გავრცელების ზედა ქრონოლოგიური ზღვარი VI საუკუნეა მიჩნეული. ამგვარ ამფორებს პარალელები ეძებნება, როგორც საქართველოს თანადროულ ძეგლებზე, ასევე დასავლეთ და ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში (Robinson, 1959: 19, 43), (Воронов, Бгажба, 1985: 74), (ჯაფარიძე, 1989: 81-62), (გამყრელიძე, 1987. 111-112), (ხალვაში 2002: 46-47). ამგვარი ამფორების დამზადების არეალად სამხრეთ პონტისპირეთია მიჩნეული (Inaishvili, Khalvshi, 2011: 267), (Smokotina 2016: 716).

გონიო-აფსაროსის NO I სექტორში, მე-4 და მე-14 კვადრატებში 2018-2019 წლებში ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად, ადრებიზანტიურ ფენაში გამოვლინდა ამ ეპოქის III ტიპის მსგავი ამფორების ისეთი ფრაგმენტები, რომლებიც ვერ მიესადაგა გონო-აფსაროსში აქამდე შესწავლილ ადრეშუასაუკუნეების ამფორათა რომელიმე ტიპს. არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებულ მრავალრიცხოვან მასალაზე დაკვირვება საშუალებას გვაძლევს რამდენიმე განსხვავებული ფორმა გამოვყოთ. ამ ფორმებს III ტიპის ამფორებთან ერთად განვიხილავთ, თუმცა შემდგომმა კვლევამ შესაძლოა განსხვავებული სურათი მოგვცეს (მამულაძე, როგავა, 2023: 10-11).

ფორმა III-A - კეცი უფრო სუფთად აქვს განლექილი, იგი უფრო ღია მოყავისფროა. მსუბუქად დაღარული ყელი შედარებით მაღალია, ყურები სიმეტრიულად მიძერწილია, ძირითადი ფორმებისაგან შედარებით დაბალ პირზე (D-5,5 სმ), ამ შემთხვევაში პირის ლილვი გამოკვეთილი არ არის. სახელურები სადაა, ვიწრო და გრძელია. მისი სიფართე - 2 სმ, სისქე - 1,7 (გ.ა. 2018/180-75, მსგავსია გ.ა.2018, 195, NO-I), (ტაბ. XVIII-4).

განხილულ ნიმუშზე უფრო მოზრდილია III ტიპის ამფორათა კიდევ ერთი ფორმა - III-B (გ.ა.2018/223, NO-I). მას აქვს ცილინდრული ყელი, პირი ლილვისებური

სამკუთხაგანივკვეთიანი, მკვეთრად პროფილირებული (D-5,2 სმ). აქვს შედარებით სქელი და ფართო სახელური, რომელსაც დაუყვება ერთი მკაფიო რელიეფური ქედი. იგი უფრო მოხრილია და ერთი მხრივ მიძერწილია პირთან ახლოს, მეორე მხრივ ტანზე, რომლის მხარიც, წინა ფორმისაგან განსხვავებით, არ უნდა იყოს გამოკვეთილი. სახელურის სიფართე - 3,3, სისქე, 2,5 სმ-ია. აქვს მოყავისფრო კეცი (ტაბ. XIX-1). ჩერნიახოვის კულტურის გავრცელების არეალში (მდ. დნეპრიდან დუნაის შორის) მიკვლეულ მსგავს ამფორებს, რომელთაც მოწითალო კეცი აქვთ, ბ. მაგამედოვი კუნძულ სამოსზე და ეგეოსის ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე წარმოებულ პროდუქციად მიიჩნევს. ამასთან, ათენის აგორას მასალების მიხედვით მას IV-V საუკუნეებით ათარიღებს (Magamedov, 2009: 77). ჩვენს შემთხვევაში სახეზეა ფორმის მსგავსება, თუმცა კეცი განსხვავებულია.

IV **ტიპის** ამფორები საშუალო ზომის, თხელკედლიანი ამფორები გახლავთ. მათ აქვთ სხვადასხვაგვარად პროფილირებული პირი, რომელიც ვიწრო ცილინდრული ყელისგან ღარითაა გამოყოფილი. მომცრო ოვალურგანივკვეთიანი ყურები გრძივი ქედებითაა შემკული. აქვს მსუბუქი ღარებით დაფარული მსხლისებური მოყვანილობის ტანი, რომელიც მრგვალი ძირით ბოლოვდება. კარგად დამუშავებული კეცი ძირითადად მოწითალო, მოყავისფრო ან ნარინჯისფერია. ახასიათებს თეთრი და ყავისფერი მინარევები. არ ახასიათებს ფორმათა მრავალფეროვნება (ხალვაში 2002: 47-48). ჩანს, რომ ამ ტიპის ამფორები წელშეზნექილი (VII ტიპი) ამფორების შემდეგ რიცხობრივად ყველაზე დიდი ჯგუფია.

IV ტიპის ამფორის პირ-ყელ-ყურის ფრაგმენტი (გ.ა. 2018/201), ღია მოყავისფრო-მონარინჯისფრო კეციანი. ცილინდრული, პირისკენ ოდნავ გაფართოებული ყელი, სამკუთხედგანივკვეთიანი პროფილირებული პირი. სიმაღლე – 10,8 სმ, პირის დიამეტრი – 6,5 სმ., კედლის სისქე – 0.5 სმ. ამავე ტიპის ამფორის კიდევ ერთი პირ-ყელ-ყურის ფრაგმენტი (გ.ა.2019/107. მსგავსია გ.ა.2018/5, 18, 59, 76, 78, 187; გ.ა.2019/27, 89, 145, 156, 201, 220, 285 - NO-I; გ.ა.2021/62.), აქვს ღია მოყავისფრო კეცი. ცილინდრული, დაღარული ყელი პირისკენ ოდნავ ფართოვდება და ბოლოვდება პროფილირებული, სამკუთხედგანივკვეთიანი პირით. სიმეტრიულად გამოყვანილი სახელურები განივკვეთში დაბრტყელებული ოვალის ფორმისაა, ერთი ბოლოთი პირის ქვემოთ,

ხოლო მეორეთი - მხრებზეა მიძერწილი. ფრაგმენტის სიმაღლე – 8,4 სმ, პირის დიამეტრი – 5,8 სმ, სახელურის სიფართე – 2,3 სმ, სახელურის სისქე – 1,8 სმ (ტაბ. XIX-2).

ამ ტიპის ამფორათა საწარმოო ცენტრები ჯერჯერობით დადგენილი არ არის. თიხის შემადგენლობის მიხედვით ნავარაუდევია, რომ მისი წარმოება ხმელთაშუაზღისპირეთში უნდა მომხდარიყო. მსგავსი ამფორები აღმოჩენილია დასავლეთ საქართველოს ძეგლებზე, ყირიმში და დასავლეთ შავიზღვისპირეთის ზოგიერთ ძეგლზე. სამეცნიერო ლიტერატურაში კი ქრონოლოგიურ ჩარჩოდ IV-VII სს. არის მითითებული (Robinson, 1959: 56), (ბერძენიშვილი, ფუთურიძე, 1975: 273), (Якобсон, 1979: 9), (Воронов, Бгажба, 1985: 72-73), (Сазанов, 1989: 50), (გამყრელიძე, 1987:112), (ხალვაში 2002: 47-48).

V **ტიპის** ამფორები უკანასკნელ დროს გონიო-აფსაროსის ტერიტორიაზე აღარ გამოჩენილა. ისინი არც ავგიის მასალებს შორისაა იდენტიფიცირებული. ამ ტიპის ამფორებს პარალელი არც ციხისძირის დაბლობის ამფორათა შორის ეძებნება. თუმცა ამგვარი ამფორები ბევრია ნაპოვნი ფოთში, დიოსკურია-სებასტოპოლისში, წებელდაში, ნოქალაქევსა და ვარდციხეში. ასევე, ჩრდილო და დასავლეთ შავიზღვისპირეთის ძეგლებზე. მკვლევართა ნაწილი მიიჩნევს რომ ამ ტიპის ამფორათა წარმოების ცენტრი კუნძული სამოსი ან ღაზა უნდა იყოს (Якобсон, 1979: 12), (ბერძენიშვილი, ფუტურიძე, 1975: 275), (Воронов, Бгажба, 1985: 73), (ჯაფარიძე, 1989:61), (ზამთარაძე მ, 1993:166-197), (ხალვაში 2002:49-50).

ამ ტიპის ამფორები მცირე ზომის, თხელკედლიანი, მსუბუქი ამფორებია. აქვთ სადა ზოლისებური პირი, ვიწრო ყელი, პატარა ბრტყელგანივკვეთიანი, რკალისებრად მოხრილ ყელზე დაძერწილი ყურები. ფართო ღარებით დაფარული ტანი ბოლოვდება ჰორიზონტალური ქედით გამოყოფილი კონუსური ქუსლით, რომელიც განსხვავებულ ვარიანტებს იძლევა. ამგვარი ამფორებისთვის დამახასიათებელია სუფთად განლექილი, მოწითალო, ყავისფერი თიხა, რომელიც შეიცავს ქარსის მინარევებს. ამფორების ამ ტიპში გამოყოფენ ადრეულ - III-V სს. და შედარებით მოგვიანო ვარიანტებს - VI-VII სს. აფსაროსის შემთხვევაში საქმე გვაქვს ამგვარი ამფორების განვითარების ბოლო საფეხურთან (Robinson, 1959: 56), (Сазанов, 1989: 45-47), (ხალვაში 2002: 50-51).

VI **ტიპი** შეადგენს სინოპურ ამფორებს. რაოდენობრივად იგი ერთ-ერთ დიდ ჯგუფადაა მიჩნეული, თუმცა ადრეშუასაუკუნეების სინოპური ამფორები ჩვენში ფორმათა მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა. სინოპური ამფორა ესაა საშუალო ზომის, პატრა ლილვისებური პირის, მაღალი ვიწრო ყელის მქონე ჭურჭელი. აქვს ოვალურგანივკვეთიანი ყურები, მისი ზედაპირი ასიმეტრიული გრძივი ქედებითაა შემკული. აქვს კონუსისებრი ტანი, რომელიც ბოლოვდება მრგვალი ძირით. ტანი სრულიად გოფრირებულია. მხარისა და ძირის არეში ახასიათებს უფრო გამოკვეთილი ღარები, შუა ნაწილში ზოლი უფრო მეჩხერია. ადრებიზანტიური ხანის მორფოლოგიური ნიშნების მიხედვით ფიქრობენ, რომ სინოპური ამფორები I-IV საუკუნეების ამგვარი, ვიწროყელიანი ამფორების განვითარების ბოლო საფეხურს წარმოადგენს. მათ შორის განსხვავება კი მხოლოდ ამფორის ძირის ფორმაში მდგომარეობს - ადრებიზანტიური სინოპური ამფორის ძირი მრგვალია, პირი უფრო პატარაა და მისი საერთო იერი უფრო სადად გამოიყურება. მისი გავრცელების ქრონოლოგიური ჩარჩო IV-VI სს. უნდა იყოს. აფსაროსში მოპოვებულ სინოპურ ამფორებს პარალელები ეძებნება, როგორც საქართველოში (ფოთი, ნოქალაქევი, ციხისძირი), ასევე ჩრდილოეთ შავიზღისპირეთსა და რაღა თქმა უნდა თავად სინოპის მიდამოებში (გამყრელიძე, 1987:111), (ხალვაში 2002: 52-53), (Inaishvili N., Vashakidze, 2009: 152).

გონიო-აფსაროსში ამ ტიპის ამფორები ბოლო წლებშიც აღმოჩნდა. სინოპური ამფორის პირ-ყელ-ყურის ფრაგმენტი (გ.ა. 2018/85, მსგავსია 2018/69, 70, 71, 77, 85, 162; გ.ა. 2019/58, 77, 153, 222 (ძირი), 236, NO-I), აქვს მოთეთრო – მონაცრისფრო კეცი; ყელი ცილინდრულია, ზემოთკენ ოდნავ გადაშლილი, ბოლოვდება ლილვისებური პირით (D=7 სმ). სახელური განივკვეთში ოვალური ფორმისაა და ზემოდან დაუყვება ერთი გამოკვეთილი ქედი. ყელთან მიერთების ადგილას სახელური ფართოვდება და ზედა და ქვედა მხირდან ვიწროვდება. ფრაგმენტის სიმაღლე – 16,5 სმ, პირის დიამეტრი – 7,4 სმ, სახლურის სიფართე – 4,1 სმ, სახელურის სისქე – 3 სმ (ტაბ. XX-1).

VII **ტიპი** ამფორათა ყველაზე მრავალრიცხოვანი ჯგუფია. იგი წარმოადგენს წელშეზნექილი, ყელწიბოიან ამფორებს. ამ ტიპის ამფორები ადგილობრივი კოლხური ამფორების ევოლუციური განვითარების შედეგს და მის გვიანდელ ფორმას წარმოადგენს. მათ აქვთ პროფილირებული პირი, დაბალი, ვიწრო ცილინდრული

მოყვანილობის ყელი. პატარა, ოთხკუთხა განივკვეთიანი, სწორი კუთხით მოხრილი ყურები. ვიწრო, წაგრძელებული, ცილინდრული მოყვანილობის ქვედა ნაწილში შეზნექილი ტანი და კონუსური ქუსლი. ამგვარი ამფორების ზედაპირი წრიული, მსუბუქი ღარებითაა დაღარული. კეცის ფერი იცვლება ნარინჯისფერიდან ყავისფერამდე. მრავლად შეიცავს პიროქსენის, ასვე წითელსა და თეთრ მინარევებს (ინაიშვილი 1993: 52-54), (ფუთურიძე, 2001: 87-89), (ხალვაში 2002: 20-21) (Inaishvili N., Vashakidze, 2009: 152).

ამ ტიპის ამფორათა გენეზისის, გავრცელების არეალისა და საწარმოო ცენტრების საკითხები სამეცნიერო ლიტერატურაში კარგად გამოკვლეული საკითხია. ის მოსაზრებები, თითქოს წელშეზნექილი ამფორების საწარმოო ცენტრები ჩრდილო შავიზღვისპირეთში ან სხვა რეგიონშია საბოლოოდ უარყო დასავლეთ საქართველოში შესწავლილმა სახელოსნოებმა (ვარდციხე, წებელდა), მათ შორის მნიშვნელოვანია გონიო-აფსაროსში შესწავლილი II-III სს. ქურაც, სადაც მეტწილად ადგილობრივი, წელშეზნექილი ამფორები მზადდებოდა (ხალვაში, 2002: 18). გარდა ამისა წელშეზნექილი ამფორების ყველაზე დიდი რაოდენობა სწორედ, რომ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთიდანაა ცნობილი. ამგვარ ამფორათა აღმოჩენა შავიზღვისპირეთის სხვა ცენტრებში სავაჭრო-ეკონომიურ კონტაქტებსა და მინაბაძების დამზადებას უნდა უკავშირდებოდეს (ბერძენიშვილი, ფუთურიძე, 1975:273), (ჯაფარიძე, 1989: 51-55), (ინაიშვილი ნ., 1993: 52), (Lomitashvili, Colvin, 2009: 35-38), (ლანჩავა, 2015: 213).

წელშეზნექილი ამფორების გვიანდელი ვარიანტი V-VII საუკუნეებშია გავრცელებული. სამხრეთ დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებზე ისინი ყველაზე დიდი რაოდენობითაა მოპოვებული. საერთო დამახასიათებელი ნიშანთვისებების მიუხედავად, ისინი მეტწილად განსხვავდებიან ერთმანეთისგან ზომებით, პროპორციებით, ყურების მოყვანილობით, თიხითა და კეცით, რაც მათი სხვადასხვა საწარმოო ცენტრებში დამზადების მაჩვენებელი უნდა იყოს. ამ თვალსაზრისით, ციხისძირის დაბლობის მასალებში წელშეზნექილი ამფორების ტიპში, მხოლოდ პირის ფორმის მიხედვით, ოთხი განსხვავებული, ხოლო ძირების მიხედვით, ორი განსხვავებული ვარიანტია წარმოდგენილი (ინაიშვილი ნ, 2002: 52-53).

ბუნებრივია, რომ წელშეზნექილი ამფორები ბოლო დროს კვლავ გამოჩნდა გონიო-აფსაროსის, ავგიის და პეტრა-ციხისძირს აკროპოლისის მასალებშიც. გონიო-აფსაროსში აღმოჩენილ მასალებში რამდენიმე ფორმის გამოყოფაც შეიძლება.

1. წელშეზნექილი ამფორის პირ-ყელ-ყურისა და ტანის ფრაგმენტი (გ.ა.2021/128, მსგავსია გ.ა.2019/57; გ.ა.2020/8,21,23; გ.ა.2021/7,80, NW-XII), ყავისფერკეციანი, მინარევებიანი. აქვს სადა, სწორი პირი, რომლის ზედაპირზეც მოუყვება წიბო, ახასიათებს ცილინდრული, მომაღლო ყელი. ბრტყელგანივკვეთიანი ყურის ზედა ბოლო მიძერწილი აქვს ყელზე, ქვედა კი მხარზე. ტანი წაგრძელებული, სფეროსებური. ტანის ზედა ნაწილი გაფორმებულია სუსტი ღარებით. ტანის შუა ნაწილი გადაჭრილია მეორადი გამოყენებისთვის. ნიმუშის დაცული სიმაღლე - 34 სმ, ყურის დმ - 3.9 სმ, კეცის სისქე - 0.6 სმ (ტაბ. XX-2).

2. წელშეზნექილი ამფორის პირ-ყელ-ყურის ფრაგმენტი (გ.ა.2018/83, მსგავსია გ.ა.2018/53, 15, 16, 66, 220; გ.ა.2019/159, 182, 194, 175, 207, 277, NO-I), აქვს უხეში, მოჩალისფრო კეცი. ცილინდრული ფორმის ყელი გადადის ყელისაგან ნაწიბურით გამოყოფილ, ოდნავ შიგნით შეზნექილ, ლილვისებური ფორმის პირზე. მცირე ზომის დაბრტყელებული განივკვეთის მქონე სახელურის ერთი ბოლო მიძერწილია ყელის, ხოლო მეორე კი მხრის არეში. აქვე შეიმჩნევა მსუბუქი დაღარვის კვალი. ფრაგმენტის სიმაღლე – 6,8 სმ, პირის დიამეტრი - 6,5 სმ, სახელურის სიფართე – 4 სმ, სახელურის სისქე – 1,4 სმ. (ტაბ. XX-3). ერთ-ერთ ნიმუშს (გ.ა. 2018/53) რომლის კეცი უფრო მოწითალო ფერისაა, ტანზე დაკრავს მსუბუქი დაღარვა. ფრაგმენტს ყურის არესთან აქვს გრაფიტო. ლიგატურა შედგება ლამბდასგან - Λ და იოტასაგან - I, რაც შეიძლება იყოს, როგორც საკუთარი სახელის აღმნიშვნელი აბრევიატურა, ასევე მას შეიძლება გააჩნდეს რიცხვითი მნიშვნელობა (ტაბ. XXI-1). ჩანს, რომ გრაფიტო გამოწვის შემდგომაა ამოკაწრული. ციხისძირისა და გონიოს ადრებიზანტიური ხანის კერამიკულ ნაწარმზე ეპიგრაფიკული ნიშნები ადრეც იქნა შემჩნეული. მათზე გამოსახულია ქრისტიანული ხასიათის წარწერები და ხელოსანთა ნიშნები (ძნელაძე, 2009: 888).

3. წელშეზნექილი ამფორის პირ-ყელ-ყურის ფრაგმენტი (გ.ა. 2019/239, მსგავსია ასევე გ.ა.2018/214; გ.ა.2019/158,194,230, NO-I), მოყავისფრო-მოწითალო, ძირითადად წვრილმარცვლოვან კეციანი; უსწორმასწორო, ძაბრისებური ფორმის, შედარებით

მომაღლო ყელი ზემოთკენ ფართოვდება და ბოლოვდება შიგნით შეზნექილი, პროფილირებული და ლილვისებური ფორმის პირით. სახელური ერთის მხრივ ყელის, და მეორეს მხრივ - მხრის არეშია მიძერწილი, განივკვეთში უსწორმასწორო ოთხკუთხა ფორმისაა. ფრაგმენტის სიმაღლე – 11,4 სმ, პირის დიამეტრი – 6,4 სმ, სახელურის სიფართე – 3 სმ, სახელურის სისქე – 1,4 სმ (ტაბ. XXI-2).

გონიო-აფსაროსში, გამოკვეთილად ბიზანტიურ ფენაში აღმოჩენილ ამფორათა ეს ნიმუშები, თანხმლებ მასალასთან ერთად VI საუკუნით თარიღდებიან.

ამავე პერიოდისაა ბოლო დროს პეტრა აკროპოლისის გათხრებისას შესწავლილი წელშეზნექილი ამფორების საკმაო რაოდენობა. ამფორის პირ-ყელ-ყურისა და ტანის ნატეხები შეწავლილ იქნა ციხის მე-5 კოშკის გათხრებისას (მინდორაშვილი 2021: 15). კარგად დაცული ეგზემპლარები, მიზანმიმართულად ჩალაგებულ, ჰორიზონტალურად ჩამწკრივებულ მდგომარეობაში აღმოჩნდა პეტრას სამეურნეო უბნის გათხრებისას ახლადგამოჩენილი ნაგებობის კედლის აღმოსავლეთ მხარეს (თავამაიშვილი 2022: 14). (ტაბ. VIII-2).

ბოლოს, ცალკე უნდა მიმოვიხილოთ ფიჭვნარის მასალა. სამეურნეო-სატრანზიტო ჭურჭლის ფრაგმენტები ფიჭვნარის უშუალოდ სამარხეულ მასალებში არ გვხვდება. ფიჭვნარის 1960-70 იანი წლების განათხარი მასალა მოიცავს სამეურნეო კერამიკას, რომელიც თავის მხრივ, წარმოდგენილია დერგის, ქვევრისა და ამფორების ფრაგმენტების სახით. მათი ზუსტი ფორმები მოცემული არ არის. დერგისა და ქვევრის ნატეხები გამომწვარია მოწითალო მოყავისფროდ, თიხა მსხვილმარცვლოვანია (ჩხაიძე, 1980: 42). ლ. ჩხაიძეს მოჰყავს ადგილობრივ ამფორათა ჯგუფის სულ მცირე ოთხი და იმპორტული ამფორების სულ მცირე 3 ფრაგმენტი, რომელიც ამფორათა განსხვავებულ ფორმებს ეკუთვნის (დადასტურებულია ავტორის პუბლიკაციაში მოცემული გრაფიკული მასალით). თუმცა ამფორათა ამ ფრაგმენტების ზუსტი ტიპოლოგიის განსაზღვრა რთულია. უკვე გამოქვეყნებული მასალით, იქ მოყვანილი გრაფიკული ჩანახატებითა და ავტორის მიერ მოშველიებული პარალელური მასალით თუ ვიმსჯელებთ, ფიჭვნარში დაფიქსირებული ამოფრების ფრაგმენტები შეესაბამება მ. ხალვაშის მიერ გონიო-აფსაროსის ადრეშუასაუკუნეების ამფორებისათვის განსაზღვრული ტიპოლოგიის სულ მცირე ოთხ ტიპს. აქედან ამფორის ძირის ორი

ფრაგმენტი აშკარად ადგილობრივი წელშეზნექილი ამფორის ძირი უნდა იყოს, რომელიც, ორი განსხვავებული, უფრო გვიანდელი ფორმითაა წარმოდგენილი (VII ტიპი). ამ ტიპის ყავისფერკეციანი ამფორების ფიჭვნარში მიკვლეული ფორმა ახ.წ. IV საუკუნიდან ჩანს გავრცელებული, თუმცა დათარიღებისათვის საკვანძო ამფორის ყელისა და ტანის ნაშთები ჩვენ ხელთ არ მოგვეპოვება. აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი ამფორის ნატეხები 2007 წელსაც გამოჩდა სინოპური კეცის მქონე ლუთერიის ნატეხებთან ერთად (კახიძე ა., 2016: 49). რთულია განისაზღვროს ადგილობრივ ნაწარმად მიჩნეული კიდევ ორი ამფორის ძირის ტიპოლოგიური კუთვნილება, გრაფიკული ჩანახატით თუ ვიმსჯელებთ, ერთ-ერთი მათგანი ცილინდრულტანიანი ამფორის (ტიპი II) ძირი უნდა იყოს. ამ ტიპის ამფორებს არააქვთ ყელი, მისი პირი უშუალოდ კორპუსზეა დაძერწილი. სხვა სამი ფრაგმენტიდან ამფორის ტანის ერთ-ერთი ფრაგმენტი დადასტურებულად სინოპური ამფორაა (VI ტიპი), იგი დაცულია ბათუმის არქეოლოგიურ მუზეუმში და მისი დათარიღება შედარებით ზუსტია - IV-VI სს. ამფორის კიდევ ერთი ტანდაღარული ფრაგმენტი, გოფრირებულ-ზედაპირიანი ამფორის მსგავსია (I ტიპი), მათ ღია ფერის კეცი და ცილინდრული კორპუსი ახასიათებთ. ტანის, მხარისა და ძირის ნაწილი ხშირი ღარებითაა დაფარული. მეორე ნიმუშზე ღარები უფრო მჭიდროთაა მიჯრილი. ამ ტიპის ამფორები გავრცელებას IV საუკუნიდან იწყებს. სამეურნეო-სატრანზიტო ჭურჭელი სავარაუდოდ, სამარხეული ინვენტარის ნაწილია, ვინაიდან ჩვენ არ ვიცით არტეფაქტების კონტექსტი. განათხარ მასალებში გვიჭირს იმის დაზუსტება, იყო თუ არა ეს დაკრძალვისთვის გამოყენებული ჭურჭლები, ისევე, როგორც ეს კარგად ჩანს ციხისძირის თანადროულ სამაროვანზე.

კერამიკული ნაწარმის საინტერესო ფორმებს გვთავაზობს ციხისძირში შესწავლილი მოზრდილი ზომის ჭურჭლებიც. პეტრა-ციხისძირში 2017 წელს განხორციელებული სამუშოების შედეგად გამოჩნდა მეორადი დანიშნულებით გამოყენებული დერგი. იგი იდო ჩაბრუნებული სახით და კერის ფუნქციას ასრულებდა. ჭურჭელი მოჩალისფროდაა გამომწვარი, აქვს მასიური პირი, დაბალი ყელი და განიერი მხრები. იმავე მასალაშია კიდევ ერთი დიდი ჭურჭლის ფრაგმენტი, რომელსაც ახასიათებს დაბალი ყელი, პირს ქვემოდან შემოუყვება ფართო ღარი, მისი მხრები შემკულია რელიეფური ხაზების სარტყლით (მინდორაშვილი, 2021:13).

არის კიდევ ერთი, მთლაინად დაცული სამეურნეო დანიშნულების მოზრდილი, 54 სმ. სიმაღლის ჭურჭელი. პირმოყრილი, პირი, რომლის დიამეტრი 24 სმ-ია, კედლისგან ღარითა და ქედითაა გამოყოფილი, მას აქვს მიძერწილი სახელურები. კორპუსი თითქმის ცილინდრულია. ტანის ზედა ნაწილი გამობერილია, ძირი კი ბრტყელი. ჭურჭელი ადრეშუასაუკუნეების ადგილობრივ ნაწარმად მიიჩნევა (ინაიშვილი ნ., 1981: 131-132).

## სამზარეულო და საყოფაცხოვრებო მოხმარების კერამიკა

სამზარეულო კერამიკა ძირითადად წარმოდგენილია რამდენიმე ზომისა და ფორმის **ქოთნით**.

გონიო-აფსაროსის ტერიტორიაზე ბოლო წლებში ბიზანტიურ ფენებში აღმოჩენილ ქოთანთან იდენტიფიცირებული კერამიკული ნატეხები ფორმების მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა. მოპოვეული მასალიდან შეგვიძლია გამოვყოთ ადრეშუასაუკუნეების ქოთნების ორი განსხვავებული ტიპი. ერთი მათგანი გადაშლილი პირის მქონე ქოთანია, რომელიც ხშირი ხმარებისგან თითქმის ბოლომდეა გაშავებული. ამ ქოთნის ფრაგმენტს მხრის არეში კლაკნილი წყვილი ხაზი დაუყვება (გ.ა.2018/128, NO-I) (ტაბ. XXI-3). პირის დიამეტრი ძირითადად 15 სმ. ახასიათებს უხეში კეცი და ძირითადად თეთრი ფერის მინარევები. მსგავსია, ასევე სხვა ნიმუშებიც (გ.ა. 2018/57, 120, 121, 122, 123), მათ აქვთ რუხი და მოწითალო ფერის კეცი, რომლის სისქე - 0,6 სმ-ია; მომრგვალებული ტანი პირმოყრილი ფორმისაა, ნელ-ნელა გადადის გადაშლილ, სადა განივკვეთის მქონე პირისკენ. ზომები მეტნაკლებად განსხვავებულია. ასეთივე ფორმის ქოთნები დაფიქსირებულია პეტრა-ციხისძირის მასალებშიც.

ხელთ გვაქვს ასევე ერთი, განსხვავებული ფორმის, მოკლეპირიანი, პირგადაშლილი, შედარებით მოზრდილი ქოთნის ფრაგმენტი (გ.ა. 2018/178). აქვს განლექილი, ღია მოყავისფრო – მონარინჯისფრო კეცი; პირმოყრილი ტანი ბოლოვდება მოკლე კისრით და შესქელებული, გარეთკენ გადაშლილი, მომრგვალებული ბაკოს მქონე პირით. პირის დიამეტრი – 13 სმ, ოთხკუთხა-განივკვეთიანი პირის სისქე - 1,1 სმ. ტანის კეცის სისქე - 0,6 სმ. (ტაბ. XXI-4).

გონიო-აფსაროსში ქოთნებისა და ქვაბ-ქოთნის ფრაგმენტები ადრეც გამოჩენილა. ქვაბ-ქოთნები, ძირითადად, პირის, ყურისა და ტანის ნატეხებითაა წარმოდგენილი. მათ პატარა ზომის, თოკივით დაგრეხილი ყურები პირდაპირ პირზე აქვთ მიძერწილი და შუაში თითის ნაჭდევი ეტყობათ. ქვაბ-ქოთნების ეს ფორმა IV საუკუნით თარიღდება და აფსაროსში იგი VI საუკუნის მასალებთან ერთადაა შესწავლილი (მამულაძე, კახიძე ე., ხალვაში, 2012: 241).

ქოთნების ფორმათა მრავალფეროვნება არც პეტრა-ციხისძირში აღმოჩენილ მასალებშია. მათ ახასიათებთ სადა, გაშლილი პირი, შეზნექილი ყელი, სფერული მუცელი და ბრტყელი ძირი. მონაპოვრებს შორის შესწავლილია ყურიანი ქოთნების რამდენიმე ფრაგმენტი. ისინი წრიულადაა მოხრილი და მიძერწილია პირთან და მუცელზე. ჭურჭლები ხასიათდებიან სადა ზედაპირით, მათ არ აქვთ შემკულობა. ახასიათებთ საშუალომარცვლოვანი, მოყავისფრო და მონაცრისფრო კეცი. ფრაგმენტების ნაწილს ცეცხლზე ხშირი ხმარებისაგან ზედაპირი გაშავებული აქვთ (ინაიშვილი ნ., 1981: 133), (ინაიშვილი ნ., 1993: 58). ბოლო დროს პეტრას აკროპოლისში მოპოვებული ქოთნების მრავალრიცხოვან ნატეხებში გამორჩეულია ერთი მოზრდილი ჭურჭელი, რომლის ყური მოკლე ნაჭდევებითაა შემკული. დანარჩენ ქოთნებსაც ძირითადად ერთნაირი ფორმა აქვს. მათი ზედაპირი სადაა, ქოთნებისათვის დამახასიათებელია გაშლილი პირი, დაბალი ყელი და გამობერილი მუცელი (მინდორაშვილი, 2021, გვ. 13).

ქოთნების ფრაგმენტები მრავლად იქნა ნაპოვნი ავგიის ნაეკლესიარის ტერიტორიაზე, თუმცა ზუსტი ფორმების განსაზღვრა ჭირს, ვინაიდან ნიმუშები წარმოდგენილია მხოლოდ პირის, კედლისა და ყურის ნატეხებით. საერთო სურათით თუ ვიმსჯელებთ, ავგიის ჭურჭლებს ახასიათებთ ბრტყელი, ოდნავ გარეთ გადაშლილი ბაკო, დაბალი ყელი, მომრგვალებული ტანი და ბრტყელგანივკვეთიანი ყურები (მამულაძე, ქამადაძე, ყიფიანი, 2021:159).

უკეთ დაცული ქოთნები შესწავლილია ფიჭვნარის ადრეშუასაუკუნეების სამარხეულ კომპლექსებში. ისინი საშუალო ზომისაა და ადგილობრივ ნაწარმს წარმოადგენს. მისთვის დამახასიათებელია არათანაბრად გამომწვარი მსხვილმარცვლოვანი კეცი (ჩხაიძე, 1980: 47-48). მოგვიანებით, აქ აღმოჩენილი

ქოთნების ფორმაც ტიპიურია, მხოლოდ ერთ-ერთ მაგანს განსხვავებული - აქვს ოინოხოისებრი პირი, მას ყურიც გვერდით, ქვემოთ, ტანის არეში აქვს მიძერწილი (კახიძე ა., ვიკერსი, მამულაძე, 2000: 74), (კახიძე ა., ვიკერსი, 2014: 176).

ციხისძირში შესწავლილია ასევე **ლუთერიების** პირის ფრაგმენტები, მათი კეცი ყავისფრადაა გამომწვარი და საშუალომარცვლოვანია. ფრაგმენტებით თუ ვიმსჯელებთ, თითოეული მათგანი სამ განსხვავებულ ფორმას უნდა მიეკუთვნებოდეს (ინაიშვილი ნ., 1993: 58). ლუთერიის კიდევ ერთი ნიმუში აღმოჩნდა პეტრას აკროპოლისის მე-5 კოშკის გათხრებისას, მას აქვს განიერი პირი და მკვეთრად დაქანებული კალთები (მინდორაშვილი, 2021: 14).

ახ.წ. IV-VI სს-ის დათარიღებული სუფრის ჭურჭელი წარმოდგენილია დოქების, წითელლაკიანი ჯამებისა და თეფშების ფრაგმენტების სახით.

ციხისძირის დაბლობზე შესწავლილია საშუალომარცვლოვანი, ღია და მუქ ყავისფერკეციანი **დოქები**. მათ ახასიათებთ გადაშლილი, სადა პირი, შეზნექილ-პროფილიანი ვიწრო ყელი, ოვალურგანივკვეთიანი ბრტყელი ყური და ბრტყელი ძირი. დოქის ერთი ნიმუში გამოზიდულძირიანია (ინაიშვილი ნ., 1993: 57-58). დოქები პეტრას აკროპოლისის მასალებს შორისაცაა. აქ ნაპოვნია ფართო, დაბალყელიანი, ზემოდან დაბრტყელებულპირიანი, ორყურა დოქები და ვიწრო, მაღალყელიანი დოქები (ინაიშვილი ნ., 1981: 133). ბოლო დროს აკროპოლისის მე-5 კოშკის განათხარ მასალაში მიკვლეულია ტუჩიანი დოქი დაბალი ფართო ყელით. აქვე იყო ფიქსირებული მრგვალპირიანი სხვადასხვა სიმაღლის ვიწრო ყელის მქონე დოქებიც. ერთ-ერთ მათგანს ყელზე შემოუყვება რელიეფური სარტყელიც (მინდორაშვილი, 2021: 14) (ტაბ. XXII-1).

დოქები აღმოჩენილია ფიჭვნარის ადრეშუასაუკუნეების სამარხეულ კომპლექსებშიც. მათ აქვთ ბრტყელი ძირი, მომრგვალებული, მომაღლო ტანი, პირისკენ შევიწროვებული ყელი, ფართო თასისებრი მოყვანილობის პირი და ბრტყელი ღარიანი ყური. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთი დოქის ძირზე მოცემულია ჯვრის რელიეფური გამოსახულება. ფიჭვნარში აღმოჩენილი დოქების კეცი მოყვითალო-მოყავისფროა (კახიძე ა., ვიკერსი, მამულაძე, 2000: 74-75) (ტაბ. XXII-3).

ამ პერიოდის დოქების ფრაგმენტები მცირე რაოდენობით ასევე ნაპოვნია ავგიის ნაეკლესიარის ტერიტორიაზე. მათ აქვთ ბრტყელი ძირი, კეცი ყავისფერია, დაფიქსირებულია მოვარდისფრო-მონარინჯისფრო კეცის მქონე დოქის ფრაგმენტებიც. ავგიის განათხარ მასალაში ყურადღებას იქცევს ერთ-ერთი ტაფისებრი ჭურჭლის პირ-კედლის ნატეხებიც, მას მომრგვალებული ტანი და არაპროპორციული პირი ახასიათებს, მისი დანიშნულება ბოლომდე ნათელი არ არის (მამულაძე, ქამადაძე, ყიფიანი, 2021:159).

სუფრისა და სამზარეულო კერამიკის ჯგუფში ცალკე უნდა გამოიყოს წითელლაკიანი კერამიკული ნაწარმი, რომელიც ადრეშუასაუკუნეებში რეგიონის გარესამყაროთან ურთიერთობაზე გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის.

ბოლო წლებში წითელლაკიანი კერამიკული ნაწარმი უხვად გამოჩნდა გონიო-აფსაროსში, გვიანანტიკური ადრეშუასაუკუნეებით დათარიღებულ ფენებში. ჩვენ ხელთ გვაქვს წითელლაკიანი ჯამების (Late Roman C) საინტერესო ფრაგმენტები, რომელიც წარმოდგენილია პირის, ტანისა და ძირის, პირ-კედლის და ორი ძირის (გ.ა.2021.34,61) ფრაგმენტების სახით (მამისეიშვილი, 2023: 7), (მამულაძე, როგავა, 2023: 13-14). ქვემოთ მოგვაქვს რამდენიმე მათგანის აღწერა.

წითელლაკიანი ჯამის პირის, ტანისა და ძირის ფრაგმენტი (LRC, ფორმა 10C), (NW-XII, გ.ა.2021/120), მოწითალო-მოყავისფრო კეცის, წვრილი მინარევებით; პირი ტანისაგან გამოყოფილია ღარით, პირი პროფილირებული, ძირი ბრტყელი; ქუსლი დაბალი; ძირის შიდაპირზე ცენტრში დატანილია ჯვარი, რომელიც 4 რგოლითაა გაფორმებული (ტაბ. XXII-4). ჯამის პირის დიამეტრი 30 სმ-ია. ჯამი საკმაოდ ღრმა უნდა ყოფილიყო.

კიდევ ერთი მოზრდილი წითელლაკიანი ჯამის პირისა და კედლის ფრაგმენტი (LRC, ფორმა 10C), (NW-XII, გ.ა.2021/109) ვარდისფერკეციანი, წვრილი მინარევებით; სუფთად ანგობირებული, პირი პროფილირებული, კეცის სისქე - 0.4 სმ. პირის დიამეტრი - 31,5 სმ. (ტაბ. XXIII-1).

წითელლაკიანი ჯამი პირისა და ტანის ფრაგმენტები (LRC, ფორმა 10A) (NO – I, გ.ა. 2018/150), მონარინჯისფრო განლექილი კეცი, გადაშლილი ტანის ფორმა ბოლოვდება სქელი, უსწორმასწორო განივკვეთის მქონე პირით, რომელიც შიდა მხრიდან ტანისაგან

წვრილი ღარითაა გამოყოფილი. შიდა ზედაპირზე შემორჩენილია მოწითალო ფერის ლაკის კვალი. პირის დიამეტრი – 19 სმ, კეცის სისქე - 0,6 სმ, პირის სისქე - 1,3 სმ (ტაბ. XXIII-2).

წითელლაკიანი ჯამის პირის ფრაგმენტი (LRC, ფორმა 3G/F) (NO – I, გ.ა. 2018/241. მსგავსია ასევე ამავე უბნის: გ.ა.2018/127,132; გ.ა.2019/97,131, 268.), აქვს ნარინჯისფერი განლექილი კეცი; გადაშლილი ტანის ფორმა ბოლოვდება შესქელებული პირით, რომლის განივკვეთი კუთხოვანი და უსწორმასწოროა. პირი შიდა ზედაპირზე ტანისაგან წვრილი ღარით გამოიყოფა, ხოლო გარე ზედაპირზე - წვრილი ქედით. პირის დიამეტრი – 24 სმ. კეცის სისქე - 0,4-0,5 სმ., პირის სისქე - 0,8 სმ (ტაბ.XXIII-3) .

აღწერილი ნიმუშებიდან განსხვავებული ჩანს წითელლაკიანი ჯამის ერთი ფრაგმენტი (LRC, ფორმა 10C), (NO-I, გ.ა.2019/168), რომელსაც სამკუთხაგანივკვეთიანი პირი აქვს. მას გარე მხარზე, პირისა და ტანის გასწვრივ პროფილირებული ხაზი მიუყვება. აქვს მოყავისფო-მონარინჯისფრო კეცი. პირის დიამეტრი - 30 სმ, კეცის სისქე - 0,6 სმ, პირის სისქე - 1. სმ (ტაბ. XXIII-4).

ჩვენ მიერ წარმოდგენილ ნიმუშებს ძირითადად ახასიათებთ მოწითალო-მოყავისფრო კეცი, წვრილი მინარევებით. პროფილირებული პირი ტანისაგან გამოყოფილია ღარით. ძირი ბრტყელი, დაბალი ქუსლით. როგორც ითქვა ერთ-ერთი ჯამის ძირის ფრაგმენტზე (გ.ა.2021/120) ფიქსირდება ჯვრის ფორმის დამღა, რომელიც რგოლებითაა გაფორმებული. მსგავსი ტიპის დამღები გვხვდება ჩრდილო-შავიზღვისპირეთში, ტირიტაკში და ბოსფორში გამოვლენილი მსგავსი ტიპის ჯამების ძირების შიდაპირებზე (Domzalski, Smokotina, 2020: 621), (Смокотина, 2009: 169-170). ასევე, მსგავსი მონოგრამაა დასავლეთ შავიზღვისპირეთში, ისტროსის აკროპოლისში შესწავლილ წითელლაკიანი ჭურჭლის ფრაგმენტზე (Țârlea, Iliescu, Bottez, 2022: 155-156). თავის მხრივ ეს მონოგრამები თავისი ფორმით შეიძლება გაერთიანდეს LRC ჯგუფის ჭურჭლებში ჰეისის მიერ გამოყოფილ 67-ე და 68-ე ტიპთან (Hayes, 1972: 364, Fig. 78- i, k, l). წითელლაკიანი ჯამები გავრცელების პიკს აღწევენ იუსტინიანე I-ის მმართველობის პირველ ფაზაში, დაახლოებით VI საუკუნის შუა ხანებში და მათი წარმოება გრძელდება VII საუკუნის შუა ხანებამდე, ხოლო მათ საწარმოო ცენტრად ითვლება ქალაქი ფოკეა (Hayes, 1972: 364-365), თუმცა არსებობს ასევე სხვა რეგიონებში

დამზადებული მინაბაძებიც (Vaag, 2005: 132-138). ამ ჭურჭლებს ახასიათებთ შესქელებული, ზემოთკენ აშვერილი, მრავალწახნაგოვანი განივკვეთის მქონე ან ოთხკუთხედგანივკვეთიანი პირები. კეცი ღია მოწითალო-მოყავისფრო და განლექილია, იშვიათი მინარევით. ჭურჭლებს ხანდახან ეტყობათ მოვარდისფრო-მოწითალო ფერის ლაკის კვალი.

გონიო-აფსაროსში V საუკუნის მეორე ნახევრითა და VI საუკუნის პირველი ნახევრით დათარიღებული წითელლაკიანი კერამიკის ფრაგმენტები აქამდეც იყო ცნობილი (მამულაძე, ხალვაში, კახიძე ე., 2009: 410).

ციხისძირში აკროპოლისის მასალებში შესწავლილია წითელლაკიანი თეფშისა და ჯამის ფრაგმენტები. თეფშს მომრგვალებული კალთები აქვს, სქელკედლიანია, დამახასიათებელია უხეში მოყავისფრო კეცი, რომლის ზედაპირიც მუქი წითელი ფერის ლაკითაა დაფარული. რაც შეეხება წითელლაკიან ჯამს, იგი ძირისა და გვერდის ფრაგმენტითაა წარმოდგენილი. ჩანს, რომ ჭურჭელს ფართო და ბრტყელი ძირი, ვიწრო, დაბალი ქუსლი აქვს. კეცი მოწითალო მოყავისფროა, ჯამის შიდა ზედაპირი მუქი წითელი ფერის საღებავითაა დაფარული. აღნიშნული მასალები IV-VI სს-ითაა დათარიღებული (ინაიშვილი ნ, 1993: 134-135). 1983-88 წლებში ციხისძირის დაბლობი ტერიტორიის არქეოლოგიური შესწავლისას გამოვლენილ წითელლაკიან ჭურჭელს შორის ნ. ინაიშვილი ოთხ ძირითად ტიპს გამოყოფს: I ტიპი - ჯამები, რომელთაც აქვთ სწორხაზოვანი ან ოდნავ ამოზნექილპროფილიანი კალთები, რომელიც თავის მხრივ დაბალი და ფართო ქუსლისგან ღარითაა გამოყოფილი. დამახასიათებელია ბრტყელი ფართო ძირი და შიგნით ჩაკეცილი პირი. კეცი სუფთა და ღია მოყვითალო-მოვარდისფროა. ჩანს ჭურჭლის ზედაპირის მუქი მოწითალო ლაკით დაფარვის კვალი, გარე ზედაპირი ნაწილობრივ იყო შეღებილი, ძირი, როგორც წესი შეუღებავია. ამ ტიპის ჯამები წარმოდგენილია პირ-გვერდისა და ძირის ნატეხების სახით. უკეთ დაცული ნიმუშების მიხედვით ამ ტიპის ჯამების პირის დიამეტრი 18-29 სმ-ია, ძირის დიამეტრი 19-21 სმ, სიმაღლე კი 6-8 სმ. II ტიპის ჭურჭელს ჯამის მოზრდილი ფრაგმენტები წარმოადგენს, ამ ტიპის ჯამებისათვის დამახასიათებელია შესქელებული, ჭრილში სამკუთხედის მოყვანილობის პირი, რომელსაც ზედაპირზე, ღარებს შორის მოქცეული ქედი შემოუყვება, ქუსლი კი კედლისგან გამოიყოფა მსუბუქი ღარით. წითელლაკიანი

ჭურჭლის III ტიპი წარმოდგენილია ჯამის პირ-კედლის ორი ფრაგმენტით. მათთვის დამახასიათებელია ჰორიზონტალური, ოდნავ მოზნექილ-პროფილიანი ბრტყელი პირის კიდე. ჯამის კედელი ძირისკენ შევიწროვებულია. კეცი მოვარდისფრო-მოყავისფროა, ხოლო ლაკი მუქი წითელი ფერისაა. IV ტიპს წარმოადგენს წვრილმარცვლოვანი თიხისგან დამზადებული, ღია მოყავისფრო კეცის მქონე თეფშის ფრაგმენტი. მას ქვს ფართო, გადაშლილი პირი, დაბალი, მომრგვალებული კალთები, ბრტყელი და დაბალი ქუსლი. პირის დიამეტრი 29 სმ-ია, ძირის დიამეტრი 19,2 სმ., თეფშის სიმაღლე 5 სმ-ია (ინაიშვილი ნ, 1993: 59-60).

ადრეშუასაუკუნეების ხანის წითელლაკიანი ნაწარმის ფრაგმენტები ფიჭვნარში წარმოდგენილია მოვარდისფრო კეცის მქონე, მკრთალი ფერის, წითელი ლაკით დაფარული ჯამის პირისა თუ ძირის ნატეხებით. მათ გარე კალთაზე შემოუყვება ამოკაწრული პარალელური ხაზები, პირზე კი სუსტი რელიეფური ქედი, შიდა ზედაპირზე კი ღარი (ჩხაიძე, 1980, გვ. 49). სამარხეულ კომპლექსში სხვა თანადროულ მასალასთან ერთად, აღმოჩენილი იქნა წითელლაკიანი **ლანგარი**, მას აქვს გარეთკენ გადაშლილი პირი, რომლის კიდეს მსუბუქი ღარი მიუყვება. აქვს დაბალი, სქელი და სწორი კედლები, რომელიც პირისკენ ოდნავ გაფართოებულია. ლანგრის ძირი ფართო და ბრტყელია, აქვს ფართო, რგოლისებრი დაბალი ქუსლი. ჭურჭლის კეცი წვრილმარცვლოვანი და ღია-მოყვითალოა. შემორჩენილია არათანაბრად წასმული მუქი წითელი ფერის ლაკი. ვინაიდან, ეს ერთ-ერთი სრულად დაცული არტეფაქტია, საინტერესოა იქნება ფიზიკური პარამეტრების მოყვანაც. ჭურჭლის პირის დიამეტრი 27,5 სმ., ქუსლის 20 სმ., სიმაღლე კი 4,5 სმ-ია. თანადროული მასალების გათვალისწინებით, ფიჭვნარში შესწავლილი წითელლაკიანი ლანგარი IV საუკუნის ბოლოსა და V საუკუნის დამდეგით თარიღდება (კახიძე ა., ვიკერსი, მამულაძე, 2000: 75) (ტაბ. XXII-2).

საინტერესო ჯგუფია წითლადგაპრიალებული ხელადები. ისინი ციხისძირში, პეტრას აკროპოლისის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-იან წლებში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრებისას გამოჩდნა. ამ ტიპის დოქი მომცრო ზომისაა, აქვს ვიწრო და მაღალი ყელი, გადაშლილი პირი, დაქანებული მხრები და მსხლისმაგვარი ტანი. მომცრო ოვალურგანივკვეთიანი ყური მიძერწილია ყელის ზედა ნაწილსა და მხარზე. დოქს აქვს მოვარდისფრო ფერის, მსხვილმარცვლოვანი უხეში

კეცი, რომელიც, მუქი წითელი საღებავითაა გაპრიალებული. დოქი ორნამენტირებულია (ინაიშვილი ნ, 1993: 133). წითლადგაპრიალებული ხელადები ციხისძირის დაბლობის ტერიტორიაზეცაა მოპოვებული. ეს დოქები ერთმანეთისგან განსხვავებულია. ერთ მათგანს აქვთ ვიწრო, პირისკენ სწორხაზოვნად გაფართოებული ყელი, მეორე მათგანის ყელი უფრო ცილინდრული მოყვანილობისაა, ხოლო კიდევ ერთ ფრაგმენტზე, ყელიდან ტანზე გადასვლის ადგილას, ქედია გამოყვანილი. ნატეხები ერთმანეთისგან კეცის ფერითა და წერნაქითაც განსხვადვება. კეცის ფერი მერყეობს ღია ყავისფერიდან მუქ ყავისფერამდე. წერნაქი ერთ შემთხვევაში ჩალისფერია, ხოლო დანარჩენ ფრაგმენტებზე კი უფრო მოწითალო-მოყავისფრო (ინაიშვილი ნ, 1993: 58).

საოჯახო მოხმარების კერამიკულ ნაწარმს შორის ცალკე უნდა გამოიყოს **ჭრაქები**. გონიო-აფსაროსის ტერიტორიაზე რომაული ხანის ჭრაქები, როგორც დიდი რაოდენობით, ასევე ფორმათა მრავალფეროვნებითაა წარმოდგენილი (ებრალიძე, 2005: 53-66). ამ მხრივ, მოკრძალებულია ადრებიზანტიური ხანის ჭრაქების რაოდენობა. გონიო-აფსაროსში ადრებიზანტიური ხანის ჭრაქი პირველად აღმოჩნდა 2000 წელს, ბიზანტიურ ფენაში დაფიქსირდა ჭრაქის მოგრძო საპატრუქო მილის ფრაგმენტი (ხალვაში, 2002ბ: 136). არის კიდევ ერთი, სრულად დაცული ჭრაქი (გ.ა.2005/203), რომელიც 2005 წელს იქნა აღმოჩენილი. სამეცნიერო ლიტერატურაში მასთან დაკავშირებით მხოლოდ ფოტოსურათი გვხვდება (მამულაძე და სხები, 2012: 241, ტაბ.5/2). ბოლო წლების არქეოლოგიური აღმოჩენების შედეგად ხელთ გვაქვს გონიო-აფსაროსში აღმოჩენილი კიდევ ორი დაზიანებული ჭრაქი. კარგად დაცული ნიმუშები აღმოჩენილია პეტრა-ციხისძირშიც გასული საუკუნის 60-იან წლებშიც, რომელიც ასევე არ გამოქვეყნებულა.

ადრებიზანტიური ხანის ჭრაქები უშუალოდ უკავშირდება მის გვიან რომაულ წინამორბედს. მისი ძირითადი დანიშნულება ინტერიერის განათება იყო და ძირითადად ზეითუნის ზეთში, ლერწმის გულისგან დამზადებული პატრუქის წვით უზრუნველყოფდა. ანტიკური ეპოქისგან განსხვავებით, ადრებიზანტიური ხანის კერამიკული ჭრაქების პროპორციები დაგრძელებულია. საკუთრივ ზეთის ჩასასხმელი ნახვრეტისაგან დაშორებულია. გაზრდილია ასევე მათი საზეთეს მოცულობაც.

ნავარაუდევია, რომ კოლხეთში პატრუქს ამზადებდნენ სელისა და კანაფისაგან, ხოლო საწვავად, ზეითუნის ზეთთან ერთად, ხმარობდნენ სელისა და კანაფის ზეთს ან ქონს (კიღურაძე, 1977: 214).

ბიზანტიის იმპერიაში ჭრაქები დიდწილად სტანდარტიზებული იყო და მათი წარმოებისას გამოიყენებოდა ქვის ან თაბაშირის ყალიბები. ჭრაქები ხშირად მორთული იყო რელიეფური დეკორით, მცენარეული და გეომეტრიული ორნამენტებით, ასევე გვხვდება მოხატული ან წარწერების მქონე ფორმები. ჭრაქებზე შესრულებული წარწერები V საუკუნის შემდგომ ხანებში უფრო ქრისტიანული შინაარსის მატარებელია (Dark, 2001: 40). ამ პერიოდში, ჭრაქები ფართოდ გავრცელებული წარმოებისა და ვაჭრობის საგანი იყო. სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია ჭრაქების წარმოების ფართო რეგიონული ცენტრები მცირე აზიაში, საბერძნეთში, ჩრდილოეთ აფრიკაში. მცირე აზიის ჭრაქები იწარმოებოდა წვრილი, მქრქალი, წითელი ან ყავისფერი თიხით. V-VI საუკუნისთვის წამყვანი საწარმოო ცენტრი ეფესო ან მისი შორიახლო დასახლებები უნდა ყოფილიყო. სარდისში წარმოებული ჭრაქები უფრო ნარინჯისფერი და ყავისფერი კეცითაა გამორჩეული. კიდევ ერთი ცენტრი შეიძლება კნიდუსიც ყოფილიყო, რომლის ნაწარმშიც გამოიყენებოდა უფრო უხეში ნარინჯისფერი, წითელი და მოყავისფრო თიხა. აქაური პროდუქცია ზოგჯერ სუფთად განლექილი ნარინჯისფერიცაა (Dark, 2001: 50). მცირეაზიური ჭრაქების კეცი უფრო კარგადაა გამომწვარი (კიღურაძე, 1977: 213). ბიზანტიის იმპერიაში ყველაზე გავრცელებულ ნაწარმად მაინც ჩრ. აფრიკის წითელი კეცისა და მდიდრული დეკორის მქონე ჭრაქები ითვლება, აფრიკულ ფორმებს ხშირად მინაბაძების სახით ამზადებდა საბერძნეთის საწარმოო ცენტრები (ატიკა, კორინთო, არგოსი). გარდა ამისა, საწარმოო ცენტრები ფუნქციონირებდა კონსტანტინეპოლში, თრაკიაში, ეგვიპტეში, პელესტინაში, სირიასა და კვიპროსზე.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ადრეშუასაუკუნეების კერამიკული ჭრაქები წარმოადგენს ე.წ. ჩაიდნის მოყვანილობის ჭრაქებს, რომელთა ადგილწარმოშობა ამ ეტაპზე არ არის ნათელი. თუმცა იგი მაინც მცირე აზიის პროდუქცია უნდა იყოს. ქვემოთ მოგვაქვს სხვადასხვა დროს ციხისძირში და გონიო-აფსაროსში აღმოჩენილი ჩაიდნის ფორმის ჭრაქების აღწერა.

ჭრაქი (საინვენტარო №19538) ე.წ ჩაიდნისფორმის ჭრაქი, სრულად დაცული, წაგრძელებული ფორმის, აქვს ბრტყელი ძირი, გამობურცული კორპუსი, რომელსაც გადადის ცილინდრულ ფორმის ყელზე. აქვს მსხვილი საპატრუქე მილი, რომელიც შერწყმულია კორპუსის წელზე, მისი დიამეტრი - 12 სმ-ია. საზეთეს დიამეტრი - 1,9 სმ. საზეთეს პროფილირებული პირი კორპუსისაგან ოდნავ ჩაწეულია. ყელის გარშემოწერილობა 3,7 სმ-ია. დაცულია მარაოსებრი სახელურიც, იგი ჭურჭლის ძირის არეშია მიძერწილი. ჭურჭელს აქვს მოჩალისფრო ფერის კეცი, ჭურჭლის საერთო სიგრძეა - 9,4 სმ. ძირის დიამეტრი - 3,5 სმ. სიმაღლე - 3,7 სმ (ტაბ. XXIV – 4).

ჭრაქი (გ.ა.2005/203, №21 კოშკის მასალა), სრულად დაცული, აკლია მხოლოდ ძირი. აქვს ოდნავ გამობურცული კორპუსი, საპატრუქე გამჭოლი ნახვრეტი ტანისგან გაფართოებულია და მასზე საკმაოდ დაშორებული. საპატრუქე მილის პირის დიამეტრი 1,1 სმ.-ია, ეტყობა ნამწვის კვალიც. საკუთრივ ზეთის ჩასასხმელი ხვრელის დიამეტრი 1,6 სმ-ია, საზეთე კორპუსისაგან ოდნავ ჩაწეული და რელიეფურპირიანია. დაცულია ჭრაქის სახელურიც. იგი ჭურჭლის ძირის არეშია მიძერწილი. მეორე, მარაოსებრივ გაშლილი ბოლო სიმაღლეში ცდება ჭრაქის საერთო სიმაღლეს, რაც ჭურჭელს ორიგინალურ იერს აძლევს. აქვს მოჩალისფრო ფერის კეცი. ჭურჭლის საერთო სიგრძე 10 სმ-ია. ძირის დიამეტრი - 4 სმ, სიმაღლე - 3,5 სმ (ტაბ. XXIV-1).

ჭრაქის ფრაგმენტი (გ.ა.2018/104, NO-I) შემორჩენილია ძირის, ტანის, საპატრუქე მილის და სახელურის მცირედი ნაწილი. აქვს მოჩალისფრო თიხა, თეთრი ფერის მინარევებით. ძირი ბრტყელი, ტანი ოდნავ გამობურცული, გაფართოებული. ძირის დიამეტრი 3,4 სმ (ტაბ. XIV-2).

ჭრაქის ფრაგმენტი (გ.ა.2018/110, NO-I) შემორჩენილია ძირისა და ტანის ნაწილი. აქვს ღია მოჩალისფრო კეცი. შეიცავს თეთრ და ყავისფერ მინარევებს. ძირი მრგვალია და ბრტყელი. დაცული აქვს გამჭოლი ხვრელი, რომლის დიამეტრი 1,4 სმ-ია. ძირის დიამეტრი შეადგენს 3,2 სმ. ჭურჭელი საერთო იერით წაგრძელებული ფორმისაა (ტაბ. XIV-3).

გვიანანტიკური ადრებიზანტიური ხანის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლენილი ჩაიდნისნისებრი ჭრაქები, თავისი წაგრძელებული ფორმითა და პროპორციებით მსგავსებას პოულობენ ბიჭვინთაში შესწავლილი

ჭრაქების მეხუთე ჯგუფთან. ბიჭვინთის ჭრაქები IV-V საუკუნეებითაა დათარიღებული და გამოთქმულია ვარაუდი, რომ ისინი, შესაძლოა, ადგილზე ყოფილიყო დამზადებული (კიღურაძე, 1977: 217). მსგავსი ფორმის ჭრაქები ცნობილია ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთიდანაც (ხერსონესი) (Андреева, Рыжов, 2022: 62, рис.7-4), ტამანის ნახევართკუნძულიდან (Чхаидзе, 2012: 590). ამ ფორმის ჭრაქების წინამძღვრები შესაძლოა დაკავშირებული უნდა იყოს გვიანელინისტური ხანის მსგავსი ფორმის მქონე ჭრაქებთან, მათი სახელურის ფორმა თითქმის იდენტურია, მსგავსებაა ტანის მოყვანილობასა და იერში, გვიანელინისტური ხანის ჭრაქის ყელი ტანთან მიერთების ადგილზე უფრო შევიწროვებულია. მსგავსი ჭრაქები მიკვლეულია პანტიკაპეონში (ჭრაქების მე-5 ჯგუფი) და ხერსონესში (Žuravlev D., Žuravleva N., 2014: 274, Fig. 20-6).

განსხვავებული ფორმისაა ციხისძირში აღმოჩენილი კიდევ ერთი კერამიკული ჭრაქი (საინვენტარო №19537), სრულად დაცული, ქოთნისმოყვანილობის, აქვს ბიკონუსებრი ტანი, რომელზედაც ამოყვანილია დაბალი ტანისკენ გაფართოებული ყელი, ყელის ბოლო ცილინდრულია. წრიული ფორმის ტანიდან ცალკე გამოყოფილია საპატრუქე ხვრელი, ტუჩის ფორმით, იგი ტანისგან მცირედითაა გამოწეული, საპატრუქე ხვრელის დიამეტრი - 1,7 სმ-ია. საზეთე ხვრელის დიამეტრი - 3,2 სმ- ყელიდ დიამეტრი - 5,1 სმ. ტანის საერთო დიამეტრი - 9,3-სმ. ბრტყელი ძირის დიამეტრი 4,3 სმ. კეცი ჩალისფერია, იგი არათანაბრადაა გამომწვარი კეცი, შეიცავს ქარსის მინარევებს. ჭურჭელს აკლია ყური. სიმაღლე - 5,1 სმ, სიგრძე ტუჩის ჩათვლით - 10,4 სმ (ტაბ. XXIV-5).

ამგვარი ჭრაქები მრავლადაა ბიჭვინთაში. მიეკუთვნებიან ბიჭვინთის ჭრაქების მეექვსე ჯგუფს და ადრებიზანტიური ხანით (IV-V სს) თარიღდებიან (კიღურაძე, 1977: 217, სურ 446, 447). ბრიტანეთის მუზეუმში დაცული მსგავსი ნიმუში V-VI საუკუნითაა დათარიღებული (Bailey, 1988:418-Q3340).

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი კერამიკული ნაწარმი ფართო ასორტიმენტითაა წარმოდგენილი. სახეზე გვაქვს როგორც ადგილობრივი წარმოების ასევე იმპორტული პროდუქცია. ამ უკანასკნელის საწარმოო ცენტრების მიხედვით თუ კი ვიმსჯელებთ, საკვლევი რეგიონი აქტიურ სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებში იყო ჯერ გვიანდელი რომისა და მოგვიანებით, ბიზანტიის

იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციებთან. კერძოდ, სირია-პალესტინის, მცირე აზიის, ანატოლიის წამყვან საქალაქო ცენტრებთან. ბუნებრივია, რომ ჩანს ეკონომიკური და კულტურული კავშირები შავიზღვისპირეთის ქალაქებთანაც.

## სამშენებლო კერამიკა

სამშენებლო კერამიკა ესაა თიხის გამოწვის შედეგად მიღებული მტკიცე მასალა, რომელიც გამოყენებულია შენობათა კონსტრუქციაში, მათ მოსაპირკეთებლად და გადასახურად. კერამიკის ეს ჯგუფი ძირითადად წარმოდგენილია აგურის, ფილისა და კრამიტის (სახურავის ფილა) სახით. ხშირად სამშენებლო კერამიკა განიხილება როგორც მაღალი მოცულობისა და დაბალი ღირებულების საქონელი, რომელიც არ არის არსებითი ინფორმაციის მატარებელი. თუმცა უკანასკნელი ათწლეულების აღმოჩენებმა, მათ შორის ზღვებში დაადასტურა, რომ იგი ანტიკურ და ადრებიზანტიურ ეპოქაში ვაჭრობის საგანი იყო. სამშენებლო კერამიკა ძირითადად მაინც ადგილობრივ ნაწარმად მიიჩნევა, ამიტომ იგი მნიშვნელოვან წარმოდგენას გვიქმნის ცალკეულ რეგიონში ადგილობრივ კულტურულ იდენტობასა და ურბანულ ფორმებზე.

ნაგებობათა მშენებლობაში თიხისგან გამომწვარი აგური შუამდინარეთში III ათასწლეულიდან გამოიყენებოდა, მოგვიანო პერიოდში მას ეგვიპტელებიც აქტიურად იყენებდნენ. თიხის გამომწვარი ფილა - კრამიტი გადასახურ მასალად პირველად გამოყენებული იქნა ძვ. საბერძნეთში, ძვ.წ. 2500-2200 წლებში. ეს იყო პატარა, კვადრატული ფორმის ფილები, რომელმაც სავარაუდოდ ქვის მსგავსი ფილები ჩაანაცვლა (Wikander, 1988: 204). კერამიკული ფილების შემდეგი გამოჩენა მიკენის ეპოქაში (ძვ.წ. 1600 – 1100) მოხდა. ამ დროს მათ მიიღეს გვერდიანი კრამიტის ფორმა. ეს ფორმები ფართოდ გავრცელდა ბერძნულ ქალაქებში და მათ ეძებნებათ პარალელები ბერძნული სამყაროს პერიფერიებშიც. მესამე თაობის კრამიტების გამოჩენა უკავშირდება არქაულ ეპოქას (ძვ.წ VII ს.) და იგი გამოვლენილია ცნობილი ტაძრების კომპლექსებში. კორინთული სტილის ჩამოყალიბებასთან ერთად მრავალფეროვანი გახდა კრამიტების ფორმებიც. კლასიკური ეპოქის ადრეული ხანებიდან ცნობილია გადახურვის სამი ძირითადი მეთოდი, ესენია: ლაკონიკური, კორინთული და სიცილიური (Winter, 1993: 273), (Lawrence, 1982: 134). ეს უკანასკნელი ახ.წ. IV

საუკუნიდან ეტაპობრივად ჩაანაცვლა ბიზანტიურმა სტილმა. ამ ეპოქის სახურავის ფილის ტანს ამშვებს პარალელური ღარები და ბევრ მათგანს ახასიათებს გვერდების გარეგანი გაფორმება (Wilson, 1979: 23).

რომაული დიდი ზომის თეგულებისგან განსხვავებით ბრტყელი გვერდებაკეცილი კრამიტი (ე.წ. სოლენი) შედარებით მცირე ზომებისაა და აღმოსავლეთ რომის იმპერიაში იგი შენობათა გადახურვის ძირითადი მასალა იყო. ეს არის გამომწვარი თიხის დიდი ზომის ფილები, რომლებიც, როგორც წესი, დაჭრილია ყალიბში. მათი ტიპოლოგიის განსაზღვრისას ყურადღება ენიჭება კრამიტის გვერდების სისქეს, ფორმასა და მათ მიმართებას კრამიტის ძირთან. ამ ნიშნების გათვალისწინებით შემუშავებულია ბრტყელი კრამიტების ძირითადი ტიპოლოგია. სწორედ მათი გათვალისწინებით ჩვენ მიერ განისაზღვრა საკვლევი რეგიონის გვერდებაკეცილი კრამიტების ადგილობრივი ტიპები და ფორმები.

ბრტყელი კრამიტები გვერდების ფორმის მიხედვით ქმიან სამ ძირითად ჯგუფს. ა) სწორგვერდა კრამიტების ჯგუფი, ბ) გადაზნექილგვერდიანი კრამიტების ჯგუფი, გ) გვერდშეზნექილი კრამიტების ჯგუფი. აღნიშნულ ჯგუფებში ბრტყელი კრამიტები ჯგუფდებიან ცალკეულ ტიპებად და ფორმებად - გვერდის ზომისა და ფორმის, გვერდის თავის მოყვანილობისა და კრამიტის კეცის სისქის მიხედვით. კრამიტის ადგილობრივმა ფორმებმა შესაძლოა მოგვცეს ტიპთა კიდევ უფრო მეტი მრავალფეროვნება. კეცის ფერი, გამოწვის ტექნიკა და ა.შ. საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ მათი საწარმოო კერები და დავაჯგუფოთ ისინი წარმოშობის მიხედვით (Mills, 2005: 89-91).

ღარისებრი კრამიტებიც შენობა-ნაგებობების გადასახურად იყო განკუთვნილი. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მათი დანიშნულებაა გვერდებაკეცილი ბრტყელი კრამიტების წყობის ვერტიკალური შეერთების დაცვა, რათა წვიმის წყალი გადახურვის სტრუქტურაში არ ჩასულიყო და იგი ბრტყელ კრამიტებზე გადნაწილებულიყო. არის შემთხვევები, როდესაც სახურავი მხოლოდ ღარისებრი კრამიტების წყობით იყო მოწყობილი. ღარისებრი კრამიტებიც თავიანთი ზომებისა და ფორმის მიხედვით განსხვავდება ერთმანეთისგან, თუმცა შეიძლება ითქვას, რომ მათი ზომა დამოკიდებული იყო მასთან ერთად გადასახურად გამოსაყენებელი ბრტყელი კრამიტის ზომაზე.

სხვადასხვა ეპოქაში სამშენებლო მასალების ფორმები გარკვეულ ცვლილებებს განიცდიდნენ. ამის თვალსაჩინო მაგალითია ფილისა და აგურის ფორმების ცვლილებები რომაულ, გვიანრომაულ და ადრებიზანტიურ ხანაში. ზოგჯერ ფილა ემსგავსება აგურს და ისინი სრულიად ერთნაირ ნივთად გვევლინება. მათი არსებითი განსხვავება გამოწვის ხარისხსა და, შესაბამისად, მის სიმტკიცეში გამოიხატება, რაც ერთი შეხედვით შეიძლება ვერ იქნეს შემჩნეული. ანტიკურ და გვიანანტიკურ ხანაში აგური ძირითადად მაინც ინარჩუნებს ერთნაირ ფორმასა და ზომას. ცნობილია აგურის შემდეგი ძირითადი ტიპები: კვადრატული, მართკუთხა და მრგვალი. მოზრდილი მართკუთხა აგურები ზოგჯერ ფილის დანიშნულებით გამოიყენებოდა (Mills, 2005: 228). ფორმასთან ერთად იცვლეობოდა სამშენებლო მასალის ზომებიც. მაგალითად, ადრეშუასაუკუნეების ბრტყელი კრამიტების ზომა არსებითად შემცირებულია ანტიკური პერიოდის იგივე ტიპის კრამიტების ზომებთან შედარებით, ამის მიზეზი კი კრამიტის მოხმარების ზრდით გამოწვეული წარმოების ზრდაა, რა დროსაც აუცილებელი ხდებოდა კრამიტის სიმტკიცის შესანარჩუნებლად მათი სისქის, სიგრძისა და სიგანის შემცირება (ახვლედიანი, 1986: 136).

მშენებლობაში კერამიკის აქტიური გამოყენება საქართველოში ძველი წელთაღრიცხვის ბოლო საუკუნეებთან არის დაკავშირებული. მცხეთაში და მის შემოგარენში ჩატარებულმა არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ ცხადჰყო მშენებლობაში აგურის, ბრტყელი და ღარისებრი კრამიტის ფართოდ გამოყენების ფაქტები (ჯღამაია, 1980: 14). მცხეთისა და ვანის არქეოლოგიური შესწავლიდან ჩანს, რომ როგორც ქართლში, ასევე კოლხეთში კრამიტის წარმოება ძვ.წ. IV-III საუკუნეებიდან უნდა მომდინარეობდეს, ხოლო ახ.წ. I-III საუკუნეებში სამშენებლო კერამიკის წარმოება უკვე ფართო მასშტაბს იძენს (აფაქიძე ა, 1959: 106-127), (ლორთქიფანიძე, 1972: 7-42).

მშენებლობაში კერამიკის როლი კიდევ უფრო იზრდება გვიანანტიკურ ხანასა და ადრეშუასაუკუნეებში. ამ პერიოდის სამშენებლო კერამიკის დიდი ნაწილი შესწავლილია ბიჭვინთის არქეოლოგიურ ძეგლებზე, სადაც კრამიტი ყველა მნიშვნელოვანი ნაგებობის გადასახურ მასალად იყო გამოყენებული. აქვე არის დაფიქსირებული აგურის გამოყენების შემთხვევები კედლის წყობის გასასწორებლად, აბანოების მშენებლობისას და ა.შ. ბიჭვინთის ძეგლებზე შესწავლილ საზოგადოებრივი ნაგებობების იატაკის

მოსაწყობად გამოყენებული იყო მოზრდილი კვადრატული ფილები. ყურადღებას იქცევს ფართო და სქელი ფილების დიდი ჯგუფი, რომლებსაც ორიგინალური კონუსური ქიმები აქვთ. ბიჭვინთის არქეოლოგიურ ძეგლებზე დაფიქსირებულია ორიგინალური სამშენებლო მასალა - მოგრძო კერამიკული ყუთები, რომლის მსგავსი მასალა დასავლეთ საქართველოს სხვა ძეგლებზე არ არის გამოვლენილი (აფაქიძე გ, 1977: 223-224).

საქართველოში თიხის სამშენებლო მასალები უმთავრესად გამოიყენებოდა საკულტო ნაგებობების და აბანოების მოსაწყობად და გადასახურად, ასევე საფორტიფიკაციო ნაგებობების კედლების ასაგებად და კოშკების გადასახურად. ამ მხრივ საინტერესოა ვარდციხეში სასიმაგრო კედლებისა და ქონგურების მოსაწყობად რამდენიმე ფორმის აგურის გამოყენების დადასტურებული შემთხვევა. აქ კრამიტები კოშკების გადასახურად იყო გამოყენებული (ჯაფარიძე, 1989: 92-96). თუმცა კრამიტი ძირითადი გადასახური მასალაა ადრეული სატაძრო კომპლექსებში (ბახტაძე, 2018: 109, 121).

დასავლეთ საქართველოში ადრეშუასაუკუნეების საზოგადოებრივი და თავდაცვითი ნაგებობების მშენებლობაში კერამიკის გამოყენების შემთხვევები ძირითადად შესწავლილია სოხუმის, ბიჭვინთის, ოჩამჩირის, არქეოპოლისის, ვაშნარის, ვარდციხის, შორაპანის და სკანდეს არქოლოგიურ ძეგლებზე.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ადრეშუასაუკუნეების სამშენებლო კერამიკა ძირითადად ცნობილია პეტრა-ციხისძირის, გონიო-აფსაროსის, ფიჭვნარისა და ავგიის ნაეკლესიარებიდან. ამჟამად ჩვენ მიმოვიხილავთ 2015-2020 წლებში აღმოჩენილ სამშენებლო კერამიკის ნიმუშებს, მოკლედ შევეხებით ასევე წინა წლების აღმოჩენებსაც, რომლებიც თავმოყრილია ცალკეულ სამეცნიერო პუბლიკაციებსა და საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიების ანგარიშებში.

ციხისძირში ბოლო დროს მოპოვებული ადრეშუასაუკუნეების სამშენებლო კერამიკის ნიმუშები დაკავშირებულია 2016-2020 წლებში აკროპოლისის სხვადასხვა უბანზე (ე.წ დერეფნის, ცისტერნის აღმოსავლეთ კარიბჭისა და ბაზილიკის მიმდებარე ტერიტიორია) ჩატარებულ არქეოლოგიურ სამუშაოებთან. გონიო-აფსაროსიდან განხილული გვაქვს 2018-19 წელებში ციხის ცენტრალურ მონაკვეთში, NO-I სექტორის,

მე-3 მდა მ-4 კვადრატებში ბიზანტიური ფენის მასალებთან ერთად მოპოვებული სამშენებლო კერამიკის ზოგიერთი ნიმუში. რაც შეეხება ფიჭვნარს, აქ მოპოვებული სამშენებლო კერამიკა დაკავშირებულია ადრეშუასასუკუნეების სამარხეული კომპლექსების შესწავლასთან. მათ შესახებ ინფორმაცია უკვე სამეცნიერო მიმოქცევაშია (ჩხაიძე, 1980: 39-54). სამშენებლო კერამიკის დიდი რაოდენობა აღმოჩენილია 2015 წელს ავგიის ადრეშუასაუკუნეების საეკლესიო ნაგებობების არქეოლოგიური შესწავლის შედეგად (მამულაძე, ქამადაძე, ყიფიანი, 2021: 156-175). ეს მასალები გვეხმარება სამშენებლო კერამიკის, განსაკუთრებით კი, ბრტყელძირიანი გვერდებაკეცილი კრამიტების დათარიღებისა და მათი ტიპოლოგიის განსაზღვრაში.

**აგური** ადრებიზანტიური ეპოქის მშენებლობებში ფართოდაა გამოყენებული, თუმცა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში მისი წილი სამშენებლო კერამიკაში მაინც მცირეა. რომაულ ხანაში აგური ხშირად გამოიყენებოდა წყობის გასასწორებლად, რა დროსაც იგი მწკრივდებოდა ერთ ან ორ რიგად. ბიზანტიურ ხანაში ჩნდება აგურის სარტყლები, რომელთა დანიშნულებაც შენობებისათვის გარკვეული სიმსუბუქის მიცემა იყო. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში აგურის კლასიკური ბიზანტიური წყობის (*Opus mixtum*) მქონე სარტყელი, სრული სახით არ არის გამოვლენილი. თუმცა 2022 წელს პეტრას აკროპოლისში მიმდინარე გათხრებისას გამოჩენილი ახალი ნაგებობის ნაშთი ადასტურებს, რომ მშენებლობის ამ ტექნიკას ჩვენშიც აქტიურად იყენებდნენ (ტაბ. VIII-2). გვიანანტიკური ხანიდან აგურები გამოყენებულია აბანოების მშენებლობაში, გათბობის სისტემის - კალორიფერის - სვეტების ამოსაყვანად. საამისოდ იყენებდნენ აგურის მრგვალ ფორმას. მონაპოვრებს შორის არის ასევე სწორკუთხა და კვადრატული აგურებიც (ტაბულა XXV-1).

ციხისძირის №1 აბანოს (ახ.წ. IV ს.) საძირკვლისა და კედლის მშენებლობაში ჩანს აგურისა და კრამიტის ნატეხები და აგურის ჰორიზონტალური რიგები. აგური გამოყენებულია ასევე კედლის გასწვრივ მოწყობილი მერხების მოსაწყობად. არსებობს ვარაუდი, რომ ფრიგიდარიუმის აუზის იატაკიც აგურით იყო მოკირწყლული, ისევე როგორც აბანოს თბილი განყოფილების კალდარიუმის იატაკი (ინაიშვილი ნ, 1993: 45-46). მცირე რაოდენობითაა გამოყენებული აგური პეტრას აკროპოლისში მდებარე ბაზილიკის მშენებლობაში; მრგვალი აგურის ფრაგმენტები ფიქსირებულია ბაზილიკის

მახლობლად მდებარე აბანოს, აღმოსავლეთ კარიბჭისა და ცისტერნის გათხრები დროსაც (ინაიშვილი ა, 1974: 131, 144). ბოლო წლებში სხვადასხვა ფორმის აგურები მცირე რაოდენობით გამოჩნდა პეტრას აკროპოლისსა და ციხის სამხრეთ ბორცვთან დამაკავშირებელ დერეფანშიც. ერთ-ერთი ნაკლებად დაცული აგური (ც.ძ. 2017.233. ზომები: 21x6x7 სმ) წითლად გამომწვარია, აქვს მსხვილმარცვლოვანი კეცი და მის ერთ მხარეს დატანილია ურთიერთგადამკვეთი ღარებით გამოსახული სამკუთხედები. ამ ღარების დანიშნულება უნდა იყოს აგურის წყობაში დუღაბის უკეთ მოჭიდება. მსგავსადაა დატალღული რამდენიმე ფრაგმენტი, თუმცა მათი აღნაგობა თითქოს უფრო ფილას წააგავს. ასეთ შემთხვევაში ვიყენებთ აგურის ფილისაგან გარჩევის ერთ პრაქტიკულ მეთოდს: თუ ნიმუშის სიგრძისა და სიგანის ჯამი, გაყოფილი მის სისქეზე არის რვაზე ნაკლები ე.ი. საქმე აგურთან უნდა გვქონდეს.

შესწავლილ ნიმუშებს შორის გამოვყოფთ რამდენიმე ფორმას: კვადრატულს, მოგრძო სწორკუთხოვან და მრგვალი ფორმის აგურებს. ციხისძირში ნაპოვნი სქელი კვადრატული და მოგრძო აგურები გარკვეულ მსგავსებას ავლენს ფიჭვნარის ადრეშუასაუკუნეების ბაზილიკისა და თანადროული სამაროვნის შესწავლისას აღმოჩენილ აგურებთან (Kakhidze A., Intagliata, Harley, Naskidashvili, 2019: 150).

**თიხის ფილები** სამშენებლო კერამიკის მნიშვნელოვან ჯგუფს წარმოადგენს. აგურისაგან განსხვავებით იგი ძირითადად იატაკის მოსაპირკეთებლად იყო გამოყენებული, ზოგჯერ მის ნატეხებს კედლის წყობაშიც მოაყოლებდნენ ხოლმე, თუმცა ეს მისი ძირითადი დანიშნულება არ ყოფილა. ზომისა და ფორმის მიხედვით ფილების რამდენიმე ტიპია გამოყოფილი. ესაა კვადრატული და მართკუთხა ფორმის, თხელი და სქელკეციანი ფილები.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ბოლო დროს თიხის ფილების დიდი რაოდენობა აღმოჩნდა ავგიის ბაზილიკის გათხრებისას. იატაკის დონეზე გაითხარა კვადრატული და მართკუთხა ფორმის ფილები. კვადრატულს ვუწოდებთ ისეთ ფილებს რომელთა სიგრძე და სიგანე მეტ ნაკლებად თანაბარია და მათ შორის სხვაობა არ აღემატება 4-6 სმ-ს. მათი კეცი ყავისფერია და ზოგჯერ მოწითალო ფერი დაკრავს. ფილები ყალიბშია გამოჭრილი და აქვთ სადა ტანი. მართკუთხა ფორმის ფილებში ორ ფორმას გამოვყოფთ - ერთი შედარებით მომცრო ზომისაა, ხოლო მეორე უფრო

მოგრძო მართკუთხა ფორმისაა. ამ ფორმის ფილებიც ყალიბშია მოჭრილი, კეცი კი ყავისფრადაა გამომწვარი. ზოგჯერ მას დაკრავს მოწითალო ან მოყვითალო ფერი, ზოგიერთი მათგანის კეცი შეიცავს კირქვის მინარევებს. საინტერესოა, რომ ერთ-ერთი ნიმუშის ცალი კუთხე პირამიდისებურადაა გამოყვანილი, ერთ-ერთი ფილის ზედაპირზე შემორჩენილია ცხოველის ნაკვალევი, განათხარ მასალაში გამოვლენილია ჩაზნექილი ტანის მქონე ფილაც (ავგია 2015. 66, 67). ყავისფერკეციანი მართკუთხა ფილების ორივე ფორმაა დაფიქსირებული პეტრა-ციხისძირშიც, სამნავიანი ბაზილიკის ტერიტორიაზე და მის უშუალო სიახლოვეს. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იგი ამ შემთხვევაშიც იატაკის მოსაწყობად იქნა გამოყენებული (ტაბ.XXV-2, XXVI-1).

კვადრატული ფორმის მთლიანად დაცული ფილის ზომაა - 19,5X13,5X3,4 სმ. (ავგია 2015.71); 19,5X12,5X4,5 სმ. (გ.ა. 2019/180).

მართკუთხა, შედარებით მომცრო ზომის მთლიანად დაცული ფილების ზომებია - 24,8x15,6x3,6 სმ. (ავგია 2015.79) და 22,5X10,5X4,7 სმ. (ც.ხ.2020.109).

მართკუთხა, შედარებით მოგრძო ზომის მთლიანად დაცული ფილის ზომებია - 33,1x22,4x3,6 სმ. (ავგია 2015.16).

**კრამიტი** თიხის სამშენებლო მასალებს შორის ყველაზე მრავალრიცხოვანი ჯგუფია. გვიანანტიკური და ადრებიზანტიური ხანის კრამიტები წარმოდგენილია ღარისებრი (კალიპტერის) და ბრტყელძირიანი (ე.წ. სოლენის) ტიპის კრამიტებით. დასავლეთ საქართველოს სხვა არქეოლოგიური ძეგლების მსგავსად საკვლევ რეგიონშიც ღარისებრი კრამიტების რაოდენობა შედარებით მცირეა. უფრო დიდი რაოდენობით არის წარმოდგენილი ბრტყელი კრამიტები. სიუხვეა მათი ადგილობრივი ფორმების მხრივაც. საკვლევ რეგიონში ბოლო წლების განათხარი არქეოლოგიური მონაპოვრებით თუ ვიმსჯელებთ, კრამიტები გადასახურ მასალად უმთავრესად გამოყენებული ყოფილა საეკლესიო და სამოქალაქო დანიშნულების შენობა-ნაგებობებში, ასევე თავდაცვით კოშკებში. როგორც სამშენებლო მასალა კრამიტი გამოყენებულია კედლების წყობებში და სამეურნეო ნაგებობების ზედაპირული სანიაღვრე არხების მოსაწყობად (პეტრას აკროპოლისის მაგალითზე), რაც მათ მეორად გამოყენებაზე მეტყველებს.

განათხარ მასალაში ბრტყელძირიანი კრამიტების რაოდენობასთან შედარებით ღარისებრი კრამიტების სიმცირე ართულებს შენობა-ნაგებობების გადახურვის ზუსტი კონცეფციის განსაზღვრას. თუმცა ბრტყელძირიანი კრამიტების განსხვავებული ტიპები და ფორმები გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის შენობის გადახურვის თავისებურებებზე, კრამიტების დამზადების ტექნიკასა და საწარმოო ცენტრებზე. ახ.წ. IV-VII საუკუნეებისთვის გრძელდება კრამიტების საერთო ზომების შემცირების ტენდენცია. მაგალითად, გონიო-აფსაროსში შესწავლილი გვიანრომაული პერიოდის ბრტყელძირიანი კრამიტების პარამეტრები გაცილებით მასშტაბურად გამოიყურება, ვიდრე ავგიის V-VI სს-ის ბაზილიკის გათხრებისას აღმოჩენილი კრამიტის ფრაგმენტები; სახეზეა კრამიტების უფრო ტლანქი ფორმები, რომელთაც აქვთ უხეში თიხა და გვერდებიც ხელით, მდარედაა გამოყვანილი.

ღარისებრი კრამიტები ძირითადად მოყავისფრო და მოჩალისფრო კეცისაა. მთლიანად დაცული კალიპტერის სიგრძე 40 სმ-ს აღწევს, კეცის სისქე კი 2,8 სმ. მოჩალისფრო კეცის მქონე კრამიტების სისქე 1,5-1,8 სმ-ს შორის მერყეობს და იგი შედარებით მსუბუქ გადასახურ მასალად უნდა განვიხილოთ. ისინი მიკვლეულია პეტრას სამნავიანი ბაზილიკის ნართექსის ტერიტორიაზე. ამ ფორმის ღარიანი კრამიტები გამოყენებული უნდა ყოფილიყო ბრტყელძირიანი კრამიტების შედარებით დაბალგვერდიან ფორმებთან ერთად. შესწავლილ მასალებში იშვიათია დეკორისა და შემკულობის მქონე კრამიტები. ავგიის ბაზილიკის გათხრებისას მოპოვებულია დეკორით შემკული მხოლოდ ერთი მოვარდისფრო კეცის მქონე ღარისებრი კრამიტი - მას ზურგზე მიუყვება გრძივი ღარები, რომლებსაც კვეთს დახრილი ირიბი ღარები (ავ. 2015.70). ძირითადად, ბრტყელძირიან კრამიტებსაც არ გააჩნიათ გამოკვეთილი დეკორატიული ღირსება, არ აქვთ შემკულობა, სახელოსნო-სავაჭრო ნიშნები, ტვიფრები და ა.შ. გავრცელებულია კრამიტის ზედაპირზე ღარების დატანა. ზოგიერთი კრამიტის ზედაპირი დატალღულია ან აქვს წრიული ხაზები. კრამიტების დიდი ნაწილი ყალიბშია გამოჭრილი (XXVI-2). თუმცა პეტრა-ციხისძირში დაფიქსირებულია მოზრდილი რელიეფური ჯვრებით შემკული ბრტყელძირიანი გვერდებაკეცილი კრამიტების რამდენიმე ფრაგმენტები. ისინი დაკავშირებული უნდა იყოს საეკლესიო ნაგებობისთვის განკუთვნილ კერამიკულ პროდუქციასთან. კრამიტზე დატანილი მსგავსი

რელიეფური ჯვრები ცნობილია ბიჭვინთის მასალებშიც და მათი წარმოების ადრეულ თარიღად IV საუკუნეა განსაზღვრული (კვიციანი, 2009: 41-43).

ადგილობრივი ფორმების განსაკუთრებული სიმრავლე ვლინდება ბრტყელ გვერდებაკეცილ კრამიტებში. ბოლო დროის აღმოჩენებიდან ჩვენს ხელთ არის მთლიანად დაცული მხოლოდ რამდენიმე ნიმუში. ამით კი რთულია განვსაზღვროთ კრამიტების ცალკეული ფორმის პარამეტრები: გაბარიტული ზომები და წონა, რითაც ზოგადად ხდება შენობის სახურავზე კრამიტის მასისა და სახურავის გარკვეული ფართობის გადასახურად გამოყენებული კრამიტების რაოდენობის გაანგარიშება. ცალკეულ ძეგლებზე მოპოვებულ მასალაში ჭარბობს ბრტყელძირიანი კრამიტების გვერდისა და ძირის ნატეხები. მათი მეშვეობით გამოვყავით ოთხი ძირითადი ტიპი, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდება აკეცილი გვერდის ზომითა და ფორმით. თითოეულ ქვეტიპში თავმოყრილია საერთო ნიშან-თვისებების მქონე ნიმუშები. ამის მიუხედავად მათ შორის შესაძლებელია გამოვყოთ განსხვავებული ფორმებიც - კრამიტის კეცის, აკეცილი გვერდის შიდა კუთხის ფორმისა და ბრტყელი ძირის თავისებურებათა გათვალისწინებით.

უკეთ რომ წარმოვიდგინოთ ბრტყელი კრამიტის ფორმების ცალკეული მახასიათებლები და განვსაზღვროთ მათი ტიპოლოგია, შემოგვაქვს პირობითი კოდირების სისტემა.

როგორც წესი გვერდებაკეცილ ბრტყელ კრამიტებს ვყოფთ სამ ჯგუფად, რომლთა ძირითად მაიდენტიფიცირებელ ნიშნად განსაზღვრულია კრამიტის ბრტყელ ძირთან მიმართებაში აკეცილი გვერდის მდგომარეობა (ფორმა). ამ მაიდენტიფიცირებელ ნიშანს პირობითად აღვნიშნავთ „A" ასონიშნით. საკუთრივ გამოყოფილი ჯგუფები შემდეგია: - ბრტყელი სწორგვერდა (1), გადაზნექილი (2) და შეზნექილი (3) გვერდების მქონე ბრტყელი გვერდებაკეცილი კრამიტები (A1, A2, A3).

ბრტყელ კრამიტებში ძირითადი ტიპების განსაზღვისთვის არსებითია შემდეგი მაიდენტიფიცირებელი ნიშნები:

*B - კრამიტის აკეცილი გვერდის სიმაღლე: მაღალგვერდიანი (1), დაბალგვერდიანი (2);*

*C - კრამიტის აკეცილი გვერდის შიდა მხრის ფორმა: სწორი (მართკუთხა) (1), შეზნექილი (მახვილკუთხა) (2), დახრილი (ბლაგვკუთხა) (3).*

ცალკეულ ტიპებში შესაძლებელია გამოიყოს სხვადასხვა ფორმაც, რომლის მაიდენტიფიცირებელი ნიშნებია:

*D - კრამიტის აკეცილი გვერდის თავის ფორმა: გვერდი მომრგვალებული თავით (1), გვერდი სწორი, ბრტყელი თავით (2), ორმხრივად შევიწროვებული, კონუსისებრი (3);*

*E - კრამიტის აკეცილი გვერდის სიფართე: ვიწრო (1), ფართო (2);*

*F - კრამიტის ძირის ზომა: თხელძირიანი (1), საშუალოსისქის ძირით (2), სქელძირიანი (3).*

როგორც ვხედავთ, გვერდებაკეცილი ბრტყელი კრამიტების ტიპოლოგიის განსაზღვრისას ძირითადი მნიშვნელობა ენიჭება მათი აკეცილი გვერდის სიმაღლეს, ფორმასა და მოყვანილობას, მაგრამ იგი არ არის ერთადერთი მაიდენტიფიცირებელი ნიშანი. მასთან ერთადაა მოცემული კრამიტის აკეცილი გვერდისა და ძირის ზომები. უნდა განვმარტოთ, რომ ჩვენ შემთხვევაში მაღალგვერდიან კრამიტად ნაგულისხმევია ისეთი კრამიტები, რომელთა გვერდის საერთო სიმაღლე აღემატება 5 სმ-ს, ხოლო მისი ზომა, ძირის გამოკლებით, აღემატება 3 სმ-ს. ვიწრო გვერდის მქონე კრამიტად ნაგულისხმევია ისეთი კრამიტები, რომელთა გვერდის სისქე არ აღემატება 3 სმ-ს, ხოლო თხელძირიან კრამიტებში ვგულისხმობთ ისეთ კრამიტებს, რომელთა ბრტყელი ძირის ზომა არ აღემატება 2 სმ-ს, საშუალო სისქის კრამიტებში 2-3 სმ-ს. ხოლო სქელძირიან კრამიტებში კი ისეთ კრამიტებს, რომელთა ძირის სისქე აღემატება 3 სმ-ს. უნდა ითქვას, რომ ბრტყელძირიანი კრამიტების ცალკეული ნაწილის აღწერა-დახასიათებისას ვეყრდნობით ქართულ მეცნიერებაში ბოლო დროს დამკვიდრებულ ტერმინოლოგიას (ძნელაძე მ., ხოხობაშვილი, ღლივაშვილი, სადრაძე, 2020: 22-28).

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ცალკეულ ძეგლებზე 2015-2020 წლებში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული ბრტყელძირიანი გვერდებაკეცილი კრამიტები წარმოდგენილია ორი სახით:

A1. **სწორი აკეცილი გვერდის მქონე ბრტყელი კრამიტების ჯგუფი** - ახასიათებს ბრტყელი ძირიდან მართი კუთხით ყალიბში გამოყვანილი სწორი გვერდი.

A2. **გადაზნექილი გვერდების მქონე ბრტყელი კრამიტების ჯგუფი** - ახასიათებს მკვეთრად გადაზნექილი აკეცილი გვერდი. A3 ჯგუფის (შეზნექილი) კრამიტები

მონაპოვრებს შორის არაა. თითოეული ეს ჯგუფი აერთიანებს სხვადასხვა ტიპისა და ფორმის ბრტყელ კრამიტებს. ქვემოთ მიმოვიხილავთ თითოეულ მათგანს.

**ჯგუფი A1 - სწორგვერდა ბრტყელი კრამიტები**

**I ტიპი - მაღალგვერდიანი მართკუთხა კრამიტები** (B1/C1). ამ ტიპის კრამიტებს ახასიათებს ბრტყელი ძირიდან მართი კუთხით ყალიბში გამოყვანილი სწორი მაღალი გვერდი, რომლის შიდა მხარე მართი კუთხით ეშვება ბრტყელ ძირზე. ასეთი კრამიტების სიმაღლე აკეცილი გვერდის მხარეს აღემატება 5 სმ-ს, უშუალოდ გვერდის სიმაღლე კი 3 სმ-ს, რაც ძირითად მაიდენტიფიცირებელ ნიშანს წარმოადგენს. კეცის სისქე მერყეობს 1,5-2,5 სმ-ს შორის. კრამიტის გვერდის თავის მოყვანილობის მიხედვით გამოვყოფთ ორ ძირითად ფორმას, რომელთა შორისაც არ არის სრული ერთგვაროვნება, განსხვავებულია კეცის შეფერილობა, სტრუქტურა და ზომები, რაც შეიძლება მათი სხვადასხვა დროს და სხვადასხვა სახელოსნოში დამზადების მანიშნებელი იყოს. თუმცა საერთო ნიშან-თვისებები ერთმანეთის მსგავსია და იგი ადგილობრივ ნაწარმი უნდა იყოს (ტაბ. XXVII-1).

**ფორმა 1. ბრტყელთავიანი (D2)** (ავგია 2015/89, 91, 93, 95, 99; ც.ხ. 2016/45-2; 2017/140; გ.ა. 2018/242, 246, 247, 250, 274, 276). ამ ფორმის კრამიტების გვერდის თავი ბრტყელია და ოთხკუთხა ფორმა აქვს, რომელიც სამეთუნეო დანითაა გასწორებული, ისევე როგორც გვერდი. თიხა ძირითადად ყავისფრადაა გამომწვარი, ზოგიერთ მათგანს დაკრავს მოწითალო და მოვარდისფრო ფერი. კეცი ძირითადად მსხვილმარცვლოვანია. ხშირ შემთხვევაში მათ გვერდზე გამოყვანილი აქვთ მხარი და იღლია. ამ ფორმის კრამიტების ზედაპირზე იშვიათად შეიმჩნევა ღარები, თუმცა ზოგ შემთხვევაში გამოკვეთილია სამეთუნეო დანით ზედაპირის მოსწორების კვალი. ამ ფორმის კრამიტებში შესწავლილია, როგორც ვიწროგვერდიანი (F1), ასევე ფართოგვერდიანი (F2) კრამიტის ფრაგმენტები, რომლის გვერდის სისქე აღემატება 3 სმ-ს. ზოგიერთი მათგანისათვის ასევე დამახასიათებელია შედარებით თხელი ან სქელი ძირი.

**ფორმა 2. მომრგვალებულთავიანი (D1)** (ავგია 2015/04, 22, 29, 30, 83, 90, 98; ც.ხ. 2016/44-1; გ. ა.2018/ 272, 273, 275; 2020/ 84). ამ ფორმის კრამიტებისათვის დამახასიათებელია აკეცილი გვერდის მომრგვალებული ან ოვალური მოყვანილობის

თავი. კრამიტის ცენტრალურ ნაწილში ზოგჯერ გვერდი უფრო შესქელებულია. ჩანს, რომ ამ ტიპის კრამიტის ძირის ყალიბში მოსწორებასთან ერთად გვერდების გამოყვანა და თავის ფორმირებაც მეტწილად ხელით ხდებოდა. კრამიტის კეცი ძირითდად ღია ყავისფერი და მოჩალისფროა, ზოგ მათგანს დაჰკრავს მოვარდისფრო ფერი. დაცულია ასევე წითელი კეცის მქონე კრამიტის ფრაგმენტებიც. კეცი ძირითადად მსხვილმარცვლოვანია და შეიცავს კირქვის მინარევებს. ამ ტიპის კრამიტების ნაწილს აკეცილი გვერდის პარალელურად მიუყვება ორი ან სამი ღარი, ზოგიერთ ფრაგმენტზე დაფიქსირებულია წრიული და გვერდის პერპენდიკულარული ხაზები. ამ ფორმის კრამიტებს უკვე აღარ აქვთ გამოკვეთილი მხარი და იღლია, მათი გვერდები კრამიტის ბოლო ნაწილში მდორედ ეშვებიან ზედაპირზე.

II **ტიპი - დაბალგვერდიანი მართკუთხა კრამიტები** (B2/C1). ამ ტიპის კრამიტებს ახასიათებს ბრტყელი ძირიდან მართი კუთხით ყალიბში გამოყვანილი სწორი დაბალი გვერდი რომლის სიმაღლე არ აღემატება 3 სმ-ს, რაც ძირითადი მაიდენტიფიცირებელი პარამეტრია. განსხვავებულია კრამიტის აკეცილი გვერდის სიმაღლე, თუმცა ძირითად შემთხვევაში იგი არ აღემატება 5 სმ. აქვს ყავისფერი და მოწითალო ფერის კეცი, მისი სისქე მერყეობს 1,6-2,5 სმ-ს შორის. დაბალგვერდიანი სწორკუთხა კრამიტების დიდი ნაწილის გვერდის თავი ბრტყელია, მცირერიცხოვანია მრგვალთავიანი გვერდის მქონე კრამიტები. ზოგიერთ დაბალგვერდიან კრამიტს ახასიათებს თხელი ძირი (1,5-2,1 სმ), ზოგიერთ მათგანს აქვს დაღარული ტანი. ამ ტიპის კრამიტების გარკვეულ რაოდენობას ახასიათებს შედარებით ფართოო ბრტყელი გვერდიც. ცალკე უნდა აღინიშნოს დაბალგვერდიანი სინოპური კრამიტები. მათ აქვთ ღია ჩალისფერი ერთგვაროვანი კეცი, ზოგიერთი მათგანის ზედაპირი კი დაღარულია (ტაბ. XXVII-2). ამრიგად, კრამიტის გვერდის ფორმის, კეცის ფერის, ზომისა და დამზადების ტექნიკის მიხედვით სწორკუთხა დაბალგვერდიან კრამიტებში გამოვყოფთ შემდეგ ფორმებს:

**ფორმა 1.** - ბრტყელთავიანი (D2) (ავგია 2015/ 2, 20, 28, 33, 69, 77, 100; ც.ძ. 2017/ 137; გ.ა. 2018/243).

**ფორმა 2.** - ოვალურთავიანი (D1) (ავგია 2015/64).

**ფორმა 3.** - სინოპური (ავგია 2015/05, 28; ც.ძ.2020/62, 83).

I და II ტიპის ბრტყელი კრამიტები გარკვეულ მსგავსებას ავლენენ ბიჭვინთის არქეოლოგიურ ძეგლებზე მოპოვებულ მაღალგვერდიან, დაბალგვერდიან და სქელგვერდიან კრამიტებთან (აფაქიძე ა, 1975: 102), (აფაქიძე გ, 1977: 244), ასევე ფიჭვნარის IV-VI საუკუნეებით დათარიღებული კრამიტების ბრტყელ და მომრგვალებულთავიან ფორმებთან (ჩხაიძე, 1980: 48). კრამიტის მომრგვალებულთავიანი ფორმა დაფიქსირებულია ვარდციხეშიც, სადაც მასთან ერთად დადასტურებულია ბრტყელი კრამიტების დაბალგვერდიანი ფორმაც (ჯაფარიძე, 1989: 96-97).

III **ტიპი - სწორგვერდა ბლაგვკუთხა კრამიტები** (B1,2/C3). ამ ტიპის კრამიტებს ახასიათებთ ბრტყელი ძირიდან მართი კუთხით ყალიბში გამოყვანილი ბრტყელი, მომრგვალებული ან კონუსისებრი თავის მქონე აკეცილი გვერდი, რომელიც კრამიტის ზედაპირზე დაშვებულია ბლაგვი კუთხით. კეცი ძირითადად მსხვილმარცვლოვანია და აქვს ყავისფერი, ჩალისფერი და ზოგჯერ მოწითალო ფერი. აკეცილი გვერდის პარალელურად მიუყვება მკრთალი ღარები. რამდენიმე ნიმუშზე დაფიქსირებულია ურთიერთგადამკვეთი და წრიული ღარებიც (ტაბ. XXVII-3). ბრტყელი კრამიტების ამ ტიპში ძირითადად გამოიყოფა ორი ფორმა:

**ფორმა** 1. - მაღალი ბლაგვკუთხა კრამიტები (D1,2,3), მათ აქვთ მაღალი აკეცილი გვერდი, რომლის თავიც განსხვებული მოყვანილობისაა. კეცი ძირითადად თხელი ან საშუალო სისქისაა (ავგია 2015/ 23, 24, 32, 65, 85, 97; ც.ძ. 2017/131).

**ფორმა** 2. - დაბალი ბლაგვკუთხა კრამიტები (D1,2), მათ აქვთ დაბალი, ძირითადათ ბრტყელი და მომრგვალებულთავიანი აკეცილი გვერდი, ახასიათებთ თხელი კეცი (ავგია 2015/ 06, 25, 26, 27, 31, 96; ც.ძ. 2016/44-2, 44-3, 44-4, 45-1, 67).

A2 **- გადაზნექილი გვერდის მქონე ბრტყელი კრამიტები**

IV **ტიპი - გადაზნექილი გვერდის მქონე ბლაგვკუთხა კრამიტები** (B1-2/C3). (ავგია 2015/ 3, 92, 94; ც.ძ. 2017/ 132, 138, 139, 240; გ.ა. 2018/ 208). ამ ტიპის კრამიტებს ახასიათებთ მსხვილი და მკვეთრად გადაზნექილი აკეცილი გვერდი, რომლის თავი ძირითადად ხელითაა მომრგვალებული, თუმცა მოიპოვება ბრტყელთავიანი ფრაგმენტებიც. შედარებით უკეთ დაცული ნიმუშებიდან ჩანს, რომ აკეცილი გვერდი ცენტრისკენ უფრო გარეთაა გადაწეული ხოლო ბრტყელ ძირზე, ხშირ შემთხვევაში, ბლაგვი კუთხით ეშვება.

კეცი ძირითადად მსხვილმარცვლოვანია და აქვს ყავისფერი, ჩალისფერი და ზოგჯერ მოწითალო ფერი. აკეცილი გვერდის პარალელურად მიუყვება მკრთალი ღარები, ზოგიერთ ფრაგმენტზე დაფიქსირებულია წრიული ღარებიც. ბრტყელი გვერდებაკეცილი კრამიტების ამ ტიპში გამოიყოფა ორი ფორმა - მაღალი და დაბალი გადაზნექილი გვერდის მქონე კრამიტები. ამ ტიპის კრამიტების კეცის სისქე 1,7-2,5 სმ-ს შორის მერყეობს, თუმცა დაფიქსირებულია უფრო სქელკეციანი კრამიტის ფრაგმენტიც. ამ ტიპის კრამიტების უმრავლესობაში აკეცილი გვერდის სისქე შედარებით მეტია კეცის სისქეზე (ტაბ. XXVII-4). ამ ქვეტიპის კრამიტებს ვხედავთ ვარდციხის ნაქალაქარისა და შორაპნის მასალებში (ჯაფარიძე, 2006: ტაბ. LIII).

ჩვენ მიერ განხილული სამშენებლო კერამიკის ნიმუშებს კარგად ათარიღებს მათი აღმოჩენის ადგილები და კულტურული ფენები. ავგიის ნაეკლესიარი იქ მოპოვებული განათხარი მასალის მიხედვით, სამშენებლო ხელოვნებითა და არქიტექტონიკით ახ. წ. V-VI სს-ით თარიღდება (მამულაძე, ქამადაძე, ყიფიანი, 2021: 160). თანხმლები მასალები ცხადყოფს, რომ VI საუკუნის უნდა იყოს გონიო-აფსაროსის ის ფენა, რომელშიც სამშენებლო კერამიკის ფრაგმენტები ამოვიდა. VI საუკუნისაა ციხისძირში მე-5 კოშკის განათხარი მასალაც. ციხისძირის ბაზილიკის გათხრებისას მოპოვებული კრამიტების ფრაგმენტების ქრონოლოგია განსხვავებულია. ნაწილი მიეკუთვნება IV-V, ხოლო ნაწილი VI საუკუნეს. სამშენებლო კერამიკის უკეთ დათარიღებისათვის საკვანძოა ავგიის ნაეკლესიარის არქეოლოგიური მასალა. აქ ხელთ გვაქვს ყველა ის ფორმა და ტიპი, რაც სხვა საკვლევ ძეგლებზე ფრაგმენტულადაა წარმოდგენილი.

როგორც ჩანს, ავგიის ბაზილიკა V საუკუნის მეორე ნახევარში თავდაპირველად გადაიხურა სწორგვერდა ბრტყელი კრამიტების მაღალგვერდიანი მართკუთხა ბრტყელთავიანი გვერდის მქონე კრამიტების წყობით (A1-B1/C1-D2), რომლებიც წარმოადგენს რომაული ეპოქისათვის დამახსიათებელი ე.წ. სოლენის ტიპის კრამიტების ერთგვარ შემცირებულ ვარიანტს. მათ მასიური ფორმები და ზომები უკვე დაკარგული აქვთ. კრამიტები ადგილობრივი ნაწარმი უნდა იყოს. ფორმებისა და კეცის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ბაზილიკის გადასახურ მასალას არანაკლებ 2-3 სამეთუნეო საამქრო ამზადებდა. მასალებიდან ჩანს, რომ გარკვეულ ეტაპზე (ჩვენი აზრით V-VI საუკუნეების მიჯნა) ბაზილიკის სახურავი მნიშვნელოვნად შეაკეთეს და გამოიყენეს

მართკუთხა, მომრგვალებულთავიანი გვერდის მქონე კრამიტები (A1-B1/C1-D2). მათი რაოდენობით თუ ვიმსჯელებთ, სახურავის დაზიანება საკმაოდ დიდი ყოფილა. შემდეგ ეტაპებზე ბაზილიკის სახურავის შეკეთება შედარებით მცირე მასშტაბისაა და ამ მიზნით გამოყენებული ყოფილა ბლაგვკუთხა (A1-B1,2/C3) და გადაზნექილი გვერდის მქონე კრამიტები (A2-B3/C3), რაც უფრო მოგვიანო პერიოდის მასალა უნდა იყოს. ცალკე გამოვყოფთ აშკარად სინოპური კერამიკისათვის დამახასიათებელი კეცის მქონე დაბალგვერდიან კრამიტებს, ისინი სინოპური იმპორტის აქტიური ფაზის თანადროული უნდა იყოს და გვიანანტიკური ხანით თარიღდება.

ამრიგად, ამ მონაცემების გათვალისწინებით შეგვიძლია განვსაზღვროთ ბრტყელი კრამიტების ცალკეული ადგილობრივი ტიპებისა და ფორმების სავარაუდო ქრონოლოგია (იხ. ცხრილი).

| ჯგუფი | ტიპი | ფორმა | სავარაუდო თარიღი |
|---|---|---|---|
| A1 | I | B1/C1-D2 | IV-V სს. |
| | | B1/C1-D1 | V ს-ის II ნახევარი |
| | II | B2/C1-D2 | |
| | | B2/C1-D1 | VI ს-ის I ნახევარი |
| | III | B1,2/C3 | |
| A2 | IV | B3/C3 | VI ს. |

სავარაუდოა, რომ ბრტყელძირიანი კრამიტების მთელი ეგზემპლარები შემდგომში კვლავ გამოუყენებიათ სამშენებლო მასალად. ავგიის ნაეკლესიარის შემთხვევაში ისინი ძეგლის ტერიტორიიდანაა გატანილი. იგივე ითქმის ღარისებრ კრამიტებზეც, რომელთა რაოდენობა შესამჩნევად მცირეა, სავარაუდოდ იმის გამო, რომ ისინი გამოყენებული იყო მხოლოდ სახურავის ცალკეულ მონაკვეთზე. კრამიტების მეორადი გამოყენების ფაქტთან უნდა გვქონდეს საქმე გონიო-აფსაროსშიც, აქ ბიზანტიურ ფენებში ნაპოვნია ადრეული ხანის შედარებით მასიური ბრტყელძირიანი კარამიტების ფრაგმენტები, მათთან ერთადაა ნაპოვნი ადრეშუასაუკუნეებისთვის დამახასიათებელი ტლაქნი, მრგვალთავიანი და გადაზნექილი გვერდის მქონე კრამიტების ნაშთებიც.

საინტერესოა სამშენებლო კერამიკის წარმოების კერების კვლევა. ცნობილია, რომ ისინი განთავსებული იყო წარმოებისათვის საჭირო ნედლეულითა და მასალით მდიდარ ისეთ ადგილებში სადაც წყალი, თიხა და საწვავი მეტნაკლებად თანაბრად ხელმისაწვდომია. ამ გარემოების, ასევე შესწავლილი სამშენებლო მასალის კეცის ფერის, მისი სტრუქტურის გათვალისწინებით. ჩვენ უკვე ვთქვით, რომ პეტრა-ცისიძირისთვის სამშენებლო კერამიკის დამზადება დაკავშირებული უნდა იყოს დაგვისწყლის (დეხვას) ხეობასთან, სადაც შესაძლოა, სამშენებლო ქვასაც მოიპოვებდნენ. ავგიისა და გონიო-აფსაროსისათვის მიმწოდებელ საწარმოო ზონად გვესახება ძეგლების მიმდებარედ წითელმიწა ნიადაგებით მდიდარი მთისწინა ზონა მდინარე ჭოროხისა და მისი შენაკადების ხეობებიდან.

## §8. მინის ნაწარმი

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს IV-VII საუკუნეების სოციალ-ეკონომიკური სურათის უკეთ გააზრებისათვის მნიშვნელოვანია აქ აღმოჩენილი ადრეშუასაუკუნეების მინის ნაწარმი. მათი დიდი ნაწილი უკვე შესულია სამეცნიერო მიმოქცევაში. საკვლევი რეგიონის ნივთიერი კულტურის ეს საინტერესო ჯგუფი შედარებით უკეთაა შესწავლილი და გამოქვეყნებული, რის გამოც ჩვენ მოკლედ მიმოვიხილავთ მათ. ამასთან ყურადღებას დავუთმობთ ბოლო წლების ზოგიერთ მონაპოვარს.

გვიანანტიკურ ხანაში მინის წარმოება ახალ ეტაპზე გადავიდა. დარგის აყვავების ერთ-ერთი მიზეზი იყო 337 წელს მიღებული საიმპერიო ედიქტი, რომელიც მინის ხელოსნების ათავისუფლებდა გადასახადებისაგან; ეს შეღავათები მოქმედებდა ჯერ კიდევ VI საუკუნეშიც (Jones, 1973: 862). მინის წარმოება სირია-პალესტინაში განსაკუთრებით ვითარდება IV საუკუნის ბოლოს, ამ ხანებში საწაარმოო კერებში დასაქმებული მუშახელი, როგორც ჩანს მართლაც სარგებლობდა ძირითადი ეკონომიკური და კულტურული კეთილდღეობით. მიუხედავად იმისა, რომ რომაული მინის დამზადების ძველი ტრადიციები გაგრძელდა, V საუკუნის პირველ ნახევარი იყო გარდამავალი პერიოდი მინის წარმოებაში (Stern 2001: 133, 260). ამ საეტაპო ცვლილებების სუფრისთვის განკუთვნილი მინის ჭურჭლები ფართო საოჯახო მოხმარების საგნად იქცა (Weinberg, Stern, 2009: 148).

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში აღმოჩენილი IV-VII საუკუნეების მინის ნაწარმი ძირითადად იმპორტული საქონელი უნდა იყოს. ამ ეტაპზე მისი ადგილზე წარმოება ნაკლებსავარაუდოა არასაკმარისი არქეოლოგიური მასალის გამო. ზოგადად, ამ დროის საქართველოში მინის ცნობილი საწარმოო ცენტრი მცხეთაა, რაც დაადასტურა როგორც სამთავროს მინის ქიმიურმა გამოკვლევებმა, ასევე აქ აღმოჩენილი ჭურჭლების ფორმათა სპეციფიკურობამ (უგრელიძე, 1967: 88-92).

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში შესწავლილი ადრეშუასაუკუნეების მინის ნაწარმი, მათი ფუნქციისა და დანიშნულების გათვალისწინებით რამდენიმე ჯგუფში ერთიანდება. ყველაზე დიდი ჯგუფი სუფრისთვის განკუთვნილი ჭურჭელია, ესენია: გრაფინისებრი და კოლბისებრი ჭურჭლები, ფიალები, ჭიქები და ფეხიანი სასმისები. ცალკე ჯგუფია სანელსაცხებლეები და ლამპრები. ბუნებრივია, ცალკე ჯგუფს ქმნის ასევე სამშენებლო დანიშნულების (სასარკმელე) მინა.

მინის ნაწარმის დამზადების ტექნიკის თვალსაზრისით, მიეკუთვნება თავისუფალი ბერვის გზით მიღებულ ჭურჭლების ჯგუფს. მათი დიდი ნაწილი თხელკედლიანია. მათ შორის, მორფოლოგიური ნიშნების მიხედვით ცალკე გამოვყოფთ, მეტად საინტერესო ჯგუფს - ხალიანი მინის ჭურჭლების სახით. ჩამოსხმის, ჩაპრესვის შედეგადაა მიღებული სასარკმელე მინა, მასაც ცალკე მიმოვიხილავთ.

**ხალებით შემკული მინის ჭურჭლები** თავისუფალი ბერვის გზითაა მიღებული და მათი წარმოება სირია-პალესტინაში იწყება ახ. წ. III საუკუნიდან. ამ ტიპის ჭურჭლები ფართოდ ვრცელდება IV-V საუკუნეებში და ხმარებაშია VII საუკუნემდე. ხალიანი მინის ჭურჭლები მრავლადაა წარმოდგენილი შავიზღვისპირეთის მონაპოვრებში. ჩრდილო შავიზღვისპირეთში ხალიანი ჭურჭლების დიდი რაოდენობით დაფიქსირების გამო გამოთქმულია ვარაუდი, რომ მათი წარმოების ერთ-ერთი საწარმოო ცენტრიც იქ უნდა ყოფილიყო (Сорокина, 1962: 226). ხალიანი მინის ჭურჭლები მრავლადაა მოპოვებული აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთშიც. კარგად დაცული ნიმუშები აღმოჩენილია აფხაზეთის ტერიტორიაზე (აფაქიძე ა, ლორთქიფანიძე ო, 1965: 117), (Трапш, 1963: 218), (Сорокина, 1971: 85-100), ლაზეთის სამეფოს ცენტრალურ (ზაქარაია, ლექვინაძე, გვინჩიძე, 1978, 80) და სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში (ჩხაიძე, 1975: 108), (ჩხაიძე,1980: 52-

53), (ინაიშვილი ნ., 1993:67-71), (შალიკაძე, 2004: 56-59), (კახიძე ა., შალიკაძე, 2009: 82-83), ასევე აღმოსავლეთ საქართველოში (ჩხატარაშვილი 1978, 19-21).

ჩვენი კვლევის არეალში ხალიანი მინის ჭურჭელი ციხისძირსა და ფიჭვნარშია შესწავლილი. ციხისძირში ხალიანი მინის ჭურჭლის კედლის ფრაგმენტები განსაკუთრებით მრავლადაა ნაპოვნი. ეს უფრო ითქმის ციხისძირის დაბლობში, საზოგადოებრივი აბანოს გათხრისას, ნაპოვნი ხალიანი მინის ჭურჭლის ფრაგმენტებზე. ჭიქის ერთ-ერთ ფრაგმენტს გარეთ გადაკეცილი პირი აქვს. მისი კიდე მოჭრილი და დაუმუშავებელია. ტანი ცენტრისკენ ოდნავ გაფართოებულია, ტანის შუა ნაწილი კი შემკულია ლუჯი ხალებით. ძირი ბრტყელია და ცენტრში მცირედ შეზნექილი. ჭურჭელი მოყვითალო-მომწვანო ფერის მინისგანაა დამზადებული (ინაიშვილი ნ., 1993: 67), (კახიძეა, შალიკაძე, 2009: 82). მსგავსია ჭიქის კიდევ ერთი ფრაგმენტი, მას ახასიათებს წაკვეთილი კონუსის მოყვანილობის ტანი, რომელიც ძირისკენ უფრო ვიწროვდება. ტანზე შემოუყვება მკრთალი ნაკაწრი ზოლი, ზედაპირზე ორი ლურჯი მინის წვეთია მილღობილი. მას აქვს ვიწრო, ბრტყელი ძირი. პარალელური მასალისა და აღმოჩენის კონტექსტის გათვალისიწინებით, ამ ტიპის ჭურჭლები IV-V საუკუნეებითაა დათარიღებული (ინაიშვილი ნ., 1993: 68), (კახიძეა, შალიკაძე, 2009: 83).

ციხისძირის ნაქალაქარის მასალებში გვიანანტიკური ადრეშუასაუკუნეების ხალიანი ჭიქების გარდა გვხვდება ასევე განსხვავებული ჭურჭლის კედლის ფრაგმენტები. მათ ერთმანეთისგან განასხვავებს მინის ხარისხი, ფერი და სისქე. მიჩნეულია, რომ ისინი ხუთ სხვადასხვა ჭურჭელს უნდა ეკუთვნოდეს, ფრაგმენტულობის გამო კი მათი ზუსტი შესწავლა რთულია (ინაიშვილი ნ., 1993: 68).

ამავე პერიოდის უნდა იყოს ციხისძირში აღმოჩენილი კონუსური მოყვანილობის ჭურჭლის - ლამპრის ფრაგმენტი. მას აქვს შესამჩნევად გამოყოფილი და შიგნით ჩაკეცილი პირი. ძირი ვიწრო და მასიურია. ჭურჭელი შემკულია მოგრძო, ოვალური მოყვანილობის მომწვანო-ფირუზისფერი სამი ან ოთხი ხალით. დამზადებულია თავისუფალი ბერვით, ღია მოყვითალო-მომწვანო ფერის მინისაგან. ხალებით შემკული, კონუსურტანიანი მინის ჭურჭლების მსგავსი მასალა დიდი რაოდენობითაა შესწავლილი ბიჭვინთაში (ინაიშვილი ნ., 1993: 68).

სარიტუალო დანიშნულების ლამპრადაა განხილული ფიქვნარში აღმოჩენილი მოყვითალო-მომწვანო ფერის ხალიანი მინის ჭურჭლის ძირის ნატეხი. იგი მიკვლეული იქნა ბაზილიკად მიჩნეული ნაგებობის შიდა ტერიტორიაზე. ფრაგმენტს აღენიშნება მუქი ლურჯი ფერის სამი ხალი (ჩხაიძე, 1980: 52).

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე შესწავლილი ხალიანი მინის ნიმუშები იმეორებენ IV-V საუკუნეებში შავიზღვისპირეთში გავრცელებულ ფორმებს. ისინი ფერადი მინის ძაფითა და სპირალური ცრუ ძაფებითაა მორთული.

**ფიალები** - დაბალი, ნახევარსფერული მოყვანილობის ჭურჭლები შესწავლილია ციხისძირის ადრეშუასაუკუნეების სამარხეულ ინვენტარს შორის. ფიალის შედარებით კარგად დაცულ ერთ ნიმუშს აქვს ტანისგან გამოყოფილი და პროფილირებული პირი, კიდე მოჭრილია და დაუმუშვებელი, ძირი კი ოდნავ შეზნექილი. ტანის შუა ნაწილი შემკულია ერთმანეთთან დაკავშირებული რელიეფური ოვალებით. აქვს მონაცრისფრო, გამჭვირვალე მინა (ინაიშვილი ნ., 1993: 72-73), (კახიძე ა., შალიკაძე, 2009: 82). ამავე მასალაში არის კიდევ ერთი ჭურჭლის ცილინდრულტანიანი მომცრო ფრაგმენტიც, რომლის ზედაპირი შემკულია რელიეფური, ფიჭისებური გამოსახულებებით. ჭურჭელი ფორმაშია გამობერილი, დამზადებულია მოყვითალო-მომწვანო გამჭვირვალე მინისგან. ნ. ინაიშვილი აღნიშნულ ნიმუშს ჭიქად განიხილავს, პარალელური მასალის გათვალისწინებით იგი ახ.წ. IV-V საუკუნითაა დათარიღებული (ინაიშვილი ნ., 1993: 74).

**გრაფინისებრი და კოლბისებრი ჭურჭლები** გვიანანტიკური ხანის მინის ნაწარმის საინტერესო ნიმუშებია. მათი აღმოჩენა დაკავშირებულია ფიქვნარის ადრეშუასაუკუნეების სამარხეულ კომპლექსთან და გონიო-აფსაროსის ადრებიზანტიური ხანის კულტურულ ფენებთან.

კარგად დაცული მინის კოლბისებრი ჭურჭელი ფიქვნარის ადრეშუასაუკუნეების სამაროვანზეა აღმოჩენილი. ჭურჭლის სიმაღლე 13 სმ-ია. მას აქვს მომწვანო, გამჭვირვალე მინა, ძაბრისებრი პირი (D - 5 სმ), მაღალი ცილინდრული ყელი (D - 1,5 სმ), სფეროსებრი ტანი (D - 10,5 სმ), ტანზე ემჩნევა ირიბი კანელურები, აქვს ოდნავ შეზნექილი ძირი (D-2,5 სმ). ჭურჭელს აკლია პირ-ყელის ნაწილი (ჩხაიძე, 1980: 53), (კახიძე ა., შალიკაძე, 2009: 78).

განსხავებული ფორმისაა ფიჭვნარში მოპოვებული კიდევ ერთი, მთლიანად დაცული მინის კოლბისებრი ჭურჭელი. მას აქვს ფართო, გარეთკენ გაშლილი კიდეებმომრგვალებული პირი და სწორი, სფეროსებრი ტანი. რომელსაც თავის მხრივ ძირის არეში კონუსისებრი შეღრმავება აქვს. მისი ზომებია: სიმაღლე - 11 სმ, პირის დიამეტრი - 5,3 სმ, ყელის - 2,5 სმ, ტანის - 8 სმ, ტანის გარშემოწერილობა კი 8 სმ-ია. ჭურჭლის მინა გამჭვირვალე, მომწვანო ფერისაა (შალიკაძე, 2004: 59-61), (კახიძეა, შალიკაძე, 2009: 79). ამ ფორმის კოლბისებრი ჭურჭლების დამზადების ცენტრი აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთი და სირიაა (Israeli, 2008: 387-388). მსგავსი ჭურჭლები გავრცელებული ჩანს IV-VII საუკუნეებში. ისინი მიკვლეულია შავიზღისპირეთის ცენტრებში, მათ შორის საქართველოს ტერიტორიაზეც (Bucovala, 1968: 50-60), (Трапш, 1971:142).

**სანელსაცხებლების** აღმოჩენაც დაკავშირებულია სამარხეულ კომპლექსებთან. ფიჭვნარში მიკვლეულ სანელსაცხებელს (სიმაღლე - 13,5 სმ, ტანის გარშემოწერილობა - 4,5 სმ, პირის დიამეტრი - 3 სმ, ძირის დიამეტრი - 5,7 სმ.) აქვს ნახევარსფეროსებრი ტანი, გარეთკენ გაშლილი პირი, მაღალი, სწორი მილისებრი ყელი. ძირზე აქვს ღრმა კონუსისებრი შეღრმავება. ყელიდან ტანზე გადასვლის ადგილი ძალიან შევიწროვებულია. მინა თხელკედლიანია. ჭურჭელი აღმოჩენილია ეპოქის თანადროულ ინვენტართან ერთად. ამ ფორმის ჭურჭლები გავრცელებულია ახ.წ. IV-V საუკუნეებში. იგი მიიჩნევა აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთისა და სირიის პროდუქციად (კახიძე ა, ვიკერსი, მამულაძე, 2000: 57-77), (კახიძე ა., შალიკაძე, 2009: 79).

კიდევ ერთი, მთლიანად დაცული, ნახევარსფეროსებრტანიანი სანელსაცხებლეს აღმოჩენა დაკავშირებულია ციხისძირის ადრეშუასაუკუნეების სამარხებთან. მისი ასაკიც გვიანანტიკური ხანაა - IV საუკუნე. რასაც ადასტურებს სამარხში, მასთან ერთად აღმოჩენილი ინვენტარი (მინის ფიალა, ქოთანი, წელშეზნექილი ამფორა, საბრძოლო ნივთები). სანელსაცხებლის მინა მოყვითალო-მომწვანო ფერისაა, პირის კიდე დაუმუშავებელი, ყელი პირისკენ ფართოვდება, ყელიდან ტანზე გადასვლის ადგილი მკვეთრად შევიწროვებულია. აქვს მსხლისებრი მოყვანილობის ტანი, ლილვაკისებური მოყვანილობის ღრუ ქუსლი, ძირზე ჩანს საბერავი მილის კვალი (ინაიშვილი ნ., 1993: 76-77), (კახიძე ა., შალიკაძე, 2009: 80). ნახევარსფეროსებრ ტანიანი სანელსახებლეები

უფრო ახ.წ. IV-V საუკუნეებით უნდა დათარიღდეს. მიჩნეულია, რომ სირიის სახელოსნოები უნდა იყოს მათი წარმოების ძირითადი კერა (შალიკაძე, 2004: 60-61).

**სასმისები.** ფიჭვნარის სამარხეული ინვენტარი მოიცავს მინის სასმისების ორ სახეობას, პირველ მათგანს აქვს ბრტყელი, ოდნავ შეწეული ძირი, კალთამომრგვალებული და გამოწეული, პირისკენ გაფართოებული ტანი, რომელიც პირთან უფრო შესქელებულია. მინა მომწვანო ფერისაა (ზომები: სიმაღლე - 9,5-10 სმ, პირის დიამეტრი - 6-6,5 სმ). ფიჭვნარში ნაპოვნ მეორე ტიპის ჭიქას დაცული აქვს გარეთკენ გადაშლილი პირი, გარეთკენ გაფართოებული ტანის ზედა ნახევარი და ბრტყელი ძირი, რომელსაც რგოლისებრი ქუსლი გააჩნია. მინა თხელკედლიანია და აქვს მოყვითალო ანარეკლები (ზომა: სიმაღლე 9,5 სმ პირის დიამეტრი 6 სმ). მიჩნეულია, რომ აღნიშნული ნაკეთობები III-IV საუკუნეებით თარიღდება (კახიძე ა., ვიკერსი, მამულაძე, 2000: 77), (კახიძე ა., შალიკაძე, 2009: 81).

ფიჭვნარის სიახლოვეს მსგავსი ფორმის სასმისები შესწავლილია ვაშნარის ნაქალაქარის ტერიტორიაზე (ჩხაიძე, 1975:113), აფხაზეთის სანაპირო ზოლში (Трапш, 1971:142), გავრცელებულია ჩრდილოშავიზღვისპირეთშიც (Сорокина, 1962: 226).

სასმისის უნდა იყოს გონიო-აფსაროსში აღმოჩენილი კონუსურად შეღრმავებული, შეზნექილი ძირის მქონე ჭურჭლის ძალზედ დაზიანებული ფრაგმენტი (გ.ა. 2019/231). მინა მომწვანოა, შეიცავს ჰაერის ბუშტუკებს. კონუსის ცენტრში მინა უფრო მუქია, ხოლო პერიმეტრზე ღია. მინა არ არის თხელი და სიფრიფანა, ჩანს იგი მართლაც ჭურჭლის ძირი უნდა ყოფილიყო. გვერდები კალთისებრ წამოწეულია კონუსის შვერილის მიმართულებით. ჩვენი დაკვირვებით ნივთი ჭიქის ძირი უნდა იყოს. მისი დაცული დიამეტრი 5,6 სმ-ია. (ტაბ. XXVIII-4). მასალის ფრაგმენტულობის გამო მისი სიღრმისეული შესწავლა ვერ ხერხდება, თუმცა უნდა ითქვას, რომ მსგავსი ფორმის მინის ჭურჭელი აფსაროსის ცენტრალურ ნაწილში ადრეც გამოჩენილა. გამოთქმულია ვარაუდი, რომ იგი შესაძლოა სანელსაცხებლეც იყოს (ხალვაში, 2002ბ:137). მსგავსი ჭურჭლის ფრაგმენტები აღწერილია ციხისძირის სამარხეულ მასალებშიც, მათი ძირის დიამეტრებიც თითქმის იდენტურია (ინაიშვილი ნ., 1993: 78, ტაბ. XXXI7-10) ამ ტიპის ჭურჭლებს პარალელები ეძებნებათ სხვადასხვა ძეგლების ადრებიზანტიური პერიოდის მასალებში (Сорокина, 1963: 148-151), ბალკანეთში, კერძოდ, პულას წმ. თეოდორას

კვარტალში გვიანანტიკური-ადრეშუასაუკუნეების ფენაში შესწავლილი მსგავსი ფერისა და სიფრიფანა მინისგან დამზადებული ჭურჭელიც ჭიქადაა მოხსენიებული. თუმცა არაა გამორიცხული მისი ლამპრად გამოყენების შემთხვევებიც. გონიოს ნიმუშის მსგავსად, პულას ჭიქის ძირსაც მკვეთრად კონუსებრი შეღრმავება ახასიათებს და ზომებიც თითქმის იდენტურია (Jukić Buča, 2017: 65, Fig. 3, Cat.№10,11)

ავგიის ნაეკლესიარის გათხრებიდან მინის ნაწარმია შედარებით მცირე რაოდენობითა წარმოდგენილი. შესწავლილია V საუკუნით დათარიღებული მინის სასმისის კარგად დაცული ძირი. მას ახასიათებს ლურჯი შეფერილობის თხელი კედელი და კონუსურად შეზნექილი ძირი (მამულაძე, ქამადაძე, ყიფიანი, 2021: 159).

**ფეხიანი სასმისების** ფრაგმენტები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებულ მინის ნაწარმს შორის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ჯგუფია. თავდაპირველად, გასული საუკუნის 60-იან წლებში, ფეხიანი სასმისის ფრაგმენტები შესწავლილი იქნა ციხისძირის ტერიტორიაზე, სადაც ამგვარი სასმისების ორი ფორმა იქნა გამოყოფილი: ა) კონუსისმაგვარი, დაბალი, დამზადებული ღია მწვანე ფერის მინისგან და ბ) მაღალი საყრდენი სვეტის მქონე ძირები, დამზადებული მწვანე მოცისფრო მინისგან. ციხისძირის დაბლობის მასალათა შორის ყურადღებას იქცევს ერთ-ერთი სასმისის ქუსლის სვეტი, რომელიც დამზადებულია გამჭვირვალე მომწვანო ფერის მინისგან და შედგება ხუთი ერთმანეთზე მიჯრილი, მეტ-ნაკლებად თანაბარი ზომის სფეროსებრი ბურთებისაგან, მისი სიმაღლე 7 სმ-ია. მასალები IV-VI საუკუნეებითაა დათარიღებული (ჩხაიძე, 1978: 60-63).

დიდი რაოდენობით ფეხიანი სასმისების ფრაგმენტები აღმოჩნდა უფრო მოგვიანებით 80-იან წლებში, ციხისძირის ნაქალაქარზე ადრეშუასაუკუნეების სამარხეული კომპლექსის შესწავლისას. ნიმუშები წარმოდგენილია პირ-კედლისა და ორმაგკედლიანი ქუსლის ფრაგმენტებით. მინა გამჭვირვალეა, ზოგი უფრო მოყვითალო ფერის. ერთ-ერთი სასმისის პირის შემორჩენილი ფრაგმენტების მეშვეობით დადგენილია, რომ პირის დიამეტრი 8 სმ-ია. ორმაგკედლიანი ქუსლის მქონე ფრაგმენტებში გვხვდება მოყვითალო და მოყავისფრო, ასევე ღია მოცისფრო ფრაგმენტებიც.

გონიო-აფსაროსის ტერიტორიაზე 2018-19 წლებში მიმდინარე გათხრების დროს გამოჩნდა ადრეშუასაუკუნეების მინის ფეხიანი სასმისების ფრაგმენტები, რომლებიც საკმაო რაოდენობითაა წარმოდგენილი (გ.ა. 2018/96; გ.ა. 2019/ 190, 211).[19] სასმისები დამზადებულია მომწვანო ფერის, ხშირად წვრილი ჰაერის ბუშტუკების შემცველი მინით. ქურჭელი მსუბუქი და სადაა. სასმისის მრგვალი და კონუსისებრი ძირის დიამეტრი 3,6 სმ, მასზე მიდგმული ფეხის გარშემოწერილობა კი 1 სმ. ერთ-ერთი სასმისის (გ.ა. 2019/163) ქუსლი მომრგვალებულია და ძირისგან ოდნავ გამოყოფილია. მისი სიმაღლე – 8,3 სმ, პირის დიამეტრი – 7 სმ, კონუსისებრი ძირის დიამეტრი – 4,3 სმ (ტაბ. XXVIII-5).

ამ ტიპის სასმისის ფრაგმენტი გონიო-აფსაროსიდან ადრეც იყო ცნობილი. ერთმანეთის მსგავსია ჭურჭლების აღნაგობა, მინის ფერი, დამზადების ტექნიკა. სასმისების ეს ფორმა წარმოადგენს რომაული ხანის ამ ტიპის სასმისების ევოლუციურ გაგრძელებას (შალიკაძე, 2004: 66), (კახიძე ა., შალიკაძე, 2009: 83)

ბოლო დროის მონაპოვრებს შორისაა, გონიო-აფსაროსისათვის ახალი, ორი ლურჯი-მოიისფერო ფერის ფეხიანი სასმისის ფრაგმენტი (გ.ა. 2018/97) (ტაბ. XXVIII-1). მათ აქვს ცილინდრული ფეხი. მრგვალი, განიერი, შესქელებული ძირი, რომლის დიამეტრი 4 სმ-ია. ფეხის გაგრძელებაზე შემორჩენილია ტანის ნაწილიც, ამ მხარეს მინა უფრო ღია ლურჯია და იგი გამჭვირვალე ხდება. შეიცავს ჰაერის ბუშტუკებს. მასთან ერთადაა ლურჯი მინის სასმისის კიდევ ერთი ფრაგმენტი, შემორჩენილია ძირისა და ცილინდრული ფეხის მომცრო ნატეხი, რომელიც ფორმითა და აღნაგობით უფრო წააგავს ზემოთ აღწერილ მომწვანო ფერის მინის მქონე სასმისს (გ.ა.2018/96). გონიო-აფსაროსში აღმოჩენილი ლურჯი ფერი მქონე ფეხიანი სასმისი უშუალო მსგავსებას ჰპოვებს ბალკანეთში (სერბეთში) აღმოჩენილი, VI საუკუნით დათარიღებულ მინის ფეხიან სასმისთან (Drauschke, Greiff, 2010: 34, Pl, 1-3), მსგავსი ფორმისაა პულას (ხორვატია) მასალებში დაფიქსირებული ფეხიანი სასმისებიც (Jukić Buča, 2017: 90, №6,7, Tab., 1-6), ამავე პერიოდით დათარიღებული ლურჯი ფერის ფეხიანი სასმისები მრავლადაა წარმოდგენილი ყირიმის მინის მონაპოვრებშიც (Golofast, 2009:316).

[19] შეესაბამება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე შეწავლილი რომაული ხანის მინის სასმისების VII ტიპს (შალიკაძე, 2004: 46:47).

ფეხიანი სასმისები ადრეშუასაუკუნეებში დასავლეთ საქართველოში ყველაზე გავრცელებული მინის ჭურჭელია. ასეთი ტიპის სასმისები აქ ახ.წ. IV საუკუნიდან ჩნდებიან. ბიჭვინთაში შესწავლილი ნიმუშები V-VI საუკუნეებს განეკუთვნება, ხოლო წებელდის მსგავსი მასალა, უფრო VI-VII საუკუნეებით თარიღდება (Воронов, 1975: 76, 87). სასმისები მზადდებოდა აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში (Israeli, 2008: 385, №189-200), მინის ფეხიანი სასმისები გავრცელებული იყო მცირე აზიაში, მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებში, კავკასიაში, შავიზღვისპირეთში. ცნობილია, რომ ფეხიანი სასმისები ზოგჯერ ლამპრებადაც გამოიყენებოდა.

**ლამპრები,** რომელთაც წვეთისებრი მოყვანილობა გააჩნიათ სამხრეთ- დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე რამდენიმე ნიმუშითაა წარმოდგენილი. ციხისძირის დაბლობის მასალებში არის ლამპრის ძირის ორი ფრაგმენტი. ისინი დამზადებულია თავისუფალი ბერვით, ღია მომწვანო ფერი მინისგან. ნავარაუდევია, რომ იგი სწორი ფორმისა იყო. აქვს ძირთან მკვეთრად შევიწროვებული ტანი. ლამპარი დაბოლოებულია წვეთისებრი მოყვანილობის ძირით, მსგავსი ფრაგმენტია მოპოვებული ციხისძირის დაბლობზე შესწავლილი ბაზილიკის გათხრების დროსაც. პარალელური მასალის მიხედვით ლამპარის ფრაგმენტები VI საუკუნითაა დათარიღებული (ინაიშვილი ნ., 1993: 72, 74-75).

მსგავსი ლამპრები შესწავლილია გონიო-აფსაროსის ტერიტორიაზეც. ესაა მომცრო ზომის ნაზი ნაკეთობა, რომელსაც აქვს თხელი კედელი, დაჰკრავს ღია მწვანე ელფერი. არის შედარებით უფრო მასიური ზომის ლამპრის ფრაგმენტებიც, მათ მოყვითალო, ზოგჯერ მომწვანო მოლურჯო ფერი აქვთ (შალიკაძე, 2004: 66), (კახიძე ა., შალიკაძე, 2009: 84).

აფსაროსში ბოლო დროს კვლავ გამოჩნდა მინის წვეთისებურძირიანი ჭრაქის ნატეხები. ერთ-ერთ მათგანს აქვს მომწვანო, გამჭვირვალე მინა; მომრგვალებული წვეთისებრი ძირი გადადის გადაშლილ ზედა ნაწილში. დაცული სიმაღლე – 4,7 სმ (გ.ა.2018/116), (ტაბ. XXVIII-2). ამ ნიმუშის წვეთისებრი ძირი შედარებით უფრო მოზრდილია (ძირის დიამეტრი 1,1 სმ), ვიდრე კიდევ ერთი ნიმუშისა, რომლის ფერიც. უფრო მოყვითალოა (გ.ა.2018/117), (ტაბ. XXVIII-3). გონიო-აფსაროსში ლამპრის ფრაგმენტები აღმოჩნდა, გამოკვეთილად ბიზანტიურ ფენაში, კერამიკულ მასალებთან

ერთად. სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ამგვარი ლამპრები მრავლადაა მოპოვებული ბიჭვინთაში და ისინი V-VI საუკუნეებით თარიღდებიან (ლორთქიფანიძე გ., 1991: 73, 187). წარმოდგენილ ნიმუშებს პარალელი ეძებნება ფოთის, ნოქალაქევის, წებელდის მასალებსა და სამარხეულ კომპლექსებში (Лекварадзе В., Хведелидзе Л., 1981:125), (Воронов, 1975: 23). ფორმით ემსგავსება ვარდციხის თანადროული მინის ლამპარიც, თუმცა წვეთისებრი ძირი ოდნავ მოკლეა (ჯაფარიძე, 1989: 103-104, ტაბ., XXIX-1,2). მსგავსი მოყვანილობისა და ფერის ლამპრები ცნობილია პალესტინიდან (Israeli, 2008: 385, №182-183).

მინის ჭრაქის ყურის ნატეხი უნდა იყოს ავგიის ბაზილიკის გათხრისას მოპოვებული ფრაგმენტი. ესაა მოყვითალო მინისგან დამზადებული, მარყუჟის ფორმის მქონე, მრგვალგანივკვეთიანი ყური (სიგრძე 2,9, დიამ. 0,5 სმ). ავგიის მინის ჭრაქის ფრაგმენტი ზუსტად ემსგავსება თესალონიკის მუზეუმში დაცულ ჭურჭელს, რომელიც თავის მხრივ V საუკუნითაა დათარიღებული (Antonaras, 2008: 24).

**სასარკმელე მინის** ფრაგმენტები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლებზე მრავლადაა დაფიქსირებული. სარკმლის მინა ერთგვარი ჩამოსხმული ფირფიტაა, არის სწორკუთხოვანი, ბრტყელი, გლუვი, არათანაბარი სისქის მინა. მისი ფერი იცვლება მომწვანო-მოცისფროდან უფერულ-გამჭვირვალემდე. ზოგ შემთხვევაში მინა შეიცავს მცირედ ბუშტუკებს. ადრეშუსაუკუნეებში დასავლეთ საქართველოში სარკმლის მინა გვხვდება, როგორც ზღვისპირა, ისე შიდა რაიონებშიც. სარკმლის მინის ადგილზე წარმოება არაა ნავარაუდევი და იგი ძირითადად შემოტანილ ნაწარმადაა განხილული (ჩხატარაშვილი, 1978: 69-97). სარკმლის მინა დაფიქსირებულია გონიო-აფსაროსში ადრეშუასაუკუნეების ფენებშიც, ანტიკურ ანალოგებთან შედარებით, ისინი უფრო სქელკედლიანი პროდუქციაა (შალიკაძე, 2004: 69). სარკმლის მინა შესწავლილია ციხისძირის დაბლობში IV-V საუკუნეებით დათარიღებული №1 აბანოს გათხრებისას. აქ საქმე გვაქვს მომცრო ზომის, წრიული მოყვანილობის, ბრტყელ ფრაგმენტებთან. ფრაგმენტების სისქე 1,5 და 3 სმ-ია (ინაიშვილი ნ., 1991: 84). სასარკმელე მინის ფრაგმენტები ფიქსირებულია ფიჭვნარის ადრეშუასაუკუნეების სამარხებთან დაფიქსირებული ბაზილიკად მიჩნეული ნაგებობის ნაშთებთან ერთად (ჩხაიძე, 1980: 40).

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი მინის ნაწარმი საკმაოდ ფართო ასორტიმენტითაა წარმოდგენილი. მინის პროდუქციის საწარმოო ცენტრების მიხედვით თუ კი ვიმსჯელებთ, საკვლევი რეგიონს აქტიური ეკონომიკური კონტაქტები ჰქონდა ჯერ გვიანდელი რომისა და მოგვიანებით, ბიზანტიის იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციებთან. კერძოდ, სირია-პალესტინის, მცირე აზიის, ანატოლიის წამყვან საქალაქო ცენტრებთან. ბუნებრივია, რომ ჩანს ეკონომიკური და კულტურული კავშირები შავიზღვისპირეთის ქალაქებთანაც.

## §9. სამკაულები და სამოსთან დაკავშირებული ნივთები

სამხრეთ-დასავლეთ საქართველო ძვირფასი ნივთების, სამკაულებისა და მორთულობა-შემკულობასთან დაკავშირებული ნივთების აღმოჩენათა სიმრავლით გამორჩეული მხარეა. საყოველთაოდაა ცნობილია, რომ ფიჭვნარის ანტიკური ხანის სამარხეული კომპლექსების შესწავლისას აღმოჩენილი ოქროსა და ვერცხლის ნივთები საიველირო ხელვნების ბრწყინვალე ნიმუშებს წარმოადგენს. ძვირფასი ნივთებისაგან შედგება მოგვიანო პერიოდის გონიოსა და ციხისძირის განძი. ისინი დიდი ხანია იქცა სამეცნიერო კვლევის საგნად და მისი მნიშვნელობა არ შემოიფარგლება მხოლოდ ანტიკური ოქრომჭედლობის შესწავლის საქმეში მათი განსაკუთრებული ადგილით. გონიოსა და ციხისძირის განძებში შემავალი ნივთების მხატვრული, ესთეტიკური ღირებულება ძალზედ დიდია.

საიუველირო ხელოვნების მრავალფეროვანი ნიმუშები თავმოყრილია გონიოს განძში. იგი მოიცავს ოქროს შესანიშნავ ნივთებს. ესენია: ჭაბუკის ქანდაკება, ფიალა, სამაჯურები, გარსაკრავი, საკიდები, ბალთები, გარსაკრავები, მძივები და ფირფიტები და ოქროს რამდენიმე ძეწკვი. მხატვრულს-სტილისტური თვალსაზრისით განძში შემავალი ნივთები ახ. წ. I-II საუკუნეებით თარიღდება, იგი იმეორებს კოლხეთისათვის დამახასიათებელი თემატური და საოქრომჭედლო ტრადიციებს (ლორთქიფანიძე, მიქელაძე, ხახუტაიშვილი, 1980: 11-27).

თავის ბრწყინვალებით გამორჩეულია ციხისძირის განძი, რომელიც ერმიტაჟშია დაცული და შედგება ოქროს ნივთების, ვერცხლისა და ბრინჯაოს ჭურჭლის ფრაგმენტების, სამოსთან დაკავშირებული ნივთებისა და მონეტებისგან. ოქროს ნივთები

ძირითადად სამკაულებითაა წარმოდგენილი, ესენია: საყურე, ბეჭდები, მთის ბროლის ინტალიოს მქონე აგრაფი, ყელსაბამი და მისი შესაკრავი, ბალთა მედალიონები, ბუნიკი, თვალბუდე და ფირფიტა (ინაიშვილი ნ, 1993:19-32). სპეციალური გამოკვლევის შედეგად ეს ძირფასი კოლექცია ახ.წ. III საუკუნით დათარიღდა (ინაიშვილი ნ, 1993: 41), მიჩნეულია, რომ განძი მდიდრული სამარხის ინვენტარი უნდა იყოს (ხოშტარია, 1962: 27-28).

რაც შეეხება საკუთრივ გვიანანტიკურ-ადრებიზანტიური ხანის ძვირფასეულობას, ისინი ძირითადად დაკავშირებულია საკვლევ რეგიონში შესწავლილ სამარხეულ კომპლექსებთან.

ფიჭვნარში მოპოვებული სამკაულები წარმოდგენილია ოქროსა და ვერცხლის სხვადასხვა ნაკეთობებით, სამაჯურებით, სხვადასხვა სახის მძივებითა და ტანსაცმელთან დაკავშირებული ნივთებით. თვალშისაცემია 2005 წელს კოლხურ სამაროვანზე გათხრილი ადრეშუასაუკუნეების ეპოქის მდიდრული სამარხი, რომელშიც სხვადასხვა არტეფაქტებთან ერთად იდენტიფიცირებულია დიდი რაოდენობის სამკაული: ოქროს წყვილი საყურე, ოქროს ბეჭედი და ოქროს მინისთვლებიანი ნივთი (ტაბ. XXX-2-3).

ოქროს ბეჭედი თვალბუდიანია, მასში ჩასმულია წითელი ფერის ძოწის მოზრდილი თვალი, რომელიც შემოფარგლულია ცრუგავარსით შემკული რელიეფური წრეხაზებით. ბეჭდის სიმაღლე 2,2 სმ-ია. შეიძლება ითქვას, რომ იგი ერთ-ერთი საუცხოო საიუველირო ნაკეთობაა. არტეფაქტი ახ.წ IV საუკუნითაა დათარიღებული. რაც შეეხება ოქროს საყურეებს - იგი წყვილი, ერთმანეთის იდენტური და ინკუსტირებული, ოთხკუთხა მოყვანილობის ნაკეთობაა. აქვს პატარა ზომის საკიდი რკალი, რომლის გახსნილ ბოლოებთან მირჩილულია წრისებრი ყუნწი. წრიული ყუნწი აქვს ასევე საყურის ტანს, რითაც იგი უკავშირდებოდა საკიდ რკალს. აქვეა სალტისებრი წანაზარდებიც, რომელზეც საყურის უკეთ გაფორმების მიზნით, სავარაუდოდ მძივები იყო წამოცმული. საყურის წინა მხარე ორი მოზრდილი სამკუთხედითაა გადატიხრული და წითელი მინითაა შემკული. ქვედა გვერდის ბოლოებსა და ცენტრში მირჩილულია წრიული რგოლები. ასეთივე რგოლები განთავსებულია საყურის ცენტრშიც, რომელზედაც წვრილი მავთულით დაკიდებულია ოქროს სამკუთხედები. ორივე საყურეზე გვერდითა სამკუთხედები წითელი მინით, ხოლო შუა კი მწვანე მინითაა შემკული (კახიძე ა., ვიკერსი,

2014: 176-177). სამარხეულ ინვენტარს შორის ოქროს ნივთი ციხისძირის თანადროულ მასალებშიცაა, ესაა ოქროს რგოლი (D – 1 სმ.), დამზადებული მრგვალგანივკვეთიანი მავთულისაგან, მისი ბოლოები ერთმანეთზე გადადის (ინაიშვილი ნ., 1993: 91).

ფიჭვნარში ადრეშუასაუკუნეების სამარხებში აღმოჩენილია ვერცხლის ზურგსწორი, მრგვალგანივკვეთიანი სამაჯური, რომლის შევიწროვებული ბოლოები ერთმანეთზე გადადიოდა და ვერცხლის რგოლებითვე იკვრებოდა (კახიძე ა., ვიკერსი, 2004: 129). ფიჭვნარში შესწავლილი კიდევ ერთი ვერცხლის სამაჯური ფრაგმენტების სახითაა დაფიქსირებული, იგი შემკულია ერთმანეთთან დაკავშირებული, ოქროს თვალბუდეში ჩასმული, დამუშავებული მინის მუქი წითელი თვლებით. შემორჩენილია მხოლოდ სამი თვალი, რომლებიც სამაჯურის ბოლოებისგან გამოყოფილია ოქროს წვრილი მარცვლებით. მსგავსი, თანადროული სამაჯური მიკვლეულია ურეკში (კახიძე ა., ვიკერსი, 2014: 178). საინტერესოა ფიჭვნარში შესწავლილი მრგვალგანივკვეთიანი, გრეხილი ორნამენტით შემკული ვერცხლი ილარიც (სიმაღლე 8 სმ), რომელსაც გაბრტყელებული ბოლოს ნაწილი დაკარგული აქვს.

ფიჭვნარის სამკაულთა შორის დიდ ჯგუფს ქმნის ვერცხლისა და რკინის ბეჭდები. 1998 წლის მონაპოვრებს შორისაა სამი ერთეული გემა-ინტალიო: 1. რკინის ბეჭედში ჩასმული ყავისფერი-მოყვითალო მინა, რომელზედაც უხეშად ამოჭრილია მამაკაცის ბიუსტი მარცხენა პროფილით. 2. ვერცხლის ბეჭედში ჩასმული მოვარდისფრო, წაკვეთილკონუსისებრი მინა, რომელზედაც გამოსახულია ფრინველი. 3. ვერცხლის ბეჭედში ჩასმული მუქი ყავისფერი სარდიონი, რომელზედაც გამოსახულია გრძელნისკარტა, გრძელფეხებიანი ფრინველი. დაფიქსირებულია ვერცხლის კიდევ ერთი ბეჭდის ფრაგმენტები, რომლითაც ბეჭდის ფორმასა და შესაძლო გამოსახულებაზე საუბარი ჭირს. ფიჭვნარის სამივე გემა-ინტალიო ახ.წ. III-IV საუკუნეებითაა დათარიღებული (კახიძე ა., ვიკერსი, მამულაძე, 2000: 80-81). რკინის ბეჭედი ციხისძირის მასალებიდანაცაა ცნობილი. მას აკლია რკალის ნაწილი, შედგება მრგვალი მოყვანილობის თვალბუდისა და მრგვალგანივკვეთიანი წვრილი რკალისგან. რკალი მხრებთან ფართოვდება. თვალბუდეში ჩასმულია მრგვალი, ბრტყელზედაპირიანი ჭრილში წაკვეთილი კონუსის ფორმის მინის ინტალიო, რომელზედაც გამოსახულია წყვილი თევზი ნიადაგის ხაზზე (ინაიშვილი ნ., 1993: 88).

რგოლისა და თვალბუდის გარეშე - მრგვალი, ბრტყელზედაპირიანი, მომწვანო-მოყვითალო შეფერილობის მინის გემა იქნა ნაპოვნი ავგიაში (მამულაძე, ქამადაძე, ყიფიანი, 2021: 160).

ფიჭვნარში შესწავლილ სამკაულებს შორისაა საავგაროზე, მოზაიკური (ყვითელი და ლურჯი ჩანართებით), მოზრდილი გოფრირებულტანიანი, სადა ზურმუხტისებრი, მოყვითალო-მოთეთრო და მოყავისფრო მინისებრი პასტის მძივები. ასევე გიშრისა და მინის მძივები, რომელიც გამოყენებულია ყელსაბამად და სამაჯურებად.

შედარებით მრავალფეროვანია მინის მძივები. ისინი ტიპოლოგიური თვალსაზრისით ორ ჯგუფში ერთიანდება. მონოქრომული მინის მძივების უმრავლესობა სადა და გაუმჭვირვალეა, თუმცა გვხდება ნახევრად გამჭვირვალე ყავისფერი ნიმუშებიც. მძივები რგოლისებური და ცილინდრული ფორმისაა. ძირითადად ჭარბობს ცისფერი ფერი, გვხვდება ყვითელი და ყავისფერი მძივებიც. მონოქრომული მძივების ცალკე ჯგუფს ქმნის ნახევრად გამჭვირვალე მწვანე ფერის მინის მძივები, ისინი სხვადასხვა ზომისაა, თუმცა ერთმანეთს ცილინდრული ფორმით ემსგავსებიან (ტაბ. XXX-3). ფიჭვნარის მონოქრომულ მძივებს შორის ცალკე გამოყოფენ გოფრირებულ ფორმებს, მათ შორის გამორჩეულია მოზრდილი მწვანე ფერის მინის მძივი. მონოქრომულია ასევე გამჭვირვალე ლურჯი მინისგან დამზადებული პირამიდული ფორმის საკიდიც (ტაბ. XXX-4), მინის მძივების განსხვავებული სახეობაა ნახევრად გამჭვირვალე ბიკონუსური ცალები (ტაბ. XXX-9) (თურმანიძე, 2013: 55-57).

პოლიქრომული მძივები ხაზებიანი და ლაქებიანი დეკორითაა წარმოდგენილი. მძივების ბირთვი შავი ფერისაა. ფორმით რგოლისებრი და კასრისებრი მოყვანილობის. დეკორის ფორმა და სტილი არ მეორდება. მძივებს ძირითადად შემოვლებული აქვს ცისფერი მინის სარტყელი, ზედაპირზე კი ყვითელი მინის ძაფებისაგან შემდგარი ზიგზაგისებური ფორმებია მოცემული (ტაბ. XXX-5). მკვეთრად ასიმეტრიული ფორმის მქონე რამდენიმე შავი ფერის მძივს ზედაპირზე ყვითელი, ცისფერი და თეთრი მინის ლაქებით მიღებული ორნამენტები ახასიათებს (ტაბ. XXX-6), (თურმანიძე, 2013: 56).

საინტერესოა მძივებია ე.წ ოქროფენილი ნიმუშები, რომელიც წარმოდგენილია რგოლისებრი და კოჭისებრი ფორმებით (ტაბ. XXX-7). მინისებური პასტისგან დამზადებული მძივები შედარებით ცოტაა, რგოლისებური ფორმის ბორდოსფერ

ზედაპირზე დასამულია რთული დეკორი - ყვითელი მინის დისკოში რვასხივიანი მზისა და ნახევარმთვარიანი გამოსახულების მქონე ორნამენტი (ტაბ. XXX-8). ნახევრადძვირფასი ქვებისგან დამზადებული მძივები მხოლოდ გიშრის ნიმუშებითაა წარმოდგენილი. ფორმით ცილინდრულია, მძივის ერთი მხარე დაბრტყელებულია, რაც გახეხვა-გაპრიალების გზითაა მიღებული (ტაბ. XXX-9) (თურმანიძე, 2013: 57).

ფიჭვნარის ადრეშუასაუკუნეების სამარხებში აღმოჩენილი მძვები დამზადების ტექნიკისა და პარალელური მასალის ანალიზის საფუძველზე ახ.წ. IV-V საუკუნეებით დათარიღდა.

უფერო და ლურჯი მინის გამჭვირვალე მძივებთან ერთად ქარვის, მოწითალო-წაბლისფერი მძივები გვხვდება ციხისძირის თანადროულ სამარხეულ ინვენტარს შორის. წებელდაში (V ს.) შესწავლილი მძივების მსგავსად, ამ შემთხვევაშიც, მეტია ღილისებური ან დისკოსებური მოყვანილობის მძივები (ინაიშვილი ნ., 1993: 85).

ტანსაცმელთან დაკავშირებული ნივთები წამოდგენილია ვერცხლისა და რკინის ფიბულებით, ბრინჯაოსა და რკინის მრგვალი და ოვალური მოყვანილობის აბზინდებითა და მშვილდსაკინძებით. მონაპოვრებს შორისაა მოზრდილი, ბრტყელი, წრიული მოყვანილობის ფოლაქიც (ინაიშვილი ნ., 1993: 84, 89,95), (მამულაძე, კახიძე ე., ხალვაში, 2012: 242), (კახიძე ა., ვიკერსი, 2014: 179). ციხისძირის მასალებში ბრინჯაოსა და რკინის აბზინდებთან ერთად ვხვდებით ვერცხლის აბზინდებსაც. ისინი განსხვავებული ზომისანი და კარგად შემონახული ნივთებია (ინაიშვილი ნ., 1993: 91).

ცალკე უნდა გამოვყოთ ავგიის ნაეკლესიარის ტერიტორიაზე ნაპოვნი რკინის ჯვრები (ავგია2015/46, 47, 60). ყველა მათგანი დაჟანგულია. ერთ-ერთ მათგანს ჯვარის ჰორიზონტალური მკლავები შენარჩუნებული აქვს, ჩანს ჯვარი ერთიანადაა ნაჭედი. მკლავები დაბრტყელებული, ვერტიკალური მკლავის თავის არე გაფართოებული და სამკუთხამოყვანილობისაა. ჯვრის სიმაღლე - 11 სმ, სიგანე - 6 სმ, მკლავის სიფართე - 0,8 სმ. აღნიშნული ჯვარი, გულსაკიდი ჯვარი უნდა იყოს (ტაბ. XIV-3). კიდევ ერთ, დაახლოებით ამავე ზომის ჯვარს (№47) აკლია ჰორიზონტალური მკლავების მნიშვნელოვანი ნაწილი, ერთი სრულიად. ჯვრის ვერტიკალური მკლავი უფრო ფართოა. ჯვარი მიღებულია რკინის ორი ბრტყელი ფირფიტის მიჩრჩილვის შედეგად. იგი შესაძლოა უფრო ინტერიერის გასაფორმებლად იყო გამოყენებული ვიდრე პირადი

მოხმარებით და ღვთისმსახურებაში. მესამე გაცილებით მოზრდილი ზომის ჯვარი (№46), შესაძლოა იყოს სატრაპეზო ჯვარი. მართალია, მას არააქვს სატრაპეზო ჯვრებისთვის დამახასიათებელი შემკულობა, თუმცა შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მას გარს უფრო ძვირფასი ლითონის ფურცლები ემოსა. ესეც რომ არ იყოს ჩვენ უნდა გავიაზროთ, რომ საქმე შეიძლება გვქონდეს ადრეული ხანების რიტუალური დანიშნულების ჯვართან, რა დროსაც ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ დადგენილ-ჩამოყალიბებული გარკვეული კანონზომიერებანი. ჯვარი ნაკლულია, მისი ვერტიკალური მკლავის სიმაღლე - 22,4 სმ, სიფართე - 1,4 სმ-ია. შემორჩენილია ერთი ჰორიზონტალური მკლავის ფრაგმენტი, ვერტიკალური მკლავის თავი ოვალური, კოხტა მოყვანილობის (ტაბ. XIV-4). როგორც უკვე ვთქვით, ბაზილიკის ტერიტორიაზე შესწავლილი მასალებისა და ტაძრის არქიტექტონიკის გათვალისწინებით რკინის ჯვრებიც ახ.წ. V საუკუნით თარიღდება. საქართველოში სხვადასხვა მასალიდან დამზადებული ჯვრები სწორედ V საუკუნიდან ჩნდება. ადრეული ჯვრები ცნობილია ლიძავადან (ბერძენიშვილი, 2006: 44), როგორც უკვე ითქვა მარმარილოს ჯვარცმა ცნობილია ფიჭვნარიდან (Kakhidze A., Intagliata, Harley, Naskidashvili, 2019: 145). ფიჭვნარის მსგავსად, V-VI სს-ით დათარიღებული ბრინჯაოს ჯვარი აღმოჩნდა ნანდევილის მღვიმეში (გაბუნია, 2004: 5). რაც შეეხება უშუალოდ სატრაპეზო ჯვარს, ეს არის აღმოსავლეთის ეკლესიებისათვის დამახასიათებელი, ლიტურგიისთვის განკუთვნილი ხელის ჯვარი. იგი ხშირად დამზადებულია ძვირფასი ლითონისგან და შეიძლება მორთული იყოს მინანქრით, ძვირფასი ან ნახევრად ძვირფასი ქვებით. სატრაპეზო ჯვრები ზოგჯერ დამზადებულია სპილენძისგან ან რკინისგან. მასზე ხშირად არის იესოს ჯვარცმის გამოსახულება, ასევე იგი შეიძლება იყოს ორმხრივად შემკული, ერთ მხარეს ჯვარცმის და მეორე მხარეს კი აღდგომის გამოსახულებით. სატრაპეზო ჯვარი საღმრთო ლიტურგიაში ადრექრისტიანული ხანიდან გამოიყენებოდა, მან განსაკუთრებული დატვირთვა IV საუკუნიდან, კონსტანტინეს გამოცხადების შემდგომ შეიძინა.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე შესწავლილი საიველირო ხელოვნების ნიმუშები განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელია არამხოლოდ რეგიონის ისტორიის, კულტურისა და სოციალური ყოფის შესწავლის თვალსაზრისით,

არამედ ანტიკური და ადრებიზანტიური ხანის დიდ ისტორიულ პროცესებში აღმოსავლეთშავიზღვისპირეთის ადგილისა და როლის გააზრებისათვის.

## §10. ნუმიზმატიკური ძეგლები

როგორც უკვე ითქვა სამხრეთ-დასავლეთ საქართველო IV-VII საუკუნეებში მნიშვნელოვანი სავაჭრო-ეკონომიკური და სამხედრო მოვლენების ეპიცენტრს წარმოადგენდა. რეგიონის სოციალურ ცვლილებებს და მის ეკონომიკურ კონტაქტებს ნათლად წარმოაჩენს ამ ეპოქის ნუმიზმატიკური ძეგლები და სამონეტო მიმოქცევა.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ამ პერიოდის ნუმიზმატიკური ძეგლები ცნობილია, როგორც შემთხვევითი აღმოჩენებით, ასევე მათი დიდი ნაწილი მოპოვებულია გეგმაზომიერი არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად. ეს ნუმიზმატიკური მასალა კარგადაა შესწავლილი და დოკუმენტირებული. ჩვენ მოკლედ მიმოვიხილავთ მას.

ახ. წ. IV საუკუნის რომის მონეტები შედარებით მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი და იგი პეტრა-ციხისძირთანაა დაკავშირებული. აქ მოპოვებულია კონსტანტინე I-ის (293-306) ლუცინიუსი, მამის (308-324), კონსტანტინე II-ის (337-340) ჯამში 5 მონეტა. ამ პერიოდისაა, თუმცა სრულად არ რის იდენტიფიცირებული კიდევ 2 საფასე. გარდა ამისა, აჭარის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცულია კონსტანტინე დიდის და ლუცინიუსის კიდევ ორი მონეტა, ასევე კონსტანციუს II-ის (340-361) ორი და უკვე ბიზანტიური - არკადიუსის (395-408) ერთი მონეტაც. ეს მონეტები მუზეუმში გასული საუკუნის 40-50-იან წლებში შევიდა ციხისძირიდან შემთხვევითი მონაპოვრის სახით. მონეტები სხვადასხვა ზარაფხანაშია მოჭრილი ესენია: ქიზიკი, ანტიოქია, თესალონიკი, ჰერაკლეა, სირმიუმი (ინაიშვილი ნ., 1993: 100,107-108), (ვარშალომიძე, ძნელაძე, 2021: 292-295, 305). ციხისძირში IV საუკუნის I ნახევრის ნუმიზმატიკური მონაპოვრები დაკავშირებული უნდა იყოს აქ რომაული გარნიზონის დგომასთან. IV საუკუნის დასაწყისის, რომის იმპერატორ დიოკლეტიანეს (284-305) მონეტები გამოვლენილია სოფელ მახოს არქეოლოგიური კამპანიის დროს, სხვა რომაულ მონეტებთან ერთად (ვარშალომიძე, 2016: 27). რომაული მონეტებს მოიცავს ასევე 2017 წელს ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის მიერ შეძენილი ფიჭვნარის მეურნეობის ტერიტორიაზე

გასული საუკუნის 70-იან წლებში შემთხვევით აღმოჩენილი მონეტები. მათ შორისაა რომის იმპერატორების მაქსიმიანუსის (305-313) რომსა და ფლავიუს ვალენტინიანე II უმცროსის (375-392) სახელით ქიზიკის ზარაფხანაში მოჭრილი 2 მონეტა (ვარშალომიძე, 2023).

ქობულეთთანაა დაკავშირებული ახ.წ. IV- V საუკუნის სასანური მონეტები. ამ რაიონის შემთხვევითი მონაპოვარია შაბურ II-ის (309-379) და ბაჰრამ V-ის (421-438 ვერცხლის დრაქმები (ვარშალომიძე, ძნელაძე, 2021: 299-300). ქრონოლოგიურად მას მოჰყვება პეტრას აკროპოლისში აღმოჩენილი შაჰ პეროზის (459-484), ბალაშის (484-488) და კავად I - ის (488-496; 498-531) ვერცხლის დრაქმები (მინდორაშვილი, 2021:31). ეს უკანასკნელი ადრეც გამოჩენილა ქობულეთი-ციხისძირის სექტორიდან. ერთი ასეთი ვერცხლის საფასე აჭარის მხარეთმცოდნეობის მუზეუმშია შესული XX საუკუნის 10-იან წლებში, როგორც შემთხვევითი მონაპოვარი.

სასანური მონეტებისგან განსხვავებით ცოტაა V საუკუნის ბიზანტიური მონეტები, ერთი საფასე ცნობილია ციხისძირის დაბლობის გათხრებიდან, ამ პერიოდის მონეტების სიმცირე აღმოსავლეთ რომის იმპერიაში ფულის დევალვაციითაა ახსნილი (ინაიშვილი ნ., 1993:101).

რეგიონში ბიზანტიის სავაჭრო-ეკონომიკური გავლენის ზრდისა და შემდგომში სასანური ირანის შემოჭრის კვალდაკვალ, გაზრდილია VI საუკუნის როგორც ბიზანტიური, ასევე სასანური მონეტების რაოდენობა.

ბიზანტიურ მონეტებს შორის ქრონოლოგიურად პირველია ციხისძირის ნაქალაქარზე აღმოჩენილი ბიზანტიის იმპერატორ ანასტას I-ის (491-518) სახელით მოჭრილი სპილენძის მონეტა. იგი კონსტანტინეპოლის ზარაფხანაში 507 წელსაა მოჭრილი, იმპერატორ ანასტასის კიდევ ორი 20 და 40 ნუმიანი მონეტები ციხისძირის აკროპოლისის შესწავლისას აღმოჩნდა (აბრამიშვილი, 1965: 123), კიდევ ერთი ასეთივე მონეტა ბათუმის ციხის მიმდებარედ შემთხვევითაცაა ნაპოვნი (აბრამიშვილი, 1989: 11). ანასტასი I -ის სახელით, კონსტანტინეპოლში მოჭრილი ერთი სპილენძის მონეტა 2017 წელს ფიჭვნარიდანაა მიღებული, შემთხვევით აღმოჩენილ სხვა მონეტებთან ერთად (ვარშალომიძე, 2019: 165-166). ქრონოლოგიურად ამ მონეტებს მოჰყვება იუსტინე I -ის (518-527) სახელით, ასევე კონსტანტინეპოლის ზარაფხანაში მოჭრილი სამი მონეტა

(ინაიშვილი ნ., 1993: 109-110). VI საუკუნის იდენტიფიცირებულ ბიზანტიურ მონეტებს შორის რაღა თქმა უნდა ჭარბობს იუსტინიანე I დიდის (527-565) საფასეები. ჩვენ ხელთ გვაქვს ციხისძირთან დაკავშირებული ექვსი ოქროს სოლიდი, მოჭრილი იუსტინიანე დიდის სახელზე კონსტანტინეპოლში. ერთი მათგანი ციხისძირის შემთხვევით მონაპოვრთა რიგს მიეკუთვნება, ამჟამად კი დაცულია ბათუმის არქეოლოგიურ მუზეუმში (ვარშალომიძე, 2016: 30). მეორე სოლიდი კი ციხისძირის ნაქალაქარის ტერიტორიაზე მიმდინარე არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩნდა (ინაიშვილი ნ., 1993: 110). საქართველოს ეროვნული მუზეუმის ფონდშია აღრიცხული იუსტინიანე დიდის კიდევ 4 ოქროს მონეტა, იგი ბათუმის შემოგარენში დაფიქსირებული შემთხვევითი მონაპოვარია (აბრამიშვილი, 1966: 124). შემთხვევით მონაპოვრად უნდა ჩაითვალოს აჭარის სახელმწიფო მუზეუმში დაცული იუსტიანიანე დიდის სპილენძის ორი მონეტა, საფასეები კონსტანტინეპოლის ზარაფხანაშია მოჭრილი (ვარშალომიძე, ძნელაძე ნ., 2021: 306-307).

იუსტინიანეს მონეტები ცნობილია გონიო-აფსაროსიდანაც (ტაბ. XXIX – 1). ბოლო აღმოჩენას თუ არ ჩავთვლით, აქ მოპოვებულია სპილენძის ექვსი საფასე, მათგან ერთი დამზადებულია კონსტანტინეპოლში, ორი - ანტიოქიაში, ერთი - თეოპოლისში, ორი მონეტის ზარაფხანა ცუდი დაცულობის გამო არ არის იდენტიფიცირებული (ვარშალომიძე, 2009ბ: 261-262), (მამულაძე, კახიძე ე., ხალვაში, 2012: 242). გონიო-აფსაროსში იუსტინიანე დიდის სახელით მოჭრილი კიდევ ერთი დაზიანებული მონეტა 2021 წელს, NW-XII სექტორში, ბიზანტიურ ფენაში გამოვლინდა დაზიანების მიუხედავად მისი იდენტიფიცირება მაინც შესაძლებელი გახდა. მოგვაქვს მისი აღწერა.

**იუსტინიანე I (527-565 წწ.)**

სპილენძი, ზარაფხანა?, წონა - 5,96 გ, ზომა - 30 მმ.

შ უ ბ ლ ი: არ იკითხება

ზ უ რ გ ი: მონეტის ცენტრში - M ( = 40 ნუმიას) (ტაბ. XXIX-3)

დაცულია გონიო-აფსაროსის მუზეუმ-ნაკრძალის ფონდში, საინვენტარო № გ.ა.2021/133.

ამავე უბანზე მოპოვებული იქნა სპილენძის კიდევ ერთი მონეტა, თუმცა მისი იდენტიფიცირება ვერ მოხერხდა. ისიც საგულისხმოა, რომ არაიდენტიფიცირებულ VI

საუკუნის ბიზანტიურ მონეტათა რიცხვი საკმაოდ მაღალია ციხისძირის მონაპოვრებში. აქ მონეტის ცენტრში „M" და „K" წარწერით 30-ზე მეტი მონეტაა დათვლილი (ინაიშვილი ნ., 1993: 111-113), ისინი ალბათ იუსტინიანე დიდის სახელით მოჭრილი მონეტები უნდა იყოს.

გონიო-აფსაროსის ადრებიზანტიური ხანის მონეტებთან დაკავშირებით უნდა გავიმეოროთ ი. ვარშალომიძის დაკვირვება, რომ ამ დრომდე საქართველოს შავიზღვისპირეთში მხოლოდ აფსაროსშია დაფიქსირებული თეოპოლისში მოჭრილი იუსტინიანეს მონეტა. ცნობილია, რომ 538 წელს ანტიოქიას სახელი შეუცვალეს და მას თეოპოლისი უწოდეს (ვარშალომიძე, 2009ბ, 265).

VI საუკუნის მონეტებს შორისაა იუსტინე II-ის (565-578) და მავრიკის (582-602) სპილენძის საფასეები. ისინი მოჭრილია კონსტანტინეპოლისა და ანტიოქიის ზარაფხანაში და დაკავშირებულია ციხისძირის შემოგარენთან (ინაიშვილი ნ., 1993: 110-111).

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში მრავლადაა შესწავლილი VI საუკუნის სასანური მონეტები, მათი სიჭარბე დაკავშირებული უნდა იყოს რეგიონში ირანელთა სამხედრო კამპანიებთან, განსაკუთრებით, პეტრაში ირანული გარნიზონის დგომასთან.

არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად პეტრას აკროპოლისში მოპოვებული სასანური მონეტები აგრძელებენ უწყვეტ ქრონოლოგიურ ხაზს. კავად I-ის დრაქმებს მოსდევს ხოსრო I-ის (531-579) ვერცხლის მონეტები. ეს საფასეები ციხისძირში განძის სახით იქნა ნაპოვნი №5 კოშკში. განძი შედგებოდა 94 ვერცლის მონეტისაგან (მინდორაშვილი, 2021: 31), (ტაბ. XXIX-2). ხოსრო I-ის კიდევ ერთი დრაქმა დაცულია ბათუმის არქეოლოგიურ მუზეუმში (ვარშალომიძე, 2016: 29), გარდა ამისა ქობულეთის სექტორიდან მიღებულია ხოსრო I-ის კიდევ ერთი დრაქმა. შემთხვევით მონაპოვარს უკავშირდება ასევე, ხოსრო II-ის (591-628) ორი ვერცხლის მონეტაც. ისინი დაცულია აჭარის სახელმწიფო მუზეუმში (ვარშალომიძე, ძნელაძე ნ., 2021:302-304).

საკვლევ რეგიონში VII საუკუნე მხოლოდ ერთი ბიზანტიური მონეტითაა წარმოდგენილი, ესაა იმპერატორ ირაკლი და ირაკლი კონსტანტინეს (614-641) სპილენძის, კონსტანტინეპოლში მოჭრილი მონეტა. ნივთი შემთხვევითი მონაპოვარია,

სავარაუდოდ ქობულეთი-ციხისძირის სექტორიდან (ვარშალომიძე, ძნელაძე ნ., 2021: 308).

მოკლედ, რომ შევაჯამოთ ჩვენს ხელთ არსებული მასალა ასეთ სურათს მივიღებთ:




| | IV საუკუნე | V საუკუნე | VI საუკუნე | VII საუკუნე |
|---|---|---|---|---|
| რომის/ბიზანტიის მონეტები | 13 | 1 | 21 | 1 |
| სასანიდური მონეტები | 1 | 3 | 101 | 0 |

ასეთია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში IV-VII საუკუნეების ნუმიზმატიკური სურათი. ეს მონაცემები კი რამდენიმე ვარაუდის გაკეთების საშუალებას იძლევა.

IV-V საუკუნეების ბიზანტიური და სასანური მონეტები ნაწილობრივ დაკავშირებული უნდა იყოს სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებთან. ნაწილობრივ იმიტომ, რომ IV საუკუნის I ნახევარში ციხისძირში მდგარი რომაული გარნიზონი უსათუოდ იღებდა შესაბამის დაფინანსებას, ფულადი ერთეულების სახით. V საუკუნე ამ მხრივ ძალიან ღარიბია, შემცირებულია სამონეტო მიმოქცევის ინტენსივობა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, ამ პერიოდის მხოლოდ 14 მონეტაა აღმოჩენილი (დუნდუა გ, დუნდუა თ, 2009: 158). VI საუკუნის სამონეტო მოქცევის ხასიათი კარგად წარმოაჩენს ბიზანტია-ირანის სამხედრო-ეკონომიკურ დაპირისპირებას. მართალია პეტრა-ციხისძირში ჩნდება ამ საუკუნის ადრეული მონეტები, თუმცა მას დიდი რაოდენობით ანაცვლებს სასანური მონეტები, რაც პეტრაში ირანელთა გამაგრება-დამკვიდრებას უნდა დაუკავშირდეს. ამის საპირწონედ კი ბიზანტიური, კერძოდ, იუსტინიანე დიდის მონეტების რაოდენობა გაიზარდა გონიო-აფსაროსში, რაც კარგად წარმოაჩენს აფსაროსის ხელახალ გამოცოცხლებასა და იმპერიის სამხედრო-ეკონომიკურ სისტემაში ჩართვას. ბიზანტიელთა მიერ პეტრას დაკავებისა და ლაზეთის დიდი ომის დასრულების შემდგომ ბიზანტიური მონეტები ისევ ჩნდებიან ციხისძირის მიდამოებში.

ჩვენი აზრით, IV-VII საუკუნეების ნუმიზმატიკური ძეგლები კარგად წარმოაჩენს რეგიონის სამხედრო-ეკონომიკური ურთიერთობების სპეციფიკას, მაგრამ იგი სრულად არ ასახავს მის მასშტაბს. რეგიონის ბიზანტიასთან სასაზღვრო ზოლთან მდებარეობა, იონეს ციბეს მიერ პეტრაში მოწყობილი სავაჭრო მონოპოლიური ცენტრის გამო ფულადი საშუალებების ბრუნვის მასშტაბი გაცილების დიდი უნდა ყოფილიყო ვიდრე ჩვენს ხელთ არსებული ნიმიზმატიკური მასალა. ის ფაქტი, რომ პეტრას ერთ-ერთ კოშკში ერთბაშად გამოჩნდა სასანური მონეტების დიდი რაოდენობა გვაფიქრებინებს, რომ მიმოქცევაში გაცილებით დიდი რაოდენობის ფულადი საშუალებები უნდა ყოფილიყო. სავარაუდოა, რომ მომავალი ნუმიზატიკური აღმოჩენები კიდევ ბევრ სიახლეს გვპირდება.

რამდენიმე სიტყვით უნდა შევეხოთ მიმოქცევაში მყოფი მონეტების გასხვავებულ ასაკს. ციხისძირში კარგად გამოჩნდა, რომ პეტრაში მდგარი ირანელთა გარნიზონი იყენებდა, როგორც ხოსრო I-ის დრაქმებს. ასევე ხმარებაში იყო უფრო ადრეული - შაჰ პეროზის, ბალაშისა და კავადის I-ის მონეტებიც. ჩვენი აზრით ამ პერიოდის მონეტები პეტრაში შემოსულ ირანელთა პირველ ნაკადს 541 წელს უნდა მოეტანა. შემდგომში, 549 წელს ციხის გარნიზონის მომარაგება-შევსების მიზნით მოსულ მერმეროეს უნდა შემოეტანა ფულადი საშუალებების ბოლო მარაგი. სწორედ ეს უნდა ყოფილიყო განძის სახით გადანახული ის მონეტები, რომელიც 551 წლის ალყამ და პეტრას დაცემამ საბოლოოდ შეიწირა. ადრეული მონეტების გამოყენებასთან გვაქვს საქმე ფიჭვნარის შემთხვევაც. მაგალითად აქ ახ.წ. IV საუკუნის რამდენიმე სამარხში აღმოჩენილია რომეული ხანის მონეტები. მართალია მათი დიდი ნაწილის იდენტიფიცირება არ მომხდარა, მაგრამ კარგად იყო შემონახული ანტონიუს პიუსის მონეტა, რომლის მოხვედრაც გვიანი საუკუნეების სამარხში, როგორც ჩანს ჩვეული მოვლენა იყო.

IV-VII საუკუნეებში აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში სამონეტო მიმოქცევის თვალსაზრისით საინტერესოა ბიჭვინთის ნუმიზმატიკური ძეგლები. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მსგავსად, ბიჭვინთაშიც გვიან რომაული ხანის (IV ს) მონეტების განსაკუთრებული სიჭარბეა. ამ ეპოქის მონეტები აღმოჩენილია ძირითადად განძების სახით. მაგალითად, 1961 წელს შესწავლილ ერთ-ერთ განძში 310 მონეტაა, იგი მოჭრილია კონსტანტინე I-ისა და მისი ვაჟიშვილების სახელით, განძში ყველაზე

ადრეული კონსტანტინე დიდის (306-337 წწ.) მონეტაა. მოჭრის ადგილების მიხედვით ისინი იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილს მიეკუთვნებიან. მათი დიდი ნაწილი მოჭრილია ანტიოქიის ზარაფხანაში და ზოგადად დაკავშირებულია მცირე აზიისა და კონსტანტინეპოლის ზარაფხანებთან (ცუხიშვილი, 1977: 250-252). კიდევ ერთი განძი ბიჭვინთის ტაძირის IV ს. პირველი ნახევრით დათარიღებულ ფენაშია დაფიქსირებული, მასში ამავე ეპოქის 500 მონეტაა აღრიცხული (რაღა თქმა უნდა, განძი მოიცავს წინა საუკუნის მონეტებსაც). მონეტების უმრავლესობის მოჭრის ადგილიც ამ შემთხვევაშიც ანტიოქიაა, რაც შემთხვევითი არ უნდა იყოს. ანტიოქიასთან, როგორც იმპერიის აღმოსავლეთი პროვინციების რელიგიური, კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური ცენტრთან, ბიჭვინთას ინტესიური რელიგიური ხასიათის ურთიერთობა ჰქონდა, რამაც განაპირობა ბიჭვინთაში ანტიოქიაში მოჭრილი მონეტების სიჭარბე. მეტიც, აქ დაფიქსირებული სხვადასხვა ზარაფხანებში (ნიკომედია, ალექსანდრია, ქიზიკი, სისცია) მოჭრილი ფულიადი საშუალებებიც ბიჭვინთაში ანტიოქიიდან ხდებოდა. მეორე ვარაუდით ბიჭვითაში მცირეაზიური მონეტების სიჭარბე დაკავშირებული იყო ბიჭვინთაში მდგარ რომაულ გარნიზონებთან, რომლებიც მცირეაზიული კონტიგენტიდან კომპლექტდებოდა (ცუხიშვილი, 1977ა: 253-257). IV საუკუნის მონეტები მცირე რაოდენობითაა ნაპოვნი სამარხეულ კომპლექსებში. ბიჭვინთის ნაქალაქარის ტერიტორიაზე კი მათი რიცხვი 100 სპილენძის მონეტას აღემატება (ლორთქიფანიძე, 1991:104-105). ბიჭვინთის მდიდარი სატაძრო ქალაქი დაკნინების გზას დაადგა IV საუკუნის ბოლოს, აქ ბარბაროსთა ლაშქრობების შემდეგ. მონეტების განძებად გადამალვაც ამ ლაშქრობს უკავშირდება. საერთო ჯამში IV საუკუნის რომის მონეტები აფხაზეთში საკმაოდ ფართოდაა და ცნობილია არამარტო ბიჭვინთიდან, არამედ სოხუმის, გაგრის ოჩამჩირის ზონიდან (Шамба, 1987: 75-77).

ბიჭვინთაში V საუკუნის ბიზანტიური მონეტები ძალზე მცირე რაოდნეობითაა ნაპოვნი, რაც ამ დროისთვის მისი დაკნინების ერთ-ერთი ნიშანია. ცნობილია ამ დროის არკადიუსის და თეოდოს II-ისა და მის მეუღლის ევდოკიას მონეტები (ცუხიშვილი, 1977ბ: 306). მართალია ძველ მასშტაბებს ვერ აღწევს, თუმცა ბიჭვინთაში სამონეტო მიმოქცევის ინტენსივობა იზრდება VI საუკუნიდან. ამ დროის მონეტები წარმოდგენილია იუსტინე I-ის და იუსტინიანე I დიდის ასზე მეტი მონეტით, მათ შორისაა განძის სახით დაცული

მონეტებიც. ცოტა რაოდენობითაა უფრო ადრეული არკადიუსის და ანასტას I- ის მონეტები. VI საუკუნის ბიზანტიური მონეტები სპილენძისაა და ძირითადად კონსტანტინეპოლის ზარაფხანაშია მოჭრილი. აღსანიშანვია, რომ აქაურ სამონეტო მიმოქცევაში ჭარბობს ხურდა ფული - 5 ნუმიანი სპილენძის მონეტები, რაც მისი ყოველდღიურ ცხოვრებაში აქტიური მიმოქცევის მანიშნებელი უნდა იყოს (ცუხიშვილი, 1977ბ: 308). ბიჭვინთაში VI საუკუნის მონეტების რაოდენობა რომის მონეტებთან შედარებით მცირეა, იმპერატორ არკადის მონეტებიდან მავრიკის სახელით მოჭრილი ჩათვლით 111 მონეტაა აღწერილი. VII საუკუნისაა კიდევ 8 მონეტა (Шамба, 1987: Tab. XI). აფხაზეთის ტერიტორიაზე შესწავლილია სასანური ფულიც, კერძოდ შაჰ კავადის და ხოსრო II-ის ვერცხლის მონეტები. მათი აფხაზეთში შეღწევა უკავშირდება ირანელთა მცდელობას ლაზეთის დიდი ომის მსვლელობისას ასევე, მის მოგვიანო ხანებში, ფეხი მოეკიდათ აბაზგიაში (Шамба, 1987: 95).

ბიზანტიური მონეტები დასავლეთ საქართველოს შიდა რაიონებში შედარებით მცირეა, ცნობილია მისი აღმოჩენის შესახებ ნოქალაქევში, ქუთაისსა და ვარდციხეში. ნოქალაქევში მიკვლეულია იმპერატორ მავრიკის (582-602) სახელზე მოჭრილი ოქროს მონეტების მდიდრული განძი, რომელიც მოიცავს, 23 ოქროს მონეტას. მიჩნეულია, რომ იგი VI საუკუნის მიწურულს ლაზეთში მდგარი ბიზანტიური გარნიზონების ჯამაგირი იყო (Абрамишвили, 1963: 158-159), (მურღულია, 2012: 218). ქუთაისიდან ადრებიზანტიური ხანის 14 მონეტაა ცნობილი, რაც დაკავშირებული უნდა იყოს ლაზეთის სამეფოს შიდა რეგიონებში ბიზანტიური გარნიზონების დგომასთან (ლანჩავა, 2015: 221-222).

აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის სხვადასხვა საქალაქო ცენტრების სამონეტო მიმოქცევაში არსებული ფულადი საშუალებების რაოდენობის ფონზე სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში აღმოჩენილი ნუმიზმატიკური ძეგლების რაოდენობა მოკრძალებულად გამოიყურება. რაც თავის მხრივ არ შეესაბამება IV-VII საუკუნეებში რეგიონის პოლიტიკურ, რელიგიურ, სავაჭრო-ეკონიმიკურ მდგომარეობას. მონეტების რაოდენობის სიმცირე ალბათ უფრო არქეოლოგიური შეუსწავლელობით უნდა იყოს განპირობებული. კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რომ ძირითადი ნუმიზმატიკური აღმოჩენები ჯერ კიდევ წინაა.

## თავი VI. პეტრას ლოკალიზაციის საკითხი

უკვე ვისაუბრეთ, რომ ლაზეთის სამეფო VI საუკუნის დამდეგიდან სრულად ექცევა ბიზანტიის სტრატეგიული ინტერესის სფეროში. რეგიონზე პრეტენზიას აცხადებს ირანიც, რომელიც ცდილობს მოიპოვოს ახალი პლაცდარმი დასავლეთ საქართველოში ბიზანტიის წინააღმდეგ საზღვაო და სახმელეთო ოპერაციების წარმოების მიზნით.

წერილობით წყაროებში მოხსენიებული სამხედრო-სტრატეგიული ციხესიმაგრის პეტრას ძიებას და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ფიქსირებულ რომელიმე ძეგლთან მის იდენტიფიცირებას დიდი ხნის ისტორია აქვს. ციხისძირში პირველი არქეოლოგიური დაზვერვითი სამუშოების შემდეგ გაჩნდა ძირითადი და დღემდე გაზიარებული აზრი, რომ ციხისძირის ციხე-სიმაგრე სწორედ რომ პეტრაა.[20] თუმცა პეტრას ლოკალიზების სხვა ვარიანტებიცაა შემოთავაზებული.[21] მათ შორის სამეცნიერო წრეებში რამდენიმე მათგანი დღემდე პოპულარულ შეხედულებად რჩება, ეს განსაკუთრებით ითქმის პეტრა–ხოფის შესაძლო იგივეობის შესახებ პროფესორ გურამ გრიგოლიას ცნობილ თეორიაზე.

პეტრას ხოფასთან გაიგივების ძირითადი კონცეფცია ასე გამოიყურება: ციხე-ქალაქი პეტრა მდებარეობდა თანამედროვე ქ. ხოფის (თურქეთის რესპუბლიკა) მახლობლად (გრიგოლია, 1994: 63). კესარიელის მიერ თხზულებებში მოხსენიებული მდინარე „ბოას-ფაზისი" გაიგივებულია თანამედროვე ჭოროხთან (გრიგოლია, 1994: 38), წყაროში გაკეთებული მინიშნება, რომ პეტრა ამ მდინარის სამხრეთით მდებარეობს, გამოყენებულია ძირითად მიგნებად - პეტრას მდებარეობა ემთხვევა ხოფის მიმდებარე ტერიტორიას. ამასთან, არგუმენტებადაა მოყვანილი ის გარემოება, რომ თანამედროვე ქალაქი ხოფის სამხრეთით არსებული ციხე მსგავსია იმ ციხის აღწერისა, რომელსაც გვთავაზობს პროკოპი და ხოფასთან დაფიქსირებული ჰიდრონიმი „პეტრო-ღალი", რაც კლდის ღელეს ნიშნავს (გრიგოლია, 1994: 77). რაც შეეხება საკუთრივ ციხისძირს, გ. გრიგოლია მას აიგივებს პტოლემაიოსთან ნაჩვენებ მეორე სებასტოპოლისთან,

---

[20] იხილეთ: (ჯანაშია, 1949: 42), (ხოშტარია, 1953: 71), (სიჭინავა ვ, 1957: 51-52), (სიხარულიძე, 1959:98), (ინაიშვილი ა, 1971: 74-90), (ინაიშვილი ა, 1974:102-153), (მუსხელიშვილი დ, 1977: 102-108), (Мелитаури К., 1971: 16-20), (Лeквинадзе В, 1973: 169-186), (ხოფერია ნ, 2017: 16), (მინდორაშვილი, 2020: 204-234).
[21] იხილეთ: (ყაუხჩიშვილი ს, 1965: 34-105), (გრიგოლია, 1994), (სვანიძე მ, 1998: 21-30).

ამისთვის ძირითად არგუმენტად მოჰყავს ციხისძირში მიკვლეული რომაული ეპოქის არქეოლოგიური მასალა (გრიგოლია, 1994: 95-96).

პეტრა-ხოფის შესაძლო იგივეობასთან დაკავშირებით თავიდანვე უმჯობესი იქნება გავიხსენოთ ლაზეთის დიდი ომის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეპიზოდი: - 549 წელს ლაზთა თხოვნით ბიზანტიის იმპერატორის იუსტინიანეს დავალებით დაგისთემ, ჭანებთან ერთად, პეტრას ალყა შემოარტყა. დაგისთეს სტრატეგიული ამოცანა იყო პეტრას აღება, აქ პოზიციების კიდევ უფრო განმტკიცება, შემდგომ ლაზეთის ცენტრალურ ნაწილში გალაშქრება, ფაზისის გამაგრება და აჯანყებული ლაზების მხარდაჭერა. პეტრას ალყის პარალელურად კი ხოსროს ჯარები არღვევენ ლიხის გადმოსასვლელებს და პეტრასკენ აგრძელებენ გზას, ამ დროს დაგისთემ ნაცვლად ციხის აღებისა, მოხსნა ალყა და ფაზისის ციხისკენ გაიქცა. თუ ჩვენ პეტრას ხოფის ტერიტორიაზე ვიგულისხმებთ, შექმნილ სიტუაციაში რატომ გაიქცეოდა, დაგისთე ფაზისისაკენ? მაშინ როცა ხოფა ფაზისიდან საკმაო მანძილითაა დაშორებული. თუ მართლაც პეტრა ხოფაშია, მაშინ გამოდის, რომ დაგისთე თავდაცვის მიზნით უკან, სამხრეთ-დასავლეთისკენ დაიხევდა. რადგან ზურგი, საზღვარი ბიზანტიასთან, ხოფის სამხრეთით უნდა ყოფილიყო. დავუშვათ, დაგისთე მართლაც გაიქცა ხოფიდან ფაზისისაკენ, ის უთუოდ გადაეყრებოდა მტერს ფაზისთან მისვლამდე, იგი ვერ შეასწრებდა ქალაქში ხოსროს ჯარებს. არადა დაგისთეს ამ ეტაპზე განზრახული სულაც არ ჰქონდა მტრის შენაერთებთან შებრძოლება. ვინაიდან მისი სტრატეგიული ამოცანის პირველი ნაწილი ვერ შესრულდა (პეტრა ვერ აიღო), იგი ფაზისისაკენ იმ მიზნით მიიჩქაროდა, რომ ირანულ ჯარს ხელიდან გასხლტომოდა და ლაზებთან ერთად ახალი შეტევის წამოწყებაზე ეზრუნა. რაც შემდგომში მოხდა კიდეც.

ჩვენი აზრით პეტრას ადგილსამყოფელი სწორედ ფაზისთან სიახლოვესაა სავარაუდებელი, რადგან დაგისთე შესულიყო ფაზისში და იქ დალოდებოდა გუბაზს. ლიხის უღელტეხილზე გადმოსული ხოსროს ჯარები კი, სანამ მიაღწევდნენ პეტრა-ციხისძირს, დაგისთე ადვილად შეასწრებდა და გამაგრდებოდა ფაზისში, ხოლო ირანელები იმის შიშით, რომ პეტრა არ დაცემულიყო, ფაზისის გვერდის ავლით პეტრასკენ იმოძრავებდნენ, რომლის გარნიზონსაც სასიცოხლოდ ესაჭიროებოდა დამხმარე ძალები.

როგორც უკვე დავინახეთ ლაზეთში ირანელებთან დაწყებული დაპირისპირების კვალდაკვალ ბიზანტიელებმა აღადგინეს აფსაროსის მიტოვებული რომაული კასტელიუმი და გამოიყენეს იგი ლაზეთში სამხედრო ოპერაციების მხარდასაჭერად. ბიზანტიელებს ჯარის გარკვეული ნაწილი აფსაროსში ჰყავდათ ბაზირებული. აფსაროსში აღმოჩენილი ადრეშუასაუკუნეების კერამიკული ნაწარმის, განსაკუთრებით კი ამფორების განსაკუთრებული რაოდენობა და სახეობრივი მრავალფეროვნება გვაფიქრებინებს, რომ ციხე იქცა ბიზანტიის იმპერიის სასაზღვრო მძლავრ პუნქტად, რომელიც წარმოადგენდა ერთგვარ ზურგსა და მომმარაგებელ კვანძს თავდაპირველად პეტრას სამხედრო გარნიზონისათვის, მოგვიანებით კი ლაზეთში, სხვადასხვა მიმართულებით წარმოებული სამხედრო ოპერაციებში ჩართული ნაწილებისათვის. 541 წელს პეტრას დაცემის შემდგომ ბიზანტიელებმა მთავარი სასაზღვრო ძალები აფსაროსში განათავსეს. პროკოპი ლაზეთის ამბების აღწერისას აღნიშნავს, რომ ერთ დროს მშვენიერი ქალაქი აფსაროსი ნანგრევებადაა ქცეული (Prokopios, 8, 2.14), მაგრამ მას მაინც მოქმედ ქალაქად განიხილავს. მაგალითად იგი აღნიშნავს, რომ ქალაქი აფსარუნტიდან ქალაქ პეტრამდე და ლაზთა საზღვრამდე ერთი დღის სავალი გზა არის (Prokopios, 8, 2.21). გარდა ამისა აგათია მიუთითებს, რომ ლაზთა მეფის გუბაზის მკვლელები ქალაქ აფსარუნტის სატუსაღოში დაამწყვდიეს (Agathias. *Histories.* 3, 14). ნათელია, რომ აფსაროსის ციხეს ახალი ფუნქციური დატვირთვა დროის მოკლე, შეზღუდულ მონაკვეთში მიენიჭა. ამის დასტურია ის, რომ გონიო-აფსაროსში ამ ეპოქის აღმოჩენები ჩნდება უშუალოდ იმპერატორ იუსტიანეს მონეტებთან ერთად და არ ჩანს წინარე პერიოდის მასალა. ფაქტია, რომ აფსაროსი უზრუნველყოფდა პეტრას გარნიზონისა და სხვა სამხედრო დანაყოფების სურსათით მომარაგებას, როგორც ჩანს აქ იქმნებოდა სამხედრო მარაგები, ხოლო მისი ლაზეთის ცაკლეულ უბანზე მიწოდებისთვის საჭირო ჭურჭელი შესაძლოა ადგილზევე მზადდებოდა. აფსაროსში ადგილობრივი წამორშობის წელშეზნექილი ამფორების დამზადება რომაულ ეპოქაში დადასტურებულია. ცნობილია, რომ შიდა ციხის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში სამეურნეო უბნის გათხრისას მიკვლეული იქნა ქურა სახელოსნო, რომელიც II-III სს-ებითაა დათარიღებული. ადრეშუასაუკუნეების ამფორათა შორის ადგილობრივი წელშეზნქილი ამფორების განსაკუთრებული სიჭარბე შესაძლოა მიუთითებდეს აქ მათი

წარმოების აღდგენაზე (ხალვაში, 2002: 42-52), (ხალვაში, კახიძე ე., 2005: 34-39), (მამულაძე, ხალვაში, კახიძე ე., 2009: 408-410).

ვფიქრობთ, რომ აფსაროსის ფაქტორი თავდაყირა აყენებს პეტრას ხოფაში ლოკალიზების ვარაუდს. წერილობითი წყაროები პირდაპირ მიგვანიშნებენ, რომ პეტრადან სამხრეთისაკენ წასული  მგზავრი რომაელთა საზღვრებს ხვდება, სადაც მდებარეობს ათინა, რიზე და სხვა პუნქტები, როგორიცაა არქაბე და აფსარუნტი. ეს უკანასკნელი, როგორც პროკოპი ამბობს რიზედან სამი დღის სავალზეა დაშორებული (Prokopios, 2.28.22), (Prokopios, 8.2.11).

ამრიგად, აფსაროსი ბიზანტიელთა საზღვრებში ექცევა. დ. მუსხელიშვილი ვარაუდობს, რომ სასაზღვრო ხაზი გადიოდა მდ. ჭოროხის გასწვრივ და ლაზთა საზღვრები მოიცავდა ჭოროხის ქვედა დინებას (მუსხელიშვილი, 1977: 5), უფრო მეტიც არსებობს მოსაზრება, რომ ბიზანტიის საზღვარი VI საუკუნეში ციხისძირამდეც კი აღწევდა (ლოდეთიანი, 1997: 68), (Greatrex, 2005: 492). ამრიგად, პეტრა აფსაროსის სამხრეთით ნაკლებადაა სავარაუდებელი, ვინაიდან აღნიშნულია, რომ „ლაზების ქვეყანაში, ზღვისპირა ქალაქი აეშენებინა სახელად პეტრა“ (Prokopios, 2.15.10). კესარიელი აღნიშნავს, რომ აფსარუნტი პეტრასა და ლაზეთის საზღვრებს ერთი დღის მანძილით, ხოლო თავის მხრივ პეტრა ფაზისამდე ერთი დღის სავალითა და ცოტა მეტითაა დაშორებული (Prokopios, 8.2.21). თუ პეტრას ხოფაში ვიგულისხმებთ მაშინ გაუგებარია სად შეიძლება ვიგულისხმოთ აფსარუნტი, თანაც ხოფა ფაზისამდე 2-3 დღის სავალი მანძილითაა დაშორებული. „მანვე (იგულისხმება იოანე ციბე) დააჯერა მეფე იუსტინიანე, ლაზების ქვეყანაში, ზღვისპირა ქალაქი აეშენებინა სახელად პეტრა'', აქ ხაზია გასმული, რომ „ლაზების ქვეყანაშიო''. ხოფა დიდი ალბათობით ექცეოდა ჭანებით დასახლებულ ტერიტორიაზე. როგორც პროკოპი ამბობს, გაქცეულ დაგისთეს ჭანები ჩამოცილდნენ, მათ „დაარბიეს რომაელთა ბანაკი და დაიხიეს რიზესკენ“ (Prokopios, 2.30.14), ვფიქრობთ, რომ ხოფაც ამ რეგიონის ეთნიკურ და გეოგრაფიულ არეალს განეკუთვნებოდა და დახევა რიზესკენ, შეიძლება მივიჩნიოთ დღევანდელი ციხისძირის მიდამოებიდან დახევა სამხრეთისაკენ, იგივე ხოფისკენ, რიზესკენ და ა.შ. კესარიელის ეს ცნობა გვაფიქრებინებს ჭანების სავარაუდო ადგილსაცხოვრისზე, მემატიანე იქვე დასძენს „იქედან (იგულისხმება რიზედან) კი ათენაში მივიდნენ და ტრაპეზუნტით შინ

დაბრუნდნენ“. თუ დავუშვებთ იმას, რომ ხოფა ჭანებით დასახლებული რეგიონის ნაწილია (მუსხელიშვილი, 1977: 94), მაშინ რას ნიშნავს უკან დახევა ჭანებისა, „შინ დაბრუნება'', ეს შეიძლება ნიშნავდეს მხოლოდ იმას, რომ ჭანები ხოფასთან კი არ ებრძოდნენ ირანელებს, არამედ უფრო შორს, ჩრდილოეთით, ფაზისთან ახლოს, ამ მხრივ კი მივდივართ პეტრა-ციხისძირის იგივეობის აზრამდე.

ისტორიული წყაროებიდან ნათლად ჩანს, რომ ციხე-ქალაქ პეტრას ჰქონდა საშუალება ჩაეკეტა ლაზიკა-ბიზანტიის დამაკავშირებელი გზა. ბიზანტიიდან ლაზიკისკენ მიმავალი მგზავრი, მით უფრო სამხედრო შენაერთი, მას გვერდს ვერ აუქცევდა. უნდა ითქვას, რომ პეტრა-ხოფასთან გაიგივებულ სასიმაგრო პუნქტს, მისი მდებარეობის გამო, მეტად გაურთულდებოდა ამ გზის კონტროლი. ამას გვაფიქრებინებს ის, რომ შავი ზღვის სანაპიროზე გამავალ გზას აღმოსავლეთ ჭანეთში არსებულ მდინარეთა ხეობებში ჰქონდა მრავალი გადასასასვლელი, რასაც ადასტურებს დღემდე შემორჩენილი მდიდარი საგზაო ინფრასტრუქტურა. ამის გამო ხოფა-პეტრას გარშემოვლა რთული არ იქნებოდა (მამულაძე, კახიძე ე., 2014: 85-90). სხვა მხრივ არის კიდევ ერთი საყურადღებო გარემოება, - ლაზეთში შემოსული ირანელები გვერდს უვლიან ყველა ქალაქს და პეტრას ალყაში მოქცევას ახერხებენ (ლომოური, 2009: 97). თუ ვივარაუდებთ პეტრას ხოფასთან, მაშინ ირანელები აუცილებლად გაივლიდნენ ციხისძირსა და აფსაროსს, მათ გვერდს ვერავითარ შემთხვევაში ვერ აუვლიდნენ. ციხისძირი-ხოფას მაგისტრალზე მოძრავ ირანულ სამხედრო ნაწილებს უნდა დაეტოვებინა მათი ლაშქრობის დამადასტურებელი რაიმე მატერიალური საბუთი, თუნდაც ფულის სახით. ნიშანდობლივია, რომ ციხისძირის ზონიდან საქართველოს სახელმწიფო საზღვრამდე, მათ შორის აფსაროსშიც, დღემდე არ გვხვდება სასანური ნუმიზმატიკური ძეგლები. ასეც, რომ არ იყოს, თვით ბიზანტიელებისათვის, როგორი „სტრატეგიული“ მნიშვნელობის იქნებოდა ხოფის ციხე-სიმაგრე, რომელიც ვერ გააკონტროლებდა სტრატეგიულ გზას. ირანელებს შეეძლოთ ციხისძირთან გადაეკეტათ ბიზანტიასთან დამაკავშირებელი სამხედრო-სავაჭრო გზა და ამით იგი გამოეთიშა ლაზეთში მიმდინარე სამხედრო-პოლიტიკური პროცესებიდან. ამიტომაა, რომ ბიზანტიელთათვის სამხედრო პოზიციის ხოფასთან გამაგრება სტრატეგიული თვალსაზრისით საფუძველს მოკლებულია.

უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ქალაქ ხოფასთან მიმართებაში გაურკვეველია თუ სად იგულისხმება საქალაქო დასახლება. ვიცით, რომ დღევანდელ ხოფაში ჩამოედინება მდინარე რომელიც ქალაქს ჰყოფს ორ ნაწილად. თუ ჩვენ საქალაქო დასახლებას დღევანდელი ქ. ხოფის ტერიტორიაზე ვიგულისხმებთ, მაშინ რატომ არ აღნიშნავს პროკოპი ქალაქში მდინარის შესახებ და რატომ არ ფიგურირებს ის პეტრასთან წარმოებულ სამხედრო მოვლენებში. ბოლო წლებში ქართველი არქეოლოგები უფრო ახლოს გაეცნენ ქ. ხოფის სამხრეთით არსებულ ციხის ნაშთებს, გამოჩნდა, რომ იგი განსხვავდება ბიზანტიური საფორთიფიკაციო ნაგებობების სამშენებლო მახასიათებლებისაგან (მამულაძე, კახიძე ე., 2014: 15-20), მართალია ციხე რთული მისადგომი და შთამბეჭდავი მდებარეობისაა, მაგრამ პეტრასთვის, როგორც სავაჭრო და სამხედრო საყრდენი ბაზისათვის საჭირო ხასიათი მას არ აქვს. ჩვენ შეგვიძლია იგი მივიჩნიოდ კესარიელის მიერ მოხსენიებულ „არქაბედ“, რომელიც მისივე თქმით მდებარეობს ათინასა და აფსარუნტს შორის (Prokopios, 8.2.11). ხოფის ციხის, როგორც „ხუფათის“ ციხის არსებული ნაშთები შესაძლებელია უკავშირდებოდეს უფრო მოგვიანებით ამ მხარეში ქართველთა მიერ სასაზღვრო სიმაგრეების მშენებლობის პროცესს.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე VI საუკუნეში განვითარებულმა საომარმა მოქმედებებმა ბუნებრივია, რომ თავისი კვალი დატოვა. ამის ნათელი მაგალითი ციხისძირი და იქ, მხოლოდ ერთ კოშკში აღმოჩენილი დიდძალი საბრძოლო აღჭურვილობაა. პეტრას აღმოჩენებს უკვე მიეძღვნა შესაბამისი პუბლიკაცია (მინდორაშვილი, 2021), თუმცა ჩვენ ამ მასალას მოკლედ მაინც მიმოვიხლავთ, პეტრა-ციხისძირსა და რეგიონის სხვა ძეგლებზე სხვადასხვა დროს შესწავლილ საბრძოლო და შრომის იარაღებთან ერთად, რათა ხაზი გაესვას ციხისძირში ირანელთა გარნიზონის დგომის ფაქტს და შესაბამისად მისი პეტრასთან საბოლოო გაიგივებას.

## §11. ირანელთა გარნიზონი პეტრაში

ციხისძირში დიდი ომიანობის დროს ირანული გარნიზონის დგომა საბოლოოდ დაადასტურა უკანასკნელ წლებში პეტრას აკროპოლისში ჩატარებულმა

არქეოლოგიურმა მონაპოვრებმა. აქ ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგებმა, ასევე სამუზეუმო ფონდში დაცულმა ჩვენთვის საინტერესო მასალის გაცნობამ შესაძლებლობა მოგვცა მოგვეხდინა არქეოლოგიური მასალის ჩვენეული ინტერპრეტაცია და გვემსჯელა ლაზეთის დიდი ომის დროს ციხისძირში მდგარ ირანულ გარნიზონზე.

2017 წელს აღმოჩენილი ციხისძირის აკროპოლისის მე-5 კოშკის სტრატიგრაფია და იქ მოპოვებული მასალა, ასახავს პეტრას მესამე და საბოლოო ალყისას მომხდარ სამხედრო მოქმედებებს. დაგისთეს შემცვლელად, ბიზანტიის იმპერატორ იუსტინიანესგან გამოგზავნილმა გამოცდილმა სარდალმა, ბესამ, პირდაპირ შეუტია პეტრას და სხვადასხვა საალყო მეთოდი გამოიყენა მის დასამორჩილებლად. მან გააგრძელა დაგისთესგან დაწყებული გვირაბის გათხრა გალავნის ქვეშ, მოკავშირე საბირებს ააგებინა ტარანი კედლის შესანგრევად და სცადა შტურმი საალყო კიბეებით. ალყაში მოქცეულებმა ტარანის ცეცხლმოდებული ნავთიანი ქოთნებით დაწვაც შეძლეს, მაგრამ, მას შემდეგ, რაც გალავნის ქვეშ გვირაბის გათხრას კედლის ჩამოქცევა მოყვა, პეტრა უკვე განწირული იყო. ბიზანტიელების შეტევას, ვერც აკროპოლისმა გაუძლო და მისი ნაწილიც, ნავთისგან გამოწვეული ხანძრის მსხვერპლი გახდა. არქეოლოგიური კვლევით ჩანს რომ პეტრას ინფრასტრუქტურის ნაწილი ჩაინგრა, დაიწვა და თან მოიყოლა მასში არსებული მასალაც.

ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით, ჩვენ ვიცით, რომ 551 წელს პეტრას ფინალური ალყისას თავდაცვის მდგომარეობაში იყვნენ ირანელები ანუ ციხესიმაგრის გარნიზონი ირანული იყო. ეს გარემოება უცილობლივ არ გულისხმობს, რომ არქეოლოგიური მასალაც ირანული წარმოშობის უნდა ყოფილიყო. სავარაუდოა, რომ ირანელი სამხედროები იყენებდნენ ციხესიმაგრეში მანამდე შენახულ იარაღ-აღჭურვილობას, რომელიც აქ ბიზანტიელებს უნდა დარჩენოდათ, მას შემდეგ, რაც ქალაქი პირველად აიღეს ირანელებმა (დარჩიძე, ხოფერია, 2023: 6).

უკვე ვთქვით, რომ 541 წელს ირანელებმა პეტრა პირველივე ალყის დროს აიღეს. საბრძოლო მოქმედებებს ციხესიმაგრის მნიშვნელოვანი ნგრევა არ მოჰყოლია. ციხის აღება ერთ-ერთი ზღუდის ჩამონგრევამ და ბიზანტიელთა სარდლის სიკვდილმა განაპირობა. სავარაუდოა, რომ ირანელებმა შემდგომში სრულად გამოიყენეს ბიზანტიური ციხის ინფრასტრუქტურა, იქ დარჩენილი მარაგები, ინვენტარი და ა.შ, მათ

ხომ ციხესიმაგრე მტკიცედ და ხანგრძლივად ეჭირათ. როგორც ჩანს, 541-551 წლებში აქ მდგარი გარნიზონი პერიოდულად მარაგდებოდა მარბიელი ლაშქრობებით მოპოვებული სურსათით, რაც ბუნებრივია, არასაკმარისი იყო, ამიტომ მთავარ შევსებას გარნიზონი ქართლიდან იღებდა (ჯანაშია, 1949: 92).

ციხისძირის აკროპოლისის მე-5 კოშკში მოპოვებული მასალით ჩანს, რომ აქ მდგარი გარნიზონი ადგილზე ფქვავდა ხორბალს. ჯაჭვის პერანგში მიკვლეული რბილი ხორბლის (*Triticum Aestivum* L) ნაშთები,[22] ასევე დანახშირებული მარცვლეულის მიკვლეული ნიმუშები სწორედ ამაზე მეტყველებს. ხორბლის ადგილზე დაფქვის დამადასტურებელია ხელწისქვილის ქვები, მათი რაოდენობა მხოლოდ ერთ კოშკში ხუთ ერთეულს შეადგენს (მინდორაშვილი, 2021: 33), მსგავსი ქვები ციხისძირში გასული საუკუნის 60-იან წლებში ჩატარებული გათხრების დროს - აკროპოლისის სხვა უბანზეც აღმოჩნდა. როგორც ჩანს, პეტრას ირანულ გარნიზონს ხორბლისა და ფქვილის საკმაო მარაგებიც გააჩნდა, ამას ადასტურებს დიდი რაოდენობით კონცენტრირებული სამზარეულოსა (ქვევრები, დერგები, ქოთნები, ლუთერი) და სუფრის (დოქები) ჭურჭელი, ასევე სტაციონარული ქვის ჭურჭელი. განსაკუთრებულია ამფორების დიდი რაოდენობაც.

პროკოპი კესარიელის გადმოცემით, მერმეროემ იმდენი ტომარა საკვები მიიტანა პეტრასთან, რომ დაცლილ ტომრებში ქვიშა ჩაყარეს და გალავნის ჩამონგრეულ ადგილებზე დაალაგეს – სახელდახელოდ აღადგინეს კედელი, რის შემდეგაც აქ, კარგად მომარაგებული სამი ათასი მებრძოლიც დატოვა (Prokopios, 2.30; გეორგიკა II, 1965: 112).

როგორც ჩანს, გარნიზონს ცხენებიც ჰყავდა. ამას ადასტურებს კოშკში აღმოჩენილი ლაგამი. საინტერესოა, რომ ხორბალთან ერთად მიკვლეულია ქერის ნიმუშებიც (*Hordeum vulgare* L.), რომლებიც, სავარაუდოდ, ცხენების საკვებად უნდა ყოფილიყო განკუთვნილი. არსებობს მოსაზრება, რომ კოშკში მეომართა საბრძოლო აღჭურვილობასთან ერთდ ნაპოვნი ნამგლებიც სწორედ ცხენების გამოსაკვებად საჭირო ბალახის დასამზადებლად გამოიყენებოდა (მინდორაშვილი, 2021: 29). ციხესიმაგრეში

---

[22] მარცვლეულთა იდენტიფიცირება ეკუთვნის პალეობოტანიკოს ნ. რუსიშვილს (მინდორაშვილი, 2021: 35).

ხანგრძილვად ყოფნის დროს ქერი ცხენებისათვის ვერ იქნებოდა ძირითადი და საკმარისი საკვები, ამიტომ მართლაც სავარაუდებელია, რომ მეომრები ცხენებს პირველ რიგში თავიანთი მოპოვებული ბალახით კვებავდნენ. ალყის დროს ბალახის საკმარისი მარაგის არარსებობისას ცხენების რაციონს, ბუნებრივია, ქერიც ემატებოდა.

საინტერესოა პეტრას ირანელ მეციხოვნეთა აღკაზმულობა და შეიარაღება. მე-5 კოშკის აღმოჩენებიდან ჩანს, რომ ირანელები კარგად იყენებენ ადგილობრივ ნაალაფარ ან/და ციხე-სიმაგრის საწყობებში დარჩენილ ბიზანტიურ თუ ლაზურ იარაღს, რომელიც მათ პეტრას დაკავების შემდგომ იგდეს ხელთ. აქ გაკეთებული აღმოჩენები შესაძლებლობას გვაძლევს უკეთ წარმოვიდგინოთ ჯარისკაცის აღკაზმულობა და აღჭურვილობა.

2017 წლის გათხრებისას ნაპოვნი იქნა რკინის რგოლებისაგან დამზადებული ჯაჭვის პერანგი, ნახანძრალი, დაფიქსირებულია წიდად ქცეული გუნდის სახით (მინდორაშვილი, 2021: 17). ჯაჭვის პერანგები პეტრაზე ადრეც გამოჩენილა (ინაიშვილი ა., 1974: 145). მეომრის აღჭურვილობას განეკუთვნება ბეგთარის რკინის ფირფიტები, ისიც ნაპოვნია დამწვარი მასის სახით. რამდენიმე გადარჩენილ ფირფიტას აქვს მრგვალი მოგრძო ნახვრეტები, არის უნახვრეტო ცალებიც. ფირფიტები ერთმანეთზე ტყავის თასმებით უნდა ყოფილიყო შემკული, რაც ბუნებრივია, რომ აქ გაჩენილ ხანძარს ვერ გადაურჩა (მინდორაშვილი, 2021: 18). პეტრაზე მოპოვებული ბეგთარის ფირფიტები ყველაზე ახლოს დგას წებელდის VI-VII სს. მასალასთან (Воронов, Бгажба, 1985: 84).

მასალებს შორისაა რკინის დაზიანებული, მთლიანჭედილი მუზარადი (დიამეტრით 25 სმ), რომელსაც კიდეებზე შემოუყვება ბრინჯაოს სარტყელი, მასზე შემორჩენილია კოპებისა და რგოლების კვალი, ჩანს რომ მუზარადს  კისრის არეში ჯაჭვის ქსოვილი ებმოდა (მინდორაშვილი, 2021: 20 (ტაბ. XXIX-4-ა). მუზარადის დაზიანებული ნაშთები პეტრას აკროპოლისის გათხრისას ადრეც გამოჩენილა ჯაჭვის პერანგებთან ერთად, აღსანიშნავია, რომ სამ სხვადასხვა ადგილას ჯაჭვის პერანგები ისევ აღმოჩნდა (ინაიშვილია, 1974: 145). საინტერესოა, რომ მრავლადაა ბეგთარის რკინის ფირფიტები, იგი კოშკის სხვადასხვა ადგილას აღმოჩნდა, ასევე დაფიქსირდა მოზრდილი გროვის სახითაც. მეომართა აღჭურვილობა ბუნებრივია მოიცავთა ფარსაც. ციხისძირის მასალებს შორისაა სამი ერთეული ფარის უმბონი, იგი ნახევარსფერული

მოყვანილობისაა და ცენტრში რკინის ღერაკი აქვს, ძირზე ბრტყელი კიდე შემოუყვება რომელზედაც სამანქვალე ნახვრეტებია დატანილი. როგორც ჩანს ფარი ტყავგადაკრული ხის იყო, რომლის ნაშთებიც არ არის შემორჩენილი (მინდორაშვილი, 2021: 19) (ტაბ. XXIX – 4 - ა).

ციხისძირში აღმოჩენილი მუზარადი, საინტერესოა მთლიანჭედილი მუზარადების ევოლუციური განვითარების თვალსაზრისით. ცნობილია, რომ სასანიანთა იმპერიაში ახ.წ III საუკუნიდან მეორმები სხვადასხვა ფორმის მუზარადებს იყენებდენ, მეტწილად სეგმენტურ მუზარადებს. სამეცნიერო ლიტარატურაში სასანური მუზარადების 7 ტიპია გამოყოფილი, მათ შორისაა მთლიანჭედილი მუზარადიც. სხვადასხვა ფორმის მთლიანჭედილი მუზარადები აღჭურვილობაში ნაკლები ინტენსივობით გამოიყენებოდა IV-VI საუკუნეებში (Ahmad, 2015: 138-139,143), მათი მასიური გავრცელება კი განვითარებულ შუასაუკუნეებს უკავშირდება (წურწუმია, 2013: 47), თუმცა მთლიანჭედლი მუზარადები უფრო ადრეულ პერიოდშიც გამოიყენებოდა და მსგავსი ტექნიკით შექმნილი მუზარადები ახ.წ. III საუკუნიდან ჩანს (kubik, 2017: 195-210).

პეტრას მუზარადი VI საუკუნით თარიღდება, თარიღს ამყარებს არტეფაქტის აღმოჩენის კონტექსტი და თანმხლები მასალა, განსაკუთრებით ნუმიზმატიკური ძეგლები. შესრულების ტექნიკითა და საერთო იერით იგი აღმოსავლურ მუზარადებთან ჰპოვებს მსგავსებას.

მრავალფეროვანია პეტრაში გამაგრებულ მეომართა საბრძოლო იარაღები. იგი მოიცავს სატევრებს, მახვილებს, შუბებს, მშვილდ-ისრებს, საბრძოლო ცულებსა და დანებს. განსაკუთრებული მრავალფეროვნებითაა წარმოდგენილი შუბისპირები, აღმოჩენებს შორის გამოყოფილია ხუთი ტიპის შუბისპირი - მათ ერთმანეთისგან ზომა, ქედისა და ფრთების ფორმა, ასევე მასრის ტიპი განასხვავებთ (მინდორაშვილი, 2021: 22-23). დ. მინდორაშვილის მიერ გამოყოფილი მე-3 ტიპის, ყველაზე გრძელი შუბისპირი (32,5 სმ), ციხისძირის აღმოჩენებისათვის ახალი არ არის. მსგავსი შუბისპირები ციხისძირის ადრეშუასაუკუნეების სამაროვნიდანაა ცნობილი (ინაიშვილი, 1993: 83). საინტერესოა, რომ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, ფიქვნარის ადრე-შაუასაუკუნეების ორ სამარხში შუბისპირთან ერთად ფიქსირებულია ბუნიკიც, რითაც ვადგენთ შუბის სავარაუდო სიგრძეს - 1,75 და 2,1 მეტრი (კახიძე ა, ვიკერსი, მამულაძე,

2000: 72).[23] პეტრას აკროპოლისის მე-5 კოშკის მასალებში მრავლადაა რკინის ისრისპირი, პირის ფორმის თვალსაზრისით გამოიყოფა ერთი ოთხკუთხაგანივკვეთიანი დაგრძელებული და სამფრთიანი ყუნწიანი ისრისპირები. სავარაუდოდ მოისრის აღჭურვილობას უკავშირდება ასევე ბრინჯაოს ერთი მომცრო ოთხკუთხა ნივთი, რომელზეც უძრავადაა მიერთებული მოგრძო კაუჭი (მინდორაშვილი, 2021: 23-24). მე-5 კოშკში ჩატარებულმა გათხრებმა გამოავლინა ექვსი საბრძოლო ცული, ყველა მათგანის სატარე ხვრელი მრგვალგანივკვეთიანია, მიუხედავად ამისა ცულის სატარე ხვრელის, პირის, ყუის, ასევე ტანის ფორმითა და ზომის მიხედვით ოთხ ტიპად ჯგუფდება (მინდორაშვილი, 2021: 24). ერთ-ერთი ტიპის, შედარებით მასიური, მაღალი ჩაქუჩისებრი ყუის მქონე და მოხრილტანიანი ცული ადრეც გამოჩენილა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ადრებიზანტიური ეპოქის ძეგლზე (კახიძე ა, ვიკერსი 2004: 128-129). უნდა ითქვას ისიც, რომ ციხისძირიდან ცნობილია ცულის კიდევ ერთი ფორმა - დაბრტყელებული, ოთხკუთხაგანივკვეთიანი ყუის მქონე, ვიწრო ყელიანი და მოკლეპირიანი ცული, იგი ციხისძირის ადრეშუასაუკუნეების სამარხეულ ინვენტარს შორისაა შესწავლილი (ინაიშვილი ნ, 1993: 93).[24] როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხელშუბებთან და მოკლე მახვილებთან ერთად, საბრძოლო ცულებს, აქტიურად

---

[23] ფიჭვნარში შესწავლილ ადრეშუასაუკუნეების სამარხთა უდიდეს ნაწილში მიკვლეულია რკინის საბრძოლო და შრომის იარაღები. სამარხებში წარმოდგენილია რკინის მახვილწვერიანი შუბისპირები, რომელსაც ორივე მხარეს, მთელ სიგრძეზე, რელიეფური ქედი მიუყვება. ფრთები მომრგვალებულია, მასრა რომელზეც ხის ტარი იგებოდა მრგვალგანივკვეთიანია. ნაპოვნია შუბის ბუნიკებიც, მათი განლაგების მიხედვით შუბის სავარაუდო ზომებია: I-2,2 მ (მათ შორის შუბისპირი - 28 სმ, ბუნიკი - 8,5 სმ), II-1,75 მ. (მათ შორის შუბისპირი -34,5 სმ, ბუნიკი - 10,5 სმ) და III – 1,7 მ (მათ შორს შუბისპირი - 26,5 სმ, ბუნიკის - 12 სმ). სამარხებში ორ შემთხვევაში შუბი მიცვალებულის მარჯვენა მხარეს იყო განთავსებული, ერთ შემთხვევაში კი მარცხენა მხარეს. მსგავსი შუბისპირები მიკვლეულია ციხისძირსა და უფრო მრავლად კი წებელდის სამსარხებში. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის თანადროული მასალების გათვალისწინებით ფიჭვნარის შუბისპირები IV საუკუნით თარიღდება (კახიძე ა., ვიკერსი, 2004:128).

[24] ფიჭვნარში მრავლადაა ნაპოვნი რკინის ცულები, რომელთაც განსხვავებული ფორმები გააჩნიათ. ერთ-ერთი მათგანი, რომელსაც ოთხკუთხა წაგრძელებული სატარე ხვრელი, ბრტყელი მომაღლო წელი და ფართო, ოთხკუთხა მოყვანილობის პირი აქვს ძირითადად გაიგივებულია ლოკალური გავრცელების ე.წ „ლაზური ცულების“ ტიპთან და მას სამეურნეო დანიშნულება გააჩნდა, თუმცა ეს მოსაზრება საბოლოოდ არ არის გაზიარებული მათი წებელდურ ცულებთან მსგავსებისა და ჩრდილო-დასავლეთ ლაზეთში მათი მრავლად აღმოჩენის გამო (მინდორაშვილი, 2021: 26). რაც შეეხება დანარჩენი ორი ტიპის ცულს: - პირველი მათგანი ყუაკვერიანია და აქვს მრგვალი სატარე ხვრელი, ოდნავ მოხრილი და პირისკენ დავიწროვებული ტანი; მეორე ცულს, ასევე მრგვალი სატარე ხვრელი და მრგვალი ყუა აქვს, ოდნავ მოხრილია, ტანი ბრტყელია და მაღალი, პირი ფართო და სამკუთხა მოყვანილობისაა. ცნობილია, რომ ფიჭვნარის ყუაკვერიანი ოთხწახნაგა ტანიანი ცულის მსგავსი ჯერ-ჯერობით უცნობია. სამარხეულ ინევტარად გამოყენებულია ასევე ზურგსწორი და ოდნავ მოხრილი, ნამგლისებრი რკინის დანებიც (კახიძე ა., ვიკერსი, 2004: 129), (კახიძე ა., ვიკერსი, 2014: 179).

იყენებდნენ ლაზიკის ომის მონაწილე დაილამელი ქვეითები. VI საუკუნის საბრძოლო ცულების აღმოჩენა პეტრაში, შეიძლება მათი პეტრას ირანულ გარნიზონში ყოფნის კიდევ ერთ დადასტურებადაც მივიჩნიოთ (დარჩიძე, ხოფერია, 2023: 8). მეომრის აღჭურვილობაში უნდა იყოს ასევე აქ ნაპოვნი, სრულიად დაცული ორი რკინის დანაც. კოშკის გათხრისას მოპოვებული ბრინჯაოს ოვალური ფორმის ნივთი იძლევა საშუალებას ვივარაუდოთ, რომ იგი მეომრების სამკლაური ან წვივსაფარია, აქვეა რამდენიმე ნივთი რომელთა დანიშნულება ამჟამად ნათელი არ არის და კვლევის გაგრძელებას მოითხოვს. ასეთია პეტრაში გამაგრებული მეომრების საბრძოლო აღჭურვილობის ზოგადი დახასიათება (ტაბ. XXIX – 4-5).

გარნიზონის მეთაურს სხვადასხვა ხარჯებისათვის ფულის გარკვეული რაოდენობა ესაჭიროებოდა - იქნებოდა ეს ჯარისკაცთა ჯამაგირი, ციხესიმაგრისთვის საჭირო გადაუდებელი შესყიდვები თუ სამხედრო-სადაზვერვო საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები. პეტრას აკროპოლისის მე-5 კოშკში აღმოჩენილია სასანური მონეტების კარგად დაცული განძი, იგი ვერცხლის 94 მონეტას მოიცავს, კიდევ 4 მონეტა კი კოშკის სხვადასხვა ნაწილში იქნა მიკვლეული, საინტერესოა, რომ მონეტებს შორის ყველაზე გვიანდელია ხოსრო I-ის (531-579) სახელით მოჭრილი მონეტა, რაც გვეხმარება ზუსტად დათარიღდეს კოშკში აღმოჩენილი თანმხლები მასალა (მინდორაშვილი, 2021: 31). როგორც უკვე ითქვა ციხისძირის მიდამოებში სასანური დრაქმები აქამდე შემთხვევითი აღმოჩენებით ჯერ კიდევ გასული საუკუნის პირველ ნახევარში იყო ცნობილი (ჯანაშია, 1949: 43-44), უშუალოდ ხოსრო I-ის დრაქმა ამავე პერიოდში ქობულეთში (ციხისძირიდან ჩრდილოეთით 7 კმ. დაშორებით) იყო დაფიქსირებული (ვარშალომიძე, ძნელაძე 2021: 302), ხოსრო I-ის კიდევ ერთი დრაქმაა დაცულია ბათუმის არქეოლოგიურ მუზეუმში (ვარშალომიძე, 2016: 29). ბუნებრივია, რომ ამ მონეტების სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში მიმოქცევა არ იყო შემთხვევითი და მათი აქ აღმოჩენა სწორედ სამხედრო მოქმედებებს, უფრო ზუსტად პეტრაში ირანელთა ხანგრძლივ ყოფნას უნდა დავუკავშიროთ.

ამრიგად, უკანასკნელი არქეოლოგიური აღმოჩენები საშუალებას გვაძლევს უკეთ გავიაზროთ ლაზეთის დიდ ომიანობასთან დაკავშირებული დიდძალი წერილობითი მასალა. ბოლო დროს ციხისძირის არქეოლოგიური შესწავლა და მისი შედეგები

ნათელს ჰფენს სხვადასხვა საკამათო საკითხს, მათ შორის წყვეტს პეტრას ციხისძირთან იდენტიფიცირების პრობლემას. ახალი აღმოჩენები აზუსტებს საკუთრივ ციხისძირის, როგორც უმნიშვნელოვანესი ძეგლის სტრატიგრაფიას, შენობა-ნაგებობების დანიშნულებას და ა.შ. სამომავლოდ ციხისძირის ფართომასშტაბიანი არქეოლოგიური შესწავლა საშუალებას მოგვცემს გავაფართოვოთ ჩვენი წარმოდგენა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში საქალაქო ცხოვრების განვითარების საკითხებზე.

# დასკვნა

ახ.წ. IV-VII საუკუნეებში საქართველომ გარდამტეხი ცვლილებების საკმაოდ რთული გზა განვლო. ის დაკავშირებულია საზოგადოებრივი ფორმაციის ცვლილებებთან, კერძოდ, ახალი ფეოდალური საზოგადოების ფორმირების ხანგრძლივ პროცესთან. იგი დაიწყო ქრისტიანული რელიგიის გავრცელებისა და განმტკიცების წიაღში, რამაც თავის მხრივ ახლებურად განსაზღვრა საზოგადოების ცხოვრების ესა თუ ის მხარე, მისი მსოფლაღქმა და იდენტობა. ცვლილებების პროცესი მაინც ადგილობრივ, ტრადიციულ კულტურას დაეფუძნა, - იმ ტრადიციებისა და კულტურის გამომხატველობით ფორმებს, რომლებიც თითქოს შებოჭილი იყო ანტიკური, ბერძნულ-რომაული კულტურის მოზღვავებით. ამის მიუხედავად, ტრანსფორმაციის ხანისათვის დამახასიათებელია მჭიდრო კავშირი ანტიკურობასთან, ამის მკაფიო მაგალითი კი ბიზანტიაში ამ ეპოქის ქალაქები და საქალაქო კულტურაა. იგივე ითქმის დასავლეთ საქართველოზეც, რომელიც ბიზანტიურ სამყაროსთან მთელი ამ დროის განმავლობაში მჭიდროდ იყო დაკავშირებული.

აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის გზაჯვარედინზე მყოფი ქვეყანა ბუნებრივია იქცა ამ ორი სამყაროს დომინანტ სახელმწიფოთა ინტერესის საგნად. ბიზანტიისა და სასანური ირანის უსაფრთხოება და გეოსტრატეგიული ინტერესები მოითხოვდა აღნიშნული გზაჯვარედინის კონტროლს. ბიზანტიისა და ირანის კონტროლის ქვეშ ქვეყანა გაიყო და არაერთხელ იქცა ამ დიდ სახელმწიფოთა ბრძოლის ასპარეზად.

ლაზეთის დიდი ომი (541-562 წ.წ.), ესაა ამ დაპირისპირების ერთ-ერთი საკვანძო და გადამწყვეტი ეპიზოდი. ამ ომმა კარგად წარმოაჩინა გლობალურ მოვლენებში ჩვენი საკვლევი რეგიონის - სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სტრატეგიული მნიშვნელობა და როლი. გამომდინარე აქედან, ჩვენ შევეცადეთ შეგვესწავლა ამ საინტერესო მხარის ახ.წ. IV-VII საუკუნეების ისტორიისა და არქეოლოგიის მნიშვნელოვანი საკითხები, რათა საბოლოო ჯამში მეტი სიცხადე შეგვეტანა მათში.

ახ.წ. IV-VII საუკუნეებში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთში წამყვანი საქალაქო ცენტრი პეტრა-ციხისძირია. იგი წარმოადგენდა გვიანანტიკური ადრეშუასაუკუნეების ციხე-ქალაქის კლასიკურ ნიმუშს, ჰქონდა აკროპოლისი, გარექალაქი - თავისი უბნებითა და სამოქალქო ნაგებობებით. პეტრასთან

დაკავშირებული ბოლო წლების არქეოლოგიური მონაპოვრების ანალიზმა საშუალება მოგვცა აღგვედგინა ლაზეთის დიდი ომის საკვანძო მოვლენების მიმდინარეობა და დაგვეზუსტებინა საბრძოლო მოქმედებების ხასიათი.

ჩვენეული პასუხი გაეცა კითხვას, თუ რამ განაპირობა ბიზანტიის მიერ პეტრას ახალი გამაგრების სისტემის მოწყობა. მოკლედ, რომ გავიმეოროთ ამის მიზეზი იყო ბიზანტიის სურვილი ჯერ თავისი უშუალო მმართველობა შემოეღო აფსაროსი-პეტრას სექტორზე, შემდგომში კი იმპერიის სახელმწიფო საზღვარი უფრო ჩრდილოეთით, პეტრას სანახებში გადმოეტანა. ეს ღონისძიებები მას, ერთი მხრივ ლაზთა სამეფოს ეფექტური კონტროლის საშუალებას მისცემდა და, მეორე მხრივ, კავკასიონის გადმოსასვლელებიდან შემოსულ და ლაზეთის გავლით, ბიზანტიის სიღრმეში მიმავალ მომთაბარეებს მნიშვნელოვან დაბრკოლებას შეუქმნიდა, რითაც იგი დაიცავდა სახელმწიფოს ცენტრალურ პროვინციებს.

არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად გამოიკვეთა ციხესიმაგრის განაშენიანების თავისებურებანი. ძეგლის ტერიტორიაზე გამოჩნდა ახალი კონსტრუქციები და ნიშან-თვისებები, რომელთა სამომავლო კვლევა პეტრას სამხედრო, პოლიტიკური და რელიგიური მნიშვნელობის გააზრების თვალსაზრისით ბევრ სიახლეს გვპირდება. ძეგლზე ბოლო წლებში მიმდინარე კვლევებმა საშუალება მოგვცა შეგვეფასებინა თუ რა კვალი დატოვა ციხესიმაგრის თავდაცვით ინფრასტრუქტურაზე აქ VI საუკუნეში განვითარებულმა საომარმა მოქმედებებმა. დადგენილია პეტრაში ირანული გარნიზონის დგომის ფაქტი და სრულად აღდგა მოკავშირეთა მიერ ციხესიმაგრიდან მათი საბოლოო განდევნის ეპიზოდი. ამან კი, შეიძლება ითქვას, საბოლოოდ გადაწყვიტა პეტრას ციხისძირთან იდენტიფიცირების თითქმის საუკუნოვანი სამეცნიერო პოლემიკა.

ხელსაყრელი მდებარეობის გამო პეტრა-ციხისძირი იყო ის ერთადერთი ციხესიმაგრე ლაზეთის სანაპირო ზოლზე, რომლის გაკონტროლებაც ირანელებმა მიზნად თავიდანვე დაისახეს და ომის ძირითადი მიმდინარეობის დროს ამას ახერხებდნენ კიდეც. პეტრაში გამაგრებული ირანული ძალების შესაზღუდად მოკავშირეები ყოველმხრივ ამაგრებდნენ რკალს მის ირგვლივ. ამ თვალსაზრისით

ფიქვნარსაც უნდა ჰქონოდა გარკვეული როლი და იგი გარკვეულ კავშირში უნდა იყოს პეტრასთან.

ადრეშუასაუკუნეებში ფიქვნარში განახლებულ ცხოვრებას ჩვენ უფრო განვიხილავთ არა ლაზეთის სამეფოს წარმოქმნის საწყის ეტაპთან, არამედ პეტრა-ციხისძირის დაწინაურების, საკვანძო სამხედრო-ეკონომიკური მნიშვნელობის მქონე ცენტრად ჩამოყალიბების პროცესთან. ფიქვნარის სამხრეთით მდებარე ციხე-ქალაქი პეტრა ლაზეთის დიდი ომის დროს ბრძოლის ძირითადი არეალია. მისი შენარჩუნება კი დაპირისპირებული მხარეების სტრატეგიული მიზანი და ამ ხანგრძლივი ომის მოგების ერთგვარი საშუალება გახდა. ჩვენი აზრით, ფიქვნარში, სადაც ელინისტური ხანიდან სიცოცხლის ნიშან-წყალი არ ჩანს, დასახლების კვლავ აღმოცენების მიზეზები უნდა ვეძიოთ V საუკუნის ბოლოსა და VI საუკუნის დასაწყისში, ჯერ პეტრას დაწინაურებასა და მოგვიანებით აქ განვითარებულ სამხედრო მოვლენებში.

სავარაუდოა, რომ ციხისძირში ირანული გარნიზონის შესვლის შემდგომ ადგილობრივთა გარკვეულმა ნაწილმა ან ფენამ ფიქვნარში გადმოინაცვლა. აქ, როგორც ჩანს, უკვე არსებობდა მცირე სოფლის ტიპის დასახლება, რომელიც შესაძლოა ახ.წ. IV საუკუნიდან ეტაპობრივად ფორმირდებოდა პეტრაში რომაული ნაწილების დგომის კვალდაკვალ. ფაქტია, რომ ფიქვნარში გარკვეულ ეტაპზე (ჩვენი აზრით ეს უნდა იყოს ახ.წ. VI საუკუნე) ერთბაშად თავი მოიყარეს მეომრებმა, საეკლესიო პირებმა და ადგილობრივმა წარჩინებულებმა, რომლებმაც, ალბათ მშობლიურ ქალაქთან ახლოს დაიდეს ბინა. ისინი შორიახლოდან აკვირდებოდნენ მოვლენათა განვითარებას და, შესაძლოა, პროცესებშიც კი მონაწილეობდნენ.

აღსანიშნავია, რომ ფიქვნარში სამარხეული ინვენტარი სამარხებში გარკვეული კანონზომიერებითაა განთავსებული, რითაც იგი ემსგავსება პეტრა-ციხისძირის თანადროულ სამაროვანს. მეტ-ნაკლებად მსგავსია ინვენტარიც. ეს განსაკუთრებით ითქმის საბრძოლო ნივთებზე. ერთის მხრივ ის, რომ ფიქვნარში გამოვლენილი ძირითადი არტეფაქტების ზედა ქრონოლოგიური ჩარჩო არ სცდება ახ. წ. VI საუკუნეს და მეორე მხრივ, ფიქვნარის მარმარილოს ჯვარცმის ყველაზე ადრეული დათარიღებითაც კი იგი ფიქვნარში არ შეიძლება მოხვედრილიყო ახ.წ. V საუკუნის მეორე ნახევარზე ადრე პერიოდში, გვაფიქრებინებს, რომ პეტრადან ფიქვნარში

მოსახლეობის გადასვლა შეიძლება მართლაც უკავშირდებოდეს პეტრას ირგვლივ შექმნილ დაძაბულ საომარ ვითარებას, ხოლო პეტრას ირანული გარნიზონის დაცემის შემდგომ, იმის მიუხედავად, რომ პეტრამ დაკარგა სამხედრო დანიშნულება, ფიჭვნარის მოსახალშენეები, სავარაუდოდ კვლავ სამხრეთისკენ ინაცვლებენ.

